

# საოჯახო სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2017, №6

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)  
2017, №6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2017, №6

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)  
2017, №6

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ზაზა ჯაფარიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

# 1. ქორწინების ბათილობა

## ქორწინების ბათილობის საფუძველი

### განჩინება

№ას-824-790-2016

23 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაძური

დავის საგანი: ქორწინების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. ვ. ნ-მა (უფლებამონაცვლე – გ. ნ-ი (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 15.10.2015წ. განჩინება), შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. ს-ის (შემდგომში – მოპასუხე ან მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ და მოითხოვა მხარეთა შორის 2001 წლის 15 ოქტომბერს ცაგერის რაიონის სოფელ ა-ის საკრებულოს მიერ რეგისტრირებული ქორწინების (ქორწინების №3 აქტის ჩანაწერი, ქორწინების მოწმობა №მ...) ბათილად ცნობა.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მხარეები 1993 წლიდან 2011 წლის თებერვლამდე იმყოფებოდნენ ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში. 2011 წელს მოსარჩელისათვის მოპასუხისაგან ცნობილი გახდა ქორწინების მოწმობის არსებობის თაობაზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2012 წლის 30 მაისის №07/138862 წერილით მოსარჩელემ შეიტყო 2001 წლის 15 ოქტომბრის №3 ქორწინების ჩანწერის აქტის შესახებ, რომლის მიხედვით მოსარჩელე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მოპასუხესთან. ქორწინების ჩანწერის აქტი №3 შედგენილია არა 2001 წელს „მმაჩის ბიუროს გამგის“ ფ. ყ-ის მიერ, არამედ გააყალბა მოპასუხემ დაახლოებით 2007 წელს, ფ. ყ-ის გარდაცვალების შემდეგ, ქორწინების ჩანწერის აქტზე შესრულებული ხელმოწერა არ ეკუთვნის მოსარჩელეს. მოცემულთან დაკავ-

შირებით თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

## **2. მოპასუხის, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირის პოზიცია:**

2.1. მარტივი შედეგებით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ ქორწინების აქტის ჩანაწერზე შესრულებული ხელმოწერა ეკუთვნის მოსარჩელეს. აღნიშნული აქტი რეგისტრირებულია 2001 წლის 15 ოქტომბერს ცაგერის რაიონის ა-ის სოფლის საკრებულოს მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვით. წინამდებარე სარჩელი მხოლოდ მას შემდეგ აღიძრა და ქორწინების სააქტო ჩანაწერის ნამდვილობა სადავო გახდა, რაც 2012 წელს სარჩელით მიმართა მოპასუხემ სასამართლოს ქორწინების განმავლობაში შექმნილ უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ. სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ არსებობს ქორწინების ბათილად ცნობის წინაპირობები.

2.2. მესამე პირმა – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ასევე არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ სადავო ქორწინების აქტის ჩანაწერი რეგისტრირებულია 2001 წლის 15 ოქტომბერს ცაგერის რაიონის ა-ის სოფლის საკრებულოს მიერ. რეგისტრაციის პერიოდში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები იყენებდნენ 1971 წლის 9 მარტის №133 ინსტრუქციას „საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“, რომელიც არეგულირებდა ასევე თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას. აღნიშნული ორგანოები ახორციელებდნენ დაბადების, გარდაცვალებისა და ქორწინების აქტის ჩანაწერების რეგისტრაციას. ამავე ინსტრუქციით რეგულირდებოდა, როგორც ანგარიშგება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ, ასევე, განაცხადის შენახვის წესი (XIII თავი, პუნქტი 135), რომლის ვადა შეადგენდა 5 (ხუთი) წელს. შენახვის ვადის გასვლის შემდეგ განაცხადები ნადგურდებოდა. იმ დროს მოქმედი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონი ანესრიგებდა მხოლოდ სამოქალაქო რეგისტრაციის წიგნების (სამოქალაქო აქტების ჩანაწერების) შენახვის ვალდებულებას, ამდენად, კანონმდებლობის შესაბამისად არ არსებობს მხარეთა, როგორც დასაქორწინებელ პირთა, განაცხადი, მაგრამ არსებობს ქორწინების მონობა და სამოქალაქო აქტების ჩანაწერი.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყევტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

#### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი, ასევე, საქმის წარმოების შეჩერებასა და მტკიცებულებების საქმისათვის დართვაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო პალატის 2016 წლის 20 ივლისის საოქმო განჩინების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიიჩნევს, რომ იგი დაუშვებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის დასაბუთება:**

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც სა-

კასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძველით.

1.2. გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება ძირითადად იმ დასკვნებს ეფუძნება, რომ:

1.2.1. 1993 წლიდან 2011 წლის თებერვლამდე მხარეები იმყოფებოდნენ ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში, ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად და ეწეოდნენ საერთო საოჯახო მეურნეობას, რის შესახებაც ცნობილი იყო მათი ოჯახის წევრებისა და მეგობრებისათვის, ინფორმაცია არ იყო დაფარული ფართო საზოგადოებისათვის;

1.2.2. მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის მიერ 30.05.2012წ. გაცემულია მხარეთა სააქტო ჩანაწერის ასლი და ქორწინების მოწმობა მნ №4... (ქორწინების სააქტო ჩანაწერი №3, რეგისტრირებული ა-ის სოფლის საკრებულოს მიერ);

1.2.3. 2012 წლის 4 ივნისს დ. ს-ემ სარჩელი აღძრა ვ. წ-ის მიმართ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების გაყოფის თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.12.2012წ. გადაწყვეტილებით დ. ს-ის სარჩელი ვ. წ-ის მიმართ უძრავ ქონებაზე (ს/კ №01.72.14.007.1...) თანამესაკუთრედ ცნობის, თანსაკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთების ღირებულების ნახევრის დაკისრებისა და პირად საკუთრებაში მოძრავი ნივთების დაბრუნების თაობაზე დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 26.06.2013წ. განჩინებით უცვლელად დარჩა ზემოხსენებული გადაწყვეტილება, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 29.11.2013წ. განჩინებით ვ. წ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად. საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული ზემოხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონების (ს/კ №01.72.14.007.1...) 1/2 საჯარო რეესტრში აღირიცხა დ. ს-ის სახელზე;

1.2.4. მოსარჩელის 27.06.2012წ. განცხადების საფუძველზე, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე მხარეთა ქორწინების სააქტო ჩანაწერის გაყალბების თაობაზე და №... სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება. ამ ეტაპზე ფაქტობ-

რივი გარემოებები უტყუარად დადგენილი არ არის. ქორწინების სადავო ჩანაწერის გაუქმების მოთხოვნით, მოსარჩელემ ასევე მიმართა თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს, რომლის 2013 წლის 19 აპრილის №01/83726 წერილით განმცხადებელს განემარტა, რომ „სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონის“ თანახმად, სამოქალაქო აქტის ჩანაწერს (დაბადებისა და გარდაცვალების სამოქალაქო აქტების ჩანაწერების გარდა) ბათილად ცნობს სასამართლო. ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოში მიმდინარე გამოძიებისას, საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის შესახებ განჩინების საფუძველზე სამართლდამცავი ორგანოს მიერ ამოღებულია ცაგერის რაიონის სოფელი ა-ის საკრებულოს ქორწინების სააქტო ჩანაწერის 1999-2000წწ. წიგნი, კერძოდ, ქორწინების აქტი შესრულებული 15.10.2001 წელს, დ. ს-ესა და ვ. წ-ს შორის. მექორწინეთა ერთობლივი განცხადება საკრებულოს მასალებში არ ინახება. ა-ის საკრებულოში ხანძრის გაჩენის გამო ცაგერის სამოქალაქო რეესტრს სხვა ინფორმაცია არ აქვს. ცაგერის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2014 წლის 15 აპრილის მიმართვის თანახმად კი, სადავო ქორწინების სააქტო ჩანაწერი ნამდვილად შედგენილია 2001 წლის 15 ოქტომბერს და დაცულია შესაბამისი ნუმერაცია. ზოგადი წესის თანახმად, მექორწინეთა განცხადება ინახებოდა საკრებულოში, 5-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ ანადგურებდა საკრებულო. მოწმედ დაკითხული ო. მ-ის ჩვენების თანახმად, იგი ცაგერის რაიონის სოფელი ა-ის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელად მუშაობდა 1993 წლიდან 2011 წლამდე და მუშაობს ამჟამადაც 2013 წლიდან. მისი განმარტებით, ძველი შენობის ინვენტარიზაციის ჩატარებისას განადგურდა ძველი განცხადებები, ასევე, შენობაში არსებული ნივთები და საკრებულოში შემორჩენილია მხოლოდ საკომლო წიგნები. სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის, მექორწინეთა ერთობლივი განცხადებები, ა-ის საკრებულოში არ ინახება. ა-ის საკრებულოს მდივნად 2005 წლამდე მუშაობდა ჟ. ყ-ი და მისი კომპეტენცია იყო საკრებულოს ტერიტორიაზე სამოქალაქო აქტების შედგენა და რეგისტრაცია. აქტებზე საკრებულოს ბეჭდის დასმა კი ხდებოდა ო. მ-ის მიერ. იგივე დასტურდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს 2014 წლის 15 აპრილის №41 მიმართვით;

1.2.5. მოპასუხესთან ქორწინების თობაზე აპელანტმა გამოხატა ნება შესაბამისი ფორმით – ხელმოწერით ცაგერის რაიონის სოფელი ა-ის საკრებულოს მიერ 15.10.2001წ. რეგისტრირე-

ბული ქორწინების ჩანერის №3 აქტზე. საქმის მასალებით და-  
დასტურებული არ არის გარემოება იმის თაობაზე, რომ ქორწინების  
ჩანანერის აქტზე შესრულებული ხელმოწერა არ ეკუთვნის  
მოსარჩელეს. საქმეში წარმოდგენილია ქორწინების ჩანერის  
აქტზე შესრულებული ხელმოწერის ნამდვილობის თაობაზე  
რამდენიმე არაერთგვაროვანი დასკვნა, კერძოდ:

ა) შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საექსპერტო-  
კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2012 წლის 30  
ნოემბრის №629/გრ დასკვნის თანახმად: 1. გამოსაკვლევი ქორწინების  
ჩანერის №3 აქტზე გრაფაში „მექორწინეთა ხელის მონერა“ დ. ს-ის  
სახელით არსებული ხელმოწერა შესრულებულია დ. ს-ის მიერ; 2. გამოსაკვლევი  
ქორწინების ჩანერის №3 აქტზე გრაფაში „მექორწინეთა ხელის მონერა“ ვ. წ-ის  
სახელით არსებული ხელმოწერა წარმოდგენილი ნიმუშებით შესაძლებელია,  
შესრულებული იყოს ვ. წ-ის მიერ; 3. გამოსაკვლევე ობიექტში ჩანერის  
№3 აქტზე გრაფაში „გვარი, სახელი და მამის სახელი იმ პირთა, რომლებიც  
ემონმებიან ქორწინებას და მათი ხელის მონერა“ ქ. ჭ-ის სახელით  
არსებული მოკლე და სრული ასოთი ჩანანერის სახით არსებული ხელმოწერა  
და მის ქვეშ ჩანანერი პ/მონმ, №... 10.09.1999“ შესრულებულია ქ. ჭ-ის მიერ“; 4. გამოსაკვლევე  
ქორწინების ჩანერის №3 აქტზე გრაფაში „გვარი, სახელი და მამის სახელი  
იმ პირთა, რომლებიც ემონმებიან ქორწინებას და მათი ხელის მონერა“ მ. რ-ის  
სახელით არსებული ხელმოწერა შესრულებულია მ. რ-ის მიერ“. სასამართლო  
სხდომაზე ექსპერტმა მ. რ-ამ განმარტა: 15.10.2001წ. ქორწინების ჩანერის  
№3 აქტზე ვ. წ-ის სახელით არსებულ ხელმოწერაზე გაცემულია სავარაუდო  
დადებითი დასკვნა; ექსპერტიზის ჩასატარებლად წარდგენილი ნიმუშების  
საკმარისი რაოდენობისა და სადავო პერიოდთან დაახლოებულ (მოკლე  
დროის მონაკვეთში) დროში შესრულებული ნიმუშების არარსებობის გამო,  
შეუძლებელი იყო კატეგორიული დადებითი დასკვნის გაცემა; ხანგრძლივი  
პერიოდის შემდეგ აღებული ნიმუშების შესწავლისას გასათვალისწინებელია  
პირის ასაკი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და უჩვეულო პირობებში  
შესრულებული ხელმოწერა, რაც საბოლოოდ იწვევს გამოსაკვლევე ობიექტსა და  
ხელმოწერის ნიმუშებს შორის განმასხვავებელი ნიშნების არსებობას; სადავო  
ხელმოწერის შესრულების პერიოდთან 1-2 წლის შუალედით შესრულებული  
თავისუფალი ხელმოწერის ნიმუშის არსებობის პირობებში შეიძლება სავარაუდო  
ყოფილიყო კატეგორიული დასკვნის გაცემა;

ბ) ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტი-



ზის ეროვნული ბიუროს 19.03.2013წ. №... დასკვნის თანახმად:  
1. გამოსაკვლევად წარდგენილი ქორწინების ჩანწერის აქტის 1999 წლის ყურნალში მე-4 გვერდზე განთავსებული ქორწინების ჩანწერის აქტის №3 (15 ოქტომბერი 2001 წლის თარიღით) ზედა ნაწილში მითითებულ თარიღის აღმნიშვნელ ციფრობრივ ჩანწერში „2001“ ციფრი „1-ის“ ადგილზე მომხდარია ცვლილება. ციფრობრივი ჩანწერის „2001“ ადგილზე ციფრობრივი ჩანწერი „2002“. 2. გამოსაკვლევად წარდგენილი ქორწინების ჩანწერის აქტის №3 (15 ოქტომბერი 2001 წლის თარიღით) ხანდაზმულობის დადგენა მასზე არსებული ხელნაწერი ტექსტის მიხედვით შეუძლებელია, მეცნიერულად დასაბუთებული შესაბამისი მეთოდის არ არსებობის გამო. 3. დადგენა იმისა, თუ როდის იყო დატანილი ბეჭდის ანაბეჭდი გამოსაკვლევად წარდგენილი ქორწინების ჩანწერის აქტის №3 (15 ოქტომბერი, 2001 წლის თარიღით) უკანა მხარის მარცხენა ქვედა ნაწილში შეუძლებელია, კვლევით ნაწილში მითითებული მიზეზის გამო. 1.1. ხელმოწერა ვ. წ-ის სახელით განლაგებული ქორწინების ჩანწერის აქტზე №3. 15.10.2001 წლის თარიღით, მეორე გვერდზე, მე-13 გრაფის გასწვრივ „მექორწინეთა ხელის მოწერა“ შესრულებულია არა ვ. წ-ის, არამედ სხვა პირის მიერ, მის რომელიმე ნამდვილ ხელმოწერაზე მიმსგავსებით. 1.2. ხელმოწერა ჟ. ყ-ის სახელით, განლაგებული: ქორწინების ჩანწერის აქტზე №3, 15.10.01 წლის თარიღით, მეორე გვერდზე გრაფაში: „მამაჩის განყოფილების გამგე“ შესრულებულია არა ჟ. ყ-ის, არამედ სხვა პირის მიერ, მის რომელიმე ნამდვილ ხელმოწერაზე მიმსგავსებით“. სასამართლო სხდომაზე ექსპერტმა მ. ვ-იამ განმარტა: ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2013 წლის 19 მარტს გაიცა კატეგორიული უარყოფითი დასკვნა, კერძოდ, გამოსაკვლევ ობიექტსა და წარმოდგენილ ხელმოწერის ნიმუშებს შორის, კერძო ნიშნებთა მნიშვნელოვანი განსხვავების არსებობის გამო, დადგინდა, რომ გამოსაკვლევ ხელმოწერა შესრულებულია არა ვ. წ-ის, არამედ სხვა პირის მიერ; ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ გამოსაკვლევ ხელმოწერა შესრულებულია შესაბამის გრაფაში (და არა თავისუფალ ფურცელზე), რამაც გამოიწვია ხელმოწერის ზომის შევიწროვება. ამასთან, ვინაიდან ბუნებაში არ არსებობს ორი იდენტური ხელმოწერა, გრაფიკული ექსპერტიზის ჩატარებისას, იდენტიფიკაციისათვის ხდება თავისუფალი, პირობით თავისუფალი და ექსპერიმენტული ხელმოწერის ნიმუშების აღება. კერძო და საერთო ნიშნებს შორის არსებულმა განსხვავებებმა აჩვენა, რომ გამოსაკვლევ ხელმოწერა შეს-

რულებულია არა ვ. ნ-ის, არამედ სხვა პირის მიერ. გარეგნული მსგავსება და თანდამთხვევითი ნიშნები კი, შესაძლოა გამოწვეული იყოს ვ. ნ-ის ხელმოწერაზე მიმსგავსებით. წარმოდგენილ თავისუფალ ნიმუშებსა და სადავო ხელმოწერას შორის შესრულებულ პერიოდს შორის ხანგრძლივ დაშორებას არ ჰქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა და ექსპერტიზისათვის წარდგენილი მასალები საკმარისი აღმოჩნდა კატეგორიული უარყოფითი დასკვნის გასაცემად;

გ) დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის შპს „ვ-ის“ 08.05.2013წ. №07/01 ექსპერტის დასკვნის თანახმად: 1. 2001 წლის 15 ოქტომბრით დათარიღებულ ქორწინების №3 აქტში ხელმოწერა ნ-ის გრაფაში №13, შესაძლებელია, შესრულებული იყოს ვ. ნ-ის მიერ. 2. 2001 წლის 15 ოქტომბრით დათარიღებულ ქორწინების №3 აქტში უკანა მხარეს გრაფაში „მამჩის განყოფილების გამგე“ არსებული ხელმოწერა ჟ.ყ-ის გვარით არ გამოკვლეულა იმის გამო, რომ შესადარებელ მასალად წარმოდგენილი ნიმუშების რაოდენობა იყო მცირე და არასაკმარისი შედარებითი კვლევის ჩასატარებლად. სასამართლო სხდომაზე ექსპერტმა ა. მ-ემ განმარტა: შპს „ვ-ის“ მიერ გაცემულია საჯაროუფრო დადებითი დასკვნა, კერძოდ, დადგინდა, რომ 2001 წლის 15 ოქტომბრით დათარიღებული ქორწინების №3 აქტში ხელმოწერა ნ-ის გვარით გრაფაში შესაძლებელია შესრულებული იყოს ვ. ნ-ის მიერ; ორი აბსოლუტურად იდენტური ხელმოწერა არ არსებობს; ამ შემთხვევაში, კატეგორიული დადებითი დასკვნის გამოცემა არ მოხდა, ვინაიდან კერძო ნიშნებს შორის იყო განსხვავება, მაგრამ ნაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე დამახასიათებელი და მყარი ნიშნების თანადამთხვევები ერთობლიობაში; მოცემულ შემთხვევაში, გამოსაკვლევი ხელმოწერა შესრულებულია წყვეტილ რეჟიმში. უწყვეტი რეჟიმის პირობებში მეტი ალბათობაა, გაიცეს კატეგორიული დადებითი დასკვნა ხელმოწერის ნამდვილობასთან დაკავშირებით;

დ) შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 28.03.2014წ. №103/გრ/104/დტ, 00148714 ექსპერტის დასკვნის თანახმად, 1. ექსპერტიზაზე წარდგენილ ქორწინების აქტების ყურნალში ქორწინების ჩანერის №3 აქტზე, დათარიღებული 15.10.2001 წლით, მეორე მხარეს ვ. ნ-ის სახელით არსებული ხელმოწერის გრაფაში „მექორწინეთა ხელის მოწერა“ (გვარი ქორწინებამდე) შესრულებულია არა ვ. ნ-ის, არამედ სხვა პირის მიერ, მის რომელიმე ხელმოწერასთან მიმსგავსების მცდელობით. დადგენა საკითხისა, არსებული ხელმოწერა შესრულებულია თუ არა დ. ს-ის, მ. რ-ის ან ქ. ჭ-ის მიერ, შეუძლებელია

ლია, დასკვნის კვლევით ნაწილში მითითებულ მიზეზთა გამო; 2. ექსპერტიზაზე წარდგენილ ქორწინების აქტების ჟურნალში ქორწინების ჩანერის №3 აქტზე დათარიღებული 15.10.2001 წლით, მეორე მხარეს დ.ს-ის სახელით არსებული ხელმოწერა გრაფაში: „მექორწინეთა ხელის მოწერა“ (გვარი ქორწინებამდე) შესრულებულია დ. ს-ის მიერ; 3. ექსპერტიზაზე წარდგენილ ქორწინების აქტების ჟურნალში ქორწინების ჩანერის №3 აქტზე, დათარიღებული 15.10.01 წლით, მეორე მხარეს გრაფაში: „გვარი, სახელი და მამის სახელი იმ პირთა, რომლებიც ემონმებიან ქორწინებას და მათი ხელის მოწერა“ ქ.ჭ-ის სახელით არსებული ხელმოწერები (როგორც ასოთი ჩანანერის სახით, ისე მოკლე ტრანსკრიფციით) და ხელმოწერების ქვეშ განთავსებული ხელნაწერი პირადობის მონმობის ნომრისა და გაცემის თარიღის თაობაზე შესრულებულია ქ.ჭ-ის მიერ; 4. ექსპერტიზაზე წარდგენილი ქორწინების აქტების ჟურნალში ქორწინების ჩანერის №3 აქტზე, დათარიღებული 15.10.01 წლით, მეორე მხარეს გრაფაში „გვარი, სახელი და მამის სახელი იმ პირთა, რომლებიც ემონმებიან ქორწინებას და მათი ხელის მოწერა“ მ.რ-ის სახელით არსებული ხელმოწერა შესრულებულია მ. რ-ის მიერ; 5. ექსპერტიზაზე წარდგენილი ქორწინების ჩანერის აქტის მე-4 ფურცელზე განთავსებული ქორწინების ჩანერის აქტის №3 დათარიღებულია 2001 წლით, თუმცა, მითითებული წლის აღმნიშვნელ რიცხვებში შეტანილია ცვლილება, კერძოდ, ამჟამად არსებული ციფრობრივი ჩანანერის „2001“ ადგილზე თავდაპირველად იყო ჩანანერი „2002“; 6. ქორწინების ჩანერის №3 აქტზე დათარიღებული 15.10.01 წლით, მეორე მხარეს გრაფაში: „მმამის განყოფილების გამგე ფ. ყ-ის“ სახელით არსებული ხელმოწერა შესრულებულია არა ფ. ყ-ის, არამედ სხვა პირის მიერ, მის ხელმოწერასთან მიმსგავსების მცდელობით; 7. გამოსაკვლევად წარდგენილი ქორწინების აქტის №3 (15 ოქტომბერი, 2001 წელი) ხელნაწერის ტექსტის ხანდაზმულობის დადგენა შეუძლებელია მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდის არ არსებობის გამო. სხდომაზე ექსპერტმა მ. ვ-იამ განმარტა, რომ შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მიერ 2014 წლის 28 მარტს გაცემულია კატეგორიული უარყოფითი დასკვნა: გამოვლენილი განმამასხვავებელი ნიშნები მყარია, მნიშვნელოვანი, ინდივიდუალური და ერთობლიობაში საკმარისი დასკვნისათვის, რომ გამოსაკვლევია ხელმოწერა შესრულებულია არა ვ. წ-ის, არამედ სხვა პირის მიერ;

ე) დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის შპს „ვ-ის“ 17.04.2016. №07/02 ექსპერტის დასკვნის თანახმად:

1. ხელმოწერა ვ.წ-ის გვართ ქორწინების აქტების ჟურნალში „მექორწინეთა“ გრაფაში (აქტი №3, 15.10.2001წ.) შესრულებულია არა დ. ს-ის, არა ქ. ჭ-ის, არა მ. რ-ის, არამედ, სავარაუდოდ, ვ. წ-ის მიერ. 2. ხელმოწერა დ. ს-ის გვართ ქორწინების ჩანერის №3 აქტზე გრაფაში „მექორწინეთა ხელის მოწერა (გვარი ქორწინებამდე)“ შესრულებულია დ. ს-ის მიერ. 3. ხელმოწერები ქ. ჭ-ის გვართ და ტექსტობრივი და ციფრობრივი ჩანაწერები ხელმოწერების ქვეშ №3 ქორწინების აქტის მე-4 გვერდის მეორე მხარეზე გრაფაში „გვარი, სახელი და მამის სახელი იმ პირთა, რომლებიც ემონმებიან ქორწინებას და მათი ხელის მოწერა“ შესრულებულია ქ. ჭ-ის მიერ. 4. ხელმოწერა მ. რ-ის გვართ იმავე აქტის გრაფაში „გვარი, სახელი და მამის სახელი იმ პირთა, რომლებიც ემონმებიან ქორწინებას და მათი ხელის მოწერა“ შესრულებულია მ. რ-ის მიერ. 5. დადგენა საკითხისა – შესრულებულია თუ არა ხელმოწერა ჟ. ყ-ის გვართ ქორწინების აქტების ჟურნალში (აქტი №3, 15.10.2001 წელი, გვ. 4) შეუძლებელია კვლევით ნაწილში მითითებული მიზეზების გამო. 6. ქორწინების ჩანერის №3 აქტის გვერდზე წლის აღმნიშვნელ თარიღში შეტანილია ცვლილება, კერძოდ: არსებულ ციფრობრივ ჩანაწერში ბოლო ციფრი გადასწორებულია და ამჟამად არსებული თარიღის „2001-ის“ ნაცვლად ადრე ეწერა „2002“. 7. გამოსაკვლევად წარმოდგენილ ქორწინების №3 აქტის (15.10.01.) ხელნაწერის ხანდაზმულობის დადგენა შეუძლებელია კვლევით ნაწილში მითითებული მიზეზის გამო. სასამართლო სხდომაზე ექსპერტმა ნ. დ-მა განმარტა: გაცემულია სავარაუდო დადებითი დასკვნა; კვლევის ჩატარებისას, გამოიკვეთა, რომ თანადამთხვევითი კერძოდ, ნიშნები ერთობლიობაში უფრო მყარია და მნიშვნელოვანი, ვიდრე განმასხვავებელი და ქმნიან საიდენტიფიკაციო კერძო ნიშანთა კომპლექსს, რაც საკმარისია მხოლოდ სავარაუდო დასკვნისათვის; განმასხვავებელი ნიშნების არსებობამ არ მისცა ექსპერტს საშუალება კატეგორიული დადებითი დასკვნის გაცემისა; გამოსაკვლევე ხელმოწერასა და წარმოდგენილ ნიმუშებს შორის განსხვავება შეიძლება გამოიწვიოს უამრავმა ფაქტორმა: გადატანილი ავადმყოფობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ადამიანის მიერ იშვიათად განხორციელებულმა ხელისმოწერამ, ფიზიკურმა დაღლილობამ, ხელმოწერისას კალმის წვერის გამართულობა, მყარი ზედაპირი და ა.შ. თუ ხელმოწერის შესრულებისას ხდება უშუალოდ ხელის მოძრაობის შეცვლა, აღნიშნული ინვეს უფრო მეტი განმასხვავებელი ნიშნების არსებობას;

ვ) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებ-

ბელი ექსპერტიზის სამედიცინო-კვლევითი ცენტრის 23.05.2013წ. კონსულტაციის №2-ნ-16\*/17, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის 25.02.2014წ. გაცემული საკონსულტაციო დასკვნის №20/3/2014 მიხედვით, ადამიანის ხელწერა იცვლება წლების განმავლობაში სხვადასხვა მიზეზთა გამო, მათ შორის მნიშვნელოვანია ასაკობრივი ცვლილებები, ასევე, მთელ რიგ დაავადებებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ადამიანის ხელწერაზე და გამოიწვიოს ცვლილებები მის კალიგრაფიაში, ხელწერაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატების მიღებამაც;

1.2.6. აპელანტს გადატანილი აქვს სხვადასხვა დაავადებები: 2006 წელს მკურნალობდა თბილისის ონკოლოგიურ ცენტრში, მარჯვენა თირკმლის კიბოს დიაგნოზით, გაუკეთდა ოპერაცია და ამოიკვეთა მარჯვენა თირკმელი სრულად ლიმფურ კვანძებთან ერთად; 2008 წლის 11 ივნისს მკურნალობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ა. ალადაშვილის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკაში დიაგნოზით: არასტაბილური სტენოკარდია, არტერიული ჰიპერტენზია; 2012 წელს დაუდგინდა დიაგნოზი: ჰემორაგიული ინსულტი, მცირე ზომის ინტრაცერებრული ჰემატომა, გულის იშემიური დაავადება, რის გამოც ენიშნებოდა გარკვეული სამედიცინო პრეპარატები. საქმეში წარმოდგენილია ასევე სხვადასხვა დროის სამედიცინო დოკუმენტები ვ. ნ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

1.2.7. მოწმედ დაიკითხნენ ქ. ჭ-ი და მ. რ-ი, რომლებიც, როგორც ქორწინების მოწმეები, აწერენ ხელს სადავო აქტს (ქორწინების ჩანაწერის აქტი №3). მოწმეებმა დაადასტურეს, რომ ქორწინების სააქტო ჩანაწერზე ვ. ნ-ისა და დ. ს-ის ხელმოწერები შესრულებულია მათი თანდასწრებით, ხოლო მათ მიერ ხელმოწერა შესრულდა მხოლოდ მექორწინეთა ხელმოწერების შემდეგ. აღნიშნულ გარემოებას ასევე ადასტურებს სადავო პერიოდისათვის ცაგერის რაიონის საკრებულოს სოფელ ა-ის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი ო. მ-ე, რომელიც ესწრებოდა ქორწინების ჩანაწერის აქტზე ხელმოწერის შესრულების პროცესს. მოწმეებმა დაადასტურეს ის გარემოებაც, რომ ხელმოწერამდე მექორწინეებს „მმაჩის განყოფილების გამგე“ ჟ. ყ-ის მიერ ეცნობათ ქორწინების სააქტო ჩანაწერის შინაარსის შესახებ. ო. მ-ემ დამატებით განმარტა, რომ ქორწინების სააქტო ჩანაწერზე „სამსახურებრივი ბეჭედი“ დაარტყა მეორე დღეს, რომელზეც უტყუარად იყო როგორც დ. ს-ის, ასევე, ვ. ნ-ის ხელმოწერა. სასამართლოს დასკვნით, ქორწინების სააქტო ჩანაწერზე ვ. ნ-ის ხელმოწერის გაყალბების ფაქტის დამადასტუ-

რებელ მტკიცებულებად ვერ შეფასდებოდა ის გარემოება, რომ 2002 და 2004 წლებში დ. ს-ემ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ოჯახის წევრების გრაფაში არ მიუთითა ინფორმაცია მეუღლის არსებობის თაობაზე.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

1.4. საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების წინაპირობა ვერ განხდება კასატორის შედავება იმის თაობაზე, რომ:

1.4.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი (ადრე მოქმედი რედაქციით), რადგანაც, მოცემულ შემთხვევაში, დადასტურებულია მხოლოდ გარკვეულ პერიოდში მხარეთა კავშირის არსებობა და არა ამ ფაქტის რეგისტრაცია, რადგანაც სადავო სააქტო ჩანაწერზე ხელმოწერა არ ეკუთვნის მოსარჩელეს, სააქტო ჩანაწერის არსებობის შესახებ მისთვის ცნობილი გახდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 30.05.2012წ. წერილით. პალატამ ასევე არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1107-ე მუხლი, რადგანაც საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ვ. წ-ის თანხმობა ქორწინებაზე (ქორწინების მსურველთა განცხადება), აღნიშნულის საპირისპიროდ კი, წარმოდგენილია მხოლოდ გაყალბებული ქორწინების სააქტო ჩანაწერი. ამ თვალსაზრისით სასამართლოს არ უხელმძღვანელია სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლით, რომლის შესაბამისადაც დაადგენდა, რომ არ არსებობს მოსარჩელის ნება ქორწინების თაობაზე. საქმის მასალებში არ მოიპოვება სამოქალაქო კოდექსის 1112-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულება – მოსარჩელის განცხადება ქორწინების მარეგისტრირებელი ორგანოს სახელზე. ამავე კოდექსის 1140-ე მუხლის საფუძველზე სრულიად არაკა-

ტეგორიული ხასიათის ექსპერტიზის დასკვნებისა და ცრუ მონმეების ჩვენებაზე სასამართლომ არასწორად დაადგინა დასაქორწინებულ პირთა თანხმობის არსებობის ფაქტი. პალატამ ყურადღების მიღმა დატოვა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს კატეგორიული ხასიათის დასკვნები, რომლებიც გამოძიების და არა მოსარჩელის მიერაა დანიშნული. პალატამ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1117-ე მუხლით იმ პირობებში, როდესაც მხოლოდ მონმეების ჩვენებით არ შეიძლება დადასტურდეს ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი, ამასთანავე, მონმეთა ჩვენებები წინააღმდეგობრივია;

1.4.2. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე (105-ე) მუხლების მოთხოვნები და არასწორად შეაფასა ექსპერტიზის დასკვნები, კერძოდ, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 30.11.2012წ. დასკვნა არაკატეგორიული შინაარსისაა, რომელიც ამავე საქმეში არსებული კატეგორიული ხასიათის უარყოფითი დასკვნის საპირინენად ვერ გამოდგება, ანალოგიურად შეიძლება ითქვას შსს „ვის“ 2013 წლის დასკვნაზე, ხოლო გადაწყვეტილების მიღებისას არ იქნა გამოყენებული ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 19.03.2013წ. დასკვნა, რომელიც, როგორც მოსარჩელის, ისე ყ. ყ-ის ხელმოწერის გაყალბების ფაქტზე მიუთითებს. ასევე, არ იქნა გამოყენებული შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 28.03.2014წ. დასკვნა, რომელიც ხელმოწერათა გაყალბების ფაქტს ადასტურებს;

1.4.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევით, არასწორად განაცხადა სასამართლომ უარი ვ. წ-ის მიერ წარდგენილი ახალი მტკიცებულებების – ექსპერტიზის დასკვნის მიღებაზე იმ დასაბუთებით, თითქოს მონმეებმა დეტალურად აღწერეს ხელმოწერის პროცესი. სწორედ ამით იყო განპირობებული სასამართლოს მთავარ სხდომაზე ექსპერტიზის დასკვნის წარდგენა, რაც საპატიო მიზეზს წარმოადგენს. ამ დასკვნით კი, დადასტურებულია, რომ სარეგისტრაციო ყურნალში ჩამატებულია ფურცელი და შეცვლილია რეგისტრაციის თარიღები. დასკვნის მიღებაზე უარით დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე და 382-ე მუხლების მოთხოვნები, გარდა ამისა, პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლები, რამდენადაც დასაქორწინებულ პირთა ერთობლივი განცხადების არარსებობითა და საქმეში არსებული ექსპერტიზის კატეგორიული დასკვნების

წარდგენით მოსარჩელემ დაამტკიცა მოთხოვნის საფუძვლიანობა. სასამართლოს ამგვარი მიდგომით დაირღვა მოსარჩელის გარანტირებული თანასწორობის პრინციპი;

1.4.4. სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო საქმეში არსებული მოპასუხის ქონებრივი დეკლარაციები, სადაც ამ უკანასკნელს ოჯახის ნევრად მოსარჩელე არ მიუთითებია, ამასთანავე, პალატას ქორწინების სააქტო ჩანაწერის ბათილობისას არ უხელმძღვანელია სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლით. კასატორის მოწინააღმდეგე მხარემ ჩაიდინა დანაშაული – ყალბი დოკუმენტის შექმნით ქონების მართლსაწინააღმდეგო გზით დაუფლების ფაქტზე დამნაშავედ იქნა ცნობილი, რის გამოც ყალბა დაედო მის მიერ უკანონოდ მითვისებულ ქონებას.

1.5. საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის ზემოხსენებულ პრეტენზიებს და უპირველესად ყურადღებას გაამახვილებს იმ საკითხზე, რომ ამავე მხარეებს შორის ქორწინების შეწყვეტიდან გამომდინარე განხილულია ქონებრივი დავა. გადანყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და მისი გაუქმება/ბათილად ცნობა საქმის მასალებით არ დასტურდება, პირიქით, საქმეში წარმოდგენილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 28.03.2016წ. №2ბ/6008-15 განჩინება, რომლითაც განმცხადებელს უარი ეთქვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 დეკემბრის გადანყვეტილების ბათილად ცნობაზე, თავის მხრივ, ამ გადანყვეტილებით დადგენილია მოდავე მხარეთა ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც, თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. დასახელებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წინასწარ დადგენილი ძალის მქონე ფაქტებად კანონმდებელი განიხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადანყვეტილებით დადგენილ ფაქტებს და მხარეს მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, ანუ პრეიუდიციული ძალის მქონედ ფაქტობრივი გარემოების მიჩნევისათვის, სა-



ვალდებულია არსებობდეს სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების სუბიექტები სხვა სამოქალაქო საქმის მხარეებად უნდა გვევლინებოდნენ. თავად პრეიუდიციულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას. პრეიუდიციულობის შემონქმების დროს მნიშვნელობა ენიჭება როგორც იმ პროცესუალურსამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები, ასევე ამ გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივი გარემოების შინაარსს. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. ამდენად, საკასაციო სასამართლო უარყოფს კასატორის პოზიციას ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის არასწორად დადგენის, მათ შორის მტკიცებულებათა არასწორი შეფასებისა თუ სასამართლოს მხრიდან 215-ე და 380-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე. აღნიშნულის მიუხედავად, საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების შეფასებებს ექსპერტიზის დასკვნების თაობაზე და განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი, სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისათვის დადგენილია 105-ე მუხლით და ნორმის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, არამედ, სასამართლო დასაშვებად ცნობილ მტკიცებულებებს აფასებს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, რა დროსაც ხდება მათი როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლიობაში შესწავლა, სწორედ ამ გზით არკვევს სასამართლო კონკრეტული მტკიცებულების დამაჯერებლობას, მის იურიდიულ სარწმუნოობას. რაიმე გამონაკლისი ამა თუ იმ მტკიცებულების, მათ

შორის ექსპერტის დასკვნის მიმართ, დადგენილი არ არის. საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებულ უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში. სააპელაციო პალატამ ექსპერტთა დასკვნები შეაფასა როგორც ერთობლიობაში, ისე – სასამართლო სხდომაზე ექსპერტთა მიერ მიცემულ განმარტებებთან, მოწმეთა ჩვენებებთან და იმ გარემოებასთან მიმართებაში, რომ მოსარჩელეს გადატანილი ჰქონდა არა ერთი დაავადება, რაც შესაძლებელს ხდიდა მისი ხელმოწერის ცვლილებას. ამ უკანასკნელ საკითხთან მიმართებით კასატორს არა თუ დასაბუთებული შედავება, პრეტენზიაც არ აქვს წარმოდგენილი.

1.6. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორად გამოიყენეს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი და ქორწინების ნამდვილობისათვის დადგენილი წინაპირობების დარღვევის ფაქტის დაუდასტურებლობის გამო, მართებულად არ დააკმაყოფილეს სარჩელი ამავე კოდექსის 1140-ე მუხლზე დაყრდნობით.

1.7. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

1.8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

## **2. საქმის წარმოების შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გაუქმებაზე უარის თქმის დასაბუთება:**

2.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ივლისის საოქმო განჩინებით აქვლანტს საქმის წარმოების შეჩერებაზე იმ საფუძველით ეთქვა უარი, რომ ამავე მოტივებით საქმის წარმოების შეჩერებაზე უკვე ნამსჯელი ჰქონდა სასამართლოს და არ არსებობდა შუამ-

დგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი, თავად სხდომის ოქმით დასტურდება, რომ აპელანტი შუამდგომლობას ამყარებდა მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე, რომლის დასრულებამდეც მხარე მოითხოვდა საქმის წარმოების შეჩერებას.

2.2. წინამდებარე საკასაციო საჩივრით მხარე, მართალია, ითხოვს ამ განჩინების გაუქმებას, თუმცა, არც ფაქტობრივ და არც სამართლებრივ გარემოებაზე არ მიუთითებს, თუ რაში გამოიხატება ქვემდგომი სასამართლოს მხრიდან კანონის დარღვევა.

2.3. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მართალია გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინებები შეიძლება საკასაციო პალატის მსჯელობის საგანი გახდეს, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც კასატორი არ მიუთითებს მოთხოვნის საფუძველს, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, საკუთარი ინიციატივით გამოიკვლიოს შესაძლო დარღვევები, ამასთანავე, საკასაციო სასამართლო მოიხმობს საპროცესო კოდექსის 279-ე-280-ე მუხლებს და განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების გამო, სამოქალაქო საქმის წარმოების შეჩერებას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

### **3. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:**

3.1. წინამდებარე საკასაციო საჩივარს ერთვის მტკიცებულებები 40 (ორმოცი) ფურცლად, საკასაციო შესაგებელს კასატორის მონინააღმდეგე მხარემ ასევე, დაურთო განცხადების ასლი 4 (ოთხ) ფურცლად.

3.2. წარმოდგენილი მტკიცებულებების მიღება-შეფასების საკითხის გადაწყვეტის მიზნით, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის მიხედვითაც, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, ხოლო საქმეში უკვე არსებული მტკიცებულებების განმეორებით წარდგენა ეწინააღმდეგება პროცესის მიზნებს, რამდენადაც საკასაციო სასამარ-

თლო მათ, ასევე, მათ თაობაზე არსებულ შეფასებებსა და დასკვნებს იკვლევს მხარეთა შედავების ფარგლებში. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. ამდენად, პალატა თვლის, რომ მხარეებს უნდა დაუბრუნდეთ საკასაციო საჩივარზე/შესაგებელზე დოკუმენტები.

#### 4. სასამართლო ხარჯები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს გ. ც-ის მიერ 23/09.2016წ. №1 საკრედიტო საგადახდო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 150 ლარის 70% – 105 ლარი.

#### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე, 391-ე, 401-ე, 404-ე, 407-ე მუხლებით და

### და ა დ ბ ი ნ ა:

1. გ. წ-ის უფლებამონაცვლე გ. წ-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორ გ. წ-ს (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს გ. ც-ის მიერ 23/09.2016წ. №1 საკრედიტო საგადახდო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 150 ლარის 70% – 105 ლარი.

3. კასატორის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერებასა და მტკიცებულებების დართვაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო პალატის 2016 წლის 20 ივლისის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. გ. წ-ის უფლებამონაცვლე გ. წ-ს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 40 (ორმოცი) ფურცლად, ხოლო დ. ს-ს – საკასაციო შესაგებელზე დართული მტკიცებულება – განცხადების ასლი 4 (ოთხი) ფურცლად.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ქორწინების ბათილობის საფუძველი;  
ქორწინების ნამდვილობის პრეზუმფცია;  
ქორწინების ბათილად ცნობა და ქორწინების  
დამაბრკოლებელი გარემოებების გამო**

**ბანრინება**

№ას-849-815-2016

5 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქუჩი

დავის საგანი: ქორწინების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი სა-  
ფუძვლები:**

1.1. გ. ხ-ამ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. მ-ის (შემდგომში – მოპასუხე, მონინალმდეგე მხარე) მიმართ მხარეთა შორის 2007 წლის 27 იანვარს №... ქორწინების სააქტო ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 1996 წლის 24 იანვრიდან 2014 წლის 11 ივნისამდე მოსარჩელე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ლ. მ-ესთან, რის თაობაზეც ცნობილი იყო მოპასუხისათვის. 2007 წლის 27 ივნისს იგი რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარდა მოპასუხესთანაც ისე, რომ ლ. მ-ესთან რეგისტრირებული ქორწინება არ შეუნყვეტია, რაც განმეორებითი ქორწინების რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძველია.

**2. მოპასუხის პოზიცია:**

მარტივი შესაგებლით მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მისთვის მეუღლის პირველი ქორწინების რეგისტრაციის შესახებ არ იყო ცნობილი, მან სადავო ქორწინება დაარეგისტრირა ოჯახის შექმნის მიზნით, თანაცხოვრების პერიოდში მხარეები ცხოვრობდნენ მოსარჩელის მშობლებსა და ძმასთან ერთად, შეეძინათ ორი შვილი, რაც მოწმობს მხარეთა შორის საოჯახო ურთიერთობის არსებობას. შესაგებლის თანახმად, ვი-

ნაიდან აღმოფხვრილია ქორწინების ბათილად ცნობის წინაპირობები, სასამართლოს შეუძლია იგი ნამდვილად მიიჩნიოს ამ გარემოების აღმოფხვრის მომენტიდან.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

### **5. გასაჩივრებული განჩიბების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიიჩნევს, რომ იგი დაუშვებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის დასაბუთება:**

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშ-

ნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

1.2. გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება ძირითადად იმ დასკვნებს ეფუძნება, რომ:

1.2.1. აპელანტს ლ. მ-ესთან თანაცხოვრების პერიოდში შეეძინა ორი შვილი, ხოლო, მოწინააღმდეგე მხარესთან თანაცხოვრებისას, ასევე, ორი შვილი. 1996 წლის 24 იანვრიდან 2014 წლის 11 ივნისამდე იგი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ლ. მ-ესთან. 2002 წლიდან ისინი ერთ ოჯახად აღარ ცხოვრობდნენ. მათი საერთო შვილებიდან ერთი შვილი ცხოვრობდა დედასთან, ლ. მ-ესთან, ხოლო მეორე, მამასთან – გ. ხ-ასთან;

1.2.2. 2004 წლიდან მოსარჩელე ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდა მოპასუხესთან. 2007 წლის 27 ივნისს მოხდა ქორწინების რეგისტრაცია ისე, რომ 1996 წლის 24 იანვარს რეგისტრირებული ქორწინება შეწყვეტილი არ იყო;

1.2.3. პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულმა მოწმეებმა უტყუარად და ერთმნიშვნელოვნად ვერ დაადასტურეს ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ ქორწინების რეგისტრაციის დროს მოპასუხისათვის ცნობილი იყო მისი მეუღლის რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის ფაქტი. მოსარჩელის ინიციატივით დაკითხულმა მოწმე მ. ხ-ამ, რომელიც მოსარჩელის დედაა და რომელიც ირწმუნებოდა, რომ მოპასუხემ იცოდა პირველი ქორწინების ძალაში ყოფნის შესახებ. მოსამართლის შეკითხვაზე განმარტა, რომ მას თავად მ-თან ამ თემაზე არ უსაუბრია, მაგრამ მისმა მშობლებმა, ძმებმა იცოდნენ ამ ფაქტის თაობაზე. მ. ხ-ა განმარტავს შემდეგს: „მ-ის ოჯახში როდესაც მივედით დასალაპარაკებლად, იქ მ-ის მშობლებს, ძმებს ვუთხარით, რომ გ. იყო დაოჯახებული, თავდაპირველად ამ მიზეზით გოგო არ გამოგვატანეს, თუმცა რამოდენიმე დღეში გამოგზავნეს ხალხი და დაგვთანხმდნენ, რომ გოგოს გამოგვატანდნენ. ჩაშლილი საქმე შემობრუნდა... თავად მ-ისთვის ეს პირადად არ გვითქვამს... მ-ი ხშირად ეჩხუბებოდა გ-ს, რომ ხელი მოეწერათ, კონკრეტული სიტყვები, რომ ხელი გაანერე და მერე მოვანეროთ, ასე არ გამიგია, თუმცა, მან იცოდა, რომ გ. ქორწინებაში იმყოფებოდა პირველ მეუღლესთან. გ-მ მ-ი შეირთო ოჯახის შექმნის მიზნით“. მოწმე ა. ა-ემ განმარტა, რომ ის თავად იყო გ-სა და მ-ის „მაჭანკალი“, „როცა ოჯახში მივედით და

ქორწინებაზე იყო საუბარი მე თავად ვუთხარი ოჯახს, რომ გ. იყო დაქორწინებული, იქ მ-ი არ იყო. მე თავად მ-ისთვის არ მითქვამს, მაგრამ მილიონჯერ ყოფილა ოჯახში ჩხუბი იმის შესახებ რომ მეუღლეებს მოეწერათ ხელი. მ-ი თხოვდა გ-ს ხელის მოწერას“. მოწმე ი. ხ-ამ (მოსარჩელის ძმა) განმარტა, რომ მ-მა იცოდა ქორწინების რეგისტრაციის არსებობის შესახებ, მეუღლეები ხშირად ჩხუბობდნენ ხელისმოწერის მიზეზით. რაც შეეხება მოპასუხე მხარის შუამდგომლობით დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებს, ყველა მოწმემ აღნიშნა, რომ მ-მა და მისმა ოჯახმა არ იცოდნენ მოსარჩელე კვლავ რეგისტრირებულ ქორწინებაში თუ იმყოფებოდა მის პირველ მეუღლესთან, მათ, ცხადია, იცოდნენ პირველი ქორწინების თაობაზე, პირველი ქორწინებიდან ერთი შვილი გ. ხ-ასთან ცხოვრობდა კიდეც, თუმცა არც მ-მა და არც მისმა ოჯახმა არ იცოდა, რომ აპელანტი კვლავ რეგისტრირებულ ქორწინებაში იყო მის პირველ მეუღლესთან;

1.2.4. აპელანტსა და ლ. მ-ეს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა 2014 წლის 11 ივნისს და საქმის განხილვის დროისათვის მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოება აღარ არსებობს, გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხისათვის ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების არსებობის შესახებ სარჩელის აღძვრამდე არ იყო ცნობილი, ხოლო 2014 წლის 11 ივნისს ისედაც შეწყდა მ. მ-ესა და გ. ხ-ას შორის რეგისტრირებული ქორწინება, აღარ არსებობს მისი გაბათილების აუცილებლობა, რადგან აღნიშნული ვერანაირ იურიდიულ შედეგს ვერ მოუტანდა მხარეებს.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

1.4. საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების წინაპირობა ვერ გახდება კასატორის შედავება იმის თაობაზე, რომ:



1.4.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სა-  
მოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლი ვინაიდან მასში მითითებუ-  
ლი გარემოების დარღვევის თაობაზე ქორწინებამდე იყო ცნო-  
ბილი მოწინააღმდეგე მხარისათვის. ფაქტობრივად სახეზე იყო  
ორი რეგისტრირებული ქორწინება 2007 წლის 27 იანვრიდან  
2014 წლის 11 ივნისამდე, რაც დაუშვებელია და სამოქალაქო  
კოდექსის 1140-ე მუხლით დადგენილი პირობების დარღვევის  
გამო, ბათილად უნდა იქნას ცნობილი მეორე ქორწინება.

1.4.2. სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამო-  
ქალაქო კოდექსის 1140-ე მუხლის პირველი ნაწილი, მაგრამ მო-  
ცემულ დავასთან მიმართებით არასწორად განმარტა იგი;

1.4.3. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო  
საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი, რამდენადაც დავის საგანს  
მხარეთა 2007 წლის 27 იანვრის ქორწინების აქტის ჩანაწერის  
ბათილად ცნობა წარმოადგენს. მ. მ-ეს არ შეუტანია სასამარ-  
თლოში შეგებებული სარჩელი, მიუხედავად ამისა, პალატამ  
განმარტა, რომ შეფასების საგანს წარმოადგენდა მოპასუხის  
მხრიდან ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოების ცოდნის  
ფაქტი;

1.4.4. მოსარჩელის ინიციატივით დაკითხულმა მოწმეებმა,  
მათ შორის, პირველმა მეუღლემ დაადასტურა, რომ მან პირა-  
დად უთხრა მოწინააღმდეგე მხარეს რეგისტრირებული ქორწი-  
ნების შესახებ, მოსარჩელის ინიციატივით დაკითხულმა ყველა  
მოწმემ ასევე მოახსენა სასამართლოს, რომ მ.ი სთხოვდა გ. ხ-  
ას, „გაანერე ხელი პირველ ცოლთან და ჩემთან მოაწერეო“, რომ  
აღნიშნულზე სულ კამათი იყო მხარეთა შორის, თუმცა ეს გარე-  
მოებები არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ შეუშინებ-  
ბია, რითაც სასამართლო ცდილობს, დაამკვიდროს ორმაგი ქორ-  
წინება.

1.4.5. კასატორის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენს მის მი-  
ერ კანონის დარღვევით რეგისტრირებული ქორწინების ჩანა-  
წერის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე, კასატორის  
კუთვნილ 600 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული  
სადავო საკითხების მოგვარება;

1.4.6. გასაჩივრებული განჩინება განსხვავდება საქართვე-  
ლოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისაგან: №ას-574-545-  
2015; №ას-1229-1174-2013; №ას-441-832-06.

1.5. საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის ზემოხსენებულ  
პრეტენზიებს იმ დასაბუთებით, რომ ქვემდგომი სასამართლოს  
დასკვნები არ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს (სსსკ-ის  
393-ე-394-ე მუხლები). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემ-

დგომმა სასამართლომ მართებულად განმარტა ქორწინების დამაბრკოლებელი კანონისმიერი გარემოებები (სკ-ის 1107-ე, 1108-ე, 1120-ე მუხლები) და სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1140-ე მუხლით, თუმცა, ვინაიდან საქმის განხილვის დროისათვის აღარ არსებობდა ზემოხსენებული გარემოებებიდან არც ერთი, უფრო მეტიც, თავად სადავო ქორწინებაც კი შეწყვეტილი იყო განქორწინებით, სამოქალაქო კოდექსის 1143-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით სასამართლომ სწორად არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, ამასთან, მართებულად დაადგინა სამოქალაქო კოდექსის 1141-ე მუხლის შემადგენლობა. რაც შეეხება იმ საკითხს, შეგებებული სარჩელის აღუძვრელად არსებობდა თუ არა ქორწინების ძალაში დატოვების შესაძლებლობა, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლოს მიერ სამართლებრივი ურთიერთობის ბათილად აღიარების შესახებ სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებელი ამ საკითხის თაობაზე საკმარის შედაგებას წარმოადგენდა. მოწმეთა ჩვენებების კვლევასთან მიმართებით, პალატა მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის არსებითად სწორი განმარტებით, როგორც ურთიერთწინააღმდეგობრივი, სწორად არ გაიზიარა ისინი.

1.6. რაც შეეხება კასატორის პოზიციას გასაჩივრებული განჩინების სასამართლო პრაქტიკასთან წინააღმდეგობრიობის თაობაზე, პალატა მას არ იზიარებს და განმარტავს, რომ მის მიერ მოხმობილი გადაწყვეტილებები, განხილულ დავათა ფაქტობრივი გარემოებების ინდივიდუალური ბუნების გათვალისწინებით, განსხვავდება განსახილველი საქმისაგან, ამასთანავე, პალატა მიუთითებს მსგავსი ფაქტობრივი აღწერილობის საქმეებზე საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე, სადაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1143-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით არ ცნო ბათილად ქორწინება, როდესაც საქმის განხილვის დროისათვის აღარ არსებობდა ქორწინების ბათილობის წინაპირობები (იხ. სუსგ-ებები: №3კ/628-03, 12 ივნისი, 2003 წელი, №3კ/933-09, 1 ივლისი, 2003 წელი).

1.7. გარდა ზემოხსენებულისა, საკასაციო სასამართლო დამატებით ყურადღებას პროცესუალურ საკითხზეც გაამახვილებს: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღიარებით სარჩელში უნდა მიეთოთოს მხარის იურიდიული ინტერესი, რამდენადაც ამ კატეგორიის სარჩელის წარმატებას, ამავე კოდექსის

180-ე მუხლის თანახმად, სწორედ ამ ინტერესის ნამდვილობა განაპირობებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი იურიდიული ინტერესი არანამდვილი/უსაფუძვლო აღმოჩნდება, სასამართლო დავის სხვა ფაქტობრივი გარემოებების საფუძვლიანობის კვლევასაც კი არ შეუდგება. საქმეში წარმოდგენილი სარჩელით, ასევე, საქმის მოსამზადებელი ეტაპის შესწავლით დასტურდება, რომ მოსარჩელეს არა თუ დასაბუთებულად, იურიდიული ინტერესის არსებობაზე საერთოდ არ მიუთითებია (სსსკ-ის 219.1-ე მუხლი), რასაც, ბუნებრივია, ვერ შეცვლის მხარის მიერ ამ ინტერესის თაობაზე საკასაციო საჩივარში მითითება, რამეთუ პალატა მის ნამდვილობას ვერ შეამოწმებს იმ საფძვლით, რომ ქვემდგომ სასამართლოებს მასზე არ უმსჯელიათ (სსსკ-ის 407.1 მუხლი).

1.8. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

1.9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

## **2. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:**

2.1. კასატორმა სასამართლოს მომართა №... განცხადებით, რომელსაც დაურთო ქორწინების რეგისტრაციის შესახებ განცხადების, ქორწინების აქტის ჩანაწერისა და საკასაციო სასამართლოს №ას-195-186-2016 განჩინების ასლები.

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცე-

სუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, რაც შეეხება საქმეში ისედაც არსებულ მტკიცებულებებს, მათი განმეორებით წარდგენის საჭიროებას საერთოდ არ ითვალისწინებს კანონი, არამედ, საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში სასამართლო ამონმებს მათ შინაგანი რწმენით (სსკ-ის 105-ე მუხლი). ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ოთხ ფურცლად.

### **3. სასამართლო ხარჯები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს რ. ხ-ას მიერ კასატორის სახელით 24.09.2016წ. №... საგადახდო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 150 ლარის 70% – 105 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე, 391-ე, 401-ე, 407-ე მუხლებით და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ხ-ას საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორ გ. ხ-ას (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) ი. ხ-ას მიერ კასატორის სახელით 24.09.2016წ. №... საგადახდო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 150 ლარის 70% – 105 ლარი.

3. კასატორს დაუბრუნდეს №... განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 4 (ოთხი) ფურცლად.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. კანონით დადგენილი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები

საოჯახო – მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება

### ბანჩინება

№ას-755-723-2016

23 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის/შეგებებული მოსარჩელის მოთხოვნა და  
სარჩელის/შეგებებული სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. თ. ს-ემ (შემდგომში – მოსარჩელე, მოპასუხე შეგებუ-  
ბულ სარჩელზე ან მონინალმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა სა-  
სამართლოში ვ. მ-ის (შემდგომში – მოპასუხე ძირითად სარჩელ-  
ზე, შეგებებული მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) მიმართ  
მოპასუხისათვის 10 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით.

1.1.1. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:  
2013 წლის 5 სექტემბერს მხარეთა შორის შედგა შეთანხმება ქორ-  
წინების პერიოდში შეძენილი ქონების გაყოფის შესახებ. შეთან-  
ხმების თანახმად, მოპასუხეს მოსარჩელისათვის უნდა გადაეხა-  
და 40 000 აშშ დოლარი. მოპასუხემ გადაიხადა 30 000 აშშ დოლარი,  
ხოლო 10 000 აშშ დოლარი გადახდილი უნდა ყოფილიყო შეთან-  
ხმების ხელმოწერიდან 6 თვის განმავლობაში – 2014 წლის 5 მარ-  
ტამდე, რომელიც მას არ გადაუხდია, შესაბამისად, მოსარჩელე  
ითხოვს მოპასუხეს დაეკისროს აღნიშნული თანხის გადახდა.

1.2. სასამართლოს შეგებებული სარჩელით მიმართა მოპა-  
სუხემ და მოითხოვა თავდაპირველი მოსარჩელისათვის 17 500  
აშშ დოლარის დაკისრება (იხ. დაზუსტებული მოთხოვნა, თბი-  
ლისის საქალაქო სასამართლოს 09.07.2015წ. სხდომის ოქმი).

1.2.1. შეგებებული სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ  
გარემოებებს: ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების გაყო-  
ფის შესახებ მხარეთა 2013 წლის 5 სექტემბრის შეთანხმებისას  
შეგებებული სარჩელის მოპასუხემ დამალა მის ანგარიშზე არ-

სებული თანხის შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული მოსარჩელი-სათვის მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც შეთანხმება გაფორმდა, შესაბამისად, მას არ მიეცა საშუალება, შეთანხმებაში გაეთვალისწინებინა აღნიშნული თანხა. მოპასუხეს საკუთარ ანგარიშზე ჰქონდა 35 000 აშშ დოლარი, საიდანაც ნახევარი, როგორც ქორწინების პერიოდში შექმნილი ფულადი სახსრები, მას ეკუთვნის.

## **2. მოპასუხეების პოზიცია:**

2.1. სასამართლოს მთავარ სხდომაზე თავდაპირველმა მოპასუხემ სარჩელი ცნო და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოითხოვა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 09.07.2015წ. სხდომის ოქმი).

2.2. კვალიფიციური შესაგებლით ძირითადად მოსარჩელემ შეგებებული სარჩელი არ ცნო იმ დასაბუთებით, რომ სადავო თანხა იყო დედის საჩუქარი, რომელმაც საკუთარი ბინა გაყიდა და მას და მის დას მისცა გარკვეული თანხა მზითვის სახით. შეგებულმა მოსარჩელემ იცოდა ამ თანხის არსებობის შესახებ, ვინაიდან მასაც ჰქონდა დანაზოგი, მაგრამ, შეთანხმების თანახმად, ამ თანხაზე მხარეებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 ივლისის გადანყვეტილებით ძირითადი სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 10 000 აშშ დოლარის გადახდა, ამავე გადანყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შეგებულმა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

## **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადანყვეტილება დარჩა უცვლელად.

## **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის საა-

პელაციო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და მიიჩნევს, რომ იგი დაუშვებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის დასაბუთება:**

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

1.2. გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება ძირითადად იმ დასკვნებს ეფუძნება, რომ:

1.2.1. მხარეები 2005 წლის 6 დეკემბრიდან 2013 წლის 7 აგვისტომდე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში;

1.2.2. 2013 წლის 5 სექტემბერს მეუღლეები შეთანხმდნენ ქორწინების (თანაცხოვრების) პერიოდში შექმნილი ქონების გაყოფის შესახებ, კერძოდ, განსაზღვრეს ქონების ღირებულება და მათი გაყოფის წესი, რომლის თანახმად, აპელანტს მოწინააღმდეგე მხარისათვის უნდა გადაეხადა 40 000 აშშ დოლარი შემდეგი გრაფიკით: 30 000 აშშ დოლარი შეთანხმების ხელმოწერის დღეს, ხოლო 10 000 აშშ დოლარი – არა უგვიანეს შეთანხმების ხელმოწერიდან 6 თვისა;

1.2.3. აპელანტს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ

2013 წლის 5 სექტემბერის შეთანხმების ფარგლებში, ძირითადი მოსარჩელისათვის გადასაცემი აქვს 10 000 აშშ დოლარი, თუმცა შეგებებული სარჩელით მან მოითხოვა მოპასუხისათვის 17 500 აშშ დოლარის დაკისრება და მოთხოვნათა გაქვითვა იმ დასაბუთებით, რომ მოპასუხემ (შეგებებულ სარჩელზე) დამალა მის ანგარიშზე არსებული თანხის შესახებ ინფორმაცია, რის შესახებაც აპელანტისათვის მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც შეთანხმება იქნა გაფორმებული, შესაბამისად, მას არ მიეცა საშუალება, შეთანხმებაში გაეთვალისწინებინა აღნიშნული თანხა. მოპასუხეს (შეგებებულ სარჩელზე) საკუთარ ანგარიშზე ჰქონდა 35 000 აშშ დოლარი, საიდანაც ნახევარი, როგორც ქორწინების პერიოდში შექმნილი ფულადი სახსრები, ეკუთვნის აპელანტს. ამ ფაქტობრივი მოცემულობის ფარგლებში სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ შეგებებული სარჩელით სადავოდ გამხდარი 35 000 აშშ დოლარი არ წარმოადგენდა მეუღლეთა საერთო ქონებას (თანასაკუთრებას). საქმეში წარმოდგენილი 2013 წლის 9 ივლისის ვადიანი ანაბრის ხელშეკრულების თანახმად, მენაბრე თ. ს-ის ანგარიშზე განთავსდა 35 000 აშშ დოლარი. შეგებებული სარჩელის ავტორს არ წარუდგენია იმგვარი მტკიცებულება სასამართლოსათვის, რომელიც დაადასტურებდა, რომ მოწინააღმდეგე მხარის ანაბარზე განთავსებული 35 000 აშშ დოლარი მეუღლეთა საერთო ქონება (თანასაკუთრება) იყო, მან მხოლოდ ზეპირად მიუთითა იმის თაობაზე, რომ ეს თანხა წარმოადგენს ძირითადი მოსარჩელის მიერ ფარულად დაზოგილ თანხას. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დაკითხული იქნენ მოწმეები: მ. რ-ის განმარტებით, აპელანტმა იცოდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ სადავო თანხის დედისგან (საჩუქრის სახით) მიღების შესახებ; აღნიშნულზე მიუთითა გ. ფ-მაც, რომელმაც აღნიშნა, რომ თ. ს-ის მშობლების მიერ ბინის გაყიდვის შემდგომ თანხის გარკვეული ნაწილი გაიყვეს დებმა, იგი თავად ესწრებოდა თანხის გადაცემის პროცესს, თანხის გადაცემის შესახებ ცნობილი იყო თ-ს მეუღლისთვისაც; მოწმე ნ. ს-ემ განმარტა, რომ დედისაგან თანხა ბინის გაყიდვის შემდეგ გადაეცა მას და მის დას, თ. ს-ეს, რის თაობაზეც ცნობილი იყო აპელანტისათვის. მოწმე ლ. კ-ემ მიუთითა, რომ ბინის გაყიდვის შემდგომ თანხა საჩუქრად გადასცა თავის ქალიშვილებს (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 11.06.2015წ. სასამართლო სხდომის ოქმი, 17.27.00-18.06.48სთ). საქმეში წარმოდგენილია 2007 წლის 3 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულება და შემოსავლის ორდერიც, რომლითაც დგინდება, რომ ლ. კ-ემ (თ.



ს-ის დედა) გაყიდა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება და გამყიდველს ჩაერიცხა 228 000 აშშ დოლარი 2007 წლის 3 აპრილს.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

1.4. საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების წინაპირობა ვერ გახდება კასატორის შედავება იმის თაობაზე, რომ:

1.4.1. სადავო თანხა არ წარმოადგენდა კასატორის მოწინააღმდეგე მხარის ინდივიდუალურ საკუთრებას, რადგანაც მოწმეთა ჩვენებებით ეს გარემოება არ დასტურდებოდა, მოწმეები უშუალოდ არ შესწრებიან მათ მიერ გადმოცემულ ფაქტებს, არამედ, გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებას, რადგანაც გადმოცემული ინფორმაცია, მათი განმარტებით, შეიტყვეს ძირითადი მოსარჩელისაგან. თავად ლ. კ-ემ დაადასტურა, რომ 30 000 აშშ დოლარი (და არა 35 000 აშშ დოლარი) მან საჩუქრად გადასცა თავისი შვილის ოჯახს, ამასთანავე, ჩვენებები ურთიერთწინააღმდეგობრივია;

1.4.2. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის, რომ შეგებებული სარჩელის მოპასუხე ვალდებული იყო სათანადოდ დაემტკიცებინა შესაგებელში მითითებული ფაქტები. სწორედ ამ გარემოების გამო ამტკიცებდა კასატორი, რომ თანაცხოვრების პერიოდში გახსნილ ანაბარზე განთავსებული თანხა წარმოადგენდა დანაზოგს, რომელსაც კასატორი აძლევდა საკუთარ მეუღლეს. შეგებებული მოსარჩელე არის მაღალანაზღაურებადი ქირურგი, რის გამოც ამ თანხის მეუღლისათვის გადაცემა გამორიცხული არ არის (ამაზე მეტყველებს თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების ღირებულება, ასევე, საერთო შვილისათვის გადახდილი ალიმენტის ოდენობა – 900 ლარი, რომლის პარალელურად კასატორს აქვს შესაძლებლობა არჩი-

ნოს ოჯახის სხვა წევრები). კასატორმა ანაბრის სახით სასამართლოს წარუდგინა სწორედ სათანადო მტკიცებულება, რომლის საპირისპიროდაც, მოწინააღმდეგე მხარე შემოიფარგლა მხოლოდ ზეპირი მითითებით, რომ ეს თანხა იყო დედის საჩუქარი, რომელიც 2007 წელს გაყიდული უძრავი ქონების შედეგად მიღებული თანხაა და ანაბარზე მხოლოდ 2013 წელს იქნა განთავსებული;

1.4.3. სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ უმსჯელია იმ საკითხზე, რომ მოწმე ადასტურებდა ძირითადი მოსარჩელისათვის 30 000 აშშ დოლარის გადაცემას, მაშინ, როდესაც ანაბარზე განთავსებულია 35 000 აშშ დოლარი, ამასთანავე, ძირითადი მოსარჩელის დედამ კატეგორიულად დაადასტურა, რომ გადაცემული თანხა აჩუქა კასატორსაც, რაც მოწინააღმდეგე მხარე-მაც დაადასტურა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე.

1.5. საკასაციო პალატა უარყოფს კასატორის ზემოხსენებულ პრეტენზიებს იმ დასაბუთებით, რომ სასამართლოს მხრიდან არც მატერიალური სამართლის და არც საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის ფაქტი არ დასტურდება (სსსკ-ის 393-ე მუხლი). პალატა, უპირველესად აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპს ემყარება. საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მხარეები თვითონვე განსაზღვრვენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. სამართალწარმოების ეს უზოგადესი და ამავედროულად ფუნდამენტური პრინციპი სხვადასხვა საპროცესო ნორმაში სხვადასხვა სახით ვლინდება და იგი უმთავრესად მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილებაზე აისახება.

1.5.1. კასატორის ძირითადი პრეტენზია სასამართლოს მხრიდან საპროცესო ნორმის დარღვევისკენაა მიმართული (სსსკ-ის 105-ე მუხლი), რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა. პალატა ყურადღებას გაამახვილებს შეგებებული სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილ შესაგებელზე – მოპასუხის კვალიფიციურ შედავებაზე, რომლის თანახმადაც ამ უკანასკნელმა ფაქტობრივად დაადასტურა თანხის არსებობის ფაქტი, თუმცა მიუთითა, რომ იგი არა სარჩელში მითითებულ, არამედ, სხვა ურთიერთობის ფარგლებში შექმნილ სიკეთეს წარმოადგენდა. კვალიფიციური შედავებისას მან წარადგინა დედის მიერ დაღებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, თანხის მიღების დამადასტურებელი მტკიცებულება და მოწმეთა ჩვენებები, რომელთა ერთობლიობაში შესწავლა-შეფასება ქმნის სასამართლოს შინაგან რწმენას იმის თაობაზე,

რომ ანაბარზე განთავსებული თანხა, მიუხედავად ოდენობისა, შესაძლოა, მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენდეს. ამ დაშვების საპირისპირო, დასაბუთებული პოზიციის დადასტურების ტვირთი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ეკისრება შეგებებულ მოსარჩელეს, თუმცა, პალატის მოსაზრებით, იგი არ არის უტყუარი მტკიცებულებით გამყარებული. საკასაციო საჩივრის შესწავლით, როგორც უკვე აღინიშნა, ირკვევა ის, რომ კასატორი მაღალანაზღაურებადი ქირურგია და შეძლებდა სადავო ოდენობით თანხის მეუღლისათვის გადაცემას. აღნიშნული ჰიპოთეტური მსჯელობა, საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, პალატის დასკვნით, ვერ გააქარწყლებს, რაც შეეხება მოწმეთა ჩვენებებს, რომელსაც მხარე აღიარებად მიიჩნევს, პალატა არ იზიარებს იმ დასაბუთებით, რომ საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის თანახმად, აღიარების გაზიარება სასამართლოს შეფასებაზე დამოკიდებული და მას, მსგავსად სხვა მტკიცებულებებისა (სსკ-ის 105-ე მუხლი) აბსოლუტური ძალა არ გააჩნია, რამეთუ სასამართლოს შინაგანი რწმენა საქმის მასალების ყოველმხრივ კვლევას უნდა ემყარებოდეს. თუკი მივიჩნევთ, რომ მჩუქებლის განმარტება ოჯახისათვის თანხის ჩუქების შესახებ ზემოხსენებული საპროცესო ნორმით გათვალისწინებული აღიარებაა, მაშინ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თანხა მეუღლეებს თანაცხოვრების პერიოდში გადაეცათ, თავის მხრივ, სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლის თანახმად, ჩუქება ცალმხრივი გარიგებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მჩუქებელი გამოხატავს ცალმხრივ ნებას, რომლის ნამდვილობისთვისაც საჭიროა მეორე მხარის მიერ მისი მიღება (სკ-ის 51.1 მუხლი). ამ შემთხვევაში, ჩუქების ნამდვილობისათვის საჭირო იყო საჩუქრის გადაცემისთანავე ცნობილი ყოფილიყო კასატორისათვის, რომელიც ამ ნებას მიიღებდა, რაც საქმის მასალებით არ დასტურდება. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლოს შინაგანი რწმენა ემყარება საქმეში წარმოდგენილ 2013 წლის 5 სექტემბრის შეთანხმებასაც, რომლითაც სამოქალაქო კოდექსის 1164-ე მუხლის შესაბამისად, მხარეებმა განსაზღვრეს თანასაკუთრებაში არსებული ქონების განაწილების წესი და შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში შეიზღუდეს სამომავლოდ ქონებრივი პრეტენზიის გაცხადების უფლება.

1.6. საკასაციო პალატის მოსაზრებით ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორად გამოიყენეს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი, ამასთან, შეგებებული მოპასუხის არსებითი შედავების

გათვალისწინებით, სამოქალაქო კოდექსის 1161-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით, მართებულად არ დააკმაყოფილეს შეგებებული სარჩელი.

1.7. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

1.8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

## **2. სასამართლო ხარჯები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 20.09.2016წ. №... საგადახდო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 3 186 ლარის 70% – 2 230,2 ლარი.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

## **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორ ვ. მ-ს (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს მის მიერ 20.09.2016წ. №... საგადახდო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 3 186 ლარის 70% – 2 230,2 ლარი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა**  
**მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფა**

**ბანჩინება**

№ას-605-579-2016

17 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება, დამატებით ხარჯებში მონაწილეობა, ქონების გაყოფა (ძირითად სარჩელში); მეუღლეთა საერთო ვალის გაყოფა, თანხის დაკისრება (შეგებებულ სარჩელში)

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. მ. გ-ე (შემდეგში: მოსარჩელე, მოპასუხე შეგებებულ სარჩელში, აპელანტი ან კასატორი) და ზ. შ-ე (შემდეგში: მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე ან აპელანტი, კასატორის მოწინააღმდეგე) 1989 წლის 22 აპრილიდან იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 1106-ე მუხლი; იხ. ქორწინების მოწმობა).

2. თანაცხოვრების პერიოდში მეუღლეებს შეეძინათ ოთხი შვილი, რომელთაგან სამი: მ. შ-ე (დაბ: 23.08.1999წ), მ. შ-ე (დაბ: 07.01.2003წ.) და დ. შ-ე (დაბ: 03.03.2004წ.) არასრულწლოვანია (იხ. დაბადების მოწმობები).

3. თანაცხოვრების პერიოდში, მეუღლეებმა შეიძინეს უძრავი ქონება, რაც რეგისტრირებულია მოპასუხის (ქმრის) სახელზე (იხ. ამონაწერები საჯარო რეესტრიდან):

3.1. ქ. ქუთაისი, აკ. ხ-ას ქ. №6 (ყოფ: უ-ის ქ. №10), ბინა №4, ს/კ №0-ის 4/5 ნაწილი;

3.2. ქ. ქუთაისი, აკ. ხ-ას ქ. №6 (ყოფ: უ-ის ქ. №10), ბინა №4, ს/კ №0..;

3.3. ქ. ქუთაისი, აკ. ხ-ას ქ. №6 (ყოფ: უ-ის ქ. №10), ბინა №4, ს/კ №0..;

3.4. ქ. ქუთაისი, ს-ას გამზირი №2 /გ-ას ქ. №5, (ნაკვეთი №3-7) ს/კ №0..;

3.5. ქ. ქუთაისი, ს-ას გამზირი №2 /გ-ას ქ. №5, (ნაკვეთი №6)

ს/კ №0..;

3.6. ქ. ქუთაისი, ს-ას გამზირი, №2 /გ-ას ქ. №5, (ნაკვეთი №3-10/2; №3-10/1-2; №3-10/1-1; №3-9-1-1; №3-9-1-3)/2, ს/კ №0..;

3.7. ქ. თბილისი, გ-ის ქ. 13-13ა ს/კ №0..;

3.8. ბორჯომის რაიონი, დაბა ბაკურიანი, სატყეო მეურნეობის ავტოფარეხის მიმდებარედ, ს/კ №6...

4. შპს „ზ-ს“ 2014 წლის 20 დეკემბრის ცნობის თანახმად, მოპასუხე მუშაობს ამ საწარმოს დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე და მისი ხელზე ასაღები ყოველთვიური ხელფასი შეადგენს 2000 ლარს.

5. 2013 წლის 19 მარტის №000222104 საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ სს „ბანკი ...-ისგან“ ისესხა 70 000 აშშ დოლარი.

6. 2013 წლის 11 ივნისის №000238424 საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ იმავე ბანკისაგან ისესხა 40 000 აშშ დოლარი.

7. 2013 წლის 16 აპრილის იპოთეკის ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ სს „ბანკი ...-ს“ სასარგებლოდ, იპოთეკით დატვირთა უძრავი ქონებიდან (მდებარე ქ. ქუთაისში, ს-ას გამზირი №2/გ-ას ქ. №5, ნაკვეთი №3-7) მესაკუთრის კუთვნილი წილი – შენობის გამოყოფილი ნაწილი საერთო ფართი: 327.06 კვ.მ. (ფართი №2) შესაბამის ნილ მიწის ნაკვეთთან ერთად.

8. 2013 წლის 16 აპრილის იპოთეკის ხელშეკრულების თანახმად მოპასუხემ, სს „ბანკი ...-ს“ სასარგებლოდ, იპოთეკით დატვირთა უძრავი ქონება – 212.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (მდებარე ქ. ქუთაისში, ს-ას გამზირი №2 /ქალაქი ქუთაისი, გ-ას ქ. №5 (ნაკვეთი №3-10/2; №10/1-1; №3-9-1-1; №3-9-1-3)/2).

9. 2013 წლის 15 მარტის კრედიტებისა და საბანკო გარანტიების გაცემის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ სს „ბანკი რ-ისგან“ მიიღო გარანტია, იკისროს ვალდებულებები 500 000 აშშ დოლარის ფარგლებში.

10. საქმის მასალებში განთავსებულია 2014 წლის 29 სექტემბრის ხელშეკრულებები (სკოლაში ჩარიცხვის შესახებ), რომელთა თანახმად, მ., დ. და მ. შ-ეების სასწავლო წლის ღირებულება შეადგენს თითოეულ ბავშვზე 2800 ლარს.

11. წარმოდგენილი საბანკო ქვითრების თანახმად, მოპასუხემ შვილების – დ. შ-ის სწავლის საფასური – 700 ლარი და მ. შ-ის სწავლის საფასური – 250 ლარი გადაიხადა 2014 წლის დეკემბერში.

12. შპს „ზ-ს“ 2001 წლის წესდების თანახმად, შპს-ს თანაბარი 50-50%-იანი წილის მფლობელები არიან მოპასუხე და მ. ჩ-ი. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული

პირების რეესტრის 18.04.2001 წ. ამონაწერის თანახმად, მოპასუხე მითითებულ საწარმოში ფლობს 50%-იან წილს (იხ. წესდება და ამონაწერი რეესტრიდან).

13. 2008 წლის 8 მაისის წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, საწარმოში კუთვნილი 50%-იანი წილიდან 40% ზ. შ-ემ დაუთმო გ. შ-ეს (იხ. სსკ-ის 198-ე-199-ე მუხლები; „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე-46-ე მუხლები). 2011 წლის 6 ივნისის წილის დათმობის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, გ. შ-ემ იმავე საწარმოში კუთვნილი 40%-იანი წილი დაუთმო მოპასუხეს (იხ. პარტნიორთა კრების 06.06.2011წ. გადაწყვეტილება და წილის დათმობის ხელშეკრულება).

14. უძრავი ქონების იჯარის 14.10.2014 წ. ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ (მეიჯარემ), მის საკუთრებაში არსებული 1279.88 კვ.მ. სამეურნეო ფართი, მდებარე ქუთაისში, ს-ას გამზ. №2, გ-ას ქ. №5, დროებით სარგებლობაში გადასცა შპს-ას „ი“.

15. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 29.12.2014 წელს გაცემული ცნობის თანახმად, მოსარჩელის (ცოლის) დარიცხული ხელფასი შეადგენს თვეში 465 ლარს.

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად, მოპასუხეს აეკრძალა მოსარჩელესთან და ნ. შ-ესთან, მათ სამსახურთან და იმ ადგილებში მიახლოება, სადაც ისინი იმყოფებიან. შემაკავებელი ორდერის მოქმედება დამტკიცდა 1 თვით.

17. სს „ლ. ი“-ს და სს „თ. ი“-ს მიერ გაცემული ცნობების თანახმად, მოპასუხეს ამ ბანკებში გახსნილი აქვს ანგარიშები.

18. 2014 წლის 24 ოქტომბრის უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ (მეიჯარემ), მის საკუთრებაში არსებული 756.06 კვ.მ. სამეურნეო ფართი მდებარე ქუთაისში, ს-ას გამზ. №2, გ-ას ქ. №5, დროებით სარგებლობაში გადასცა შპს – ას „მ-ი“.

19. 2015 წლის 21 იანვრის №102 ცნობის თანახმად, „თბილისის ...-ის“ ფასიანი სექტორის მე-10 კლასის მოსწავლე მ. შ-ე, მშობლის განცხადების საფუძველზე, 2015 წლის 20 იანვრიდან გადაყვანილი იქნა უფასო სექტორის მე-10 კლასში.

20. 1995 წლის 5 სექტემბრის ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ ა. ც-ისგან 1200 აშშ დოლარად შეიძინა უძრავი ქონება მდებარე ქ. ქუთაისში, უ-ის ქ. №10/6.

21. 1997 წლის 7 თებერვლის ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ დ-ისგან 2000 ლარად შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე ქ. ქუთაისში, უ-ის ქ. №10/6 საცხოვრებელი ფართი 17.22 კვ.მ. დამხმარე ფართი 5.82 კვ.მ. სასარგებლო ფართი 23.10 კვ.მ.

22. 2001 წლის 18 აპრილის ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ ა. ს-ისგან 2000 ლარად შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე ქ. ქუთაისში, აკ. ხ-ას ქ. №10/12-ში.

23. 2001 წლის 11 აპრილის ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ ა. ა-ისგან 2000 ლარად შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე ქ. ქუთაისში, აკ. ხ-ას ქ. №10/4-ში.

24. 2002 წლის 6 თებერვლის ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ ი. ჩ-ოსგან შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში 1534.60 კვ.მ.

25. 2006 წლის 3 ივლისის ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ დ. ხ-ისგან შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში 600 კვ.მ.

26. 2013 წლის 20 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ შპს „ზ-სგან“ შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე ქუთაისში, ს-ას გამზ. №2 გ-ას ქ. №5, ნაკვ. №3-10/2, №3-10/1-2, №3-10/1-1, №3-9-1-1, №3-9-1-3/2.

27. 2013 წლის 20 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ შპს „ზ-სგან“ შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე ქუთაისში, ს-ას გამზ. №2 გ-ას ქ. №5, 25.00 კვ.მ. ნაკვ. №3-11-2.

28. 2013 წლის 20 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ შპს „ი-სგან“ შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე ქუთაისში, ს-ას გამზ. №2, გ-ას ქ. №5, ფართობი 327.06 კვ.მ ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 17000 აშშ დოლარით.

29. 2013 წლის 5 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ რ. მ-ისგან შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე ქუთაისში, ს-ას გამზ. №2 გ-ას ქ. №5, ნაკვეთი 3-1.

30. 2013 წლის 1 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ რ. მ-ისგან შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე ქუთაისში, ს-ას გამზ. №2 გ-ას ქ. №5, ნაკვეთი 6.

31. 2014 წლის 16 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, გ. შ-ემ მოსარჩელისაგან შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე ქუთაისში, ირ. ბ-ის ქ. №5/16.

32. 2014 წლის 16 სექტემბრის ჩუქების ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელემ (ცოლმა) მოპასუხეს (ქმარს) აჩუქა უძრავი ქონება მდებარე ქუთაისში, ირ. ბ-ის ქ. №36.

33. შპს „ა. ი-ს“ 2015 წლის 9 მარტის აუდიტორული დასკვნის თანახმად, მოპასუხისათვის ნაჩუქარი უძრავი ქონების, მდებარე ქუთაისში, ირ. ბ-ის ქ. №36 საბაზრო ღირებულება შეადგენს 220 000 ლარს.



34. 2014 წლის 12 ნოემბრის წილის უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულების თანახმად – მოპასუხემ შპს „ზ-ში კუთვნილი 50%-იანი წილიდან 40% უსასყიდლოდ გადასცა გ. შ-ეს. ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

### **სასარჩელო მოთხოვნა**

35. მოსარჩელემ 2014 წლის 10 დეკემბერს სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა:

35.1. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა და მოსარჩელის ინდივიდუალურ საკუთრებად 3.1-3.8 ქვეპუნქტებში მითითებული უძრავი ქონების აღრიცხვა;

35.2. შპს „ზ-ს“ (ს/კ 2..) იურ/მის: ქუთაისი, შ-ოს ქ. №4ა (მოპასუხის პ/ნ 6..) 50%-იანი წილის 4/5 ნაწილის მიკუთვნება მოსარჩელისათვის და მისი აღრიცხვა ამ საწარმოს მესამე პარტნიორად მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. დარჩენილი 50%-იანი წილის პარტნიორად მოპასუხის აღრიცხვა რეესტრში (იხ. სარჩელი და განცხადება დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნის შესახებ);

35.3. მოპასუხისათვის, არასრულწლოვანი შვილების მ. შ-ის (დაბ: 23.08.1999წ), მ. შ-ის (დაბ: 07.01.2003წ.) და დ. შ-ის (დაბ: 03.03.2004წ.) სასარგებლოდ, ალიმენტის სახით, თითოეული ბავშვის სასარგებლოდ, 1500 ლარის გადახდის დაკისრება. ამ ნაწილში მოსარჩელემ მოითხოვა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება, სსსკ-ის 268.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე (იხ. შუამდგომლობა);

35.4. დამატებითი ხარჯების სახით, მოპასუხისათვის არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ, მათი სწავლის საფასურის, თითოეულის სასარგებლოდ 1400 ლარის დაკისრება სკოლის მიერ დადგენილი გრაფიკის მიხედვით, სკოლის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვით.

### **შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა**

36. მოპასუხემ, 2015 წლის 2 მარტს შეგებებული სარჩელი აღძრა მეუღლის (მოსარჩელის) წინააღმდეგ და მოითხოვა:

36.1. მოპასუხის სასარგებლოდ, მოსარჩელისათვის 139 840 აშშ დოლარის, როგორც მეუღლეთა საერთო ვალის დაკისრება (სსკ-ის 1169-ე მუხლი);

36.2. მოსარჩელის სახელზე, 2014 წლის ოქტომბრამდე, საბანკო დანესებულებებში ანაბრებზე განთავსებული თანხის ნახევრის მოპასუხისათვის მიკუთვნება (სსკ-ის 1158-ე, 1164-ე მუხლები).

### **ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება**

37. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

37.1. მოპასუხეს მისი არასრულწლოვანი შვილების მ. (დაბ: 23.08.1999წ), მ. (დაბ: 07.01.2003წ.) და დ. (დაბ: 03.03.2004წ.) შვილების სასარგებლოდ, სარჩელის აღძვრის დღიდან – 2014 წლის 10 დეკემბრიდან, დაეკისრა ალიმენტის გადახდა თითოეულ ბავშვზე თვეში 900-900 ლარი, სულ 2700 ლარი შვილების სრულწლოვანების მიღწევამდე ან/ და მდგომარეობის შეცვლამდე;

37.2. გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების ნაწილში დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა;

37.3. სარჩელი დამატებითი ხარჯების სახით მოპასუხისათვის თანხის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო;

37.4. ალიმენტის დაკისრების ნაწილში, სახელმწიფო ბაჟი – 621 ლარი დაეკისრა მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

37.5. სარჩელი მოპასუხის მიმართ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების გაყოფის შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

37.6. მოსარჩელის საკუთრებად აღირიცხა უძრავი ქონებების 1/2 ნაწილი მდებარე:

37.6.1. ქ. ქუთაისი, აკ. ხ-ას ქ. №6 (ყოფ: უ-ის ქ. №10), ბინა №4, ს/კ №0;

37.6.2. ქ. ქუთაისი, აკ. ხ-ას ქ. №6 (ყოფ: უ-ის ქ. №10), ბინა №4, ს/კ №0.

37.6.3. ქ. ქუთაისი, აკ. ხ-ას ქ. №6 (ყოფ: უ-ის ქ. №10), ბინა №4, ს/კ №0;

37.6.4. ქ. ქუთაისი, ს-ას გამზირი, №2 /გ-ას ქ. №5, (ნაკვეთი №3-7) ს/კ №0.

37.6.5. ქ. ქუთაისი, ს-ას გამზირი, №2 /გ-ას ქ. №5, (ნაკვეთი №6) ს/კ №0;

37.6.6. ქ. ქუთაისი, გამზირი ს-ა, №2 /ქუჩა გ-ა №5, (ნაკვეთი №3-10/2; №3-10/1-2; №3-10/1-1; №3-9-1-1; №3-9-1-3)/2, ს/კ №0;

7.6.7. ქ. თბილისი, გ-ის ქ. 13-13ა ს/კ №0;

37.6.8. ბორჯომის რაიონი, დაბა ბაკურიანი, სატყეო მეურნეობის ავტოფარეხის მიმდებარედ, ს/კ №6;

38. მოსარჩელის საკუთრებად აღირიცხა შპს-ში „ზ-ს“ /ს/კ 2-იურ/მის: ქუთაისი, შ-ოს ქ. №4ა/ მოპასუხის (პ/ნ 6-) 10%-იანი წილის 1/2 ნაწილი, რაც 5%-ს შეადგენს.

39. მოპასუხის შეგებებული სარჩელი მოსარჩელის წინააღ-

მდეგ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

39.1. მოსარჩელეს, მოპასუხის (შეგებებული მოსარჩელის) სასარგებლოდ, დაეკისრა მეუღლეთა საერთო ვალების ნახევარი, კერძოდ 87 400 აშშ დოლარის გადახდა მოპასუხის სასარგებლოდ;

39.2. ძირითადი მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 3003 ლარი, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, დაეკისრა მოპასუხეს;

39.3. შეგებებული მოსარჩელის (მოპასუხის) მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 3000 ლარი, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, დაეკისრა შეგებებული სარჩელის მოპასუხეს (მოსარჩელეს);

39.4. შეგებებული სარჩელი ძირითადი მოსარჩელის წინააღმდეგ, 2014 წლის ოქტომბრამდე, საბანკო დაწესებულებებში ანაბრებზე განთავსებული თანხების ნახევრის მიკუთვნების შესახებ, არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

40. სამოქალაქო დავაზე მოსარჩელის განცხადებით მოთხოვნილი წინასასარჩელო უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა მოპასუხის უძრავ ქონებაზე, რომელიც გამოყენებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 1 დეკემბრის განჩინებით, დარჩა უცვლელად.

### **ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დასკვნები**

41. საქალაქო სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 115-ე, 1158-ე, 1160-ე-1162-ე, 1165-ე, 1168-ე, 1169-ე, 1198-ე, 1212-ე, 1214-ე, 1215-ე, 1234-ე მუხლები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 102-ე, 103-ე, 105-ე 268-ე მუხლები, იმსჯელა საქართველოს კონსტიტუციის, „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ კონკრეტულ მონესრიგებაზე.

42. საქმის მასალების გაცნობისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ როგორც სარჩელი, ისე შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

43. საქმის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ მხარეები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე. მოსარჩელე ითხოვდა, რომ თითოეული არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ, მოპასუხეს დაეკისრებოდა 1500, ჯამში 4500 ლარის გადახდა, რადგან ამ უკანასკნელს გააჩნდა შესაბამისი შემოსავალი. მოსარჩელის მტკიცების სანაწილმდეგოდ, მოპასუხეს (ბავშვების მამას) მიაჩნდა, რომ მამა ყურადღებას იჩენდა შვილების

მიმართ და არ დაეთანხმა მოსარჩელის მოთხოვნას. ამდენად, მხარეთა შეუთანხმებლობის გამო, სასამართლოს უნდა დაედგინა ალიმენტის ოდენობა (სსკ-ის 1212-1214 მუხლები).

44. სასამართლომ იმსჯელა, რომ ამჟამად მოსარჩელე არ მუშაობდა და არ ჰქონდა მყარი შემოსავალი, ამასთან, მოპასუხე მატერიალურად უზრუნველყოფილია (ხელფასი 2000 ლარი, წილი შპს-ში, საკუთრებაში აქვს მრავალი უძრავი ქონება და იღებს ქირას), შესაბამისად, ამ უკანასკნელისათვის თითოეული ბავშვის სასარგებლოდ 900 (ცხრაასი) ლარის დაკისრება გონივრულად მიიჩნია, რადგან დასახელებული თანხის ალიმენტის სახით გადახდით, შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი იქნებოდა არასრულწლოვანი შვილების ნორმალური განვითარება.

45. სასამართლომ გადაჭარბებულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა, ალიმენტის სახით, თითოეული ბავშვის სარჩოდ 1500 ლარის დაკისრების თაობაზე, რადგან ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა უნდა მოხდეს მშობლების მატერიალური შესაძლებლობებისა და შვილის რჩენისათვის სავალდებულო ხარჯების ფარგლებში და არა იმის მიხედვით, თუ რა თანხა გააჩნია მოპასუხეს შემოსავლის სახით. ასეთ სიტუაციაში სამივე ბავშვზე ყოველთვიურად 2700 ლარის (წლიური 32 400 ლარი) ალიმენტის სახით დადგენა გონივრულად ჩაითვალა.

46. სასამართლომ განმარტა, რომ ალიმენტის დასახელებული ოდენობა, როგორც შვილების რჩენისა და აღზრდისათვის იყო ნორმალური, ასევე, მოპასუხის მატერიალური შესაძლებლობის ზღვარზე იყო შერჩეული, რადგან მას სხვადასხვა საკრედიტო ორგანიზაციებიდან აღებული ჰქონდა სესხი და იხდიდა პროცენტს, ამასთან, კმაყოფაზე ჰყავდა ავადმყოფი დედა.

47. მოსარჩელის მოთხოვნაზე მსჯელობისას, სასამართლომ ისიც გაითვალისწინა, რომ ამ უკანასკნელს სასამართლომ მიაკუთვნა ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების 1/2 ნაწილი, რაც, ასევე, მოსარჩელეს საშუალებას აძლევდა, საკუთარი სახსრებით მოეპოვებინა შვილების რჩენისათვის თანხები, რადგან კანონი მშობლებს შვილების მიმართ თანაბარ უფლება-ვალდებულებებს აკისრებს (სსკ-ის 1197-ე მუხლი).

48. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოპასუხის წარმომადგენლის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ალიმენტის დაკისრება უნდა მომხდარიყო გადაწყვეტილების გამოტანიდან, რადგან სსკ-ს 1234-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ალიმენტის დაკისრება ხდება მომავალი დროისათვის სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან. სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელი აღძრული იყო 2014 წლის 10

დეკემბერს, შესაბამისად, მოხმობილი ნორმის მოთხოვნათა დაცვით, მოპასუხისათვის ალიმენტის გადახდის ვალდებულება უნდა დადგენილიყო სწორედ დასახელებული თარიღიდან. ამასთან, ალიმენტის დაკისრების ნაწილში, მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე, სარჩელი დაუყოვნებლივ აღსასრულებლად უნდა მიქცეულიყო, სსკ-ის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

49. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის დამატებითი ხარჯების სახით ყოველთვიურად, თითოეული ბავშვის სასარგებლოდ, 1400 ლარის დაკისრების თაობაზე, იმჯგუხა სსკ-ის 1212-ე-1215-ე მუხლებით დადგენილ მონესრიგებაზე და მათი გაანალიზების საფუძველზე განმარტა, რომ კანონმდებელი განსაზღვრავს ყოველი მშობლის ვალდებულებას, იზრუნოს თავის შვილზე, რაც გულისხმობს მისი მატერიალურად უზრუნველყოფის მოვალეობასაც. ჩვეულებრივ, შვილისათვის გადასახდელი თანხის ოდენობაზე თანხმდებიან მშობლები, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, სასამართლო შეაფასებს ბავშვის საჭიროებებს, მისი ასაკისა და სხვა ინდივიდუალური ფაქტორების გათვალისწინებით, თითოეული მშობლის ოჯახურ და მატერიალურ მდგომარეობას, რის შედეგადაც დაადგენს ალიმენტის ობიექტურ ოდენობას, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანის რეალურ და აუცილებელ მოთხოვნილებებს. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ უკვე დააკისრა მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილების სარჩენად ალიმენტის – 2700 ლარის გადახდა ყოველთვიურად. სსკ-ის 1215-ე მუხლის თანახმად მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვა).

50. აღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულწლოვანის სარჩენად ალიმენტის გადამხდელი მშობლისათვის, დამატებითი ხარჯის სახით, ერთჯერადად თანხის გადახდის დაკისრება დასაშვებია მხოლოდ ისეთი განსაკუთრებული გარემოებების დადასტურებისას, როგორცაა ბავშვის მძიმე ავადმყოფობა, დასახიჩრება და სხვა ობიექტური ფაქტორები. სსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა, რაც მან ვერ უზრუნველყო. შესაბამისად, ამ ნაწილში მისი მოთხოვნა უარყო სასამართლომ, ამასთან, დამატებით აღნიშნა, რომ მოპასუხისათვის დაკისრებული ალიმენტის

ოდენობა სრულად უზრუნველყოფდა მხარეთა საერთო შვილების სწავლისა და კვების ხარჯებს. რაც შეეხებოდა მოსარჩელის განმარტებას, რომ ბავშვები ფასიან სკოლაში სწავლობდნენ, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაკისრებული აღიმენტის ოდენობა ამ შემთხვევაშიც უზრუნველყოფდა სწავლის საფასურის გადახდას, თუმცა, მიუთითა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლით უზრუნველყოფილია საქართველოს მოქალაქისათვის უფასო საშუალო განათლების მიღება. ამასთან, სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი ქვითრების საფუძველზე მიიჩნია, რომ მოპასუხე იხდიდა შვილების სწავლის ქირას.

51. საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დასაბუთებულად მიიჩნია სარჩელი მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის ნაწილში, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლით ქორწინება ეწყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. სსკ-ის 1158-ე მუხლით: „1. მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. 2. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უფლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი“. მოსარჩელემ მოითხოვა ქორწინების განმავლობაში შექმნილი უძრავი ქონების გაყოფა, რის უფლებასაც მას ანიჭებს სსკ-ის 1165-ე მუხლი.

52. სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეები სასამართლო სხდომამდე და სხდომაზეც ვერ მორიგდნენ ქონების გაყოფის საკითხზე. მათ ქონების გაყოფასთან დაკავშირებით ჰქონდათ ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული პოზიციები. დადგენილია, რომ წყვილი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება 1989 წლიდან (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი). მათ შორის საქორწინო ხელშეკრულება არ დადებულა. ქორწინების განმავლობაში ორივე მხარეს რიგ შემთხვევებში გააჩნდა დამოუკიდებელი შემოსავალი, რასაც მოიხმარდნენ ოჯახის საჭიროებისათვის.

53. სსკ-ის 1162-ე მუხლის დანაწესის მიხედვით, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი მეუღლე ეწეოდა ანაზღაურებად საქმიანობას, რომელს შემოჰქონდა შემოსავალი და რომელი მეუღლე იყო დაკავებული საოჯახო საქმიანობით და არ გააჩნდა დამოუკიდებელი შემოსავალი. საერთო ჯამში, მოსარჩელის მიერ ოჯახში მოზიდული შემოსავალიც და მოპასუხის მოპოვებული

თანხა და ამ თანხებით შექმნილი ქონება, მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს.

54. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, მხარეები არ უარყოფდნენ, რომ 3.1- 3.8 ქვეპუნქტებში მითითებული უძრავი ქონება, შექმნილია ქორწინების განმავლობაში (სსკ-ის 1158-ე მუხლი). მხარეთა შორის სადავო იყო მითითებული უძრავი ნივთების ნილობრივი კუთვნილება. კერძოდ, მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ მეუღლეთა შორის ქონების გაყოფისას სასამართლომ უნდა გადაუხვიოს წილთა თანაბრობის პრინციპს და მოსარჩელეს უნდა მიაკუთვნოს მითითებული უძრავი ქონების 4/5 ნაწილი იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები (სსკ-ის 1164-ე, 1167-ე და 1168-ე მუხლები). მოპასუხე აღნიშნულის წინაღმდეგი იყო და ქონების თანაბრად გაყოფას ემხრობოდა.

55. სასამართლომ განმარტა, რომ მეუღლეთა შორის ქონების გაყოფისას კანონით დადგენილი და განმტკიცებულია თანაბრობის პრინციპი, თუმცა, პატივსაცემი გარემოებისას, 1168-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს ერთ-ერთი მეუღლის სასარგებლოდ წილთა თანაბრობის პრინციპის დარღვევას. კერძოდ, მითითებული მუხლის მეორე ნაწილით – კანონმდებელმა, გამოწვევის სახით, გაითვალისწინა მეუღლის ყურადსაღები ინტერესი, რაც გულისხმობს იმ შემთხვევებს, როდესაც ერთ-ერთ მეუღლესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა – თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ.

56. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მითითებული საფუძვლები სახეზე არ იყო, რადგან სასამართლომ, ალიმენტის სახით, მოსარჩელეს დაუნიშნა სოლიდური თანხა, რაც სრულად უზრუნველყოფდა ბავშვების აღზრდა-განვითარებას. ასევე, დადგენილი არ იყო მოპასუხის ოჯახის საზიანოდ მოქმედების ფაქტი. უფრო მეტიც, მოპასუხე ზრუნავდა შვილებზე და ამას მოსარჩელეც არ უარყოფდა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სსკ-ის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილის მკვალიფიცირებელი გარემოება და 3.1-3.8 ქვეპუნქტებში მითითებული უძრავი ქონება მეუღლეთა შორის, უნდა გაყოფილიყო თანაბრად, შესაბამისად, თითოეულს მიეკუთვნა ქონების 1/2 ნაწილი.

57. სასამართლომ ნაწილობრივ საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა საწარმოში მოპასუხის 50%-იანი წილიდან 4/5 ნაწილის მიკუთვნების ნაწილში (იხ. 36.2 ქვეპუნქტი), რაც

ნაწილობრივ გაიზიარა, კერძოდ, მოსარჩელეს საწარმოში მოპასუხის 10%-იანი წილიდან მიაკუთვნა წილის ნახევარი – 5% შემდეგი დასაბუთებით: საწარმოს 2001 წლის წესდების თანახმად, საწარმოს წილის თანაბარი პროცენტული ოდენობით – 50/50% მფლობელები არიან მოპასუხე და მ. ჩ-ი, რაც რეგისტრირებულია სამეწარმეო რეგისტრში (იხ. მე-12 პუნქტი).

58. ამ განჩინების 14-15, 35-ე პუნქტებში მითითებული გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე, ასევე, 1160-ე მუხლის „მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთი მეუღლის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძვლით, რომ: ა. მან არ იცოდა გარიგების შესახებ; ბ. არ ეთანხმებოდა გარიგებას“ თანახმად, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის წარმომადგენელის პოზიცია იმის შესახებ, რომ ვინაიდან მოპასუხე (საწარმოში წილის დამთმობი) და გ. შ-ე (იმავე საწარმოში წილის მიმღები) ოჯახის წევრები იყვნენ, მითითებული გარიგება არ წარმოადგენდა რეალურ შეთანხმებას, რადგან მოსარჩელეს კანონით დადგენილი წესით სადავოდ არ გაუხდია მითითებულ მხარეებს შორის 2014 წლის 12 ნოემბრის წილის უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულება. გარიგება რეგისტრირებულია მენარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში და გააჩნია იურიდიული ძალა, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმოში მოპასუხის წილი შედგენს 10%-ს, რადგან 40% რეგისტრირებულია გ. შ-ის, ხოლო 50 % – მ. ჩ-ის სახელზე.

59. სსკ-ის 1161-ე მუხლით „თითოეული მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს: ა. ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე; ბ. ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით“, შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მეუღლეთა შორის გაყოფას ექვემდებარება საწარმოს 10%-იანი წილი, რომლის 5%-იანი წილი უნდა მიეკუთვნოს მოსარჩელეს, რაც უნდა დარეგისტრირდეს მის სახელზე მენარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

60. სასამართლომ, ასევე უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა 50%-იანი წილით მოპასუხის საწარმოს პარტნიორად აღრიცხვის თაობაზე, რადგან ამ უკანასკნელის მიერ 50 %-იანი წილის შესყიდვის მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარუდგენია.

61. საქალაქო სასამართლომ მოპასუხის შეგებებული სარჩელის მოთხოვნებზე (იხ. 37.1-37.2 ქეპუნქტები) მსჯელობისას,



აღნიშნა, რომ საქმის განხილვისას მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, სასამართლოს მეუღლეთა საერთო ვალეები უნდა გაეყო მოსარჩელისათვის მიკუთვნებული უძრავი ქონების თანასაკუთრების წილის პროპორციულად.

62. საქალაქო სასამართლომ სსკ-ის 1169-ე მუხლის დანაწესზე მიუთითა: „მეუღლეთა საერთო ვალეები მათ შორის იყოფა საერთო ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის თანაზომიერად“ და აღნიშნა, რომ ამ განჩინების 5-6 პუნქტებში მითითებული საკრედიტო ხელშეკრულებების თანახმად, მოპასუხემ, ერთ შემთხვევაში უძრავი ქონების შესაძენად, ხოლო მეორე შემთხვევაში – უძრავი ქონების შეძენისა და რემონტისათვის აიღო კრედიტი.

63. მითითებული მტკიცებულებების სამართლებრივი ანალიზით, სასამართლომ მიიჩნია, რომ კრედიტით მიღებული სადავო თანხა ოჯახის საერთო ინტერესებს მოხმარდა, ვინაიდან ოჯახის წევრის კანონიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მიმართულია ოჯახის სოციალური თუ მატერიალური კეთილდღეობისაკენ, ოჯახის საერთო ინტერესებში შედიოდა. ოჯახის წევრის ლეგალური სამენარმეო საქმიანობა, რომლის მიზანია მოგების მიღება, ყოველთვის მიმართულია ოჯახის მატერიალური და სოციალური კეთილდღეობისაკენ და ოჯახის წევრის მიერ სამენარმეო საქმიანობის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები შედის ოჯახის საერთო ინტერესებში.

64. სასამართლომ არ გაიზიარა შეგებებულ სარჩელზე მოპასუხის (ძირითადი მოსარჩელის) წამომადგენლის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ვალის მოთხოვნის უფლება აქვს ბანკს, რადგან სსკ-ის 1169-ე მუხლით: „მეუღლეთა საერთო ვალეები მათ შორის იყოფა საერთო ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის თანაზომიერად“. მოცემულ შემთხვევაში, მეუღლეებმა გადანყვიტეს ქორწინებისას შეძენილი უძრავი ქონების გაყოფა. სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა და ძირითად მოსარჩელეს მიაკუთვნა თანასაკუთრებიდან ქონების 1/2 ნაწილი, შესაბამისად, სამართლიანია ერთი მეუღლის მიერ ოჯახის საერთო ინტერესებისათვის აღებული ვალეების მეორე მეუღლეზე თანაბარწილად დაკისრება, რაც დადგენილია სსკ-ის 1169-ე მუხლით.

65. ამ განჩინების მე-5 პუნქტში მითითებული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხის მიერ კრედიტის სახით მიღებული 70 000 აშშ დოლარი უნდა დაბრუნდეს 2018 წლის 19 მარტამდე. სესხის საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, მთლიანობაში ბანკისათვის დასაბრუნებელია 112 000

აშშ დოლარი, რომლის 1/2 ნაწილი 56 000 აშშ დოლარს შეადგენს.

66. ამ განჩინების მე-6 პუნქტში მითითებული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხის მიერ კრედიტის სახით მიღებული 40 000 აშშ დოლარი უნდა დაიფაროს 2018 წლის 11 მარტს. სესხის საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, მთლიანობაში ბანკისათვის დასაბრუნებელია 62 800 აშშ დოლარი, რომლის 1/2 ნაწილი 31 400 აშშ დოლარს შეადგენს.

67. ამდენად, მთლიანობაში ძირითადი მოსარჩელის ვალდებულება მეუღლეთა საერთო ვალიდან შეადგენს 87 400 აშშ დოლარს.

68. საქალაქო სასამართლომ იმსჯელა შეგებებული მოსარჩელის მოთხოვნაზე, მისი მეუღლის (ძირითადი მოსარჩელის) სახელზე, 2014 წლის ოქტომბრამდე, საბანკო დანესებულებებში ანაბრებზე განთავსებული თანხის ნახევრის მიკუთვნების თაობაზე და დაუსაბუთებლად მიიჩნია, რადგან დადგენილი იყო, რომ მოსარჩელეს რაიმე თანხა არ ჰქონდა ბანკში, ხოლო ადრე არსებული თანხები მიღებული ჰქონდა ხელფასის სახით, რომელიც მის პირად საკუთრებას წარმოადგენდა და რომელიც, ასევე, შვილების აღზრდა-განვითარებისათვის დახარჯა. საწინააღმდეგო მტკიცებულება შეგებებული სარჩელის ავტორს (მოპასუხეს) არ წარუდგენია სასამართლოსათვის. ამდენად, ამ ნაწილში მოპასუხის შეგებებული სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია საქალაქო სასამართლომ და არ დააკმაყოფილა.

69. მხარეთა სააპელაციო საჩივრები

70. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

71. მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, კერძოდ, სარჩელის დაუკმაყოფილებელ და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილებში, შემდეგ პრეტენზიებზე დაყრდნობით (იხ. სააპელაციო საჩივარი და დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი):

71.1. სასამართლომ ალიმენტის დაკისრებასთან დაკავშირებით არ გაითვალისწინა მოპასუხის მაღალი შემოსავლები, რაც მხარემ თვითონვე აღიარა. მოპასუხე იჯარის ხელშეკრულებებიდან იღებს ქირას, ასევე, ის არის შპს-ის 45%-ის მფლობელი;

71.2. გაურკვეველია ბავშვების სწავლის საფასურის გადახდასთან ალიმენტი რა კავშირში იყო მაშინ, როცა სასამართლომ უსამართლოდ მიუთითა, რომ მოპასუხისათვის 900 ლარის დაკისრება თითოეული ბავშვის სასარგებლოდ, უზრუნველყოფდა მათ კვებას, ასევე განათლებას და ეს საკმარისი იყო;

71.3. ერთჯერადი დახმარების თანხა სხვა არის და მოპასუ-

ხეს უნდა დაკისრებოდა მისი შემოსავლების გათვალისწინებით, ასევე, ალიმენტიც უფრო დიდი ოდენობით უნდა განსაზღვრულიყო;

71.4. სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 1161-ე მუხლი, რადგან სანარმოში მოპასუხეს გააჩნდა 50%, რაც ფიქტიურად გაასხვისა, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მოპასუხემ 40%-იანი წილი მისცა მის უფროს შვილს პირველი ქორწინებიდან ზუსტად მეუღლეთა შორის კონფლიქტის დაწყების დროს. მოპასუხემ საკუთარ სახელზე იმიტომ ვერ დაარეგისტრირა ეს ხელშეკრულება, რომ მის ქონებას მოსარჩელის მოთხოვნით ყადაღა დაედო. მცდარია სასამართლოს მსჯელობა, რომ სანარმოს წილის ჩუქება ნამდვილია და ის არ გაბათილებულა;

71.5. სასამართლომ არასწორად გადაანაწილა მეუღლეთა შორის ვალი, რადგან არ გამოიკვლია, კრედიტიდან მიღებული რამდენი თანხა მოახმარა მოპასუხემ ბინის შეძენას, რამდენი რემონტს და საერთოდ თუ არსებობდა მტკიცებულება, რომ 2013 წლის 11 ივნისის საკრედიტო ხელშეკრულებით, მოპასუხის მიერ აღებული 40 000 აშშ დოლარი მოხმარდა ბინის რემონტს;

71.6. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს აჩუქა ქონება, რომლის ღირებულებაა 220 000 ლარი, სწორედ ამ თანხის ნახევარი უნდა გაექვითა სასამართლოს, თანახმად სსკ-ის 427-ე და 442-ე მუხლებისა;

71.7. სასამართლომ არ იმსჯელა იმაზე, რომ ვალის ნაწილი თანაცხოვრების პერიოდში გადახდილია, რასაც ადასტურებდა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საბანკო ვალდებულებათა ამსახველი ცნობა. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ეს გარემოებები და გამოეკლო ის, რაც უკვე დაფარული იყო და ამის მერე გაეყო მეუღლეთა საერთო ვალი. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების მოქმედების ვადა 2018 წელია და ჯერ გადაუხდელი და მომავალში გადასახდელი თანხების დაკისრება, ვალის სახით, გაუმართლებელი იყო, ამასთან, ვალის გადახდაზე მოთხოვნის უფლება აქვს ბანკს და არა მოპასუხეს;

71.8. არასწორია სასამართლოს მხრიდან ქონების გაყოფა მეუღლეებს შორის და 1/2-ის მიკუთვნება მოსარჩელისათვის, რადგან სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ბავშვების ინტერესებიც და მოსარჩელისათვის უნდა მიეკუთვნებინა ამ ქონების 4/5 ნაწილი.

72. მოპასუხემ შეგებებული სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ნაწილობრივ, კერძოდ, ალიმენტის დაკისრების ნაწილში (მოითხოვა მისი შემ-

ცირება) და ქონების 1/2-ის მიკუთვნების ნაწილში (მოითხოვა ქონების 1/4 მიეკუთვნოს მოსარჩელეს) შემდეგ არგუმენტებზე მითითებით:

72.1. სასამართლომ არასწორად განსაზღვრა თითოეულ ბავშვზე ალიმენტი – 900 ლარის ოდენობით, რაც არ არის გონივრული და სამართლიანი. სასამართლომ ამ ნაწილში მიღებული გადაწყვეტილება დააფუძნა მეუღლეთა ხელფასების შედარებას, მოსარჩელეს აქვს 450 ლარი, ხოლო მოპასუხეს – 2000 ლარი, ამასთან, წილი სანარმოში, უძრავი ქონება, საიდანაც ღებულობს ქირას. საქმეში წარდგენილი სანარმოს წესდებით, პარტნიორთა კრება უფლებამოსილია, განსაზღვროს კომპანიის წმინდა მოგების, დივიდენდის სახით, განაწილების საკითხი, რისთვისაც საჭიროა 50+1 ხმა, ამდენად, მოპასუხე არ არის უფლებამოსილი პირი მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდის მიღებაზე;

72.2. სასამართლომ თითქმის ყველა უძრავი ქონებიდან 1/2 წილი მოსარჩელეს მიაკუთვნა, რაც მოპასუხის საკუთრება იყო. გაუგებარია, საიდან დაასკვნა სასამართლომ, რომ მოსარჩელეს არ აქვს შემოსავალი, მაშინ, როდესაც მასაც შეუძლია იგივე არაერთი ქონების გაქირავებით მიიღოს, ამდენად, ალიმენტის სახით, 900 ლარის დაკისრება მოპასუხისათვის მაშინ, როცა ბავშვების დედასაც ზუსტად იგივე შემოსავალი გაუჩნდა, უსამართლოა. ალიმენტი უნდა შემცირდეს თითოეულ ბავშვზე 600 ლარამდე;

72.3. უსამართლოა ალიმენტის დაკისრება სარჩელის შეტანის დროიდან, მაშინ, როცა გადაწყვეტილების გამოტანამდე მოპასუხეს შვილებისათვის 3300 ლარი აქვს გადახდილი ალიმენტის სახით. ამაზე არ უმსჯელია სასამართლოს;

72.4. სასამართლომ არც ის გაითვალისწინა, რომ არასრულწლოვან ბავშვებს მამა არჩენს, ასევე, უკვე გადახდილი ალიმენტის თანხები არ გამოაკლო დაკისრებულ თანხას. გაუგებარია, რატომ არ ჩათვალა სასამართლომ ალიმენტი უკვე გადახდილად.

### **სააპელაციო სასამართლოს განჩინება**

73. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 აპრილის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი და მოპასუხის შეგებებული სააპელაციო საჩივარი, შესაბამისად უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

74. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და მიუთითა მათზე (სსსკ-ის 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

75. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ იზიარებდა ქვემდგომი სასამართლოს დასკვნას, რომელიც 45-46 პუნქტებშია ასახული და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ, მოპასუხისათვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობა გონივრულად მიაჩნდა. სააპელაციო სასამართლომ იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ სარჩელის გადაწყვეტისას, ქვემდგომმა სასამართლომ მოსარჩელეს მიაკუთვნა ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების  $\frac{1}{2}$  ნაწილი, რაც ამ უკანასკნელს აძლევს საშუალებას, საკუთარი სახსრებით მოიპოვოს შვილების სარჩენი თანხები, რადგან სსკ-ის 1201-ე მუხლი მშობლებს თანაბრად აკისრებს უფლება-ვალდებულებებს შვილებისადმი.

76. ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის შეგებებული სააპელაციო საჩივარი, დაკისრებული ალიმენტის ოდენობის შემცირების ნაწილში, დაუსაბუთებლად მიიჩნია, მისი მატერიალური მდგომარეობის (შემოსავლები: ხელფასი, წილის, უძრავი ქონებებიდან ქირის სახით შემოსავალი), ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეც იგივე ოდენობით არის არაერთი ქონების მესაკუთრე, როგორც მოპასუხე და მასაც იგივე შემოსავალი გაუჩნდა ამ ქონებებიდან, ქირის სახით, როგორც მოპასუხეს, ამასთან, მხარეები, როგორც მშობლები თანაბრად არიან ვალდებული, არჩინონ შვილები.

77. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, მოპასუხისათვის დაკისრებული ალიმენტი, თითოეული არასრულწლოვანი შვილისათვის 900 ლარის ოდენობით დასაბუთებულად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ და აღნიშნა, რომ არ არსებობდა მისი არც შემცირების და არც მასზე მეტის დაკისრების საფუძველი, შესაბამისად, ამ თვალსაზრისით როგორც მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი, ისე მოპასუხის შეგებებული სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებელი იყო.

78. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა შეგებებული სააპელაციო საჩივრის (მოპასუხის) პრეტენზია ალიმენტის დაკისრებაზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან და განმარტა, რომ სსკ-ის 1234.2 მუხლის საფუძველზე, მართებულიად იყო გადაწყვეტილი აღნიშნული საკითხი.

79. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი იმ ნაწილშიც, რომლითაც მან მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება თითოეულ ბავშვზე ერთჯერადი დახმარების სახით, 1400 ლარის მოპასუხისათვის დაკისრებაზე უარყოფილ ნაწილში და ამ თვალსაზრისითაც მთლიანად გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება (სსკ-ის 1215-ე მუხლი, სსსკ-ის 102-ე მუხლი).

80. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის იმ მოთხოვნაზეც, რომელიც მეუღლეთა ვალების ნახევრის მოსარჩელისათვის დაკისრებას ეხებოდა და ამ შემთხვევაშიც პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს დაეყრდნო. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების (იხ. 5-6 პუნქტები) საფუძველზე მიღებული სადავო თანხა, ოჯახის საერთო ინტერესებს მოხმარდა, ვინაიდან ოჯახის წევრის კანონიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მიმართულია ოჯახის სოციალური თუ მატერიალური კეთილდღეობისაკენ, ოჯახის საერთო ინტერესებში შედის. ოჯახის წევრის ლეგალური სამეწარმეო საქმიანობა, რომლის მიზანია მოგების მიღება, ყოველთვის მიმართულია ოჯახის მატერიალური და სოციალური კეთილდღეობისაკენ და ოჯახის წევრის მიერ სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები შედის ოჯახის საერთო ინტერესებში.

81. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქვემდგომმა სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა შეგებებულ სარჩელზე მოპასუხის წარმომადგენლის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ვალის მოთხოვნის უფლება ჰქონდა ბანკს, რადგან სსკ-ის 1169-ე მუხლით – მეუღლეთა საერთო ვალები მათ შორის იყოფა საერთო ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის თანაზომიერად.

82. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მეუღლეებმა გადაწყვიტეს ქორწინებისას შეძენილი უძრავი ქონების გაყოფა. სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა და მოსარჩელეს სწორად მიაკუთვნა თანასაკუთრებიდან ქონების 1/2 ნაწილი. შესაბამისად, სამართლიანი იყო ერთი მეუღლის მიერ ოჯახის საერთო ინტერესებისათვის აღებული ვალების მეორე მეუღლეზე თანაბარწილად დაკისრება, რაც გარანტირებულია სსკ-ის 1169-ე მუხლით (იხ. ასევე ამ განჩინების 64-68 პუნქტები). ამდენად, მოსარჩელის აპელაცია ამ ნაწილშიც უსაფუძვლოდ მიიჩნია სასამართლომ და არ დააკმაყოფილა.

83. მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის იმ ნაწილზე მსჯე-

ლობის დროს, რომლითაც იგი ითხოვდა გასაჩივრებული გადან-  
ყვეტილების გაუქმებას მეუღლეთა ქონების თანაბრად გაყო-  
ფის ნაწილში სააპელაციო სასამართლომ, ასევე, განიხილა შე-  
გებებული აპელანტის მოთხოვნაც, რომელიც ეხებოდა მეუღ-  
ლეთა ქონების გაყოფას არა თანაბრად, არამედ მოსარჩელი-  
სათვის მხოლოდ 1/4 წილის მიკუთვნების კონტექსტში და მოთ-  
ხოვნა, რომ მოსარჩელეს უნდა მიკუთვნებოდა მეუღლეთა თა-  
ნასაკუთრებიდან 4/5 წილი იმ დასაბუთებით, რომ მასთან ცხოვ-  
რობენ არასრულწლოვანი შვილები. სააპელაციო სასამართლომ  
აღნიშნა, რომ მხარეთა ამ მოთხოვნების ნაწილშიც მთლიანად  
იზიარებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგე-  
ნილ ფაქტობრივ გარემოებებსა და მათ სამართლებრივ შეფა-  
სებას.

84. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა საქართველოს კონ-  
ტიტუციის 36-ე მუხლზე, სსკ-ის 1158-ე, 1160-ე-1162-ე, 1165-  
ე, 1168-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მოსარჩელის სააპელა-  
ციო პრეტენზია ამ ნაწილშიც უსაფუძვლო იყო, შესაბამისად,  
დაუსაბუთებელი იყო შეგებებული სააპელაციო საჩივრის (მო-  
პასუხის) მოთხოვნაც მოსარჩელისათვის სადავო უძრავი ქონე-  
ბის მხოლოდ 1/4-ის მიკუთვნების თაობაზეც, რადგან თუკი მო-  
სარჩელის (სააპელაციო საჩივრის ავტორის) მოთხოვნის თვალ-  
საზრისით არ უნდა დაირღვეს მეუღლეთა შორის ქონების გა-  
ყოფის თანაბრობის პრინციპი და არსებობს პატივისცემები სა-  
ფუძველი მოსარჩელისათვის უფრო მეტი წილის მიკუთვნება-  
ზე, ასევე, დაუსაბუთებელია მოპასუხის მოთხოვნა, რატომ უნ-  
და დაირღვეს თანაბრობის პრინციპი და რატომ უნდა მიაკუთ-  
ვნოს სასამართლომ მოსარჩელეს ქონების ნახევარზე ნაკლე-  
ბი. ამდენად, არც შეგებებული აპელაცია არ დააკმაყოფილა სა-  
სამართლომ.

85. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დასაბუთებუ-  
ლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა შპს „ზ-ს“ 50%-იანი წილის  
4/5 ნაწილის მიკუთვნების შესახებ (იხ. ამ განჩინების 37.2 ქვე-  
პუნქტი) და გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა და  
დასკვნები (იხ. ამ განჩინების 58-60 პუნქტები, ასევე, სააპელა-  
ციო სასამართლოს განჩინება), რომ დასახელებულ საწარმოში  
მოპასუხის 10%-იანი წილიდან ნახევარი – 5%-იანი წილი უნდა  
მიკუთვნებოდა მოსარჩელეს და არ გაიზიარა ამ უკანასკნელის  
მტკიცება, რომ ვინაიდან მოპასუხე (როგორც წილის დამთმო-  
ბი) და გ. შ-ე (როგორც წილის მიმღები) ოჯახის წევრები არიან,  
მათ შორის 2014 წლის 12 ნოემბერს დადებული გარიგება წილის  
უსასყიდლოდ დათმობის შესახებ (სსკ-ის 198-199-ე მუხლები)

არ იყო რეალური. სასამართლოს შეფასებით, მითითებული გა-  
რიგება რეგისტრირებულია მენარმეთა და არასამენარმეო (არა-  
კომერციული) იურიდიული პირების რეესტრში და გააჩნია იუ-  
რიდიული ძალა, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმოში მოპასუხის  
წილი 10%-ს შეადგენს, ხოლო 40 % რეგისტრირებულია წილის  
მიმღების, 50% კი – მესამე პარტნიორის სახელზე. ამდენად,  
სსკ-ის 1161-ე მუხლზე მითითებით: „თითოეული მეუღლის სა-  
კუთრებას წარმოადგენს: ა. ქონება, რომელიც თითოეულ მათ-  
განს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე; ბ. ქონება, რომელიც ქორ-  
წინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქე-  
ბით“ სასამართლომ დაასკვნა, რომ საწარმოს 10%-იანი წილის  
5% მართებულად მიეკუთვნა მოსარჩელეს.

### **საკასაციო საჩივრის საფუძვლები**

86. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-  
ტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რო-  
მელმაც მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება, კერძოდ:

86.1. შპს-ში წილის მიკუთვნების დაუკმაყოფილებელ ნაწილ-  
ში;

86.2. მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფის ნაწილში;

87. კასატორმა მოითხოვა, ასევე, ქუთაისის სააპელაციო სა-  
სამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის განჩინების გაუქმება,  
რომლითაც ალიმენტის საკითხზე გადაწყვეტილების დაუყოფ-  
ნებლივ აღსრულება შეჩერდა. მანვე 2016 წლის 3 აგვისტოს შუ-  
ამდგომლობით დააზუსტა, რომ აღნიშნული მოთხოვნა მოხსნა,  
რადგან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა პალატამ გააუქმა 2016 წლის 26 თებერვლის განჩინება ალი-  
მენტის ნაწილში გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულე-  
ბის შეჩერების თაობაზე.

88. კასატორი შემდეგ საკასაციო პრეტენზიებზე უთითებს:

88.1. საკასაციო საჩივარი დასაშვებია სსსკ-ის 391-ე მუხლის  
მე-5 ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებით. სააპელაციო სასამართლომ  
დაარღვია სსკ 102-ე მუხლის მოთხოვნა, რაც იმაში გამოიხატა,  
რომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი. საერთო ვალის  
დაკისრების თაობაზე შეგებებული სარჩელის ავტორს უნდა და-  
ემტკიცებინა, რომ აღებული კრედიტები მან ოჯახის ინტერე-  
სებს მოახმარა. ამის ნაცვლად, სააპელაციო სასამართლომ მტკი-  
ცების ტვირთი შეგებებული სარჩელის მოპასუხეს (კასატორს)  
დააკისრა, რის გამოც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება მიი-  
ღო. საქმის მასალებიდან ჩანს, რომ კრედიტით აღებული თან-  
ხების ნაწილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების შესა-



ქენად დაიხარჯა, მაგრამ მოპასუხემ არ წარმოადგინა არანაირი დოკუმენტაცია დარჩენილი საკრედიტო თანხის მიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით, ამიტომ საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომ კრედიტი სრულად მოხმარდა ოჯახს. აღნიშნულიდან გამომდინარე აღებული კრედიტების ნახევარი არ უნდა დაკისრებოდა კასატორს. ეს მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევას წარმოადგენს;

88.2. სასამართლომ არასწორად ჩათვალა მოპასუხე შეგებებული სარჩელის მოსარჩელედ, რადგან კრედიტი, რომელიც საერთო ვალად ითვლება, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ბანკიდან არის აღებული და სინამდვილეში მეუღლეთა დავალიანებაზე, როგორც საერთო ვალზე, დავის უფლება გააჩნია კრედიტორს – მოცემულ შემთხვევაში ბანკს. საერთო ვალების გაყოფის დროს, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რა არის პასუხისმგებლობის საფუძველი. ეს პირდაპირაა დაკავშირებული პროცესუალურ საკითხთან. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის და სსკ-ის მე-2 მუხლის მიხედვით, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს იმ პირს, ვისაც დაერღვა კანონით გათვალისწინებული უფლება. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს არავითარი უფლება არ დარღვევია მოსარჩელის საერთო ვალების გაყოფასთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძველად, ჩვეულებრივ მიიჩნევა კრედიტორის მოთხოვნა მეუღლეების ან ერთერთი მათგანის მიმართ დაუბრუნებელი სესხის დაფარვის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს აქვს აღებული კრედიტი ბანკიდან და იგი ამ კრედიტს იხდის. ამიტომ, კრედიტორ ბანკს არც აქვს მოთხოვნა არც მოპასუხის და არც ორივე მეუღლის მიმართ. ამიტომ, მოპასუხე არაუფლებამოსილი პირია, მოსარჩელეს მოსთხოვოს კრედიტის ნაწილი, თანაც თავის სასარგებლოდ. საერთო ვალის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მისი გადახდის ვალდებულება თანაბრად აქვს საერთო მოვალეებს, მაშასადამე, ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს, თანახმად, სსკ-ის 463-ე მუხლისა, რომლის მიხედვით, კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, ხოლო საერთო ვალის მფლობელები სოლიდარულ მოვალეებს წარმოადგენენ. მოცემულ შემთხვევაში არ დგას არასათანადო მოსარჩელის საკითხი, რადგან 2013 წლის 19 მარტისა და 11 ივნისის საკრედიტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს მოპასუხე ასრულებს, რის გამოც კრედიტორის – ბანკის უფლება არ დარღვეულა და მას არ გააჩნია მოთხოვნა. აღნიშნული პირდაპირ გამომდინარეობს სსკ-ის 1170-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, რომელსაც

გვერდს უვლის მოპასუხე. ამ ნორმის მიხედვით, ერთ-ერთი მე-უღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მოხდეს მისი ქონებიდან ანდა თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში, ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით, აღნიშნული ვალების გამო მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინება შეიძლება მაშინ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის. ამ ნორმის მიხედვით, კრედიტორს შეუძლია მოვალე მეუღლეს მოსთხოვოს გადახდევინება მისი ინდივიდუალური ქონებიდან, ხოლო თუ ეს ქონება არაა საკმარისი, ვალის დასაფარად, მაშინ გადახდევინება მოხდება ასევე მოვალე მეუღლის თანასაკუთრებაში არსებული წილიდან, რომელსაც იგი, ანუ მოვალე მეუღლე მიიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში. თუ მოვალე მეუღლე, მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე, არ გადაიხდის ბანკის კრედიტს, მაშინ კრედიტორის მიერ დაყენებული იქნება სარჩელი მოვალე მეუღლის ქონების გაყოფის შესახებ, რათა ამ გამოყოფილი ქონებიდან მოხდეს მოვალე მეუღლისათვის თანხის დაკისრება სსკ-ის 1169-ე მუხლით დადგენილი წესით, საერთო ქონებაში მისი კუთვნილი წილის თანაზომიერად;

88.3. თუ სასამართლო დაადგენს, რომ ვალი ოჯახის ინტერესებისათვის იყო აღებული, მაშინ კრედიტორის სასარგებლოდ გადახდევინება მოხდება ორივე მეუღლის თანაზიარი საკუთრებიდან. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო ვალების გაყოფის სარჩელის აღძვრის უფლება აქვს კრედიტორს. მოპასუხე არ არის მოსარჩელის (კასატორის) კრედიტორი, რის გამოც იგი ვერ იქნება მოსარჩელე (შეგებებული სარჩელის ავტორი), ხოლო მოსარჩელე – არაა მოპასუხე მისი მონინააღმდების მიმართ, საერთო ვალის გაყოფის სარჩელზე;

88.4. სსკ-ის 623-ე მუხლით, გამსესხებელი გადასცემს მსესხებელს ფულს საკუთრებაში. სსკ-ის 1159-ე მუხლით, საერთო ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხდება ურთიერთშეთანხმებით. სსკ-ის 1158-ე მუხლით დაქორწინების შემდეგ შექმნილი ქონება არის თანასაკუთრება. ამ ნორმებიდან გამომდინარე, საქმეში არსებული გადახდის დოკუმენტებით ბანკისათვის გადახდილი თანხები ორივე მეუღლის მიერ გადახდილად ითვლება, ამიტომ თანაცხოვრების პერიოდში გადახდილი თანხების დაკისრება შეგებებული სარჩელის მოპასუხისათვის (კასატორისათვის) უსაფუძვლოა;

88.5. შეგებებულ სარჩელში წარმოდგენილია საკრედიტო დავალიანების დაფარვის გრაფიკი, რომელიც ბანკმა 2014 წლის

15 დეკემბერს გასცა. ამ საბანკო ამონაწერის მიხედვით, პირველ კრედიტზე, რომელიც შეადგენდა 70 000 აშშ დოლარს, თანაცხოვრების პერიოდში, მეუღლეებს გადახდილი აქვთ 31 175 აშშ დოლარი, მეორე კრედიტზე, რომლის ოდენობაა 40 000 აშშ დოლარი, თანაცხოვრების პერიოდში დაბრუნებულია – 14 884 აშშ დოლარი. სულ ჯამში, თანაცხოვრების პერიოდში, დავის დაწყებამდე, ორივე კრედიტზე მეუღლეებმა გაისტუმრეს 46 059 აშშ დოლარი. სწორედ ეს თანხა უნდა გამოეკლოთ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს ორივე კრედიტის ჯამურ დავალიანებაზე, რომელიც, პროცენტების გათვალისწინებით, შეადგენს 174 800 აშშ დოლარს, თუ დაადგენდა თანხის ოჯახის ინტერესებში დახარჯვას და იმას, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სწორია და 174 800 აშშ დოლარი საერთო ვალია, და შემდეგ  $174\ 800 - 46\ 000 = 128\ 800$  აშშ დოლარის ნახევარი 64 400 აშშ დოლარი უნდა დაეკისრებია კასატორისთვის შეგებებული სარჩელის გაზიარების შემთხვევაში;

88.6 სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ დაანგარიშებული თანხა მოიცავს კრედიტის ვადის ამოწურვამდე, ანუ 2018 წლის დეკემბრამდე, ორივე საკრედიტო დავალიანებაზე დარიცხულ პროცენტს და კასატორისთვის თანხის გადახდა უნდა დაეკისრებინა არა ერთჯერადად და ერთდროულად გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან, არამედ გაენაწილებინა კრედიტის ვადის ამოწურვამდე. ამავე დროს, მოპასუხის მიერ საქმეში წარმოდგენილია „ბანკ ...-ის“ 2014 წლის 16 დეკემბრის ცნობა, რომლის მიხედვით, პროცენტების გათვალისწინების გარეშე, პირველ კრედიტზე მეუღლეებს გადასახდელი აქვთ 51 175 აშშ დოლარი, მეორეზე – 30 840 აშშ დოლარი ძირითადი თანხა, ორივე კრედიტზე სულ დარჩენილია 82 015 აშშ დოლარი. სწორედ ამ თანხის ნახევარი – 41 007 აშშ დოლარი უნდა დაეკისრებინა სასამართლოს კასატორისათვის, შეგებებული სარჩელის გაზიარების შემთხვევაში, თუ გადახდა ერთდროულად მოხდებოდა განჩინების ძალაში შესვლისთანავე;

88.7. საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შემთხვევაში სასამართლო ავალებს კასატორს 2016 წელში გაუსტუმროს მოპასუხეს ჯერ კიდევ გადაუხდელი საკრედიტო დავალიანება, თანაც თავისი პროცენტებით. მოპასუხე იმ შემთხვევაში იქნებოდა უფლებამოსილი, მოეთხოვა ვალის დაკისრება მოსარჩელისათვის, თუ იგი სრულად დაფარავდა კრედიტს და ამავე კრედიტით ნაყიდი ქონების ნახევარი მოსარჩელის საკუთრება გახდებოდა;

88.8. საერთო ვალზე მსჯელობისას, სასამართლომ უნდა გა-

ითვალისწინოს ის ფაქტიც, რომ საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, მის დასრულებამდე, ზემოაღნიშნული კრედიტების უზრუნველყოფას წარმოადგენს კრედიტის თანხებით შეძენილი სადავო ქონება სულხან-საბას ქუჩაზე, დანანევრებული კომერციული ფართები და მიწის ნაკვეთის ნაწილები, რომლებიც იპოთეკით არის დატვირთული, ბანკის სასარგებლოდ. ეს ქონება, კრედიტის დასრულებამდე, ანუ 2018 წლამდე კვლავ რჩება იპოთეკით დატვირთული იმისდა მიუხედავად, თუ როგორ გადანაწილდება მეუღლეებს შორის. ამგვარად თუ კასატორი გაისტუმრებს მოსარჩელის ვალს, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ გადაწყვიტა, ხოლო თუ მოპასუხე ვადაში არ დაფარავს ზემოაღნიშნულ კრედიტებს, ბანკი უფლებამოსილია, განკარგოს მოსარჩელისათვის მიკუთვნებული სადავო ქონება. ეს კიდევ ერთი არგუმენტია, რის გამოც არასწორია საერთო ვალის მთელი ოდენობით ერთჯერადად გადასახდელად დაკისრება;

88.9. განჩინება უსამართლოა იმიტომაც, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ მოპასუხე ითხოვს ვალის გასტუმრებას მაშინ, როდესაც თვითონ საერთო ქონებიდან მიღებული შემოსავლებით ფარავს მიმდინარე კრედიტებს (იჯარა და დივიდენდები, რომელსაც იღებს სარჩელის აღძვრიდან დღემდე), კასატორი კი მოკლებულია ამ შესაძლებლობას და, ვალის დაკისრების შემთხვევაში, ორმაგად ზარალდება. ამრიგად, განჩინება ვალის დაკისრების ნაწილში ბუნდოვანია და საჭიროებს განმარტებას, იგი უნდა გაუქმდეს, როგორც არასწორი, ვინაიდან თუკი იგი ამ ფორმით შევა ძალაში, სასამართლო ფაქტობრივად ართმევს მოსარჩელეს მოგებულ ქონებას, რადგან ობიექტურ გარემოებათა გამო, ეს უკანასკნელი ვერ გაისტუმრებს საერთო ვალს და, აღსრულების ეტაპზე, მიკუთვნებული ქონება გაიყიდება აუქციონის წესით, რაც შანსს აძლევს დაინტერესებულ მხარეს – მოპასუხეს, ისევ შეიძინოს იგი მისთვის ხელსაყრელ ფასად;

88.10. გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა კასატორის მიერ კრედიტის უზრუნველსაყოფად დატვირთულ კიდევ ერთ ქონებაზე, – აუდიტის და ბანკის მიერ 900 000 აშშ დოლარად შეფასებულ, ...-ის ქ. №36-ში მდებარე ოთხსართულიან საცხოვრებელ სახლზე, რომელიც მეუღლეთა კონფლიქტამდე, მოსარჩელის (კასატორის) საკუთრებას წარმოადგენდა. ეს ქონება დავის დაწყებამდე, 2014 წლის 16 სექტემბრის გარიგების – ჩუქების საფუძველზე, მოპასუხის საკუთრება გახდა, რაც ვალდებულების წინასწარ გაქვითვას წარ-

მოადგენს. შედეგად, მოპასუხემ მიიღო ქონება მოსარჩელისაგან, რის გამოც იგი მის სახელზე არსებული საცხოვრებელი სახლის გარეშე დარჩა და ამავდროულად ითხოვს საერთო ვალის გადახდას;

88.11. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლოს ამ განჩინების ძალაში დატოვების შემთხვევაში, კასატორის სარჩელის არსებობას აზრი ეკარგება, რადგან იგი მხოლოდ ფორმალურად გამოდის დაკმაყოფილებული, რეალურად დამდგარი შედეგით კი არ დაკმაყოფილებულა. არასწორად დაკისრებული ვალის სანაცვლოდ, თანასაკუთრებაში არსებული ქონება ფაქტობრივად კვლავ მოპასუხეს დარჩება ინდივიდუალურ საკუთრებაში. ეს კი ეწინააღმდეგება სსკ-ის 1158-ე და მომდევნო მუხლებს იმ თვალსაზრისით, რომ ქორწინების პერიოდში შექნილი ქონება ორივე მეუღლის საერთო საკუთრებაა და, დავის შემთხვევაში, მისი ნახევარი უნდა მიეკუთვნოს მოდავე მხარეს, ამ შემთხვევაში კასატორს. გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება სსკ-ის 1158-ე-1160-ე მუხლებს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, რის გამოც საკასაციო საჩივარი დასაშვებია სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით;

88.12. შეგვებულ სარჩელის გაზიარების შემთხვევაში, ვალის კასატორზე დაკისრებით, სასამართლო ფაქტიურად ართმევს კასატორს კანონით მიკუთვნებულ ქონებას, ანუ აზარალებს მას. სსკ-ის 442-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლოს უნდა მოეხდინა ვალის გაქვითვა, დარჩენილი დავალიანების გათვალისწინებით, შესაბამისი ღირებულების იპოთეკით დავირთული მიკუთვნებული ქონებიდან, რომლისათვისაც იყო აღებული ზემოაღნიშნული კრედიტები, პროცენტის გათვალისწინებით ან მის გარეშე. საქმეში წარმოდგენილი ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებებით დადგენილია სადავო ქონებების ღირებულება და ამ მტკიცებულებებით შეეძლო ესარგებლა სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების დროს, სსკ-ის 1158-ე-1160-ე მუხლების გამოყენების შემთხვევაში. ამის გაუთვალისწინებლობით, მან არასწორად განმარტა კანონი, ასევე არ გამოიყენება სსკ-ის 442-ე მუხლი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზეა სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევა;

88.13. სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მასალები შპს-ის წილთან დაკავშირებით. დავის პერიოდში, იგი ისევ მოპასუხის საკუთრებას წარმოადგენდა. სასამართლომ არასწორად მიუთითა, თითქოს 2014 წლის 12 ნოემბრის წილის

უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და მოსარჩელეს კანონით დადგენილი წესით სადავოდ არ გაუხდია იგი (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინების 33-ე გვერდის 1-4 აბზაცები). საქმეში არ მოიპოვება 2014 წლის 12 ნოემბრის სამენარმეო ამონაწერი, რომლის მიხედვით მხოლოდ 10% არის მოპასუხის. პირიქით, სარჩელს ახლავს 2014 წლის 13 ნოემბრის სამენარმეო ამონაწერი, რომლის მიხედვით მოპასუხეს აქვს 50% წილი. ამიტომ ამ ხელშეკრულების სადავოდ გახდომის საჭიროება ლოგიკას მოკლებულია;

88.14. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნა, რის გამოც მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, რაც მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევას წარმოადგენს. 2014 წლის 12 ნოემბერს შეუღლეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოების გამო, მოპასუხე შეეცადა დაეთმო თავისი წილი გ. შ-სათვის სხვა ქონებასთან ერთად, მაგრამ იგი დაყადაღდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით (რეგ. ნომ. 14661957), რაც იმას ნიშნავს, რომ მოპასუხის წილი, დავის დაწყებიდან დღემდე, კვლავ შეადგენს 50%-ს. აღნიშნულის გამო, 2014 წლის 12 ნოემბრის წილის დათმობის ხელშეკრულებას არ აქვს იურიდიული ძალა, რადგან იგი არ არის დარეგისტრირებული, ე.ი. შპს-ში დღვის მდგომარეობით მხოლოდ ორი პარტნიორია 50-50%-ანი წილით. ამიტომ ამ ხელშეკრულების სადავოდ გახდომის საჭიროება ლოგიკას მოკლებულია. მართალია, ფორმალურად წილის დათმობის ხელშეკრულებით გამოხატულია მოპასუხის ნება წილის გასხვისების თაობაზე, მაგრამ რამდენადაც ეს ხელშეკრულება არ დარეგისტრირებულია, ფაქტობრივად იურიდიულად მოპასუხის ნება არ არის რეალიზებული, ანუ ამ ხელშეკრულებას არ აქვს იურიდიული ძალა, რადგან ფორმის დაუცველად არის დადებული. ეს ეწინააღმდეგება სსკ-ის 68-ე მუხლის პირველ წინადადებას, რის გამოც იგი აბსოლუტურად ბათილი გარიგებაა სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების საფუძველზე და არავითარ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს ხელშეკრულების დადებიდანვე გ. შ-ს მიმართ. ამიტომ გ. შ-ე არ ითვლება დასაჩუქრებულად და შესაბამისად – 40% წილის მესაკუთრედ, სწორედ ამიტომ არ იყო ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება მოთხოვნილი და მას აღნიშნულ დავასთან არავითარი კავშირი და მნიშვნელობა არ აქვს. რადგან დავის დაწყების მომენტიდან 50%-ის მფლობელად მოპასუხეა რეგისტრირებული, კასატორს ეკუთვნის წილი 50%-დან და არა 10%-დან, როგორც ეს დაადგინა სასამართლომ. ყოველივე აღნიშნულით საქალაქო და საა-

პელაციო სასამართლოები წინააღმდეგობაში მოდიან კანონით გათვალისწინებულ დანაწესთან, რომ დასაჩუქრებული ითვლება მესაკუთრედ რეგისტრაციის შემდეგ. სასამართლოების ეს მსჯელობა ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. თუ საკასაციო სასამართლო მხედველობაში არ მიიღებს ამ არგუმენტებს, მაშინ, იგი უზიძგებს კასატორს, გააგრძელოს დავა ახალი სასარჩელო წარმოებით, რაც ეწინააღმდეგება პროცესის ეკონომიურობის პრინციპს, ზემოთ დასახელებულ კანონის ნორმებს და სასამართლო პრაქტიკას;

88.15. რამდენადაც ჩუქების ხელშეკრულება იურიდიულად არ არსებობს, დაურეგისტრირებულობის გამო, მისი ბათილად ცნობის მოთხოვნა ალოგიკურია და არ გამოძინარეობს კანონის იმპერატიული მოთხოვნიდან, რომლის მიხედვით, დასაჩუქრებული მესაკუთრედ ითვლება მხოლოდ რეგისტრაციის საფუძველზე, ანუ რეგისტრაციის არარსებობისას, იურიდიულად მესაკუთრედ ფორმალურად გამჩუქებელი ითვლება და აქ არაფერ შუაშია გამჩუქებლის ნების გამოხატვა 2014 წლის 12 ნოემბრის ხელშეკრულებით, რომლითაც მოპასუხე შეეცადა, თავი აერიდებინა თანასაკუთრების გაყოფისათვის. სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი, რადგან არასწორად განმარტა სსკ-ის 1161-ე მუხლი. ამ მუხლით გაყოფას არ ექვემდებარება ჩუქებით მიღებული ქონება. არასწორია მოპასუხის მოსაზრება, რომ შპს-დან 40% ნაჩუქარია და სსკ-ის 1161-ე მუხლის საფუძველზე თითქოს არ შეიძლება მისი გაყოფა. მოპასუხეს შპს-ში გააჩნდა 50%, რომელიც შექცნილია ქორწინების პერიოდში. ამ 50%-დან, ანალოგიურ პირობებში, 2002 წელს, მან 40% დაუთმო თავის უფროს შვილს პირველი ქორწინებიდან – გ. შ-ს ფიქტიურად და დაიტოვა 10%. მოგვიანებით, 2011 წელს გ. შ-მ იგივე 40%-იანი წილი დაუთმო მამას (მოპასუხეს) და იმავდროულად გადადგა დირექტორის თანამდებობიდან. მეუღლეთა შორის უთანხმოების წარმოშობის გამო, მოპასუხემ 2014 წლის 12 ნოემბერს კვლავ სცადა წილის იგივე ოდენობის გადაცემა გ. შ-სთვის, ამავე დღეს წილთან ერთად, მოპასუხემ ასევე მოინდომა ქუთაისში ... მდებარე სამი უძრავი ქონების (დღეს ეს ქონებაც დავის საგანია) გაჩუქება, რომლებიც, წილის მსგავსად, მნიშვნელოვანია მისთვის, მაგრამ ისინიც, იმავე დღეს, წილთან ერთად, დაყადაღებული აღმოჩნდა მოსარჩელის მიერ. ყველა ეს ქმედება მოპასუხის მხრიდან ადასტურებს წილის გადაფორმების მოჩვენებითობას და ფიქტიურობას, რათა მას თავი აერიდებინა თანასაკუთრების გა-

ყოფისაგან. ამდენად, 50% არის თანასაკუთრება და მისი ნახევარი ანუ 25% უნდა მიეკუთვნოს მოსარჩელეს. ფაქტობრივი გარემოება არის ის, რომ 40%-იანი წილის გადაფორმება და შემდეგ ჩუქებით უკან დაბრუნება ფიქტიურ ხასიათს ატარებს და ფორმალურად ჩუქების არსებობას არა აქვს მნიშვნელობა. მოპასუხის მიერ გ. შ-სათვის ფიქტიურად გაჩუქების ბათილად ცნობას, ასევე, არ აქვს აზრი სსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილით, რადგან გასხვისებული 40%-იანი წილი თანასაკუთრებაში ისევ დაბრუნდა და, ამ ნორმიდან გამომდინარე, ეს მოჩვენებითი გარიგება სამართლებრივ შედეგს მოპასუხის სასარგებლოდ არ წარმოშობს. 40%-იანი წილის ჩუქებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჩუქება მაღლიერების გამოხატვა დასაჩუქრებულისადმი რაიმე მოქმედების გამო და ასეც ინერება ხელშეკრულებაში. მოცემულ შემთხვევაში, ასე არ მომხდარა. ჩუქებით ქონება გადადის დასაჩუქრებულის სამუდამო საკუთრებაში, რაც ასევე არ განხორციელებულა, დასაჩუქრებულმა უკან დაუბრუნა ნაჩუქარი თავდაპირველ მესაკუთრეს. ყოველივე ეს კი ცალსახად ადასტურებს ამ ჩუქების მოჩვენებითობას;

88.16. სსკ-ის 1161-ე მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული ჩუქებით მიღებული ქონება თითოეული მეუღლის საკუთრებას მხოლოდ მაშინ წარმოადგენს, როდესაც იგი თავისი სამართლებრივი ბუნებით ინდივიდუალური ხასიათისაა, ე.ი. მხოლოდ დასაჩუქრებულისთვის უნდა იყოს განკუთვნილი, ინდივიდუალური მოხმარებისაა. შპს-ს წილი არაა ინდივიდუალური მოხმარების ბუნების. ამ თვალსაზრისითაც 40%-იანი წილი თანასაკუთრებაა. სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 1161-ე მუხლი, კერძოდ, „ბ“ პუნქტის მიხედვით, თითოეული მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით. ამ ნორმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პირს ქორწინების განმავლობაში მიღებული უნდა ჰქონდეს ქონება ჩუქებით გარეშე პირისაგან, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს, რადგან 50%-იანი წილი შექცნილია ქორწინების განმავლობაში და მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს. ის ფაქტი, რომ წლების წინ მოპასუხემ შეგნებულად გაასხვისა ამ წილიდან 40% თავის უფროს შვილზე (მოსარჩელის გერზე) და 2011-ში ისევ დაიბრუნა უკან, ადასტურებს, რომ ეს წილი არ გასულა ოჯახის გარეთ, საერთო ოჯახში დარჩა, როგორც შემოსავლის წყარო და არ წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას. ამგვარად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქორწინების პერიოდში შექცნილი შპს-ს წილი



თანასაკუთრებას წარმოადგენს და სსკ-ის 1159-ე მუხლის მიხედვით, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს თანაბარი უფლებები აქვთ. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით ხორციელდება. სსკ-ის 1160-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაშია, მეუღლეთა შეთანხმებით ხდება, მუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. სსკ-ის 959-ე მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, თითოეულ მონილეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი. ამ ნორმებიდან გამომდინარე, მოპასუხეს მხოლოდ მისი წილის გაჩუქება შეეძლო, მხოლოდ 25 %-ის. მან კი 15% მოსარჩელის წილიდან გააჩუქა, ამიტომ თუკი სასამართლო იმსჯელებს წილის, როგორც დასაჩუქრებულის საკუთრების შესახებ, მან გაჩუქებისაგან დარჩენილი 10% მაინც მთლიანად უნდა მიაკუთვნოს მოსარჩელეს, რადგან იგი თავიდანვე ამ წილის 25%-ის მესაკუთრედ ითვლებოდა;

88.17. მოცემულ შემთხვევაში სადავო წილი მოპასუხის სახელზეა. ამიტომ სასამართლოს 50%-დან კასატორისათვის უნდა მიეკუთვნებინა 25%. სასამართლოს ეს განჩინება ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკას;

88.18. 2014 წლის 12 ნოემბრის წილის დათმობის ხელშეკრულების დაურეგისტრირებლობას ასევე ადასტურებს ისიც, რომ ამ წილზე უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღა გამოყენებული სარჩელის აღძვრამდე, რის შესახებაც მითითებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, რომლის მიხედვით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება დარჩა უცვლელი სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გამო. ამდენად, სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნა, რადგან სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის მასალა წილთან დაკავშირებით, რის გამოც კასატორს მიაკუთვნა წილი 10%-დან, ნაცვლად 50%-ის გაყოფისა.

89. კასტორი ასევე დავობს გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივ უსწორობებზეც.

### **საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

90. საკასაციო სამართალწარმოების სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 აგვისტოს განჩინებით, საკასაციო განაცხადი წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო იმავე წლის 4 ნოემბრის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვისა და მტკიცებულებათა ერთობლიობით გაანალიზების შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადი საფუძვლიანია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

91. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორის პრეტენზიათა ნაწილი საფუძვლიანია, რის გამოც საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

92. განსახილველ დავაში, საკასაციო სასამართლოს კვლევითა და შეფასების საგანია კასატორის პრეტენზიები, რომლებიც ასახულია წინამდებარე განჩინების 86.1 და 86.2 ქვეპუნქტებში.

93. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომელიც ეხება შპს „ზ-დან“ მისთვის წილის მიკუთვნებას (იხ. საკასაციო პრეტენზიები ამ განჩინების 88.13-88.18 ქვეპუნქტებში). განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნად მიუთითა დასახელებული საწარმოდან მოპასუხის კუთვნილი 50%-იანი წილის 4/5 ნაწილის მისთვის მიკუთვნება და მესამე პარტნიორად აღრიცხვა სამეწარმეო რეესტრში, ხოლო დარჩენილი 50%-იანი წილის პარტნიორად მოპასუხის აღრიცხვა რეესტრში (იხ. ამ განჩინების 36.2 ქვეპუნქტი). ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოსარჩელის საკუთრებად აღირიცხა შპს „ზ-ში“ მოპასუხის 10%-იანი წილის 1/2 ნაწილი, კერძოდ – 5%, რაც უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 აპრილის განჩინებით (ქვემდგომი სასამართლოების მსჯელობა და დასკვნები იხ. წინამდებარე განჩინების 13-15, 35-ე, 58-61-ე და 85-ე პუნქტებში).

94. მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა გადაწყვე-

ტილება და სანარმოდან მოპასუხის კუთვნილი წილის ნახევარი ნაწილის, რაც 5%-ს შეადგენს, მისთვის მიკუთვნებას არ დაეთანხმა იმ მოტივით, რომ მოპასუხემ სანარმოში კუთვნილი წილის 50%-დან 40%, 2014 წლის 12 ნოემბერს, ფიქტიურად გაასხვისა თავის უფროს შვილზე (იხ. 57-58 პუნქტები), რომელიც პირველი ქორწინებიდან ჰყავს და ეს ზუსტად იმ პერიოდში მოხდა, როდესაც მეუღლეებს შორის კონფლიქტი დაიწყო (იხ. ამ განჩინების 71.4 ქვეპუნქტი), მოსარჩელე საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზეც სადავოდ ხდის მოპასუხის მიერ სანარმოში წილის გასხვისებას.

95. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „წილი საზოგადოებაში წარმოადგენს ქონებას, რასაც ახასიათებს გარკვეული თავისებურება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ სანარმოს საკუთრება უნდა გაიმიჯნოს წილზე საკუთრებისაგან. წილი წარმოადგენს იმ უფლება-ვალდებულებების ერთობლიობას, რაც წარმოიშევა საზოგადოების წევრობიდან. შესაბამისად, წილის ოდენობა განსაზღვრავს პარტნიორების უფლება-მოვალეობების მოცულობას. წილის განსხვისება ნიშნავს წილის ყოველგვარ გადაცემას სხვა პირის საკუთრებაში, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ „მენარმეთა შესახებ“ კანონით წილის გასხვისების სამართლებრივი რეჟიმი განსხვავდება ცალკეულ საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ინსტიტუტებით გათვალისწინებული დანაწესებით“ (იხ. სუსგ №ას-97-93-2012, 28.06.2012წ.).

96. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლი განსაზღვრავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნებას, ხოლო მისი მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად. წილი არის მიმოქცევადი უფლება“. დასახელებული სპეციალური კანონის 46-ე მუხლის 1-3 ნაწილებით (მოპასუხის მიერ სანარმოს წილის გასხვისების დროს, 12.11.2014 წ. მოქმედი რედაქციის მიხედვით) პარტნიორთა უფლება-მოვალეობებს მათი წილების შესაბამისად შემდეგნაირად ადგენდა: „1. პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და წილების თავდაპირველი განაწილების წესი განისაზღვრება სანარმოს წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით); 2. წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პარტნიორთა ხმის უფლება ან/და პარტნიორთა შორის მოგების/ზარალის განაწილება არ არის მათი წილების პროპორციული; 3. შპს-ის პარტნიორებს უფლება აქვთ, გაასხვისონ ან დატვირთონ (დააგირავონ) წილი საზოგადოების კაპიტალში, თუ წესდებით შეზ-

ლუდვა არ არის დანესეხული“.

97. შპს-ს წილზე, როგორც მეუღლეთა თანასაკუთრებაზე მსჯელობისას, გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომ საწარმოს წილზე საკუთრება ერთ-ერთი მეუღლის მიერ მოპოვებულია რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში, არამედ, ასევე მხედველობაში მისაღები წილის, როგორც საწარმოს ქონებისა და მასთან დაკავშირებული პარტნიორის უფლება-მოვალეობები, რომლებიც მოწესრიგებულია სპეციალური კანონისა და საზოგადოების, როგორც სამენარმეოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილე სუბიექტის წესდებით – პარტნიორთა შეთანხმებით. კასატორი თვითონვე უთითებს, რომ შპს-ის წილი არ არის ინდივიდუალური მოხმარების ბუნების, ხოლო შემდეგ სსკ-ის 959-ე მუხლზე აფუძნებს მსჯელობას (იხ. საკასაციო პრეტენზია ამ განჩინების 88.16 ქვეპუნქტში). მოხმობილი ნორმა სამოქალაქო კოდექსის კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების მოწესრიგებას განეკუთვნება საზიარო უფლებებთან მიმართებით და მოცემულ შემთხვევაში საწარმოს წილზე, როგორც მეუღლეთა თანასაკუთრების შემადგენელ ნაწილზე მსჯელობისას, უსაფუძვლოა საზიარო საგნის განკარგვის წესზე დაყრდნობა.

98. განსახილველ შემთხვევას შეესატყვისება საკასაციო სამართლოს განმარტება ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორის წილზე, როგორც მეუღლეთა თანასაკუთრებაზე, მსჯელობასა და დასკვნას ასახავს: „მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია არა მხოლოდ მეუღლეთა უფლება-ვალდებულებების განსაზღვრის თავისებურებები, არამედ, პარტნიორთა უფლება-ვალდებულებები, რაც კანონით და წესდებით მათ გააჩნიათ ერთ-ერთ მეუღლესთან. მეუღლეთა შორის დავის მოწესრიგებით არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი სხვა პირების უფლებები, რაც მათ გააჩნიათ „მენარმეთა შესახებ“ კანონითა და წესდების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს დადგენილ ფაქტს, რომ რ. კ-ის წილი საზოგადოებაში წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას, მაგრამ ამ წილის გაყოფისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული განმარტებების მიხედვით ის შეზღუდვები, რომელიც შეიძლება ეხებოდეს ახალი პარტნიორის მიღებას საზოგადოებაში“ (იხ. სუსგ №ას-97-93-2012, 28.06.2012წ.). საკასაციო სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია კასატორის პრეტენზია საწარმოს წილის მიკუთვნებასთან დაკავშირებით, თუმცა, მოკლებულია შესაძლებლობას ამ ნაწილში დამატებითი

მსჯელობა განავითაროს შპს-ის წესდების საფუძველზე, რადგან საწარმოს წილის გასხვისების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს განჩინება (რომლითაც უცვლელად დარჩა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება) არ არის გასაჩივრებული მოპასუხის (საწარმოს წილის მესაკუთრის) მიერ. ამდენად, ამ ნაწილში საკასაციო პრეტენზია უარყოფილია და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

99. კასატორის პრეტენზია, რომელიც ეხება მეუღლეთა შორის საერთო ვალების გაყოფას (იხ. ამ განჩინების 86.2. ქვეპუნქტი) ნაწილობრივ დასაბუთებულია და ამ ნაწილში, საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგი მითითებებით (სსსკ-ის 412-ე მუხლი):

99.1. სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ რა პერიოდიდან ცხოვრობენ მხარეები განცალკევებულად. საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ სადავო გარემოებათა შორის მითითებულია, რომ „საქმის განხილვის მომენტისათვის მხარეებს შორის არის კონფლიქტური სიტუაცია, მოსარჩელე თავის არასრულწლოვან შვილებთან ერთად ცხოვრობს ცალკე“ (იხ. პუნქტი 2.2.; ასევე, სარჩელი და ფაქტობრივი გარემოება). მარტოოდენ ზოგადი მითითება, რომ მოსარჩელი და მოპასუხე განცალკევებულად ცხოვრობენ, არ არის საკმარისი განსახილველი დავის გადასაწყვეტად, რადგან გამოსაკვლევი და დასადგენია, თუ რა ხარჯების განევა უნევს თითოეულ მათგანს ცალკე ცხოვრების პერიოდიდან მოყოლებული. აღნიშნული საკითხის დადგენა უშუალოდ უკავშირდება დავის საგანს – მეუღლეთა შორის საერთო ვალების გაყოფას. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა 2014 წლის 10 დეკემბერს და მიუთითა, რომ მეუღლეთა შორის ურთიერთობის დაძაბვას დაემთხვა მოპასუხის მიერ საწარმოში წილის უსასყიდლოდ დათმობა საკუთარი უფროსი შვილისათვის პირველი ქორწინებიდან, რაც 2014 წლის 12 ნოემბერს მოხდა (იხ. ამ განჩინების 57-58 პუნქტები), ასევე, დავის დაწყებამდე მოსარჩელემ მოპასუხეს 2014 წლის სექტემბერში აჩუქა უძრავი ქონება (იხ. ამ განჩინების 33-34 პუნქტები, 88,10 ქვეპუნქტი). თავის მხრივ, შეგებებულ სარჩელში მოპასუხე (კასატორის მოწინააღმდეგე მხარე) მე-5 ფაქტობრივ გარემოებად უთითებს, რომ 2014 წლის ოქტომბრამდე, მეუღლეთა შორის შეუთანხმებლობამდე, საბანკო დანესებულებებში მოსარჩელეს ანაბარზე განთავსებული ჰქონდა დანაზოგი. აღნიშნული საკითხი დამატებით გამოკვლევას და დადგენას საჭიროებს მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფის საკითხის გა-

დასაწყვეტად.

99.2. მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფის საკითხზე მსჯელობისას სააპელაციო სასამართლო მართებულად უთითებს სსკ-ის 1158-ე, 1160-ე, 1161-ე, 1169-ე მუხლებზე (დასახელებულ ნორმათა დეფინიცია იხ. ამ განჩინების 52-ე, 59-ე-61-ე, 63-ე პუნქტებში), თუმცა, აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება (რომლითაც უცვლელად დარჩა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება), რომლის საფუძველზეც მოსარჩელეს დაეკისრა მეუღლეთა საერთო ვალების სახით, მისი ნახევრის – 87 400 აშშ დოლარის გადახდა მოპასუხის სასარგებლოდ არ შეესაბამება საკასაციო სასამართლოს პრაქტიკას.

99.3. სამოქალაქო სამართალწარმოება დაფუძნებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ისე მათი დამტკიცება-დასაბუთების ტვირთი სსკ-ის მე-4 მუხლის შესაბამისად: „მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები“, ხოლო ამავე კოდექსის 102-ე მუხლი განსაზღვრავს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების წესს, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

99.4. ის გარემოება რომ მოსარჩელე სოლიდარულადაა პასუხისმგებელი მოპასუხის (მეუღლის) მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე არ გამომდინარეობს ამ უკანასკნელის მიერ ბანკთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან (იხ. ამ განჩინების მე-5-6 პუნქტები), რადგან ამ გარიგებების მხარეებად გვევლინებიან, ერთი მხრივ, მოპასუხე, რომელიც მოვალეა და ბანკი (კრედიტორი). ამ კონტექსტში საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს კასატორის პრეტენზიებზე, რომლებიც 88.1-88.9 ქვეპუნქტებშია ასახული და განმარტავს, რომ მეუღლეთა ქონების სამართლებრივი მდგომარეობის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია გამოკვლეულ იქნეს, პირადი თუ საერთო ვალდებულება აქვთ ნაკისრი მეუღლეებს, რადგან ამას მნიშვნელობა აქვს მეუღლეთა ქონებრივი პასუხისმგებლობის გასამიჯნად. კასატორის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ საქმის მასალებშია საკრედიტო და-

ვალთანების დაფარვის გრაფიკი (იხ. ამ განჩინების 88.5 ქვეპუნქტი), რომლის მიხედვით დგინდება, რომ მეუღლეებს თანაცხოვრების პერიოდში გადახდილი აქვთ ამ განჩინების მე-5 და მე-6 პუნქტებში მითითებულ საკრედიტო ხელშეკრულებებზე 46 059 აშშ დოლარი, რაც უნდა გამოკლებოდა ორივე კრედიტის ჯამურ დავალიანებას იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო დაადგენდა რომ კრედიტი ოჯახის ინტერესებს მოხმარდა.

99.5. განსახილველ შემთხვევაში, იმ გარემოების დამტკიცების ტვირთი, რომ ბანკიდან აღებული კრედიტი სრულად ან ნაწილობრივ მოხმარდა ოჯახის საერთო ინტერესებს, უნდა გადანაწილდეს სამოქალაქო სამართალსა და სამოქალაქო საპროცესო სამართალში აღიარებული მტკიცების სტანდარტით. საკასაციო სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს: „რაც შეეხება სესხის აღების მიზნობრიობის შესახებ სადავო ფაქტობრივ გარემოებას, მეუღლეთა საერთო ქონებად პრეზუმირებასთან კავშირში, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამართალწარმოებაში პრეზუმფციების არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ფაქტების გარკვეული ნაწილი მტკიცებას არ საჭიროებს. სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. შესაბამისად, ერთი ნაწილი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტებისა ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი ნაწილი – მოპასუხის სასარგებლოდ. ის, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ ივარაუდება, უნდა დაამტკიცოს მოპასუხემ, ხოლო ის, რაც მოპასუხის სასარგებლოდ ივარაუდება, პირიქით, უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზუმფციები სასამართლოში მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ წარმოადგენს მხარეთა შორის მტკიცების განაწილების საფუძველს. მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი გარკვეული ფაქტების ნაწილი, ხოლო ამ ფაქტების მეორე ნაწილი ვალდებულია დაამტკიცოს მოპასუხემ. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმფციებს, წარმოადგენენ კანონის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომელმაც მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო პროცესში. მოცემულ შემთხვევაში, იმ გარემოებაზე აპელირება, რომ ვინაიდან მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისისა (სკ-ის 1158-ე მუხ.), ხოლო მეუღლეთა საერთო ვალები, მათ შორის იყოფა საერთო ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის თანაზომიერად

(სკ-ის 1169-ე მუხ.) და აღნიშნული ვალდების გამო მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინება შეიძლება მაშინ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ, რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის (სკ-ის 1170-ე მუხლის მე-2 ნაწ.) საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ წარმოადგენს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, თ. მ-ის მიერ სესხად აღებული თანხის მიზნობრიობას უპირობოდ წარმოადგენდა მისი მოხმარება ოჯახის საერთო ინტერესებისათვის. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი შეიცავს მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების სამართლებრივ რეგულირებას, პრაქტიკულად ნორმით განისაზღვრება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (ქორწინების განმავლობაში) შეძენილი ქონების საკუთრების საკითხი, ხოლო მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სადავოა სესხის დაბრუნებაზე ვალდებულ პირთა წრე. ამ საკითხზე სამართლებრივი რეგულირება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 1169-ე, 1170-ე მუხლებში, რომლებიც ფაქტების პრეზუმირებას, გამსესხებლის სასარგებლოდ არ შეიცავს და მეუღლეთა საერთო ქონებიდან სესხის დაფარვის მიზნებისათვის მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესზე (მტკიცების სტანდარტზე) არ მიგვითითებენ. ამდენად, მოცემული დავის გადაწყვეტისას მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების 102-ე მუხლით დადგენილი ქცევის წესით ხელმძღვანელობა მართებულია და დარღვევას, საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით, არ შეიცავს“. – იხ. სუსგ № ას- № 516-489-2015, 17.06.2015წ.

99.6. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დამატებით უნდა იქნეს გამოკვლეული და დადგენილი 2013 წლის 19 მარტისა და იმავე წლის 11 ივნისის საკრედიტო ხელშეკრულებებით (იხ. ამ განჩინების 5-6 პუნქტები) რა ვადითაა გაცემული კრედიტი მოპასუხეზე, რადგან კასატორის პრეტენზია იმასაც ეხება, რომ კრედიტის ვადა 2018 წელს იწურება და მოვალე დადგენილი წესით ასრულებს ვალდებულებას (იხ. მოპასუხის შეგვებულ სარჩელზე მოსარჩელის მიერ წარდგენილი შესაგებელი; ასევე, მოპასუხის დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი). ამ თვალსაზრისით გასაზიარებელია კასატორის პრეტენზია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების ვადის ამოწურვამდე მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულებების გამო მოსარჩელისათვის ვადამოუსვლელი მოთხოვნის საფუძველზე, რაც ხელშეკრულების საფუძველზე კრედიტორს მხოლოდ მოვალისადმი (კასატორის მონი-



ნააღმდეგისადმი) შეიძლება ჰქონდეს, სრული თანხის მოსარჩელისათვის დაკისრება დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს, ზემოხსენებული საკრედიტო ხელშეკრულებებით რა თანხა მოხმარდა ოჯახის საერთო ინტერესებს, ასევე, მნიშვნელოვანია დადგინდეს რა დროიდან ცხოვრობენ მეუღლეები განცალკევებულად (იხ. ზემოხსენებული 99.1 ქვეპუნქტი), რაც უშუალოდ უკავშირდება ოჯახის საერთო ინტერესებისათვის მოპასუხის მიერ თანხის დახარჯვას და დადგენილ უნდა იქნეს კასატორის მიერ მითითებული საკრედიტო დავალიანების გრაფიკის მიხედვით მეუღლეთა თანაცხოვრების დროს დაფარული კრედიტის თანხა (იხ. 99.4 ქვეპუნქტი). იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ ოჯახის ინტერესებისათვის მოხდა მოპასუხის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული თანხების გამოყენება-განკარგვა, მაშინ თითოეულ საკრედიტო ხელშეკრულებაზე თანდართული გადახდის გრაფიკის მიხედვით უნდა მოხდეს მეუღლეთა შორის გადასახდელი თანხების განაწილება, ამასთან, სწორედ იმ განრიგის მიხედვით, როგორც ეს საკრედიტო დანესებულების მიერაა დადგენილი და არა საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილ გრაფიკში მითითებული პერიოდულად გადასახდელი თანხების ჯამური ოდენობის ერთბაშად მოსარჩელისათვის დაკისრებით. გასათვალისწინებელია ისიც, თუ როგორ არის ხელშეკრულებით დადგენილი თანხის გაცემა, მაგალითად, საქმის მასალების მიხედვით, 2013 წლის 11 ივნისის საკრედიტო ხელშეკრულებით 40 000 აშშ დოლარის გაცემა მოვალეზე განსაზღვრულია სამტრანშად. ამავე კონტექსტში დამატებით გამოსაკვლევი და შესაფასებელია მოსარჩელის სააპელაციო პრეტენზია, რომელიც წინამდებარე განჩინების 71.5 და 71.7 ქვეპუნქტებშია ასახული. ასევე, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს მოსარჩელისათვის მიკუთვნებული უძრავი ქონების 1/2 ნაწილიდან, რომელი ქონებაა იპოთეკით დატვირთული ამ განჩინების მე-5 და მე-6 პუნქტებში მითითებული საკრედიტო ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად, რაც სამართლებრივად მნიშვნელოვანია მეუღლეთა საერთო ვალების საკითხის გადასაწყვეტად (იხ. ამ განჩინების 88.8 ქვეპუნქტი)

99.7. სსკ-ის 1170-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით დადგენილია ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესი „1. ერთ-ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მოხდეს მისი ქონებიდან ან/და თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში. 2. აღ-

ნიშნული ვალების გამო მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევენა შეიძლება მაშინ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ, რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის“. მოხმობილი ნორმის საფუძველზე, ერთ-ერთი მეუღლის ფულადი ვალდებულება შეიძლება დაიფაროს ორივე მეუღლის საერთო ქონებიდან იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ სადავო ნაკისრი ვალდებულების სანაცვლოდ მიღებული თანხა ოჯახის ინტერესებს მოხმარდა (იხ. სუსგ – №ას-1035-1228-2008, 23.03.2009წ.).

99.8. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 463-ე მუხლის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს. ამავე კოდექსის 464-ე მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით, ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე და მოპასუხე არ არიან ბანკთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების სოლიდარული მოვალეები. ბანკის წინაშე მოვალეს წარმოადგენს განსახილველი დავის მოპასუხე (კასატორის მონინალმდებელ მხარე), ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოხსენებული საკითხების დამატებით გამოკვლევა დაედება საფუძვლად მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფის საკითხის გადაწყვეტას სსკ-ის 1169-ე-1170-ე მუხლების საფუძველზე.

99.9. სსკ-ის 1169-ე მუხლის შესაბამისად ვალებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი დგება არა მხოლოდ განქორწინების, არამედ ქორწინების პერიოდშიც და არ აქვს მნიშვნელობა მეუღლეთა შორის საერთო ქონება გაყოფილია თუ არა. საკასაციო სასამართლო სსკ-ის 1170-ე მუხლის დისპოზიციაზე ამახვილებს ყურადღებას და განმარტავს, რომ მოხმობილი ნორმის მე-2 ნაწილით სარგებლობისათვის, სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან იმის დადგენა, რომ ვალდებულება, რომელსაც მოვალეს ედავებიან, გამოყენებულია მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის (იხ. სუსგ №ას-560-540-2015, 01.07.2016წ.). განსახილველი შემთხვევა არ ეხება იმ ვითარებას, როდესაც მოვალეს (მოპასუხეს) ედავებიან ვალდებულებას. საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ბანკი არ ედავება

მოვალეს. ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მოსარჩელისათვის დაკისრებული საერთო ვალის ნახევრის სამართლებრივი საფუძვლიანობის გამოსაკვლევად, სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს საქმის არსებითად გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი გარემოებები. ამდენად, საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებული ნაწილი შეეხება მხოლოდ მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფის საკითხის დამატებით კვლევას და ამასთან დაკავშირებით სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას.

100. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე „თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით“.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 აპრილის განჩინება მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა ქუთაისის საოქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-9 პუნქტი (მ. გ-ეს ზ. შ-ის სასარგებლოდ გადახდეს მეუღლეთა საერთო ვალების ნახევარი – 87 400 აშშ დოლარი) და ამ ნაწილში საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
3. მ. გ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა შპს „ზ-ის“ წილის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 აპრილის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;
5. მ. გ-ეს, სახელმწიფო ბაჟი, 3 000 ლარი გადახდილი აქვს, ხოლო 1 500 ლარი გადავადებული აქვს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე;
6. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. შვილების წარმოშობის დადგენა

#### შვილის გვარის გამოცვლა

##### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-245-233-2017

6 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** შვილისთვის მამის გვარის მიკუთვნება

##### აღწერილობითი ნაწილი:

1. ე. კ.-ს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი) არარეგისტრირებულ ქორწინებაში 2010 წლის 24 აპრილს, შეეძინა შვილი – ნ. კ.-ა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მცირეწლოვანი ან ბავშვი), რომლის დაბადების სააქტო ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ მონაცემებს არ შეიცავდა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის 1191<sup>1</sup>.2, სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონის 26.4 მუხლები).

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით, ზ. და-ა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე ან ბავშვის მამა) ცნობილ იქნა 2010 წლის 24 აპრილს დაბადებული ნ-ს მამად, რომლის საფუძველზეც ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მოსარჩელე მამად მიეთითა, ხოლო ბავშვის გვარი – კ. უცვლელად დარჩა (სსკ-ის 1190-ე მუხლის მეორე ნაწილი, სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლი).

3. ბავშვი დაბადებიდან აღსაზრდელად დედასთან (მოპასუხესთან) იმყოფება.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 27 იანვრის განჩინებით მოსარჩელეს განესაზღვრა შვილთან ურთიერთობის შემდეგი წესი: განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან პირველი ერთი თვის მანძილზე – ყოველი კვირის შაბათი დღე 14.00 საათიდან 16.00 საათამდე

ნაყვანის უფლებით, ერთი თვის შემდეგ – ყოველი კვირის ორ-შაბათი დღე 18.00 საათიდან 20.00 საათამდე და შაბათი დღე 14.00 საათიდან 16.00 საათამდე ნაყვანის უფლებით; ხოლო განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან ორი თვის შემდეგ – ყოველი კვირის ორშაბათი დღე 18.00 საათიდან 20.00 საათამდე და შაბათი დღე 14.00 საათიდან 17.00 საათამდე ნაყვანის უფლებით.

5. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ურთიერთობა გამწვავებულია.

6. 2015 წლის 25 მაისს, ბავშვის მამამ, სსკ-ის 1195-ე-1196-ე მუხლებზე დაყრდნობით სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ, 2010 წლის 24 აპრილს დაბადებული ნ-სათვის თავისი გვარის, „დ-ს“ (შემდეგში მამის გვარი) მიკუთვნების მოთხოვნით.

7. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და წარდგენილი შესაგებლით მიუთითა, რომ მოსარჩელე ჯერ კიდევ მოპასუხის ფეხმძიმობისას აყენებდა ეჭვქვეშ ბავშვის მამობას, ამასთან, იგი საკუთარ შვილს 5 წლამდე საერთოდ არ ნახულობდა, არ მონაწილეობდა ბავშვის აღზრდაში და არც მატერიალურად ეხმარებოდა მას. მოსარჩელე არც იმით დაინტერესებულა, თუ რა გვარი მიენიჭა მის შვილს, ან რა ჩაინერა დაბადების მოწმობაში. მოპასუხის განმარტებით, მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ მოსარჩელეს აღძრული ჰქონდა სარჩელი ბავშვისთვის მამის გვარის მიკუთვნებაზე და ნახვის დღეების განსაზღვრაზე, რომელიც მორიგებით დასრულდა, ხოლო მორიგების ერთ-ერთი საფუძველი ის გარემოება იყო, რომ მოსარჩელე გვარის მიკუთვნების საკითხს აღარ დააყენებდა. შესაბამისად, მოპასუხის მტკიცებით, არ არსებობდა 5 წლის ბავშვისათვის გვარის შეცვლის სამართლებრივი საფუძველი.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა; 2010 წლის 24 აპრილს დაბადებულ ნ-ს (პ/ნ ....) მამის გვარი მიენიჭა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სა-მოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 1195-ე-1196-ე მუხლები და „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-3 მუხლის პირველი და მეორე ნაწილები.

9. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფის მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

9.1. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ბავშვს დაბადებიდან დედა ზრდიდა და მას ხუთი წლის განმავ-

ლობაში მამასთან ურთიერთობა არ ჰქონია. სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა, რომ დაძაბულობა, რომელიც თან სდევდა მამის ძალადობის მცდელობებს, იძულებით ჰქონოდა შვილთან ურთიერთობა, ცუდად აისახებოდა ბავშვის ფსიქოემოციურ განწყობაზე;

9.2. სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 1196-ე მუხლი. აღნიშნული ნორმა იცავს იმ მშობლის უფლებას, რომელთანაც აღსაზრდელად დარჩა ბავშვი. ანუ გვარის მიკუთვნების თაობაზე იმ მშობელს წარმოეშობა მოთხოვნის უფლება, ვისთანაც არასრულწლოვანი შვილი დარჩა აღსაზრდელად და არა მეორე მშობელს;

9.3. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიუთითა ბავშვთა საერთაშორისო კონვენციაზე, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ბავშვის უპირატესი ინტერესი გვარის გამოცვლასთან დაკავშირებით. სასამართლო შეეცადა დისპოზიციურობის პრინციპის დარღვევით, თავად დაედგინა ამგვარი ინტერესი და განმარტა, რომ გვარის მინიჭება ბავშვს მამასთან ურთიერთობას გაუადვილებდა, რაც არასწორია. პალატამ არ გაითვალისწინა ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ბავშვისთვის გვარის გამოცვლა, რომელსაც იგი 5 წელი ატარებდა, შესაძლოა ემოციურად მძიმე ყოფილიყო.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; 2010 წლის 24 აპრილს დაბადებულ ნ.ს (პ/ნ .....) მშობლების შეერთებული გვარი „კ-დ.“ მიეკუთვნა.

10.1. სააპელაციო სასამართლომ მცირეწლოვანთან ჩატარებული ფსიქოლოგიური კვლევის შედეგად, მიუთითა, რომ ბავშვი ძლიერ ემოციურ მიჯაჭვულობას განიცდის დედის მიმართ, ხოლო მამის მიმართ კი, გაუცხოვებულია, მას არ სურს მამასთან ურთიერთობა და არ მოსწონს მის მიერ მოტანილი საჩუქრები. პალატის დასკვნებით, მოპასუხე კარგად უფლის შვილს. ბავშვის მამასთან გაუცხოვების მიზეზია დედის უარყოფითი დამოკიდებულება მამის მიმართ. ბავშვი დედის ზეგავლენის ქვეშაა;

10.2. სააპელაციო პალატამ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის რეკომენდაციაზე მიუთითა, რომელმაც განმარტა, რომ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით მიზანშეწონილი იყო მცირეწლოვანს მინიჭებოდა ორივე მშობლის (ორმაგი) გვარი, რადგან მამის გვარის მინიჭება ფსი-

ქოლოგის რეკომენდაციით, ბავშვის მამასთან ურთიერთობის აღდგენის ერთ-ერთი ფაქტორი იყო, ყურადსაღები იყო ის გარემოებებიც, რომ საქართველოში ბავშვისთვის მამის გვარის მინიჭება ტრადიციული მიდგომაა და რომ ბავშვს სკოლაში დედის გვარით იცნობენ.

10.3. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით გვარის შეცვლა დასაშვებად უნდა მიჩნეულიყო მაშინაც, როცა მამობის აღიარება მოხდა სასამართლოს გადაწყვეტილებით და მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ;

10.4. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოცემული მსჯელობა, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, მამასთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბება აუცილებელი იყო ბავშვის უპირატესი ინტერესების უზრუნველსაყოფად და მისთვის მამის გვარის მინიჭება მამასთან ურთიერთობის აღდგენის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენდა, თუმცა, პალატის განმარტებით, მნიშვნელოვანი იყო, რომ ამჟამად მცირეწლოვანისთვის მშვიდი და კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა მიღწეული ვერ იქნებოდა ბავშვისათვის მხოლოდ მამის გვარის მინიჭებით. ამ მხრივ პალატამ მხარეთა ახლანა-განმარტებების მოშველიებით ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე არასრულწლოვანი შევიდა სკოლაში და ამდენად, იგი რეგისტრირებული და თანაკლასელებს შორის ცნობილი იყო დედის გვარით. შესაბამისად, პალატამ დაასკვნა, რომ კონკრეტულ ეტაპზე გვარის შეცვლა და ბავშვისთვის მხოლოდ მამის გვარის მინიჭება ვერ განიხილებოდა მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამის გადაწყვეტილებად და მიუთითა, რომ ბავშვისთვის დედისა და მამის შეერთებული გვარის მინიჭება საუკეთესო გადაწყვეტილება იყო ბავშვის ინტერესების დაცვის კუთხით.

11. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფის მოთხოვნით, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

11.1. უსაფუძვლოა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობა, რომ მცირეწლოვანისთვის მამის გვარის მინიჭება ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ამგვარი დასკვნა განპირობებულია ქართული ტრადიციების გავლენით, რომ ბავშვს აუცილებლად მამის გვარი უნდა ჰქონდეს;

11.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლებრივად დაუსაბუთებელია იმ ნაწილში, რომელიც აღწერს ბავშვის ინტერესების უპირატესობას, ვინაიდან სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა მცირეწლოვანთან მიმართებით არა კონკრეტული, არამედ ზოგადი და თეორიულია;

11.3. სოციალური სამსახურის პოზიცია ბავშვისთვის ორივე მშობლის გვარის მიკუთვნებაზე პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვეთილი არ ყოფილა;

11.4. მამის გვარის მიკუთვნება არ არის ბავშვის მამასთან დაახლოების გადამწყვეტი ფაქტორი;

11.5. გვარის შეცვლამ მცირეწლოვანზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს, გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვი უკვე 6 წლისაა, ამასთან იგი მამის მხრიდან დედასთან დაუსრულებელი კონფლიქტებითაა დათრგუნული; საქმეში წარმოდგენილია არაერთი შემაკავებელი ორდერი, რომელიც მოსარჩელის მხრიდან მოპასუხეზე ძალადობის დასტურია;

11.6. სარჩელში მითითებული გარემოებები არ მოიცავს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, მოსარჩელემ ვერც სასამართლო სხდომებზე შეძლო დაემტკიცებინა, თუ რაში მდგომარეობდა ბავშვისთვის მამის გვარის მიკუთვნების ინტერესი;

11.7. სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ სსკ-ის 1196-ე მუხლის მეორე ნაწილი. აღნიშნული მუხლი არანაირ ბუნდოვან დასკვნას არ შეიცავს, იგი ცალსახად მიუთითებს იმ მშობლის უფლებაზე, რომელთანაც განქორწინების შემდეგ ბავშვი დარჩა საცხოვრებლად, ამასთან, ხაზგასმულია არასრულწლოვნის ინტერესიც. ამდენად, ვინაიდან, ბავშვი საცხოვრებლად არ დარჩენილა იმ მშობელთან, რომელიც მისთვის თავის გვარის მიკუთვნებას მოითხოვს, არამედ ცხოვრობს იმ მშობელთან, რომლის გვარიც აქვს, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის განჩინებით, საკასაციო საჩივარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ-ის) 391-ე მუხლის საფუძველზე, ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი უარყოფილ იქნეს.

13. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპე-



ლაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, კასატორების პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და ასევე არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, გასაზიარებელია.

14. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კერძო ხასიათის ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების პროცესში კონკრეტული სამართლის ნორმების საფუძველზე ამ ურთიერთობის მონაწილეების აღჭურვა განსაზღვრული სუბიექტური უფლებებითა და მოვალეობებით, განაპირობებს შემდგომში მათ ქცევას არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. სამართლის ნორმა (ნორმები) პირს უნდა ანიჭებდეს უფლებას, მოსთხოვოს ვალდებულ პირს შეასრულოს სამართლებრივად განპირობებული აუცილებელი მოქმედება ან თავი შეიკავოს მისგან {სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილი}. აქედან გამომდინარე, მოთხოვნა ყოველთვის წარუმატებელი იქნება, თუ არ არსებობს კანონის ნორმა, საიდანაც გამომდინარეობს ის სამართლებრივი შედეგი, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს. განსახილველ შემთხვევაში, ბავშვისთვის მამის გვარის მიკუთვნების მოთხოვნას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი. არც სსკ-ის 1195-ე {შვილის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით. თუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, შვილს მიეკუთვნება დედის ან მამის გვარი, ან შეერთებული გვარი მშობლების შეთანხმებით} და არც 1196-ე მუხლის მეორე ნაწილი {მშობლებს, რომლებთანაც არასრულწლოვანი შვილი საცხოვრებლად დარჩა ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ, უფლება აქვთ, შვილის ინტერესების შესაბამისად, მიმართონ სასამართლოს შვილისათვის თავიანთი გვარის მიკუთვნების შესახებ. თუ ბავშვი ათ წელზე მეტი ხნისაა, გვარის შეცვლისათვის საჭიროა მისი თანხმობაც} მოსარჩელეს არ ანიჭებს ბავშვისათვის საკუთარი გვარის მიკუთვნების მოთხოვნის უფლებას.

15. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეები ცხოვრობენ ცალცალკე. არასრულწლოვანი დაბადებიდან, 2010 წლის 24 აპრილიდან, ცხოვრობს დედასთან, რომელსაც მამასთან ურთიერთობა 2015 წლამდე არ ჰქონია. ასევე, დადგენილია, რომ ბავშვს განსაკუთრებული მიჯაჭვულობა აქვს დედას-

თან, ხოლო მამის მიმართ გაუცხოვებულა. სსკ-ის 1196-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, შვილისათვის თავისი გვარის მიკუთვნების მოთხოვნის უფლება აქვს იმ მშობელს, რომელთანაც ბავშვი საცხოვრებლად დარჩა, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის უპირატესი ინტერესი. ბავშვის ინტერესებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ასევე, ბავშვთა უფლებათა კონვენციის დებულებებიც, რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედებათა განხორციელებისას მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირატესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. ამავე კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ პატივი სცენ ბავშვის უფლებას, შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა, მოქალაქეობის, სახელისა და ოჯახური კავშირების ჩათვლით, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით და არ დაუშვან ამაში კანონსა-ნინაალმდეგო ჩარევა.

16. ადამიანის უფლებათა კომიტეტის №17 ზოგადი კომენტარის თანახმად, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის უფლება გვარის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა საბერძნეთის მიმართ გამოთქმულ თავის რეკომენდაციაში, მიუთითა, რომ ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დარეგისტრირდეს და გამოიყენოს მისი სრული სახელი და გვარი, რომელსაც თავად, მშობლები ან კანონიერი წარმომადგენლები აირჩევენ. მიუხედავად იმისა, რომ, უმთავრეს შემთხვევაში, მშობლები წყვეტენ ბავშვის გვართან დაკავშირებულ საკითხს, კონვენცია არ უშვებს იმას, რომ აღნიშნული უფლება მშობლის აბსოლუტური პრეროგატივაა. ეროვნულ კანონმდებლობას უნდა ჰქონდეს სათანადო მექანიზმები, რათა თავიდან აიცილონ ბავშვის ისეთი გვარით რეგისტრაცია, რომელმაც მისი დაცინვა, დისკრიმინაცია ან სხვა ცუდი შედეგი შეიძლება გამოიწვიოს (იხ. [www.unicef.org/publications/files/Implementation\\_Handbook\\_for\\_the\\_Convention\\_on\\_the\\_Rights\\_of\\_Child\\_Part\\_1\\_of\\_3.pdf](http://www.unicef.org/publications/files/Implementation_Handbook_for_the_Convention_on_the_Rights_of_Child_Part_1_of_3.pdf)).

17. საკასაციო პალატა განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები გააჩნიათ (სსკ-ის 1197-ე მუხლი), არასრულწლოვნისთვის მამის გვარის მიკუთვნება იმ პირობებში, როდესაც ბავშვი დაბადები-

დან დედასთან ცხოვრობს, ხოლო მამასთან ერთი დღეც არ უცხოვრია, არ გამომდინარეობს კანონის მიზნებიდან და არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეროვნული კანონმდებლობა ბავშვის გვარის შეცვლის შესახებ სარჩელის აღძვრის დისკრეციას ანიჭებს მხოლოდ იმ მშობელს, რომელთანაც იმყოფება ბავშვი საცხოვრებლად. ამასთან, ასეთი სარჩელი დაკმაყოფილებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვარის შეცვლა ბავშვის უპირატეს ინტერესებს შეესაბამება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების განმაპირობებელი არცერთი ნინაპირობა; სახელდობრ, ბავშვი არ ცხოვრობს მოსარჩელესთან და მეორე, ბავშვისთვის მამის გვარის მიკუთვნება არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს, რადგან, ბავშვს გათავისებული აქვს თავისი სახელი და გვარი (ბავშვს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს, სსკ-ის მე-17 მუხლი), რომელიც მისი პიროვნული იდენტიფიკაციის საშუალებაა. ბავშვს გვარით – კ-თი იცნობენ სკოლაში, როგორც მასწავლებლები, ასევე თანაკლასელები, მას გაუცხოვება გააჩნია მამასთან და შესაბამისად, ამ უკანასკნელის გვართანაც. მისთვის მამის გვარის მიკუთვნება, პალატის მოსაზრებით, არ წარმოადგენს მამასთან ურთიერთობის აღდგენისთვის განმსაზღვრელ ფაქტორს. ამდენად, სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ ბავშვისთვის მამის გვარის მინიჭება, მამასთან ურთიერთობის აღდგენის ერთ-ერთი ფაქტორია, არ ქმნის საკმარის და კანონით გათვალისწინებულ საფუძველს ბავშვისთვის მამის გვარის მიკუთვნებისთვის.

18. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ტრადიციული მიდგომა ბავშვისთვის მამის გვარის მინიჭების შესახებ, მოცემულ შემთხვევაში, ვერ იქნება სამართლებრივად მნიშვნელოვანი, გამომდინარე იქიდან, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ბავშვის უპირატესი ინტერესი ზემოაღნიშნული მსჯელობის თანახმად, თანხვედრაში არ არის არსებულ ტრადიციებთან, რის გამოც, უპირატესობა ბავშვის ინტერესების უპირატეს დაცვას უნდა მიენიჭოს {„სსკ-ის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით}. ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონისმიერი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების მიზანს ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს

არასრულწლოვანი ბავშვის უპირატესი ინტერესის დაცვა. თავის მხრივ, არასრულწლოვანის „უპირატესი ინტერესი“ („main interest“) – მიიღოს მშობლებისაგან ის სამართლებრივი სიკეთე, რაც აუცილებელია მისი საზოგადოებაში ღირსეულ წევრად ჩამოყალიბებისათვის, უპირისპირდება მშობლის უფლებას – იწოდებოდეს და იურიდიულად იყოს მითითებული ბავშვის მამად. არასრულწლოვანი ბავშვის ამ ლეგიტიმური ინტერესის დაცვას ეძღვნება ეროვნული კანონმდებლობის – სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა, ბავშვის ეს უფლება გარანტირებულია ასევე უნივერსალური საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით, რომლებიც სახელმწიფო მხრიდან აწესებენ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას უზრუნველყოს ბავშვის ამგვარი ინტერესის დაცულობა. აღნიშნული მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან არა მხოლოდ ნეგატიური ჩარევის დაუშვებლობას (რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ არ უნდა დაარღვიოს არასრულწლოვანისათვის კანონით მინიჭებული უფლებები), არამედ აწესებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასაც – განახორციელოს აქტიური მოქმედებები არასრულწლოვანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დაცვისათვის, კერძოდ, შეიმუშავოს არასრულწლოვანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად საკანონმდებლო რეგულაციები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თავის მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც „სახელმწიფოს სახელით“ გამოტანილი სამართლებრივი დოკუმენტია და შეეხება არასრულწლოვანის ინტერესებს, არის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების ყველაზე ნათელი მაგალითი“ (შდრ. სუსგ №ას-307-294-2015, 3.06.2015 წელი)

19. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს, სარჩელის დაკმაყოფილების კანონისმიერი საფუძვლები, რის გამოც, მას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე. ამასთან, პალატა დამატებით მიუთითებს, რომ ბავშვი სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, სურვილის შემთხვევაში, უფლებამოსილია, შეიცვალოს გვარი და გადავიდეს მამის გვარზე.

20. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად არ შეაფასა, რამაც გა-

ნაპირობა საქმეზე არასწორი გადანყვეტილების მიღება.

21. სსსკ-ის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ორივე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408.3 და 411-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ე. კ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 27 დეკემბრის გადანყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება;
3. ზ. დ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მხარეები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;
5. გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ

### შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა

#### განჩინება

№ას-1112-1047-2015

4 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თავდაპირველ სარჩელში – შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, შეგებებულ სარჩელში – განქორწინება

#### აღწერილობითი ნაწილი:

##### 1. სასარჩელო/შეგებებული სარჩელის მოთხოვნა:

1.1. ი. ფ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ბ-ის მიმართ არასრულწლოვანი შვილების: ა. და ნ. ბ-ების საცხოვრებლად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის მოთხოვნით. მოსარჩელის განმარტებით, იგი იძულებული გახდა, დაეტოვებინა მეუღლის საცხოვრებელი ადგილი და დაბრუნებულიყო მშობლებთან. უფროსი შვილი ირიცხება სამტრედიის №3 საშუალოს სკოლაში, ხოლო უმცროსი, მეუღლეთა ერთად ცხოვრებისას დადიოდა საბავშვო ბაღში. მოპასუხე დასაქმებულია და ვერ ახერხებს შვილების მიმართ სათანადო მზრუნველობას, ისინი იზრდებიან მესამე პირებთან, რომლებიც ვერ უწევენ იმგვარ მზრუნველობას, როგორც ბიოლოგიური მშობელი.

1.2. მ. ბ-ემ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს ი. ფ-ას მიმართ 2003 წლის 18 თებერვალს რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტის (განქორწინების) მოთხოვნით იმ საფუძველით, რომ ცოლქმრული ერთგულების დარღვევის გამო, მათი თანაცხოვრება შეუძლებელია, შესაბამისად, შესარიგებელი ვადის დანიშვნაც არ არის მიზანშეწონილი.

##### 2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. მ. ბ-ემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მის ოჯახში არის შვილების აღსაზრდელად კეთილსაიმედო გარემო, როგორც მორალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით, იგი ლა-

მის საათებში არ არის დაკავებული და მზრუნველობას იჩენს შვილების მიმართ, რაც შეეხებათ მის დებს, ისინი მხოლოდ ეხმარებიან შვილების აღზდაში.

2.2. ი. ფ-ამ შეგებებული სარჩელი ცნო.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით ი. ფ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 2010 წლის 24 იანვარს დაბადებულ ნ. ბ-ის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო 2003 წლის 29 ნოემბერს დაბადებული ა. ბ-ის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. მ. ბ-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, მხარეთა შორის 2003 წლის 18 ნოემბერს სამტრედიის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების მიერ რეგისტრირებული (სააქტო ჩანაწერის №0... (1...)) ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-ემ, მოითხოვა ნ. ბ-ის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით არასრულწლოვნის საცხოვრებლად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა.

### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

5.1. გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. სადავო გარემოებებთან (არასრულწლოვანი ნ. ბ-ის საცხოვრებლის განსაზღვრა) მიმართებით პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2003 წლის 18 ნოემბრიდან ი. ფ-ა და მ. ბ-ე იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში.

5.1.2. თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი: 2003 წლის 29 ნოემბერს – ა. ბ-ე, ხოლო 2010 წლის 24 იანვარს – ნ. ბ-ე.

5.1.3. 2014 წლის ნოემბრიდან მხარეები ცხოვრობენ ცალცალკე. არასრულწლოვანი შვილები კი მამასთან ქ. სამტრედიის, თ.კ-ის ქუჩა №...-ში, ხოლო ბავშვების დედა, მ. ბ-ის მოთხოვნის საფუძველზე, ამჟამად საკუთარი მშობლების სახლში – აბაშის რაიონის სოფელ გ-ში ცხოვრობს.

5.1.4. პალატამ მიუთითა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე და აღნიშნა, რომ მ. ბ-ე მუშაობს სს „ს-ის“ დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოში ლანჩხუთის ცენტრის უფროსად, მისი მუშაობის გრაფიკი არის 5-დღიანი, 8-საათიანი. მუშაობის პერიოდში ა. და ნ. ბ-ეებზე მონაცვლეობით მზრუნველობენ მ. ბ-ის დები, მამიდები: მ. და მ. ბ-ეები.

5.1.5. მამის ოჯახის საცხოვრებელი წარმოადგენს ორსართულიან კეთილმოწყობილ კაპიტალურ შენობას, სადაც ბავშვების ცხოვრებისა და განვითარებისათვის შექმნილია დაცული, უსაფრთხო და კეთილსაიმედო გარემო. მისი ოჯახის შემოსავალი სტაბილურია, რასაც, ძირითადად, წარმოადგენს თვით მ. ბ-ის ხელფასი, რომელიც შეადგენს თვეში 1 200 ლარს. ოჯახში იკვეთება დამაკმაყოფილებელი ეკონომიკური და ყოფითი პირობები. მ. ბ-ის ოჯახს მეზობლები და ახლობლები ახასიათებენ დადებითად. ბავშვებთან მიმართებაში იგი არის მზრუნველი და კარგი მამა.

5.1.6. ი. ფ-ას საცხოვრებელს წარმოადგენს ორსართულიანი სახლი, რომელიც საჭიროებს რემონტს, ამჟამად, საცხოვრებლად ვარგისია ერთი ოთახი, სადაც შესაძლებელია იცხოვროს დედა-შვილმა, თუმცა სამომავლოდ ოჯახი გეგმავს სახლის დანარჩენი ნაწილის კეთილმოწყობას. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვით ოჯახის შემოსავალი საშუალოდ შეადგენს თვეში 700 ლარს.

5.1.7. პალატამ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ სოციალური მომსახურების სააგენტოს სამტრედიის რაიონული განყოფილების 2014 წლის 16 დეკემბრის, ამავე სააგენტოს აბაშის რაიონული განყოფილების 2014 წლის 17 დეკემბრის დასკვნებზე, ასევე, ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგებზე და დადგენილად მიიჩნია, რომ ბავშვის ორივე მშობელს შესწევთ უნარი, არასრულწლოვან ნ. ბ-ეს შეუქმნან ნორმალური პირობები აღზრდა-განვითარებისთვის, თუმცა, ბავშვის ასაკის, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ქეშმარიტი, უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ ნ. ბ-ის საცხოვრებლად კანონშესაბამისად განსაზღვრულიყო დედის საცხოვრებელი ადგილი.

5.1.8. პალატამ მიუთითა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მ. ბ-ის მიერ მიცემულ განმარტებაზე, რომლის თანახმადაც, მას ჰყავს დები, რომლებიც რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ცხოვრობენ მისგან და ისინი მორიგეობით მზრუნველობენ ბავშვებზე. იმ დროის განმავლობაში, როცა ის სამსა-



ხურშია. სასამართლოს განმარტებით, ის არ ხდის სადავოდ მიმდების მხრიდან ბავშვებზე მზრუნველობის ფაქტს, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ნ. ბ-ე არის მცირეწლოვანი, ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემების მქონე ბავშვი, გაზიარებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც პრიორიტეტი ნ. ბ-ის დედასთან ყოფნას მიანიჭა, ვინაიდან ნ. ბ-ის საზოგადოების სრულფასოვან ნევრად ჩამოყალიბებისათვის უმნიშვნელოვანესია დედასთან მჭიდრო ურთიერთობაში ყოფნა. რაც შეეხებოდა აპელანტის მითითებას იმის თაობაზე, რომ დებს აქვთ მჭიდრო ურთიერთობა ერთმანეთთან და მიზანშეუწონელი იყო მათი დაშორება, პალატამ ეს გარემოება სადავოდ არ მიიჩნია, დაადასტურა, რომ დედამიშვილებს შორის სიახლოვე და მჭიდრო კავშირი, მართლაც დიდი სიკეთეა, მაგრამ, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესიდან გამომდინარე, არჩევანი უნდა გაკეთებულიყო მცირეწლოვნის დედასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრებაზე.

5.1.9. დადგენილი გარემოებების სამართლებრივად შეფასებისას სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებით, „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-3, მე-5, მე-16 მუხლებით, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე, 1198-ე, 1199-ე, 1201-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ ფსიქოლოგი, ჩატარებული კვლევების შედეგად, იძლეოდა რჩევას იმის შესახებ, რომ „ნ-ს ასაკისა და განვითარებაში არსებული პრობლემების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დედასთან მჭიდრო ემოციური და ფიზიკური კავშირის შენარჩუნება“. ამდენად, ნ. ბ-ის უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. ფ-ას სარჩელი ამ ნაწილში კანონშესაბამისად იქნა დაკმაყოფილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

## **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და არასრულწლოვანი ნ. ბ-ის საცხოვრებლად მისი ამჟამინდელი (მამის საცხოვრებელი ადგილი) საცხოვრებლის განსაზღვრა.

### **6.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:**

6.1.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საერთაშორისო სამართლის ნორმები, არ გაითვალისწინა ის, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს ორივე განყოფილების მიერ გამოყენებულ იქნა „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-9 მუხლი, მაგრამ სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საა-

გენტოების მიერ შედგენილ დასკვნებსა და მათ განმარტებებს სასამართლო სხდომაზე, სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა ის, რომ ორივე სამსახურმა მხარი დაუჭირა ბავშვების საცხოვრებლად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას.

6.1.2. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-3 მუხლი, არ გაითვალისწინა ამ ნორმის თაობაზე ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ 2013 წელს გაკეთებული ზოგადი (№14) კომენტარი. ამ თვალსაზრისით არ შეუფასებია ნ. ბ-ის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის საკითხი და ის, თუ დედის საცხოვრებლის მიხედვით მისი საცხოვრებლის განსაზღვრით რა სულიერი და ფსიქოლოგიური ტრავმა შეიძლება მიადგეს ბავშვს. მართალია, როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოს, ისე ფსიქოლოგის დასკვნაში, საუბარია დედა-შვილის მიჯაჭვულობაზე, თუმცა, პალატას არ შეუფასებია მამა-შვილისა და დების მიჯაჭვულობის საკითხი. გასათვალისწინებელია, რომ ნ. ბ-ე უკვე ერთი წელია ცხოვრობს მამისა და დის გარემოში დედის გარეშე და ამ გარემოს შეცვლამ შესაძლოა მას ზიანი მოუტანოს. სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის საპირისპიროდ, სასამართლომ არასწორად არ მიანიჭა უპირატესობა მამის საცხოვრებელს და სრულიად გაუმართლებლად „გაყო“ ბავშვები. ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს დედამამიშვილების დაშორების საკითხი, რადგანაც, მოცემულ შემთხვევაში, ამ გამონაკლისის დაშვების საფუძველი არ არსებობდა.

6.1.3. ზემოხსენებული საფუძვლებიდან გამომდინარე, კასატორმა სადავოდ გახადა მტკიცებულებათა შეფასების საკითხი, კერძოდ, მისი მოსაზრებით, პალატამ, მსგავსად პირველი ინსტანციის სასამართლოსი, არასწორად შეაფასა სოციალური მომსახურების სააგენტოს დასკვნები, არ იმსჯელა სოციალური მუშაკების განმარტებებზე, რომლებმაც ერთხმად დაუჭირეს მხარი ბავშვების საცხოვრებლად მამის საცხოვრებლის განსაზღვრას. პალატამ არ შეაფასა ის გარემოება, რომ დედის საცხოვრებელ ადგილას მხოლოდ ერთი ოთახია ვარგისი და შეუძლებელია ამ ოთახით მხოლოდ ი. ფ-ასა და შვილის მიერ სარგებლობა, ასევე ის, რომ მოწინააღმდეგე მხარეს არ გააჩნია ალტერნატიული საცხოვრებელი. გარდა აღნიშნულისა, არასწორად შეფასდა ფსიქოლოგის დასკვნა, რომელიც ნ. ბ-ეს ორჯერ შეხვდა და რამდენიმეწუთიანი გასაუბრება შედგა, შესაბამისად, შეუძლებელია დავასკვნათ, რომ ბავშვს აქვს ჯანმრთელობის პრობლემა. თავად ფსიქოლოგი უთითებს, რომ საჭიროა ღრმა კვლევა, ამასთანავე, გაცემული დასკვნა სარეკომენდაციო ხა-

სიათისაა. გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ ფსიქოლოგის მეორე რეკომენდაცია არ გაითვალისწინა, რომელიც დების ურთიერთობას შეეხებოდა და საუბარია მათი დაშორების შემთხვევაში, გამოუნორებელ შედეგამდე მისვლაზე. სააპელაციო სასამართლომ გაურკვევლად დაუკავშირა ი. ფ-ას ამჟამინდელი საცხოვრებელი კასატორის მოთხოვნას, რადგანაც მშობლების სახლში დაბრუნება მოწინააღმდეგე მხარის სურვილი იყო, ამასთანავე, არ შეფასებულა დროებითი განკარგულება, კერძოდ, ის, რომ დედას ნ. ბ-ე პარასკევიდან კვირის ჩათვლით ჰყავს, ამ მხრივ, მცირეწლოვნის საცხოვრებლად კვლავ მამის საცხოვრებელი ადგილი რჩება და ამ დროებით განკარგულებას გაურკვეველია, რა შედეგები მოჰყვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ მოისმინა მხარეთა განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სასამართლებრივი დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს მცირეწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის კანონიერება წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების შეფასებებსა და დასკვნებს იმის შესახებ, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ნ. ბ-ის საცხოვრებლად განისაზღვროს დედის საცხოვრებელი ადგილი და პრეტენზიას აცხადებს, როგორც მატერიალური სამართლის ნორმების არასწორ განმარტებაზე, ისე საპროცესო წესების დარღვევაზე.

1.2. საკასაციო პრეტენზიების დასაბუთებულების შემოწმებამდე, პალატა ყურადღებას გაამახვილებს განსახილველი კატეგორიის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოსათვის სახელმძღვანელო რამდენიმე საკითხზე:

1.2.1. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრა-

ტიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინდადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავადვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრვენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამოწვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად, გამოყენებულ უნდა იქნას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“.

1.2.2. მითითებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონეს იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით (სკ-ის 1198.1 მუხლი). მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სკ-ის 1199-ე მუხლი). მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნა და ამ კუთხით მისა-

ლები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმისი უალტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირეწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში.

1.2.3. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის საპროცესო რეალიზაციის ნესზეც. სამოქალაქო სამართალწარმოებით განსახილველ სხვა კატეგორიის საქმეთაგან განსხვავებით, საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვა ინკვიზიციური ელემენტებითაა გაჯერებული და საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლით კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს საქმის გარემოების დადგენას სასამართლოს ინიციატივითაც. ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. მითითებული საპროცესო წესის გამოყენება სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე მით უფრო გამართლებულია, რამდენადაც სააპელაციო სასამართლო, როგორც სამართალწარმოების მეორე ინსტანცია, დავის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლოა და ამავე კოდექსის 380-ე მუხლით მას ახალ მტკიცებულებათა მიღების შესაძლებლობაც გააჩნია. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, როდესაც საკითხი სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სასამართლოს პოზიტიურ ვალდებულებას შეეხება, სასამართლომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ზედმინევნით სწორად დაადგინოს არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესები. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას (ბავშვის უფლებათა კონვენციის 3.1 მუხლი). ბავშვი არ უნდა გამოირდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განშორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. მონაწილე სა-

ხელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება (ამავე კონვენციის 9.1. და 9.3. მუხლები).

1.3. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ:

1.3.1. 2003 წლის 18 ნოემბრიდან ი. ფ-ა და მ. ბ-ე იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში.

1.3.2. თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი: 2003 წლის 29 ნოემბერს – ა. ბ-ე და 2010 წლის 24 იანვარს – ნ. ბ-ე.

1.3.3. 2014 წლის ნოემბრიდან მხარეები ცხოვრობენ ცალ-ცალკე. არასრულწლოვანი შვილები – მამასთან ქ. სამტრედიასში, ... ქუჩა №...-ში, ხოლო ბავშვების დედა, მ. ბ-ის მოთხოვნის საფუძველზე, ამჟამად საკუთარი მშობლების სახლში – აბაშის რაიონის სოფელ გ-ში.

1.3.4. მ. ბ-ე მუშაობს სს „ს-ის“ დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოში ლანჩხუთის ცენტრის უფროსად, მისი მუშაობის გრაფიკი არის 5-დღიანი, 8-საათიანი. მუშაობის პერიოდში ა. და ნ. ბ-ეებზე მონაცვლეობით მზრუნველობენ მ. ბ-ის დები, მამიდები: მ. და მ. ბ-ეები.

1.3.5. მამის ოჯახის საცხოვრებელი წარმოადგენს ორსართულიან კეთილმოწყობილ კაპიტალურ შენობას, სადაც ბავშვების ცხოვრებისა და განვითარებისათვის შექმნილია დაცული, უსაფრთხო და კეთილსაიმედო გარემო. მისი ოჯახის შემოსავალი სტაბილურია, რასაც, ძირითადად, წარმოადგენს თვით მ. ბ-ის ხელფასი, რომელიც შეადგენს თვეში 1 200 ლარს. ოჯახში იკვეთება დამაკმაყოფილებელი ეკონომიკური და ყოფითი პირობები. მ. ბ-ის ოჯახს მეზობლები და ახლობლები ახასიათებენ დადებითად. ბავშვებთან მიმართებაში იგი არის მზრუნველი და კარგი მამა.

1.3.6. ი. ფ-ას საცხოვრებელს წარმოადგენს ორსართულიანი სახლი, რომელიც საჭიროებს რემონტს, ამჟამად, საცხოვრებლად ვარგისია ერთი ოთახი, სადაც შესაძლებელია იცხოვროს დედა-შვილმა, თუმცა სამომავლოდ ოჯახი გეგმავს სახლის დანარჩენი ნაწილის კეთილმოწყობას. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვით ოჯახის შემოსავალი საშუალოდ შეადგენს თვეში 700 ლარს.

1.3.7. ნ. ბ-ე არის მცირეწლოვანი, ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემების მქონე ბავშვი.

1.4. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2

ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.5. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოუკვლევიდა საქმის მასალები, უფრო მეტიც, საკითხის გადანყვეტისას შემოიფარგლა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის კანონიერების შემონახვით იმგვარად, რომ არ შეუფასებია დავის დაწყებიდან სააპელაციო განხილვის ეტაპამდე ხომ არ არსებობდა რაიმე ფსიქო-ემოციური ცვლილებები არასრულწლოვანთა მშობლებისადმი დამოკიდებულებაში და სხვა. მაგალითად, დების ურთიერთობის საკითხის განსაზღვრისას სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ იმ დასაბუთებით, რომ დედამამიშვილებს შორის სიახლოვე და მჭიდრო კავშირი მართლაც დიდი სიკეთეა, მაგრამ, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესიდან გამომდინარე, არჩევანი უნდა გაკეთებულიყო მცირეწლოვნის დედასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრებაზე. მითითებული დასკვნის მართებულობის შემონახვამდე, საკასაციო პალატა ყურადღებას იმ გარემოებას მიაპყრობს, რომ რაიონული სასამართლოს გადანყვეტილება ა. ბ-ის საცხოვრებლად მამის საცხოვრებლის განსაზღვრის თაობაზე ი. ფ-ას არ გაუსაჩივრებია, ამ ნაწილში გადანყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში (სსსკ-ის 264.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი) და იგი შემდგომი მსჯელობის საგანი ვეღარ გახდება, თუმცა დავის თავისებურების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საკითხი შეფასდეს არა ცალმხრივად, არამედ ყოველმხრივ, როგორც არასრულწლოვანი დედამამიშვილების ურთიერთობის, ისე, თოთოეული მშობლის ბავშვთან ურთიერთობის რეალური შესაძლებლობის გათვალისწინებით, რათა მიღწეულ იქნას დასახული მიზანი, რაც გულისხმობს ოჯახთან გაერთიანებასა და არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით იჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებ-

ბის რეალიზაციას. პალატის მოსაზრებით, როდესაც საქმე არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასა და ცალცალკე მცხოვრებ მშობლებთან ურთიერთობის მონესრიგებას ეხება, განსაკუთრებული სიფრთხილით შეფასებას მოითხოვს არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე პირებისა თუ შესაბამისი სპეციალისტების (ფსიქოლოგი) მიერ გაკეთებული დასკვნები. ამ კონტექსტში სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საქმის მასალებზე, კერძოდ, სოციალური მომსახურების სააგენტოს სამტრედიის რაიონული განყოფილების 2014 წლის 15 დეკემბრის დასკვნის თანახმად, მართალია ა. და ნ. ბ-ების მიმართ მამის ოჯახში მზრუნველობა სრულფასოვნად ხორციელდება, თუმცა, მამის არყოფნის შემთხვევაში, ამ ვალდებულებას ასრულებენ არასრულწლოვანთა მამიდები, დებს განსაკუთრებული მიჯაჭვულობა აქვთ ერთმანეთის მიმართ. ამავე სამსახურის აბაშის რაიონული განყოფილების სოციალური მუშაკის მიერ მომზადებული დასკვნის თანახმად, ა. და ნ. ბ-ების სრულფასოვანი აღზრდა-განვითარებისათვის აუცილებელია ბავშვებს ჰქონდეთ ურთიერთობა ორივე მშობელთან. მშობლებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ბავშვების აღზრდაში. სსიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბალებისა და ბაგა-ბალების) გაერთიანების ფსიქოლოგისა და ამავე დაწესებულების დირექტორის დასკვნის თანახმად, მეუღლეთა განქორწინების ნეგატიური შედეგების გამოხატულებათა პატარა ნ. შემთხვევა – იგი თავს არიდებს პირდაპირ გამოხედვას, მისი სახე არ გამოხატავს ემოციებს, რეალურ სიტუაციაში დაძაბულია, ვერ ავლენს საკუთარ შესაძლებლობებს, თავშეკავებულია. სტრესულ სიტუაციას უკავშირებს დასკვნა ბავშვის შესაძლო აგრესიულ ქმედებებს. ოთხი წლის ასაკში მშობლების დაცილებით გამოწვეულ ტრავმას უკავშირდება მცირეწლოვნის შემდეგი სიმპტომატიკა: უსუსურობა, უმწეობა, პასიურობა, უსაგნო შიში, ე.წ „დამუნჯება“. დასკვნის ავტორთა რეკომენდაციით, უმჯობესია უმცროსი შვილის ცხოვრება დედის გვერდით. განსაკუთრებით შემაფოთებელია ფსიქოლოგ ლ. ც-ის დასკვნა და სასამართლო სხდომაზე მიცემული განმარტებები. ფსიქოლოგიური კვლევის შედეგების თანახმად, მეთოდით – ქცევაზე დაკვირვება გამოკვლევის პროცესში გამოვლინდა ა-ს ძნელად შესვლა კონტაქტში, კომუნიკაციის გაძნელება, არავერბალური გამოხატულება პასუხებისა დასმულ კითხვებზე. დედ-მამის თაობაზე დასმული კითხვისას ა. ჩერდებოდა, გამომეტყველება და სხეული უძრავი უხდებოდა, ამკარად იკვეთებოდა შფოთვის ნიშნები, ერთ-



ერთ კითხვაზე, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, თვალბეჭე ცრემლები ჩამოსცვივდა. ფსიქოლოგის შეფასებით, ა-სათვის იმდენად მძიმეა მშობლების გაყრა, რომ ამ თემაზე საუბრისაგან თავს დუმილით იცავს. გამოკვლევისას „დაუსრულებელი წინადადებები“ ა-მ შეასრულა ყველა დავალება, რაც პირადად უკავშირდებოდა, ხოლო მშობლების მიმართ დასასრულებელი აზრის შესახებ წინადადებებს თავი შეგნებულად აარიდა, ფსიქოლოგის მითითების თანახმად, ა-ს, მშობლებს შორის არსებული დაძაბულობიდან გამომდინარე, უჭირს გაუმკლავდეს არსებულ სიტუაციას, შეიძლება მსჯელობა იმაზე, რომ, ა-ს აქვს სურვილი, მისთვის დამთრგუნველ რეალობას გაქცევის ტენდენციით დააღწიოს თავი. არსებულ ვითარებაში ბავშვს უხდება მშობლებს შორის არჩევანის გაკეთება, რაც შფოთვისა და დაძაბულობის წინაპირობაა, უკარგავს მას უსაფრთხოებისა და ჯანსაღი ოჯახური გარემოს განცდას. მას უყვარს ორივე მშობელი, თუმცა მამის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება ემოციური დაძაბულობის განმაპირობებელია. რეკომენდაციის თანახმად, ამ უსამართლობისა და დანაშაულის განცდის დასაძლევად (იგულისხმება ბავშვის დამოკიდებულება დედის მიმართ), საჭიროა, მეორე მხარე (ი. ფ-ა) ნეგატიური ხატის სახით ჩამოყალიბდეს, რაც გაამართლებს მის დამოკიდებულებას დედის მიმართ (დედა ცუდია, ამიტომ მე ის არ მინდა), დროთა განმავლობაში, როცა მას ესმის გარეშე მყოფთაგან დედის უარყოფითი შეფასებები, ბავშვის ცნობიერებაში დედისგან ყალიბდება „მტრის ხატი“ (დედა, რომელსაც ის არ უყვარს, რომელმაც მიატოვა ოჯახი და სხვა). ფსიქოლოგის დასკვნით, ეს გარემოება ცვლის დედის მიმართ შვილის დამოკიდებულებას ნეგატიური კუთხით, დაღს ასვამს ბავშვის ფსიქიკურ მდგომარეობას, უყალიბებს უნდობლობის განცდას და იწვევს ემოციური და სხვა სახის გართულებებს. „18 წლის ბავშვის შესაფასებელი ქცევების ჩამონათვალის“ თანახმად, ა-სთვის მნიშვნელოვანია ცხოვრობდეს ძალიან მშვიდ და აბსოლუტურად უსაფრთხო გარემოში. მას აკლია შინაგანი თავდაჯერებულობა და გამბედაობა, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ავტორიტეტულ პირებს, გაბედულად გამოთქვას საკუთარი აზრი და დაიცვას იგი. ა. ვერ გადადგამს ნაბიჯს, რაც ოჯახში უფროსის გაღიზიანებას გამოიწვევს. არასრულწლოვანს კონფლიქტური სიტუაციის მიმართ აქვს დაბალი შემგუებლობა, პრობლემასთან გამკლავებისათვის თავს უმწეოდ გრძნობს და ცდილობს გაერიდოს მას. გამოკვლევისას „ავტოპორტრეტი“, დადასტურდა ა-ს მყარად ყოფნის დეფიციტი, უსაფრთხოებისა და დაცულობის გაძლიერებული მოთხოვნილება. მამისა

და მამიდის მკვეთრი რეაქციისას (დედის მიერ გახსენებული მომენტი) არასრულწლოვანს ჰქონდა უსუსურობის განცდა, რაც ტირილში გამოიხატა, ამავეს მიუთითებს დედის ვიზიტი სკოლაში. ფსიქოლოგის რეკომენდაციით, პრობლემის დასაძლევად მშობლების ურთიერთობამ საჭიროა, მიიღოს კონსტრუქციული ფორმა, მათი დაშორება უნდა აიხსნას ბავშვისათვის მისაღები ფორმით. „რენე-ჟილის“ მეთოდით გამოკვლევისას ფსიქოლოგმა დაასკვნა, რომ ა-ს ძლიერი ემოციური კავშირი აქვს მამასთან, სქემატურ გამოსახულებებში ირჩევს მასთან ახლო პოზიციას ემოციური მდგომარეობის გაზიარების, მხარდაჭერისა და დახმარებისათვის. მამა მისთვის ავტორიტეტული და დასაყრდენი ფიგურაა, ა-სთვის მნიშვნელოვანია, საკუთარი საქციელით მოიპოვოს მისი მხარდაჭერა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ა. ირჩევს მამას, თავს არიდებს დედასთან კონტაქტს და ამით ცდილობს, მოიპოვოს მამის კეთილგანწყობა. მამასთან საცხოვრებლად დარჩენას ა. ასაბუთებს იმით, რომ აქ ჰყავს მეგობრები და სკოლაც ახლოსაა, რაც მისი პასიური ხასიათიდან გამომდინარე, ფსიქოლოგმა საკმარის არგუმენტად მიიჩნია, ხოლო დედის ოჯახთან ურთიერთობის შემაფერხებლად მან დაასახელა ბების დამოკიდებულება მამის მიმართ, ასევე ის, რომ დეიდა არის „სხვანაირი“. კონფლიქტურ სიტუაციასთან არასრულწლოვანის დამოკიდებულების გამო, ეს გარემოება აიხსნება, როგორც უსიამოვნო ემოცია, რომელსაც საკუთარი ძალებით ვერ უმკლავდება. რეკომენდაციის თანახმად (რომელიც შეეხება დედის ოჯახის წევრების ვიზიტს სკოლაში), ბავშვისთვის გამაღიზიანებელი ჩარევები და კითხვები დამთრგუნველია, რისგანაც ორივე მხარემ უნდა შეიკავოს თავი. დედისადმი ემოციური გაუცხოების გამო, ნახატში „ოჯახის პორტრეტი“ არ არის ი. ფ-ა. სწორედ დედას უკავშირებს ბავშვის ცუდ მოგონებებს, რაც კვლევის თანახმად, დედის სახლიდან წასვლის ფაქტის თაობაზე მამის ნეგატიური შეფასებებითაა განპირობებული. მის მიერ ხდება დედის დამნაშავედ აღიარება, რაც ბავშვის ფსიქიკაზე დამთრგუნველად მოქმედებს. მიუხედავად დედასთან ურთიერთობაში გაჩენილი პრობლემისა, ა. მასთან ურთიერთობის სურვილს გამოხატავს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დასკვნის კვლევითი ნაწილი, რომელიც შეეხება არასრულწლოვანთა ურთიერთდამოკიდებულებას. იკვეთება ბავშვებს შორის ძლიერი ემოციური მიჯაჭვულობა. ა-ს ასაკის გათვალისწინებით, მისთვის მცირეწლოვან ბავშვთან ურთიერთობა, განსხვავებული ინტერესების გამო, არც თუ ისე საინტერესო შეიძლება იყოს, მაგრამ იგი პატარაობიდანვე ზრუნავდა დაზე და ბავშვებს ერ-

თმანეთთან განსაკუთრებული პოზიტიური ურთიერთობა აკავშირებთ. რაც შეეხება მცირეწლოვანი ნ-ს მიმართ ჩატარებულ კვლევას, ფსიქოლოგის გადმოცემით, იგი ვერბალურ კომუნიკაციაში არ შედის, განვითარების პროცესში აღენიშნება ჩამორჩენა ასაკთან შედარებით, აქვს დაბალი კომუნიკაციური უნარები, მეტყველების შეფერხება, საჭიროებს ღრმა ფსიქოლოგიურ კვლევასა და შესაბამის ინტერვენციულ ღონისძიებებს. მასთან მიმართებაში არ იკვეთება რომელიმე მშობლისადმი რაიმე უპირატესობის მინიჭება, დიაგნოსტიკური თამაშისას დედა და მამა თავის თავთან ერთნაირ პოზიციაში განათავსა. მამისა და ნ-ს ურთიერთობის პროცესზე დაკვირვებისას გამოიკვეთა პოზიტიური ემოციური და ფიზიკური კავშირი, რაც გამოიხატა ორივეს მხრიდან ფიზიკური სიახლოვის, თამაშისა და ემოციის გაზიარების ამსახველ ქცევაში. ფსიქოლოგის რეკომენდაციით, არსებული პრობლემის გათვალისწინებით, ნ-ს შემთხვევაში დედასთან კონტაქტის შესუსტებამ და გარემოს ცვლილებამ შესაძლოა, არსებულ სირთულესთან ერთად წარმოშვას ემოციური ხასიათის პრობლემები.

1.6. საკასაციო სასამართლო მოხმობილი კვლევების ანალიზის შედეგად მიიჩნევა, რომ, ერთი მხრივ, ნ. და ა. ბ-ეების, ხოლო, მეორე მხრივ, ნ-სა და ი. ფ-ას მიჯაჭვულობის საკითხის შეფასებისას სასამართლოს საკმარისი კვლევა არ განუხორციელებია, კერძოდ, არ შეუსწავლია ის გარემოება, თუ რა გავლენას იქონიებს დების დაშორება, რამდენად ნეგატიურად აისახება იგი ა-ს მდგომარეობაზე. უფრო მეტიც, საქმეში არსებული დასკვნების შედგენიდან გასულია საკმაოდ დრო, გარკვეულწილად სრულდება სასამართლოს დოებითი განკარგულება, თუმცა არ არის წარმოდგენილი სპეციალისტის შესაბამისი დასკვნა, რომელიც ასახავდა და გააანალიზებდა მარტო დარჩენილი ა-ს მდგომარეობას, მის ემოციურ განცდებს, რაც მოგვცემდა შესაძლებლობას, გვემსჯელა ბავშვთა საუკეთესო ინტერესებზე. ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს რაიონული სასამართლოსათვის ფსიქოლოგის მიერ მიცემულ განმარტებებს, რომელთა თანახმადაც, დედისათვის ერთ-ერთი ბავშვის მიკუთვნებამ შეიძლება ფსიქოლოგიური პრობლემები შეუქმნას მეორეს; დედის უარყოფითად შეფასება ა-სთვის არასასურველი შედეგების გამომწვევია; ნ-ს დედასთან ურთიერთობა შეიძლება აქტიურად იქნას გამოყენებული ა-ს მიმართ, ის დასაწყისში შეიძლება მცირე დოზით ჩაერთოს დედა-შვილის ურთიერთობაში, რაც ხელს შეუწყობს ი. ფ-ასთან ა-ს ურთიერთობის აღდგენას. ფსიქოლოგი რეკომენდაციას აძლევს მშობ-

ლებს, საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა, ბავშვების მშობლებთან დამოკიდებულების ჩამოყალიბება-აღდგენისათვის არ მოხდეს მესამე პირთა ჩარევა, რაც ნეგატიური შედეგების მომტანი იქნება, ამასთანავე, გარემოსთან ადაპტაციის შედეგად მოსალოდნელი შესაძლო უარყოფითი ეფექტის გასაქარწყლებლად ფსიქოლოგი მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმას, რომ თავად გარემო არ იყოს ძალადობრივი. რეკომენდაციის თანახმად, ა-ს მამისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ფაქტია, რომელიც, მხარეთა სურვილის მიუხედავად, სავალდებულოა, რომ შეიცვალოს. განსაკუთრებით საყურადღებოა განმარტების ის ნაწილი, სადაც ფსიქოლოგი ხაზს უსვამს დების ურთიერთდამოკიდებულებას და აღნიშნავს, რომ მათი დაშორება არაა რეკომენდირებული, დედმამიშვილების დაშორებას უკიდურესი ხასიათი გააჩნია და ის მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა საჭიროდ, თუ არსებული გარემო ერთ-ერთისათვის საფრთხის შემცველია. აქვე გადმოცემულია ნ. ბ-ის კავშირის სავალდებულობა დედასთან და ის უარყოფითი რისკ-ფაქტორები, რაც ამ კავშირის შეწყვეტა-შესუსტებას მოჰყვება (იხ. 13.03.2015წ. სხდომის ოქმი).

1.7. საკასაციო სასამართლო, ბუნებრივია, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ საქმის ხელხლა განსახილველად დაბრუნების შემდგომ, მტკიცებულებათა სრული და ობიექტური შეფასების შედეგად პალატა კვლავ იმ დასკვნამდე მივიდეს, რომ ნ. ბ-ის საუკეთესო ინტერესი დედის გარემოში ცხოვრება იყოს, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, უალტერნატივოდ უნდა დადგინდეს და აისახოს გადანყვეტილებაში ნ. ბ-ის ურთიერთობის შესაძლებლობა დასთან და დედასთან, ასევე, მცირეწლოვანი შვილის ურთიერთობა მამასთან, ამ ურთიერთობის რეალური და ინტენსიური ხასიათი, რამეთუ ფსიქოლოგის განმარტებით, ბავშვების დაშორებამ შესაძლოა მათი ემოციური დაშორებაც გამოიწვიოს, რაც ნეგატიურ ფაქტორადაა შეფასებული (იხ. 13.03.2015წ. სხდომის ოქმი). ასეთ ვითარებაში, მართალია, კანონით უზრუნველყოფილია ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების უფლებები და სამოქალაქო კოდექსის 1202-ე მუხლი უკრძალავს იმ მშობელს შეზღუდოს მეორე მშობლის ურთიერთობა ბავშვთან, რომელიც მასთან ცხოვრობს, თუმცა, რეალური სურათის გათვალისწინებით, სასამართლომ უნდა გადაჭრას ამ ნორმის ფაქტობრივად გამოყენების გზაც, ასეთ ვითარებაში გასათვალისწინებელია მხარეთა, მათ შორის, საკასაციო სასამართლოსათვის მიცემული განმარტებებიც. ისინი სიტყვიერად ადასტურებენ საკუთარი როლის მნიშვნელობას და გამოთქვა-

მენ მზაობას შვილებისათვის ნორმალური გარემოს შესაქმნელად, თუმცა, ფაქტობრივი სიტუაცია განსხვავებულია და მხარეთა და მესამე პირთა ჩარევა ამას განუხორციელებადს ხდის. საგულისხმოა, რომ ი. ფ-ას უფროს შვილთან ურთიერთობის შესაძლებლობა ეძლევა მხოლოდ სკოლაში, რაც, ბუნებრივია, არასრულფასოვანია, და როგორც ფსიქოლოგი სასამართლო სხდომაზე განმარტავს, შესაძლოა ბავშვის რეაქცია დედის მიმართ მესამე პირთა დამოკიდებულებით იყოს გამოწვეული, რაც შეეხება უმცროს შვილს – დედა-შვილის ურთიერთობა ხორციელდება სასამართლო გადაწყვეტილების (დროებითი განკარგულების) აღსრულების გზით, რომელსაც, ფაქტია, გარკვეული უთანხმოებები თან სდევს.

1.8. საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს მოცემულ დავაში სოციალური მომსახურების სააგენტოს როლზე და აღნიშნავს, რომ განსახილველი კატეგორიის საქმეებზე მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს (სკ-ის 1200-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს როლის საკანონმდებლო აღიარების სწორი ანალიზი ამ ორგანოს მხრიდან მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ მას ეკისრება ვალდებულება, აქტიური მონაწილეობით ხელი შეუწყოს სასამართლოს იმის დადგენაში, თუ რა წარმომადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ამ პროცესში წარმომადგენლობა პასიური ქმედებით არ შემოიფარგლება და არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ჩასატარებელი სამუშაოს ფორმალურ შესრულებაზე. შესაძლებელია, ვიმსჯელოთ საკითხის არასაკმარის საკანონმდებლო რეგულირებაზე, თუმცა პრობლემის მოსაგვარებლად მეურვეობის ორგანომ მინიმუმ უნდა იხელმძღვანელოს „ბავშვის უფლებათა კონვენციით“, რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ და მას სავალდებულო ძალა გააჩნია. მან ეფექტური გზით უნდა განიოს სათანადო მუშაობა დასახული მიზნის მიღწევისათვის. ამგვარად კი, ვერ იქნება განხილული მხარეთა მორიგების მიზნით საკასაციო სასამართლოს შეთავაზებისას ამ ორგანოს მხრიდან მიცემული დავალების შეუსრულებლობა, შეემონებინა ი. ფ-ას ალტერნატიული საცხოვრებელი პირობები იმავე ქალაქში, სადაც მამის საცხოვრებელი ადგილია.

1.9. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა

დაცვის შესახებ“ კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სიკვთეში ჩარევის „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ სწორი შეფასებისათვის საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაზე: ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ (Johansen v. Norway) აღნიშნა, რომ ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, მშობლის ინტერესსა და ბავშვის ინტერესს შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი. აღნიშნული ბალანსის ძიებისას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, რომლებსაც შეიძლება, ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მშობლის ინტერესებთან მიმართებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გაერთიანების საკითხის გადაწყვეტისას ანგარიშგასანევ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება, მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვნის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნას გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი. ევროსასამართლოს განმარტებით, მშობლებსა და ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებს შორის კავშირი, კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პარაგრაფის ფარგლებში წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას. მსგავსი ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობები არ წყდება იმ საფუძვლით, რომ მშობლები დაშორდნენ ან განქორწინდნენ, როდესაც ამ მიზეზით ბავშვი ან ერთ მშობელთან ცხოვრობს ან მეორესთან (Ciliz v. the Netherlands). ერთ-ერთ საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში ოჯახური ცხოვრება სახეზე იყო იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც მშობლების განქორწინებამდე ერთად, ერთ სახლში ცხოვრობდნენ (inter alia, Olsson v. Sweden (no. 1), 24 March 1988, § 81, Series A no. 130). კონვენციის მე-8 მუხლის ძირითადი მიზანია, ინდივიდების დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების თვითნებური ქმედებებისგან. ოჯახური ცხოვრების „პატივისცემის“ უფლება, აგრეთვე, მოიცავს დამატებით პოზიტიურ ვალდებულებებს, თუმცა, სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის არსებული ზღვარი ზუსტ განსაზღვრებას არ ექვემდებარება. მათ მიმართ გამოყენებადი პრინციპები იდენტურია: ორივე კონტექსტში ყურადღება უნდა გამახვილდეს სამართლიან ბალანსზე, რაც დაცული უნდა იქნას შეპირისპირებულ ინ-

ტერესებს შორის. გარდა ამისა, ორივე კონტექსტში სახელმწიფო სარგებლობს შეფასების ფართო ზღვართი (*Tuquabo-Tekle and Others v. the Netherlands*, 2005 წლის პირველი დეკემბერი). საქმეზე – „*MUSTAFA AND ARMADAN AKIN v. TURKEY*“ სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება ბავშვების განცალკევების თაობაზე წარმოადგენდა მომჩივნების ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას. აღნიშნული გადანყვეტილება არა მხოლოდ და-ძმას უკრძალავდა ერთმანეთის ნახვას, არამედ, პირველი მომჩივნისთვის (მამისათვის) შეუძლებელს ხდიდა ორივე შვილი ერთდროულად ენახა. საკითხის განხილვისას მხედველობაში იქნა მიღებული მე-8 მუხლთან მიმართებით დადგენილი პრეცედენტული პრაქტიკა, რომელიც ხაზს უსვამს ხელისუფლების ვალდებულებაზე, იხელმძღვანელონ ბავშვის საუკეთესო ინტერესებით (*Maslov v. Austria [GC]*, 2008 წლის 23 ივნისი). გარდა ამისა, გადანყვეტილების მიღების პროცესის ხარისხის შეფასება ევროსასამართლოსაგან მოითხოვს, დაადგინოს, ჰქონდა თუ არა შიდა სასამართლოების გადანყვეტილებას საკმარისი მტკიცებულებითი საფუძველი (რაც მოიცავს, მონმეთა ჩვენებებს, კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოთა დასკვნებს, ფსიქოლოგისა და სხვა ექსპერტის შეფასებებს და სამედიცინო ცნობებს); აგრეთვე, დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის ბავშვებს, მიეცათ თუ არა საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა (*Havelka and Others v. the Czech Republic*, საჩ. ნომ. 23499/06, § 62, 2007 წლის 21 ივნისი; *Haase v. Germany*, საჩ. ნომ. 11057/02, § 97, ECHR 2004-III (extracts)). სტრასბურგის სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის პოზიცია, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადანყვეტილებები და-ძმას ერთმანეთის ნახვას არ უკრძალავდა, ვინაიდან ბავშვები სამეზობლოში ცხოვრობდნენ და, ამრიგად, ერთმანეთთან კონტაქტის შენარჩუნება შესაძლებელი იყო. სასამართლოს განმარტებით, ბავშვებს შორის კავშირის შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანი იყო და აღნიშნულის მშობლების დისკრეციისა და ახირებისთვის მინდობა დაუშვებელი იყო. დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული ეროვნული სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანთათვის შაბათ-კვირის ერთად გატარება იქნებოდა მიუღებელი ცვლილება ბავშვისათვის, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ისინი ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ. ალტერნატივის სახით, მომჩივნების მიერ შეთავაზებული ვარიანტი შეუფერებლადაც რომ მიეჩნია, ეროვნულ სასამართლოს შეეძლო, ბავშვების მიერ ერთმანეთის ნახვის სხვა

მეთოდები განეხილა და, ამრიგად, დაეცვა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მათი უფლებები. სტრასბურგის სასამართლო, აგრეთვე, არ დაეთანხმა მთავრობის არგუმენტს, რომ ცალკე მცხოვრები შვილის მიერ ყოველი შაბათ-კვირის მამასთან ერთად გატარება უარყოფითად იმოქმედებდა მის განვითარებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს აღნიშნული არგუმენტის დამადასტურებელი მყარი მტკიცებულება, როგორცაა ფსიქოლოგის ან სხვა ექსპერტის შეფასებები. მშობლებისა და შვილების მიერ ერთმანეთის კომპანიით ორმხრივად სარგებლობა კონვენციის „ოჯახური ცხოვრების“ ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში (*Kutzner v. Germany*).

1.10. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე ობიექტურად არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

## **2. სასამართლო ხარჯები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულის ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გა-



დანყვეტილების გამოტანისას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა**

**განჩინება**

№ას-260-248-2016

21 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. გ. გ-ესა (შემდეგში: მოსარჩელე, ბავშვის მამა ან კასატორი) და ს. ლ-ეს (შემდეგში: მოპასუხე, ბავშვის დედა ან აპელანტი) თანაცხოვრებისას შეეძინათ ერთი შვილი – 2010 წლის 22 იანვარს დაბადებული ა. გ-ე (შემდეგში: ბავშვი, მცირეწლოვანი – იხ. დაბადების მოწმობა).

2. მხარეები ცხოვრობენ ცალ-ცალკე. მცირეწლოვანი ა. გ-ე ცხოვრობს დედასთან ერთად ქ. თბილისში. არდადეგებზე კი იმყოფება ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისში დედის დეიდას-

თან (იხ. ბორჯომის რაიონის განყოფილების სოციალური მუშაკის მოვალეობის შემსრულებლის დასკვნა).

3. ბავშვი ირიცხებოდა თბილისის ისანი-სამგორის 71-ე ბაგაბალის აღსაზრდელად (იხ. 17.09.2013წ. ცნობა).

4. მამას თავისი მცირეწლოვანი შვილი წელიწადი და ექვსი თვეა არ უნახავს.

5. ახალციხის რაიონული სასამართლოს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მაგისტრადი მოსამართლის 2014 წლის 22 იანვრის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება. მოსარჩელე ცნობილ იქნა დამნაშავედ მეუღლის (მოპასუხის) მიმართ განხორციელებული სიცოცხლის მოსპობით მუქარისათვის. მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა ერთი წელი (იხ. 22.01.2014წ. განაჩენი №1/002-14 საქმეზე).

6. მოსარჩელე სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მონაცემთა ბაზაში ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არ იმყოფება და არც ადრე იმყოფებოდა. 2014 წლის 8 ოქტომბერს მოსარჩელისაგან აღებულ ნიმუშებში ნარკოტიკული საშუალებები ტეტრაჰიდროკანაბინოლი (მარიხუანა) და ბუპრენორფინი (სუბოტექსი) არ აღმოჩნდა (იხ. 18.09.2014წ., 01.10.2014წ. ცნობები; სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 17 ნოემბრის დასკვნა).

7. საქმის მასალებშია ფსიქოლოგიური კვლევა, რომლის შედეგად გამოვლინდა, რომ მცირეწლოვანს კონტაქტში შესვლა უჭირს, საუბრის დროს თავი დაბლა აქვს დახრილი, თითქმის ჩურჩულებს. არის შებოჭილი. ტესტირების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბავშვს არც ერთი მშობლის მიმართ არ აქვს მიჯაჭვულობა და სიახლოვე. ვიზიტებზე დედა-შვილის ურთიერთობის დროს იკვეთება დედის ფსიქოლოგიური ზემოქმედება ბავშვზე (იხ. ფსიქოლოგ ი. მ-ს 12.08.2014წ. დასკვნა).

8. სარჩელის საფუძვლები

8.1. ბავშვის მამამ 2014 წლის 14 მაისს სარჩელი აღძრა მცირეწლოვანის დედის წინააღმდეგ და მოითხოვა შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა.

9. მოპასუხის შესაგებელი

9.1. მოპასუხემ სასარჩელო მოთხოვნა არ ცნო (იხ. 19.05.2015 წ. სხდომის ოქმი).

10. მესამე პირის პოზიცია

10.1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრმა (შემდეგში: სოცია-

ლური მომსახურების ცენტრი ან მესამე პირი) განმარტა, რომ ბავშვს მამასთან ურთიერთობისათვის სჭირდება გარკვეული პერიოდი შეგუება (იხ. ვრცლად ქვემოთ 11.10 ქვეპუნქტი).

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება და დასკვნები

11.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 21 მაისის გადანყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოსარჩელეს მცირეწლოვან შვილთან ურთიერთობისთვის განესაზღვრა თავდაპირველად, ორი თვის განმავლობაში, შაბათი და კვირა დღეები 12.00 საათიდან – 14.00 საათამდე ბავშვის დედის ან მის მიერ განსაზღვრული პირის თანდასწრებით, ხოლო ამ წესით ურთიერთობის დაწყებიდან ორი თვის გასვლის შემდეგ, ხუთი თვის განმავლობაში – ყოველკვირეულად სამშაბათი და ხუთშაბათი 17.00 საათიდან 20.00 საათამდე და შაბათი – 12.00 საათიდან 20.00 საათამდე, წაყვანის უფლებით;

11.2. ამავე გადანყვეტილებით შვილთან ურთიერთობის დაწყებიდან ზემოაღნიშნული პერიოდის (მთლიანობაში შვიდი თვის) გასვლის შემდეგ მამას მცირეწლოვან შვილთან ურთიერთობისთვის განესაზღვრა ყოველკვირეულად სამშაბათი და ხუთშაბათი 17.00 საათიდან 20.00 საათამდე და პარასკევს 17.00 საათიდან შაბათს 21.00 საათამდე, ღამისთევით წაყვანის უფლებით; ზაფხულის არადადეგების პერიოდში – ათი დღე, ხოლო ზამთრის არადადეგების პერიოდში – ხუთი დღე, შვილის დასასვენებლად წაყვანის უფლებით.

11.3. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში მითითებული გარემოებები და დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 1197-ე-1199-ე, 1202-ე მუხლები, „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-3, მე-9 მუხლები.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. ამავე კოდექსის 1198-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან. ამავე კოდექსის 1199-ე მუხლით მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს, ხოლო 1202-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ. მშო-

ბელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, უფლება არა აქვს, შეზღუდოს მეორე მშობლის უფლება-მოვალეობები.

11.5. სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემული ნორმების განმარტება ცხადყოფს, რომ მშობლისათვის შვილთან ურთიერთობა წარმოადგენს არა მხოლოდ უფლებას, არამედ ვალდებულებას, რომლის განხორციელების მიზნით სასამართლო უფლება-მოსილია დაავალდებულოს მშობელი, რომელთანაც ცხოვრობს არასრულწლოვანი შვილი, საშუალება მისცეს ცალკე მცხოვრებ მშობელს ურთიერთობა იქონიოს მასთან, რისთვისაც განსაზღვრავს და ადგენს არასრულწლოვან შვილებთან ურთიერთობის წესს.

11.6. სასამართლომ განმარტა, რომ შვილების მიმართ მშობლების უფლებებისა და მოვალეობების თანაბრობის პრინციპიდან გამომდინარე, ცალკე მცხოვრები მშობლის შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია ბავშვის უპირატესი ინტერესების გათვალისწინება.

11.7. „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, „ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმარტებისა, მნიშვნელოვანია, – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას“. ამავე კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად, „მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს“. ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს და არ ზრუნავენ მასზე, ან როცა მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე განწყვეტილების მიღება.

11.8. ამდენად, აღნიშნული კონვენციის რატიფიცირებით სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს, ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს, რაც ცალსახად გულისხმობს შვილების ურთიერთობის შენარჩუნებას ცალკე მცხოვრებ მშობელთან.

11.9. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, მოცემულ შემთხვევაში, დადგენილი იყო, რომ მხარეები ცხოვრობენ ცალ-ცალკე. მცირეწლოვანი ცხოვრობს დედასთან ერთად ქ. თბილისში. არდადეგებზე კი იმყოფება დედის დეიდასთან ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისში, ანუ იმავე სოფელში, სადაც მამა ცხოვრობს. დადგენილია ასევე, რომ მამას თავისი მცირეწლოვანი შვილი წელიწადი და ექვსი თვეა არ უნახავს. ფსიქოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ბავშვს არც ერთი მშობლის მიმართ მიჯაჭვულობა და სიახლოვე არ აქვს. გამოიკვეთა დედის ფსიქოლოგიური ზემოქმედება ბავშვზე.

11.10. სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე დადგენილია, რომ მოსარჩელე ცხოვრობს ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისში მშობლებთან ერთად. საცხოვრებელი პირობები და ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ოჯახს ჰყავს ძლიერი თანადგომის ქსელი. მოსარჩელეს მეზობლები დადებითად ახასიათებენ. სოციალური მუშაკის დაკვირვებით, ბავშვის მამის ოჯახს აქვს უნარი, შესაბამისად განახორციელოს მცირეწლოვან ბავშვზე ზრუნვა და შეუქმნას მას კეთილსაიმედო, უსაფრთხო და მზრუნველი გარემო. იმისათვის რომ ბავშვი გაიზარდოს და აღიზარდოს საზოგადოების სრულფასოვან წევრად, აუცილებელია მასზე სათანადო მზრუნველობა განახორციელოს როგორც დედამ, ისე მამამ.

11.11. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ შვილების მიმართ მშობლების უფლებების თანაბრობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელეს უნდა მისცემოდა შვილის ნახვისა და წყევანის უფლება, როგორც კვირის განმავლობაში, ასევე არდადეგების პერიოდში, ვინაიდან მისთვის კანონით მინიჭებული უფლების რაიმე ფორმით შეზღუდვის საფუძველი არ არსებობდა. ამასთან, სასამართლომ გაიზიარა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ვინაიდან მამა წელიწადნახევარია არ უნახავს ბავშვს, მოსარჩელეს თავდაპირველად უნდა განსაზღვროდა შესაჩვევი პერიოდი ბავშვთან ურთიერთობისათვის დედის ან სხვა ნეიტრალური პირის თანდასწრებით.

11.12. ზემოხსენებული მსჯელობის საფუძველზე, სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და მოსარჩელეს განუსაზღვრა შვილთან ურთიერთობის წესი (იხ. ამ განჩინების 10.1.-10.2 ქვეპუნქტები).

11.13. საქალაქო სასამართლომ შვიდთვიანი პერიოდი მიიჩნია გონივრულად ბავშვის მამასთან ურთიერთობის წყვეტის შედეგად ჩამოყალიბებული ბარიერების მოსახსნელად და ფსიქო-

ლოგის დასკვნის შინაარსის გაანალიზების საფუძველზე, დაასკვნა, რომ ხუთი თვის განმავლობაში ინდივიდუალური შეხვედრების შემდეგ მამას უნდა მიეცეს კვირაში ერთხელ შვილის ღამისთევით წაყვანის უფლება, ასევე არდადეგების პერიოდში დასასვენებლად წაყვანის უფლება, რათა მამა-შვილს შორის სრულფასოვანი ურთიერთობა ჩამოყალიბდეს.

## 12. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

12.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, საჩივრის უარყოფა შემდეგ პრეტენზიებზე დაყრდნობით:

12.1.1 სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მამის ურთიერთობა შვილთან, ბავშვზე დადებითად იმოქმედებს, რადგან აღნიშნული საკითხი სათანადო წესით არ დადგენილა. იგნორირებულია მოსარჩელის კრიმინალური მიდრეკილებები, ის, რომ მოსარჩელე გამოირჩევა მძიმე ხასიათით, მოპასუხესთან თანაცხოვრების პერიოდში და შემდგომაც ამ უკანასკნელისადმი ავლენდა აგრესიას, მიმართავდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. ყოველდღიური ძალადობის შემთხვევების შემსწრე და შესაბამისად მამის მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი იყო მცირეწლოვანი, რის შედეგადაც ბავშვს ემართებოდა კრუნჩხვები, ისტერიული ტირილი, ჩაბჭირება, ძილის რეჟიმის სისტემატური დარღვევა. აღნიშნულმა უარყოფითად იმოქმედა ბავშვის ჯანმრთელობაზე, ნერვულ სისტემაზე, საჭირო გახდა ექიმის ჩარევა და ამბულატორიული მკურნალობა;

12.1.2. ბორჯომის რაიონის მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილებით 2014 წელს მოსარჩელე დამნაშავედ იქნა ცნობილი მოპასუხის მიმართ მუქარის განხორციელებაში და შეეფარდა ერთი წლით პირობითი თავისუფლების აღკვეთა, ერთი წელი გამოსაცდელი ვადა. მანამდე მას არაერთხელ ჩამოერთვა ხელწერილი და გაიცა შემაკავებელი ორდერი;

12.1.3. აპელანტი ახალი ფაქტობრივი გარემოების სახით უთითებს, რომ მოსარჩელე არ ზრუნავს ბავშვზე, არ იხდის ალიმენტს და მხოლოდ იძულებითი აღსრულებით გახდა შესაძლებელი ალიმენტის ნაწილის მიღება. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-9 მუხლი დასაშვებად მიიჩნევს ასეთი მშობლის დაშორებას ბავშვისაგან. სასამართლომ კი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო, რითაც არასწორად განმარტა მე-9 მუხლი;

12.1.4. სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ დადგენილი წესით ფსიქოლოგის მიერ გამოკვლეულიყო შვილის დამოკიდებუ-

ლება მამასთან, რა გავლენას იქონიებდა ბავშვზე ურთიერთობა პირთან, რომლისაც ბავშვს უბრალოდ ეშინია და მისი ყოველი ვიზიტი ბავშვთან მთავრდებოდა ბავშვის ჩაბჭირებით, მისი სახელის გაგონებაზე ბავშვის რეაქცია დამალვამ. მითითებული გარემოების დადგენის გარეშე მხოლოდ იმიტომ, რომ მოსარჩელე ბავშვის მამაა, მისთვის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მინიჭებული უფლებები დასაბუთებულად ვერ ჩაითვლება და მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს;

12.1.5. სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, სსკ-ის 1199-ე მუხლი და „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-3 მუხლი. საქმისათვის უმნიშვნელოვანესი გარემოების გამოკვლევის გარეშე (ბავშვის დამოკიდებულება მამასთან), მხოლოდ მშობლის უფლებაზე აპელირება საფრთხეს უქმნის და ლახავს ბავშვის ინტერესებს, ვერ უზრუნველყოფს ბავშვის ინტერესებს უკეთესად იქიდან გამომდინარე, რომ არ არის გამოკვლეული, თუ რა ფსიქოლოგიური ტრავმა შეიძლება მიადგეს ბავშვს მოსარჩელესთან ურთიერთობის იძულებით, ამ უკანასკნელის კრიმინალისა და ძალადობისაკენ მიდრეკილების გათვალისწინებით. სახელმწიფო და ყველა სათანადო ორგანო მოვალეა, აარიდოს ბავშვს ასეთი საფრთხე და ამის მიღწევა შესაძლებელია სათანადო სპეციალისტის ფსიქოლოგის დასკვნის საფუძველზე, რაც მოცემულ საქმეში არ არის.

13. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

13.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტის შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება.

13.2. ბავშვის მამის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მას მცირეწლოვან შვილთან ურთიერთობა განესაზღვრა შემდეგი წესით:

13.2.1. თავდაპირველად მოსარჩელეს მცირეწლოვან შვილთან ურთიერთობისთვის განესაზღვროს ორი თვის განმავლობაში, შაბათი და კვირა დღეები 12.00 საათიდან – 14.00 საათამდე, ბავშვის დედის ან მის მიერ განსაზღვრული პირის თანდასწრებით;

13.2.2. აღნიშნული წესით ურთიერთობის დაწყებიდან ორი თვის გავლის შემდეგ, ხუთი თვის განმავლობაში, მოსარჩელეს შვილთან ურთიერთობისთვის განესაზღვროს ყოველკვირეუ-

ლად სამშაბათი და ხუთშაბათი 17.00 საათიდან 20.00 საათამდე და შაბათი 12.00 საათიდან 20.00 საათამდე, წაყვანის უფლებით;

13.2.3. ზემოაღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ, ფსიქოლოგის მიერ განხორციელდეს მცირეწლოვანი ბავშვის ფსიქოლოგიური შემოწმება და გაიცეს დასკვნა – არის თუ არა მიზანშეწონილი ბავშვთან მამის ურთიერთობა, ღამით დარჩენისა და არდადეგების პერიოდში დასასვენებლად წაყვანის უფლების გათვალისწინებით და უარყოფითად ხომ არ აისახება აღნიშნული ბავშვის ფსიქიკაზე;

13.2.4. იმ შემთხვევაში, თუ ფსიქოლოგის მიერ გაიცემა დადებითი დასკვნა, მოსარჩელეს მცირეწლოვან შვილთან ურთიერთობისთვის უნდა განესაზღვროს ყოველკვირეულად სამშაბათი და ხუთშაბათი 17.00 საათიდან 20.00 საათამდე და პარასკევს 17.00 საათიდან შაბათს 21.00 საათამდე ღამისთევით წაყვანის უფლებით; ზაფხულის არადადეგების პერიოდში – ათი დღე, ხოლო ზამთრის არდადეგების პერიოდში – ხუთი დღე, შვილის დასასვენებლად წაყვანის უფლებით;

13.2.5. იმ შემთხვევაში თუ ფსიქოლოგის დასკვნა მამის მიერ შვილის ღამისთევით წაყვანასთან დაკავშირებით იქნება უარყოფითი ხასიათის, მოსარჩელეს მცირეწლოვან შვილთან ურთიერთობისთვის უნდა განესაზღვროს ყოველკვირეულად სამშაბათი და ხუთშაბათი 17.00 საათიდან 20.00 საათამდე და შაბათი 12.00 საათიდან 20.00 საათამდე წაყვანის უფლებით. აღნიშნული ურთიერთობა გაგრძელდეს მანამდე, სანამ ფსიქოლოგის მიერ არ გაიცემა დადებითი დასკვნა მამის მიერ შვილის ღამისთევით წაყვანასთან დაკავშირებით.

13.3. სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში მითითებულ გარემოებებზე მიუთითა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა შემდეგნაირად დაასაბუთა:

13.3.1. ბორჯომის რაიონული განყოფილების სოციალური მუშაკის მ/შემსრულებლის ე. ა-ს 2014 წლის 10 ივლისის №774 დასკვნის თანახმად, მცირეწლოვანის ბებიის (დედის დეიდა) ვ. გ-ის ინფორმაციით, დაახლოებით თვენახევარია, რაც ბავშვი იმყოფება მასთან. მისი თქმით ბავშვი ცხოვრობდა დედასთან ერთად ქ. თბილისში, იქ იღებდა სკოლამდელ განათლებას საბავშვო ბაღში. ამ ეტაპზე აქვს არდადეგები და ჩამოსულია დასასვენებლად. ბავშვის დედა დასაქმებულია ქ. თბილისში, თუმცა შვილს აქცევს ყურადღებას, ყოველი კვირის შაბათ და კვირა დღეს ჩამოდის ბავშვთან და ზრუნავს მასზე (აღნიშნულს მე-



ზობლებიც ეთანხმებიან). სოციალური მუშაკის დაკვირვებით, ასევე მეზობლების ინფორმაციით, ბებია შესაბამისად ზრუნავს ბავშვზე, მცირენლოვანს დაკმაყოფილებული აქვს ძირითადი საჭიროებები, მონესრიგებული აქვს პირადი ჰიგიენა. ბავშვს აქვს საკუთარი კუთხე, ასაკის შესაბამისი სათამაშოები. ბებიის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა სტაბილურია, მისი საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია. ბავშვი წელიწადნახევარია, რაც აღარ იზრდება მამის ოჯახში, შესაბამისად არ უნახავს მამა. როგორც სარჩელშია აღნიშნული, მოპასუხე მოსარჩელეს არ აძლევს ბავშვის ნახვის საშუალებას, უმეტეს შემთხვევაში მიდის პროვოკაციაზე. მოსარჩელე აღნიშნულს ადასტურებს. ბავშვის ბებია (დედის დეიდა) კი აღნიშნავს, რომ მამას ბავშვის ნახვას არ დაუშლიან იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მათ მოექცევა შესაბამისად, არ მიაყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას და ა.შ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბავშვთან მუშაობს სამცხე-ჯავახეთის საკოორდინაციო ცენტრის ფსიქოლოგი. იმისათვის, რომ არასრულწლოვანი ბავშვი გაიზარდოს და აღიზარდოს საზოგადოების სრულფასოვან წევრად აუცილებელია მასზე სათანადო მზრუნველობა განახორციელოს როგორც დედამ, ასევე მამამ.

13.3.2. იმავე სოციალური მუშაკის 2014 წლის 10 ივლისის №776 დასკვნის მიხედვით, მოსარჩელე ოჯახში მშობლებთან, ა. და ნ. გ-ებთან ერთად ცხოვრობს ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისში. მისი საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია. სახლი შედგება 3 (სამი) სართულისაგან, საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე სარდაფებია განთავსებული, მეორე სართულს საცხოვრებლად იყენებენ (ოთხი ოთახი), მესამე სართული კი გასამართია და საცხოვრებლად არ გამოიყენება. ოჯახს აქვს სამზარეულო და აბაზანა-ტუალეტი, ასევე, ეზო. საცხოვრებელი სახლი კარგ მდგომარეობაშია, მონესრიგებულია ელექტრო და წყალგაყვანილობა. დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. ბავშვისთვის განკუთვნილია კუთხე. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მოსარჩელის ინფორმაციით, მათ აქვთ კერძო ბიზნესი, აქვთ „საკალმახე“, რომელსაც ამუშავებენ და ყოველთვიური შემოსავალი დაახლოებით 1 000 ლარი აქვთ. მოსარჩელის დედა პენსიონერია და ყოველთვიურად ლებულობს პენსიას – 150 ლარს. მოსარჩელის ოჯახს აქვს ძლიერი თანადგომის ქსელი, მათ ურთიერთობა აქვთ ნათესავებთან, ოჯახში ბავშვის გარდაცვალების შემთხვევა არ ყოფილა. მოსარჩელე ნასამართლევა და იხდის პირობით სასჯელს. მოსარჩელეს მეზობლები/თანასოფლელი-

ბი დადებითად ახასიათებენ, მათი ინფორმაციით მოსარჩელე კეთილსინდისიერი და პატიოსანი პიროვნებაა. სოც. მუშაკის დაკვირვებით მოსარჩელის ოჯახს აქვს უნარი, სათანადოდ იზრუნოს არასრულწლოვან ბავშვზე და შეუქმნას მას კეთილსამედო, უსაფრთხო და მზრუნველი გარემო. იმისათვის, რომ არასრულწლოვანი ბავშვი გაიზარდოს და აღიზარდოს საზოგადოების სრულფასოვან წევრად აუცილებელია მასზე სათანადო მზრუნველობა განახორციელოს როგორც დედამ, ასევე მამამ. მიზანშეწონილია ბავშვს აუცილებლად ჰქონდეს კონტაქტი მამასთან.

13.3.3. სამცხე-ჯავახეთის საკოორდინაციო ცენტრის ფსიქოლოგის ი. მ-ს 2014 წლის 12 აგვისტოს №55 ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგების (დასკვნის ფორმის) მიხედვით, ბავშვთან განხორციელდა 3 ვიზიტი, გამოყენებულია მეთოდები: ინტერვიუება, რენე ჟილის პროექციული მეთოდი „ბავშვის პიროვნებათმორისი ურთიერთობები“. გამოყენებული მეთოდები არასტანდარტიზირებულია. ბავშვს კონტაქტში შემოსვლა უჭირს, საუბრის დროს თავი დაბლა აქვს დახრილი, თითქმის ჩურჩულებს. არის შებოჭილი, ამ ეტაპზე ტესტირების შედეგად გამოიკვეთა, რომ არცერთი მშობლის მიმართ მიჯაჭვულობა და სიახლოვე არ არის. ბავშვმა უარი განაცხადა ფსიქოლოგთან ვიზიტების გაგრძელებაზე. ვიზიტებზე დედა-მეულის ურთიერთობის დროს იკვეთება დედის ფსიქოლოგიური ზემოქმედება ბავშვზე.

13.3.4. საქმეში წარმოდგენილი თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის ფსიქოლოგის ლ. პ-ის მიერ შედგენილი 2016 წლის 28 იანვრის №04-00-1575 დასკვნით გამოკვლეული იქნა მცირეწლოვანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რა დროსაც ბავშვის ემოციური მდგომარეობა შემდეგნაირად შეფასდა: მცირეწლოვანს ამ ეტაპზე ემოციური ხასიათის პრობლემები არ აქვს, არ აღენიშნება შფოთვა, აქვს ახლობელ ადამიანებთან თბილი მიჯაჭვულობის განცდა, აგრეთვე უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდა. აქვს მაღალი თვითშეფასება, უყვარს თავის წარმოჩენა და ინიციატივების გამოვლენა. შვილი-მშობლის ურთიერთდამოკიდებულებები შეფასებულია შემდეგნაირად: ბავშვი ვიზიტებზე დედას მოჰყავდა, მათთან მუშაობას ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდა, რადგან 7 დაგეგმილი შეხვედრა არ შედგა, ისინი არ მოვიდნენ ვიზიტებზე. დედა მოსიყვარულეა ბავშვის მიმართ, გამოხატავს სითბოსა და მზრუნველობას, ხშირად აქებს მას და ხელს უწყობს ინიციატივების გამოვლენაში. ბავშვს ძლიერი მიჯაჭვულობა აქვს დედის მიმართ,

მათ შორის თბილი ემოციური კავშირია. მცირეწლოვანი დედასთან ფიზიკური და ემოციური სიახლოვის სურვილს ავლენს, მას უნდა, რომ დედაც ჩაერთოს მუშაობის პროცესში და მანაც შეაფასოს მისი ნამუშევრები, აგრეთვე აღნიშნავს, რომ უნდა დედა ხშირად იყოს სახლში.

13.3.5. ბავშვის მამამ კარგად ითანამშრომლა ფსიქოლოგთან, მისთვის დაბრკოლებები არ შეუქმნია. იგი ყოველთვის დათქმულ დროს მიდიოდა და უხერხულ შეკითხვებსაც არ არიდებდა თავს. მას არ გამოუვლენია მოძალადე მამისათვის დამახასიათებელი ნიშნები. მამისა და შვილის ურთიერთობის ხასიათის მაჩვენებელი, შვილის დამოკიდებულების გამომხატველი მათი შეხვედრა უნდა ყოფილიყო, თუმცა ორჯერ დაგეგმილი შეხვედრა არ შედგა – შეხვედრაზე მხოლოდ ბავშვის მამა გამოცხადდა. ბავშვთან საუბარმა, აგრეთვე დაკვირვებამ და პროექციულმა მეთოდებმა გამოავლინა, რომ შვილი გაუცხოებულია მამის მიმართ, იგი მამას არ განიხილავს ოჯახის წევრად, არ გამოთქვამს მისი ნახვისა და მასთან ურთიერთობის სურვილს. გამოხატავს მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას, ამბობს, რომ ეშინია მისი, მაგრამ შიში გამოიხატება მხოლოდ სიტყვიერად, მას არ ახლავს შესატყვისი ემოცია. თავდაპირველი ვიზიტებისას მცირეწლოვანი საუბრობდა მამის მხრიდან ძალადობის შესახებ, ამბობდა, რომ მამა მასაც და დედასაც სცემდა, უწვავდა ხელებს. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ იმ პერიოდში ბავშვი 2 წლამდე ასაკის იყო, ნაკლებ სავარაუდოა, მას ეს ახსოვდეს. ამ ვარაუდს ადასტურებს ისიც, რომ შეხვედრების დასასრულს ბავშვი ველარ იხსენებდა, რატომ არ უყვარს მამა და რატომ ეშინია მისი და უარყოფითი დამოკიდებულებაც შესუსტდა. ერთ-ერთ შეხვედრაზე ბავშვს ფსიქოლოგმა მამის მიერ დანატოვარი საჩუქრები და ტკბილეული გადასცა. ბავშვმა სიხარული გამოხატა (ყველაფერი უყიდა, ნახე რამდენი რამეა), თუმცა შემდეგ დაამატა „მე ყველაფერი დედასი მიყვარს“. ამავე შეხვედრაზე მცირეწლოვანის თანდასწრებით შედგა საუბარი მამის შესახებ. დედის მონაყოლი ძალადობის შესახებ მცირეწლოვანმა უემოციოდ მოისმინა. ბავშვის რეაქცია წარმოშობს ვარაუდს, რომ ეს ყოველივე მას ადრეც და არაერთხელ აქვს მოსმენილი. ამ ვარაუდს ეხმიანება ის ფაქტიც, რომ შვილისათვის მამა არაა მხოლოდ გაუცხოებული, არამედ უფრო გაუფასურებულიცაა.

13.3.6. ფსიქოლოგთან საუბრისას ბავშვის დედამ აღნიშნა, რომ მას „მამობის ჩამორთმევა და საზღვარგარეთ წასვლა უნდოდა“. იგი ასევე ამბობდა, რომ ამ ეტაპზე არ სურს ბავშვის

ურთიერთობა მამასთან, ამაზე თანახმა იქნება მაშინ „როცა ცოცხალი ნამოიზრდება ბავშვი, 7 წლის ასაკიდან“, თუმცა, რაზე დაყრდნობით გააჩნია ეს პოზიცია, მოპასუხეს არ აუხსნია.

13.3.7. ფსიქოლოგის დასკვნით ბავშვი გაუცხოვებულია მამის მიმართ, შესაბამისად, მათ შორის ერთბაშად ვერ აღდგება ურთიერთობა, მით უმეტეს, რომ ბავშვს მამასთან ურთიერთობის მწირი გამოცდილება აქვს. ურთიერთობის აღდგენა უმჯობესია ეტაპობრივად მოხდეს. ამ ეტაპზე კი ღამით მამასთან დარჩენა არ იქნება მიზანშეწონილი. ამისათვის ბავშვი მზად იქნება მაშინ, როცა თბილი დამოკიდებულება ჩამოყალიბდება მამის მიმართ. თბილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის კი საჭიროა ბავშვს არ მიენოდოს უარყოფითი ინფორმაცია მამაზე, არ მოიხსენიონ იგი აუგად და არ შეეშალოს ხელი მათ შეხვედრებს.

13.3.8. საქმეზე სპეციალისტის სახით მონვეული იქნა ფსიქოლოგი ლ. პ-ი. ფსიქოლოგის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული განმარტების მიხედვით, ბავშვი მამასთან გაუცხოებულია, მამა მის თვალში გაუფასურებულია, რაც 6 წლის ბავშვისათვის არ არის ბუნებრივი მდგომარეობა. ფსიქოლოგის აზრით, ბავშვს მამაზე ხშირად აქვს მოსმენილი უარყოფითი ინფორმაცია. მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ვლინდებოდა, თუმცა, ეს იყო მხოლოდ სიტყვიერად, შესატყვისი ემოცია არ ახლდა. ბავშვის მამასთან ურთიერთობა შესაძლებელია, თუკი მას აღარ მიენოდება უარყოფითი ინფორმაცია მასზე. ფსიქოლოგის რეკომენდაციით, მამასა და შვილს შორის არსებული ბარიერის მოსახსნელად უნდა მოხდეს შეხვედრები, საწყის ეტაპზე ღამით დარჩენის გარეშე, ძნელი სათქმელია რა დრო დასჭირდება მათ შორის ურთიერთობის აღდგენას. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ურთიერთობის წესი ნორმალურია, თუმცა, ძნელია კონკრეტული ვადების თქმა (იხ. სააპელაციო სასამართლოს 28.01.2016 წ. სხდომის ოქმი).

13.4. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის პრეამბულაში აღიარებულია, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სასამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე – დაბადების შემდეგ. კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუ-

ხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

13.5. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ისა და დასახელებული კონვენციის მიხედვით, საოჯახოსამართლებრივ ურთიერთობებში უპირატესი ყურადღება ეთმობა ბავშვის უფლების სათანადოდ დაცვას. ბავშვთან, როგორც მშობლების, ასევე ოჯახის სხვა წევრების ურთიერთობის საკითხში არსებითი და გადამწყვეტია ბავშვის ინტერესები. ბავშვის ინტერესში კი იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, მისთვის ოჯახური გარემოს შექმნა, მშობლიური სიტბოსა და თანაგრძნობის გამოვლენა, მისთვის ჰუმანური და კეთილშობილური პრინციპების შთავგონება. ბავშვის უპირატესი ინტერესია, ჰქონდეს მშობლებთან, ოჯახის სხვა წევრებთან ურთიერთობის შესაძლებლობა იმ შემთხვევაშიც, როცა ისინი ბავშვისგან განცალკევებით ცხოვრობენ.

13.6. სასამართლომ განმარტა, რომ საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების საკანონმდებლო რეგულირება გამომდინარეობს თავად ამ ურთიერთობის ხასიათის თავისებურებიდან. კერძოდ, მშობელსა და შვილს შორის, განსაკუთრებული ბუნებრივი სიახლოვეა. ისინი ბუნებრივად ერთმანეთთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ადამიანები არიან, რაც, თავის მხრივ, გენეტიკური კავშირითაა განპირობებული. ოჯახის წევრებს შეიძლება შეეზღუდოთ ან ჩამოერთვათ ბავშვთან ურთიერთობის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მათი საქმიანობიდან, მათ მიერ ჩადენილი ქმედებებიდან გამომდინარე მათი ბავშვთან ურთიერთობა ბავშვის აღზრდა-განვითარებაზე მავნე ზეგავლენას მოახდენს.

13.7. „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს და არ ზრუნავენ მასზე,

ან მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

13.8. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის შვილთან ურთიერთობისათვის განსაზღვრულ წესზე და იმაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელის მოთხოვნა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება გადაეცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად იმ ნაწილში, რომლითაც მამას მცირეწლოვან შვილთან – ურთიერთობისთვის განესაზღვრა თავდაპირველად, ორი თვის განმავლობაში, შაბათი და კვირა დღეები 12.00 საათიდან – 14.00 საათამდე ბავშვის დედის ან მის მიერ განსაზღვრული პირის თანდასწრებით, ხოლო ამ წესით ურთიერთობის დაწყებიდან ორი თვის გასვლის შემდეგ ხუთი თვის განმავლობაში – ყოველკვირეულად სამშაბათი და ხუთშაბათი 17.00 საათიდან 20.00 საათამდე და შაბათი 12.00 საათიდან 20.00 საათამდე წაყვანის უფლებით; შვილთან ურთიერთობის დაწყებიდან ზემოაღნიშნული პერიოდის (მთლიანობაში შვიდი თვის) გასვლის შემდეგ კი – ყოველკვირეულად სამშაბათი და ხუთშაბათი 17.00 საათიდან 20.00 საათამდე და პარასკევს 17.00 საათიდან შაბათს 21.00 საათამდე ღამისთევით წაყვანის უფლებით; ზაფხულის არადადეგების პერიოდში – ათი დღე, ხოლო ზამთრის არადადეგების პერიოდში – ხუთი დღე, შვილის დასასვენებლად წაყვანის უფლებით.

13.9. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სოციალური მუშაკის 2014 წლის 10 ივლისის №774 და №776 დასკვნებზე (იხ. ამ განჩინების 13.3.1 – 13.3.2 ქვეპუნქტები), რომელთა შესაბამისად იმისათვის, რომ არასრულწლოვანი ბავშვი გაიზარდოს და აღიზარდოს საზოგადოების სრულფასოვან წევრად, აუცილებელია მასზე სათანადო მზრუნველობა განახორციელოს როგორც დედამ, ასევე მამამ. მიზანშეწონილია ბავშვს აუცილებლად ჰქონდეს კონტაქტი მამასთან. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ამ განჩინების 13.3.3. ქვეპუნქტში მითითებული ფსიქოლოგის დასკვნაზე, რომელიც ეხება მამა-შვილის შორის ურთიერთობის აღდგენას და განმარტა, მართალია მცირეწლოვანი ბავშვის უპირატესი ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს ჰქონდეს მამასთან ურთიერთობა ღამის განმავლობაში, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ბავ-

ში გაუცხოვებულია მამისადმი, მასთან ურთიერთობის მწირი გამოცდილება აქვს, შესაბამისად, საჭიროა დრო მამასთან ურთიერთობის წყვეტის შედეგად ჩამოყალიბებული ბარიერების მოხსნისათვის. ამდენად, მოსარჩელეს მხოლოდ მას შემდეგ უნდა მიეცეს შვილის ღამისთევით წაყვანის უფლება, რაც ფსიქოლოგის მიერ გაიცემა დადებითი დასკვნა ამის შესახებ.

13.10. სწორედ ზემოხსენებულმა გარემოებებმა განაპირობა სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება (იხ. 13.2.1-13.2.5 ქვეპუნქტები).

14. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

14.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ არასრულწლოვანი ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრის ნაწილში შემდეგ არგუმენტებზე მითითებით:

14.1.1. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს გადწყვეტილება, რომელიც ეფუძნება სოცმუშაკის №774 და №776 დასკვნებს. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა და ბავშვის ფსიქოლოგიური გამოკვლევის მიზნით ფსიქოლოგი (ლ. პ-ი) ჩართო საქმეში, რომელმაც თავის დასკვნაში მიუთითა, რომ ბავშვი გაუცხოვებულია მამისადმი და მათ შორის ერთბაშად ვერ აღდგება ურთიერთობა. კასატორი ყურადღებას ამახვილებს დასკვნის იმ ნაწილზე, რომელიც ასახულია ამ განჩინების 13.3.5 ქვეპუნქტში, ფსიქოლოგის მიერ ბავშვისათვის მამის მიერ დატოვებული საჩუქრებისა და ტკბილეულის გადაცემის თაობაზე და უთითებს, რომ ბავშვის რეაქცია აღნიშნულზე წარმოშობს ვარაუდს, რომ მამა ბავშვის თვალში არა მხოლოდ გაუცხოებული, არამედ გაუფასურებულიცაა;

14.1.2. კასატორი უთითებს მოსარჩელის მიმართ დამტკიცებულ საპროცესო შეთანხმებასა და მისი მხრიდან მოპასუხისა და ბავშვისადმი ძალადობის ფაქტებზე, ამასთან, აღნიშნავს, რომ მოპასუხის სააპელაციო პრეტენზია ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მამას უარი ეთქვა შვილის ღამისთევით წაყვანაზე;

14.1.3. მოსარჩელეს, რომელიც მოძალადეა და მასთან ბავშვის შეხვედრა საზიანოა ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის, ფსიქიკისა და, უკიდურეს შემთხვევაში, სიცოცხლისთვისაც, არ უნდა ჰქონდეს ბავშვთან ურთიერთობა.

15. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

15.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 აპრილის განჩინებით მოპასუხის საკასაციო განაცხადი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის სა-

ფუძველზე დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად, ხოლო ამავე წლის 20 მაისის განჩინებით დასაშვებად არის ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, რადგან განსახილველი დავა ეხება ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე დავას, კერძოდ, მოზღვრულსა და შვილს შორის ურთიერთობისათვის განსაზღვრულ წესს, ასევე, შესაძლოა, საქმე განხილულია ისეთი საპროცესო დარღვევებით, რამაც გავლენა იქონია საქმის შედეგზე.

15.2. საკასაციო სასამართლო იმასაც აღნიშნავს, რომ საოჯახოსამართლებრივი დავების განხილვის დროს სასამართლო უფლებამოსილია, სსსკ-ის 354-ე მუხლით დადგენილი ინკვიზიციურობის პრინციპის ფარგლებში საკუთარი ინიციატივით შეისწავლოს საქმის ის გარემოებებიც, რომლებიც კასატორს სადავო არ გაუხდია, გამოიკვლიოს საქმეში არსებული მასალები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და მათი ერთობლივად შეჯერების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

16. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); კასატორს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი დავაში მოპასუხემ სადავოდ გახადა მამა-შვილს შორის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ურთიერთობის წესი 15.1.1-15.1.4 ქვეპუნქტებში მითითებული საფუძველებით. მოპასუხეს მიაჩნია, რომ მამა-შვილს შორის ურთიერთობა საზიანოა მცირეწლოვანის ინტერესებისათვის.

18. საკასაციო სასამართლომ მოპასუხის საკასაციო პრეტენზიის არსებითი განხილვის ეტაპზე, სსსკ-ის 354-ე მუხლით დად-



გენილი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იმსჯე-  
ლა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობასა და  
კანონიერებაზე, რომელიც, უნინარესად, ბავშვის საუკეთესო  
ინტერესებიდან გამომდინარეობს („ბავშვის უფლებათა კონ-  
ვენციის“ მე-3 მუხლი) და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სამარ-  
თაღწარმოების ეტაპზე გამოკვლეული მტკიცებულებების, სო-  
ციალური მუშაკის დასკვნების, ფსიქოლოგის დასკვნისა და გან-  
მარტების, მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით, სააპელა-  
ციო სასამართლოს მიერ გამოკვლეულია ბავშვის საუკეთესო  
ინტერესების დასადგენად სამართლებრივად მნიშვნელოვანი  
ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც საფუძვლად დაედო საა-  
პელაციო სასამართლოს მიერ ქვემდგომი ინსტანციის სასამარ-  
თლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლას და მშობლისა  
და შვილის ურთიერთობის აღდგენისათვის, ბავშვის საუკეთე-  
სო ინტერესებისათვის დადგინდა კონკრეტული წესი, რომლის  
მიხედვითაც უნდა მოხდეს მამა-შვილს შორის ჯერ ურთიერ-  
ობის აღდგენა, ხოლო შემდეგ ფსიქოლოგის, როგორც სპეცი-  
ალისტის, დასკვნის მიხედვით, შემდგომი ურთიერთობა.

19. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა  
დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას  
უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფ-  
ლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვე-  
ტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარ-  
ტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრე-  
ბის ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრა-  
ტიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კე-  
თილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური  
ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვ-  
ნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1197-  
ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება  
ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშო-  
რისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუ-  
ტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავად-  
ვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრა-  
ვენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამონეწეულია დემოკ-  
რატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან,  
ჩარევის სტანდარტად გამოყენებულ უნდა იქნას არასრულ-  
წლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავ-  
შვის უფლებათა კონვენციაში“. მოხმობილი საერთაშორისო-სა-  
მართლებრივი აქტი ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ  
სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულ-

ნლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს, ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს, აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილნი და ვალდებულნი არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით (სსკ-ის 1198.1 მუხლი). მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სსკ-ის 1199-ე მუხლი). მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადანყვეტილებისას, უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმისი უალტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადანყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირეწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში (იხ. სუსგ №ას-458-440-2016, 15.07.2016წ.).

20. სსკ-ის 1202-ე მუხლი მშობელს, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი, უკრძალავს მეორე მშობელთან ურთიერთობის შეზღუდვას. ასეთი შეზღუდვის წინაპირობები საქმეში წარმოდგენილი სოციალური სამსახურისა და ფსიქოლოგის დასკვნებით არ დასტურდება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემა გულისხმობს ოჯახის წევრებს შორის კონტაქტისა და ურთიერთობების დაცვას. სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც

სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადანყვეტილების მიღება (იხ. ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ – Elsholz v. Germany, # 25735/94, 31.07.2000, პარ. 52 და TK and KM გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – TK and KM v. UK, #28945/95, 10.05.2001, პარ.72) – შდრ. ასევე,სუსგ №ას-967-916-2915, 25.02.2016წ.

21. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებაზე, რომელშიც სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „დადინ სერიოზული დონის ჩარევაა ოჯახის გახლეჩა“ (Olsson v. Sweden /No.1/ 10465/83, პარ.81).

22. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს, თუ რატომ არ უნდა აღდგეს მამა-შვილს შორის ურთიერთობა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემაში იგულისხმება არა მხოლოდ ერთად მცხოვრები ოჯახის წევრების უფლებების დაცვა და პატივისცემა, არამედ, ცალ-ცალკე მცხოვრები ოჯახის წევრებს შორის კავშირის შენარჩუნებაც და ოჯახური გარემოს დაცვის ვალდებულება ისეთ შემთხვევებშიც, როგორც ეს განსახილველ საქმეშია. ეროვნული სასამართლო ვალდებულია, ხელი შეუწყოს ოჯახური კავშირის აღდგენასა და განმტკიცებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ჭეშმარიტი და საუკეთესო ინტერესითაა განპირობებული. ოჯახის გაერთიანების ცნების ქვეშ ნაგულისხმევია არა მხოლოდ ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, არამედ, მშობლისა და შვილის მჭიდრო კავშირი, რასაც ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი სასამართლომ, თუკი არ იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესის საწინააღმდეგო წინაპირობა, რადგან მშობლისა და ბავშვის ინტერესთა ბალანსის დაცვის პროცესში, სწორედ ბავშვის ინტერესია ამოსავალი და სახელმძღვანელო სასამართლოსა და ყველა ადმინისტრაციული თუ სხვა ორგანოსათვის, რაც უმეტესწილად გადანონის მშობლის ინტერესს.

23. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად მიიჩნია ისეთი შემთხვევა, როდესაც ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს ქმედითი ღონისძიებების განხორციელება, რათა მომხდარიყო მომჩივნის, კონკრეტულ შემთხვევაში – მამის უფლების უზრუნველყოფა, რომ ენახა საკუთარი ვაჟი, იძულებითი აღსრულების გზით, რადგან დედამ უარი განაცხადა მანამდე მშობლებს შორის მიღწეული შეთანხმების შესრულებაზე (Zawadka v. Poland, No.48542/99, 23.06.05). ერთ-ერთ საქმეზე მე-8 მუხლის დარღვევა დადგინდა იმის გამო, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა ვერ შეძლეს მომჩივნის (მამის) უფლების აღსრულება (Eberhard v. Slovenia, No.8673/05 and 9733/05, 01.12.09.)

24. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მცირეწლოვან შვილთან მამის ურთიერთობის წესი განსაზღვრულია ეტაპობრივად, რაც მოიცავს, შემდგომი ქმედებების განხორციელებას ფსიქოლოგთა დასკვნების მიხედვით. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელეზე დამოკიდებული, თუ რამდენად მართებულად გამოიყენებს იგი სასამართლოს მიერ განსაზღვრულ წესს მცირეწლოვან შვილთან ურთიერთობაში, იზრუნებს ოჯახური კავშირის აღდგენასა და გამყარებაზე ბავშვის საუკეთესო ინტერესის უპირატესობის გათვალისწინებით.

25. საკასაციო სასამართლო საქმის არსებითი განხილვის ეტაპზეც ვერ დარწმუნდა მოპასუხის საკასაციო პრეტენზიების დასაბუთებულობაში, რაც საკასაციო საჩივრის უარყოფისა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ს. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება;
3. კასატორის მიერ გადახდილი ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა

## განჩინება

№ას-868-835-2016

25 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ნ. ბაქაძე

**დავის საგანი:** განქორწინება, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა

**აღწერილობითი ნაწილი:**

**სასარჩელო მოთხოვნა:**

1. თ. მ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. გ-ას (შემდგომში – მოპასუხე, შეგებებული სარჩელის ავტორი) მიმართ განქორწინებისა და არასრულწლოვანი გ. გ-ას (შემდგომში – არასრულწლოვანი ბავშვის) საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის მოთხოვნით.

**მოპასუხის პოზიცია:**

2. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა იმ საფუძველზე, რომ ბავშვის დედისათვის აღსაზრდელად გადაცემა ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ამასთან, მამის ოჯახში მას ნორმალური განვითარებისათვის სათანადო პირობები გააჩნია.

**შეგებებული სარჩელის მოთხოვნა:**

3. მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს თავდაპირველი მოსარჩელის მიმართ, არასრულწლოვანი შვილის საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებლის განსაზღვრის მოთხოვნით.

**მოპასუხის პოზიცია შეგებებულ სარჩელზე:**

4. ძირითადად მოსარჩელემ შეგებებული სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

**პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

5. სენაკის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შეწყდა მოსარჩელესა და მო-

პასუხს შორის, 2010 წლის 25 სექტემბერს №.. სააქტო ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება განქორწინებით, ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ძირითადი მოსარჩელის მოთხოვნა არასრულწლოვანი ბავშვის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე, ხოლო შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და არასრულწლოვანი ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა მამის საცხოვრებელი ადგილი.

**აპელანტის მოთხოვნა:**

6. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თავდაპირველმა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო თავდაპირველი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

**გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი**

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

**საკასაციო სასამართლო განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით ძირითადი მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:**

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით ძირითადი მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შეგებებული სარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, არასრულწლოვანი ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა მამის საცხოვრებელი ადგილი – ქ. სენაკი, ... ქ. №.., ბავშვის დედას არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობისთვის განესაზღვრა ნახვის დღეები ყოველი თვის 1 რიცხვიდან 7 რიცხვის ჩათვლით

(პირველი დღის 11.00 საათიდან, ბოლო მე-7 დღის 17.00 საათამდე) ღამე დარჩენით. ურთიერთობის აღნიშნული წესი დადგინდა მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მეუღლეები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 2010 წლის 25 სექტემბრიდან. ერთად ცხოვრების პერიოდში 2011 წლის 13 ოქტომბერს შეეძინათ შვილი, თუმცა 2013 წლის 25 ივლისიდან ისინი ცხოვრობენ ცალ-ცალკე.

11. ძირითად მოსარჩელეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში არ გააჩნია. სასამართლო დავის მიმდინარეობის პერიოდში იგი დროებით ცხოვრობდა ქ. რუსთავში ბიძისა (დედის ძმის) და დეიდის სახლში. მოსარჩელის მუდმივი საცხოვრებელი ადგილია – ს-ის ოლქი, ქ. ს-ი, ფ-ს რ-ნი, ხ-ის ქ. სახლი ... იგი არის რუსეთის მოქალაქე.

12. შეგებებული სარჩელის ავტორი მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს ქ. სენაკში, ... ქ. №...-ში, აქვს ორმაგი რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მოქალაქეობა.

13. მოსარჩელე დასაქმებულია ქალაქ ს-ში, შპს „ს-აში“ ბიზნეს-დაგეგმარებისა და კორპორაციის განვითარების სპეციალისტად. ხელფასის ოდენობა შეადგენს 13 000 რუბლს.

14. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ შეგებებული სარჩელის ავტორი ასევე დასაქმებულია და მუშაობს შპს „ს-აში“ აგენტად. მისი ხელფასი შეადგენს 350 ლარს. მას გააჩნია დამატებითი შემოსავალი, კერძოდ, მშობლები ცხოვრობენ და მუშაობენ ქ. მოსკოვში და მატერიალურად ეხმარებიან (დამატებით, ახალი პერიოდისთვის გაცემული რაიმე სახის ცნობა მოპასუხის სამუშაო ადგილის თაობაზე საქმეში არ მოიპოვება).

15. შეგებებული სარჩელის ავტორის ოჯახი შესწავლილ იქნა სენაკის რაიონული განყოფილების სოციალური მუშაკის მიერ და მომზადდა დასკვნა, რომლის მიხედვით დადგენილია, რომ საყოფაცხოვრებო პირობები დადებითია და საფრთხეს არ უქმნის იქ მცხოვრებთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ბავშვს გამოყოფილი აქვს ცალკე საწოლი, აქვს განვითარებისათვის საჭირო სათამაშოები და ილუსტრირებული წიგნები, უზრუნველყოფილია ტანსაცმლით და ნუტრიციული საკვებით. ბავშვს აქვს კარგი პირობები სრულყოფილად განვითარებისათვის. ვიზიტისას ბავშვი გამოიყურებოდა სუფთად და მონესრიგებულად, ურთიერთობაში ჩანდა, რომ ბავშვს მამასთან, ბებია-ბაბუასთან და დიდ ბებიასთან აქვს თბილი დამოკიდებულება და გამოხატავს მათ მიმართ გარკვეული სახის ნდობას და მიჯაჭვულო-

ბას. ბავშვი მუდმივად მოზრდილების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

16. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეს მშობიარობის (საკეისრო კვეთით) შემდეგ ჰქონდა მძიმე დეპრესიული ეპიზოდი ფსიქოზური სიმპტომებით, იგი 2011 წლის 31 ოქტომბრიდან 16 ნოემბრამდე სტაციონარულად მკურნალობდა სს „აკადემიკოს ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ ფსიქონევროლოგიურ განყოფილებაში. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ დასკვნის თანახმად დადგენილია, რომ მოსარჩელე ამჟამად ფსიქიკურად დაავადებული არ არის.

17. საქმეში წარმოდგენილია 2013 წლის 4 ნოემბრის „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ამბულატორიული სასამართლო ექსპერტიზის №... დასკვნა მოსარჩელის მიმართ, რომელიც მოპასუხის განცხადების საფუძველზე ჩატარდა. დასკვნის თანახმად, მოსარჩელის დიაგნოზში აღნიშნული დაავადება – დეპრესიული ფსიქოზი „F323“ ქრონიკულ ფსიქიკურ დაავადებას მიეკუთვნება და გამწვავება გარკვეული მატრავმირებელი პირობების დროს აღნიშნულმა დაავადებამ შეიძლება გამოიწვიოს. დასკვნის მე-4, მე-5 კითხვები და მათზე პასუხები შემდეგნაირად გამოიყურება: 4) ახასიათებს თუ არა დაავადებას რემისია, კერძოდ, შეიძლება თუ არა, რომ პაციენტი ტოვებდეს ჯანმრთელ შთაბეჭდილებას, რაღაც კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. პასუხი ასეთია: სისტემატური მკურნალობის და ნორმალური საცხოვრებელი გარემოს პირობებში, შეიძლება კუპირებულ იყოს ავადმყოფის გარეგნული გამოვლინებები. კითხვა №5 შესაძლებელია თუ არა მსგავსი დიაგნოზის მქონე ადამიანმა მონაწილეობა მიიღოს შვილის აღზრდაში? პასუხი: არასრულწლოვანი ბავშვის მოსარჩელისათვის აღსაზრდელად გადაცემა მისი ავადმყოფობის გამწვავების შემთხვევაში ამ ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის აშკარა საფრთხეს წარმოადგენს.

18. 2013 წლის 8 ნოემბრის სასამართლო ფსიქოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნის მიხედვით, მოსარჩელეს აღენიშნება „შთაგონებადობა, ანეული მგრძნობელობა, შინაგანი შფოთვა, ადვილად გამაღიზიანებლობა, ოპოზიციურობა, ყურადღება გაფანტულობა, იმპულსურობა“.

19. საქმეში წარმოდგენილი ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიური ინსტიტუტის მიერ 2013 წლის 8 ნოემბერს, თანავტორთა მიერ მომზადებული ნეოროფსიქოლოგიური დასკვნის თანახმად „გამოვლინდა ბავშვის, ექსპრესიული და რეცეპტიუ-



ლი მეტყველების განვითარების მსუბუქი შეფერხება; ბავშვი ემოციურად მიჯაჭვულია მამაზე (თამაშის დროს მუდმივად მამას უხმობს, უზიარებს სათამაშოებს, სთხოვს დახმარებას), სოციალური გარემოს ცვლილება, განსაკუთრებით კი, მამასთან განშორება, სავარაუდოდ აურყოფითად აისახება ბავშვის ემოციურ მდგომარეობაზე. ამიტომ ბავშვისთვის არ არის რეკომენდირებული საცხოვრებელი ადგილისა და ოჯახური გარემოს ცვლილება“.

20. საქართველოს ფსიქოლოგთა ასოციაციის სპეციალისტების ფსიქოლოგიის დოქტორების 2013 წლის 19 ნოემბრის დასკვნის თანახმადაც „ცალსახად დგინდება, რომ 2 წლის ბავშვის ამ ეტაპზე შეჩვეული ოჯახური გარემოდან მოშორება და დედისათვის გადაცემა ს-ში წასაყვანად ამ ეტაპზე რეკომენდირებული არ არის. ბავშვის დედა პრაქტიკულად ჯანმრთელიც რომ ყოფილიყო და არ ჰქონოდა დებრესიული ფსიქოზის ეპიზოდი, მაინც არ არის მიზანშეწონილი ბავშვის გადაცემა იმ მშობლისათვის, რომელსაც მცირეწლოვანი ბავშვი შეჩვეული არ არის. ასეთ შემთხვევაში რეკომენდირებულია დედამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში იურთიერთოს ბავშვთან, ბავშვისათვის მიჩვეულ გარემოში, დაიმსახუროს მისი ნდობა და მხოლოდ მერეა შესაძლებელი საუბარი ბავშვის გადაცემაზე“.

21. საკასაციო სასამართლოდან ხელახლა განხილვისთვის საქმის დაბრუნების შემდგომ მოპასუხემ სასამართლოს წარმოდგინა ახალი პერიოდის – 2016 წლის 28 იანვრის შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის“ ცენტრის სასამართლო ფსიქოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნა, რომლის თანახმად ბავშვის ემოციური მდგომარეობა სტაბილური და პოზიტიურად შესაფასებელია. ბავშვი ინტეგრირებულია მამის ოჯახში. აქვს უსაფრთხო მიჯაჭვულობა მამაზე. მამასთან თავს დაცულად და კომფორტულად გრძნობს. ადაპტირებულია ჩვეულ გარემოში. ამ ასაკში (4 წლის და 4 თვის) მამასთან სეპარაცია და ბავშვისთვის უცხო გარემოში გადაყვანა გარკვეულ რისკებთან იქნება დაკავშირებული. საბოლოოდ შემაჯამებელი რეკომენდაციის სახით ექსპერტ-ფსიქოლოგი განმარტავს, რომ ზოგადად რეკომენდირებულია, დედამ პერიოდულად ნახოს ბავშვი მის ჩვეულ გარემოში. შეძლოს მასთან პოზიტიური ემოციური კონტაქტის დამყარება. ბავშვისათვის ორივე მშობელი არის რესურსი. მათ შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა განქორწინების შემდეგ განაპირობებს შემდგომში ბავშვის მიერ ორივე მშობლის დადებითი სახის შენარჩუნებას. წინ არ უნდა მოდიოდეს ბავშვთან მიმართებით პრივატული ინტე-

რესები. საკითხისადმი ჯანსაღი მიდგომის შემთხვევაში პირველ რიგში უნდა იდგეს ბავშვის ინტერესი. რომელ ეტაპზე სად ჯობია იყოს ბავშვი, რომელ მშობელს მეტი რესურსი აქვს აღნიშნულ მომენტში, რომ მისცეს ბავშვს უკეთ ფუნქციონირების შანსი. გასათვალისწინებელია, რომ ბავშვს აქვს ემპათიის უნარი, იგი იმეორებს უფროსების განწყობებს. არახელსაყრელი ემოციური გარემო ბავშვში იწვევს ფსიქოლოგიურ დისკომფორტს, განგაძს. გარემომ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის ფსიქო-ემოციურად და ინტელექტუალურად უკეთ განვითარების, ფუნქციონირების და სოციალიზაციის პროცესს.

22. მონინალმდევე მხარემ სასამართლოს ასევე წარმოუდგინა 2016 წლის 26 იანვრის, დიმიტრი უზნაძის სახელობის საქართველოს ფსიქოლოგთა ასოციაციის სპეციალისტთა პასუხი მოპასუხის შეკითხვებზე, კერძოდ: 1) უარყოფითად ხომ არ აისახება ბავშვზე მამასთან და ჩვეულ გარემოსთან განშორება და დედასთან საცხოვრებლად ს-ში გადასვლა; 2) რამდენად მიზანშეწონილია მცირენლოვანი ბავშვების მიჯაჭვულობის ობიექტთან დაშორება და რა გართულება შეიძლება მოყვეს ამ მოქმედებას.

23. მითითებულ შეკითხვებზე სპეციალისტების – ფსიქოლოგების პასუხით, „ბავშვი არის ლალი, მხიარული, თავისი ასაკისათვის შესაფერისად განვითარებული, იცის ბევრი ლექსი, ადეკვატურია. მიჯაჭვულია მამაზე და მამის ოჯახის წევრებზე. შეკითხვაზე, ვისთან ერთად უნდა თამაში და სამოგზაუროდ წასვლა, ასახელებს მამას, ბაბუას და ბიძაშვილს. ამბობს, რომ ყველაზე მეტად უყვარს მამა, ბაბუა და მამის ბებია). ბავშვი კომფორტულად და დაცულად გრძნობს თავს არსებულ გარემოში და მისთვის გარემოს ცვლა და მამასთან დაშორება იქნება მეტად მძიმე. ამან შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი რეაქცია ბავშვის მხრიდან და საჭირო გახდეს ბავშვის შესაბამის სპეციალისტთან (ფსიქოლოგი, ფსიქონერვოლოგი) ტარება. მით უფრო არასასურველი იქნება მისი ჩვეული გარემოდან, ანუ საკუთარი სახლიდან მომზადების გარეშე მონყვეტა და მისთვის უცხო გარემოში, შეუჩვეველ მშობელთან ერთად წასვლა გეოგრაფიულად დაშორებულ რეგიონში, სადაც მას არ ექნება მამის და საკუთარი ოჯახის (ბავშვი სრულად არის ინტეგრირებული იმ გარემოში, სადაც იზრდება) ნახვის საშუალება. ამან შეიძლება იმოქმედოს ბავშვის თვითიდენტიფიკაციაზე და გამოიწვიოს შფოთვა. ამას ემატება ისიც, რომ ბავშვს მოუხდება ენობრივი გარემოს შეცვლა. მიგვაჩნია, რომ მცირენლოვანი ბავშვის მშობლიური გარემოდან მონყვეტა ყოველგვარი მომზადების გა-

რეშე მიზანშეწონილი არ არის და ეს აუცილებლად იქნება სტრესთან დაკავშირებული, რადგან გაუცხოებულ მშობელთან შეგუება საკმაოდ ხანგრძლივი და ფაქიზი პროცესია. თუმცა კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, მწვავე აუცილებლობის გარეშე, გეოგრაფიულად დაშორებული რელოკაციის განხორციელება პრინციპში მიზანშეწონილი არ არის, მით უფრო, რომ ბავშვმა უნდა დატოვოს მშობლიური სახლი და მიჯაჭვულობის ობიექტი (საკუთარი მამა), რაც მასზე უარყოფითად აისახება“.

24. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ფსიქოლოგის განმარტებას ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის გადაწყვეტისათვის. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ მიიღო და საქმეს დაურთო მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, მხარეთა თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, პალატამ ჩათვალა, რომ აპელანტ მხარესაც უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სპეციალისტის წინაშე დასვას შეკითხვები. შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა, სპეციალისტის სახით ფსიქოლოგის მონვევის თაობაზე. შესაბამისად, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სპეციალისტის სახით მონვეულ იქნა ფსიქოლოგი, რომლის წინაშეც გადასაწყვეტად დაისვა შემდეგი საკითხი: 1) ფსიქოლოგმა უნდა შეისწავლოს მცირეწლოვანი ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და შესაბამისი კვლევა ჩაატაროს შეძლებისდაგვარად, როგორც ორივე მშობლის მონაწილეობით, ასევე, მათი მონაწილეობის გარეშე. 2) გამოკვლევულ უნდა იქნეს საკითხი: რა გავლენას მოახდენს ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და ჯანმრთელობაზე მის საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა; 3) რა გავლენას მოახდენს ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და ჯანმრთელობაზე მის საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა. 5) დაევალოს მამას, საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს ბავშვი მონვეულ ფსიქოლოგს და შეასრულოს ფსიქოლოგის შესაბამისი მითითებები.

25. რაც შეეხება უშუალოდ ექსპერტიზას, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში განთავსებული ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც ასახავს დედის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ურთიერთგამომრიცხავია, რის გამოც დაინიშნა განმეორებითი ექსპერტიზა. ექსპერტის წინაშე გადასაწყვეტად დაის-

ვა შემდეგი საკითხი: როგორია თ. მ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა (ფსიქიკური თვალსაზრისით); წარმოადგენს თუ არა ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხეს მისი დედისათვის აღსაზრდელად გადაცემა მოსარჩელის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

26. სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ 2016 წლის 25 მარტს მომზადდა ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც: „მოსარჩელე ფსიქიკურად დაავადებული არ არის. ამას მიუთითებს ანამნეზური მონაცემები: ნორმალური ფსიქო-ფიზიკური განვითარება, სკოლის დამთავრება კარგი აკადემიური მოსწრებით, სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში, ინტერპერსონალური ურთიერთობების მონესრიგებულობა, კომუნიკაბელობა, გარკვეული ყოფით პრაქტიკულ საკითხებში, 2011 წელს (გადატანილი ფსიქიკური ტრავმის და მშობიარობის ფონზე) განვითარებული ტრანზიტორული ფსიქიკური აშლილობის ეპიზოდის ფსიქიატრიული მკურნალობით კუპირების შემდეგ ფსიქიკური დაავადების ნიშნების არარსებობის და ფსიქიატრიული დახმარების მიუმართაობა, სოციალური და შრომითი ადაპტირებულობა, ადეკვატური ქცევა; ამავს აღსატურებს ამჟამინდელი საექსპერტო გამოკვლევისას გამოვლენილი: ნათელი ცნობიერება, სწორი ორიენტირებულობა, კონტაქტურობა, შინაარსით გასაგები, თანმიმდევრული, დაკავშირებული ასოციაციები, რეალური, ლოგიკური დასაბუთებული მსჯელობა, ფსიქოზური სიმპტომატიკის (ცნობიერების დარღვევა, ბოდვა, ჰალუცინაციები) არ არსებობა, ემოციური ადეკვატურობა, განონასწორებულობა, სიტუაციის რეალური აღქმა-გააზრება და კრიტიკულობა. დედის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მისთვის ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

27. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2016 წლის 25 მარტის №.. დასკვნის განმარტებისა და შევსების მიზნით, სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვეულ იქნენ ექსპერტები (ვიდეოკონფერენციის საშუალებით), დასკვნის ავტორები. ექსპერტებმა ცალსახად განმარტეს, რომ მოსარჩელე ფსიქიკურად დაავადებული არ არის, და მისთვის შვილის აღსაზრდელად გადაცემა ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

28. სასამართლოს შეკითხვაზე, „რადგან მოსარჩელეს 2011 წელს დაესვა დიაგნოზი „მძიმე დეპრესიული ეპიზოდი, ფსიქო-

ზური სიმპტომებით“, არის თუ არა საშიშროება იმისა, რომ მას გაუმეორდეს იგივე დაავადება“, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ამჟამად მოსარჩელე არის ჯანმრთელი, სამომავლოდ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა როგორი იქნება, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი, ჯანმრთელი ადამიანისა, – პროგნოზირება შეუძლებელია. ექსპერტებმა ასევე ცალსახად დაადასტურეს თავიანთი პოზიცია იმის თაობაზე, რომ მოსარჩელისათვის შვილის აღსაზრდელად გადაცემა ბავშვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

29. სააპელაციო სასამართლოს მიერ დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნა მოამზადა ფსიქოლოგმა, რომელმაც განმარტა შემდეგი: „გარემოებათა შესასწავლად მოვახდინე დაკვირვება მცირეწლოვან ბავშვზე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მშობელთა მონაწილეობით. რაც შეეხება მშობელთა მონაწილეობის გარეშე, – ვერ შედგა, რადგან ბავშვმა ჩემთან ურთიერთობა მამის გარეშე არ ისურვა, რაც დასტურია მამასთან ძლიერი მიჯაჭვულობის. გასაუბრებისას გამოვიყენეთ ტესტები, მარკერის დაფაზე კითხვებზე პასუხები. დასაწყისში მოკრძალებით, ხოლო შემდგომ ხალისით ჩაერთო „დავალბების“ შესრულებაში, რაც დასტურია მისი ნორმალური გონებრივი განვითარებისა. მშობლებთან თანდასწრებით მოხდა ბავშვის ჩართულობა თამაშში. აქტიური თამაშის დროს, დედას ვთხოვე, აღნიშვნის გარეშე დაეტოვებინა ოთახი (რამდენჯერმე), ბავშვს ეს ფაქტი შეუმჩნეველი რჩებოდა, აგრძელებდა თამაშს, ხოლო როცა მამა გავიდა ოთახიდან, იმავე პირობებით, ბავშვს ჰქონდა გამოკვეთილი რეაქცია, არ გამოპარვია მამის გარეშე ყოფნა და უარი თქვა დედასთან თამაშზე და მარტო დარჩენაზე. გამოხატავდა პროტესტს, მიუხედავად იმისა, რომ ეს სათამაშო მისთვის საინტერესო იყო, ასევე, დედის ჩართულობისა, შვილთან ურთიერთობა შემდგარიყო. აღნიშნული ფაქტორი მეტყველებს დედასა და შვილს შორის, ამ ეტაპზე, არსებულ დისჰარმონიაზე.

30. აქ მინდა ხაზი გავუსვა ზემოქმედების ფაქტორებსაც. ბავშვის პატარაობისას ვხედავთ შედარებით მონესრიგებულ ურთიერთობებს (ვიდეო მასალა). ამჯერად კი, ბავშვური ლოგიკით ჩამოყალიბებული აქვს გარკვეული შეხედულებები, ჩანს დედასთან ყოფნა მისთვის არასასიამოვნოა, არაგარანტირებულია, დისკომფორტია, ხოლო მამასთან კი, – სასიამოვნო, გარანტირებული, კომფორტული. ეს გამოწვეულია სადავო საკითხის ხანგრძლივი განხილვით, რაც უკვე მისთვის ცნობილია, მისთვის მომაბეზრებელი გამოკვლევების ჩატარებით, გაუთავე-

ბელი გამოკითხვებით. რასაც ვხედავთ ეს გარკვეულწილად პროტესტია ამ ყველაფრიდან გამომდინარე. დავაყენეთ მის წინაშე სასურველის და არასასურველის არჩევანი, ბავშვი გამოკვეთილად აკეთებს არჩევანს სასურველთან ყოფნაზე და ესაა მამასთან თანაცხოვრება. გასაკვირიც არაა, რადგან მამასთან თანაცხოვრება უფრო ხანგრძლივია. დედა შესაძლოა სრულიად გამოჯანმრთელებულია, მაგრამ ბავშვთან მისი ურთიერთობა პრობლემურია, ამ ეტაპზე. ნებისმიერი გადაადგილება ზრდასრული ადამიანისთვისაც გარკვეულ შფოთვისთანაა დაკავშირებული, მაგრამ, როცა საკითხი ეხება მცირეწლოვან ბავშვს, რომელიც აბსოლუტურად უცნობ ტერიტორიულ, ენობრივ სივრცეში უნდა გადაადგილდეს ხანგრძლივი დროით, დედასთან, რომელსაც გაურბის (მიუხედავად იმ სიმბიოზისა, რაც უნდა არსებობდეს ზოგადად დედასა და შვილს შორის), გააგრძელებს უარყოფით განწყობასა და შფოთვის, გააძლიერებს მის უკვე გამოხატულ პროტესტს, რაც მიგვიყვანს არასასურველ შედეგამდე. მამასა და შვილს შორის მიჯაჭვულობა ძლიერია, ბავშვისთვის ის უკვე ავტორიტეტია, ბავშვისთვის ნებისმიერი ქმედებისას მნიშვნელოვანია მამის შეფასება (ლექსების მოყოლისას მამას შეჰყურებს თვალბში), თავს კომფორტულად გრძნობს მასთან, ესაა მისთვის სასურველი და ადაპრირებული გარემო. ამდენად, მიზანშეწონილად მიმართა, ამ ეტაპზე, ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს მამის საცხოვრებელი. ხოლო დედის ურთიერთობა შვილთან გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან ორივე მშობლის ჰარმონიული მზრუნველობითი დამოკიდებულება ხელს შეუწყობს ბავშვის სრულყოფილებას“.

31. სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვეულ იქნა სპეციალისტი, რომელიც დაეთანხმა მის მიერ გაცემულ დასკვნას და განმარტა, რომ ბავშვს აქვს მიჯაჭვულობა მამაზე, დედის მიმართ აქვს აგრესია. დედისათვის ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ბავშვისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

32. აპელანტმა სააპელაციო სასამართლოში წარმოადგინა ფოტოსურათები და ვიდეოჩანაწერი, რომელზედაც ასახულია ბავშვისა და დედის ურთიერთობა. აპელანტმა მხარემ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე მითითებული მტკიცებულებების საქმეზე დართვის თაობაზე და აღნიშნა, რომ მტკიცებულებების შეფასებით სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ დედა-შვილს ერთმანეთთან კარგი და თბილი დამოკიდებულება აქვთ.

33. მითითებული მტკიცებულება გადაეგზავნა მოწინააღმდეგე მხარეს და მესამე პირს. მოწინააღმდეგე მხარემ სასამარ-

თლოს მთავარ სხდომაზე განმარტა, რომ სწორედ აღნიშნული მტკიცებულებები დაადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბავშვს დედის მიმართ აქვს აგრესია.

34. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მხარეთა შუამდგომლობა და სასამართლო მთავარ სხდომაზე დათვალე-რებულ იქნა აპელანტის მიერ წარმოდგენილი ვიდეორჩანაწერი, ასევე, მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი ვიდეორჩანაწერი მხარეთა და მათი შვილის ურთიერთობის შესახებ. (ვიდეორჩანაწერებზე უახლესი პერიოდის, 2016 წლის 24 ივლისის ურთიერთობა ასახული).

35. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ წინამდებარე დავის გადაწყვეტისათვის საქმეზე შეკრებილ იქნა არაერთი მტკიცებულება, ექსპერტთა დასკვნები, სპეციალისტის შეფასება, ფოტოსურათები, ვიდეო მასალა და ა.შ. აღნიშნული მტკიცებულებების ერთობლივი შეფასებით სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მცირეწლოვანი ბავშვი (4 წლისა და 9 თვის) მიჯაჭვულია მამაზე, მასთან თავს დაცულად და კომფორტულად გრძნობს, ის შეჩვეულია ოჯახურ გარემოს, სადაც ცხოვრობს დაბადებიდან დღემდე, მისთვის რთული იქნება სახლიდან მომზადების გარეშე მონყვეტა, სოციალური გარემოს ცვლილება, შეუჩვეველ მშობელთან ერთად წასვლა გეოგრაფიულად დაშორებულ რეგიონში, სადაც მას ასევე მოუხდება ენობრივი გარემოს შეცვლა, რის გამოც მიზანშეწონილია, ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს მამის საცხოვრებელი ადგილი, თუმცა სააპელაციო პალატა ამავე მტკიცებულებებზე დაყრდნობით სავალდებულოდ მიიჩნევს ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის, განისაზღვროს მისი დედასთან ურთიერთობის წესი. საქმეში განთავსებული თითქმის ყველა დასკვნა მიუთითებს და იძლევა რეკომენდაციას, რომ დედამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ურთიერთობა უნდა იქონიოს ბავშვთან ბავშვისთვის ჩვეულ გარემოში, დაიმსახუროს მისი ნდობა. დედის ურთიერთობა შვილთან გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან ორივე მშობლის ჰარმონიული მზრუნველობითი დამოკიდებულება ხელს შეუწყობს ბავშვის სრულყოფილებას.

36. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ, მართალია, ბავშვს აქვს გარკვეული გაუცხოება დედის მიმართ და მასთან არ აქვს ისეთივე მიჯაჭვულობა, როგორც მამის მიმართ (რაც გამოწვეულია იმით, რომ ბავშვი იზრდება მამასთან, იგი არის 5 წლის), თუმცა ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ბავშვს არ აქვს აგრესია დედის მიმართ, არ გაურბის მას (როგორც ამას მოწინააღმდეგე მხარე აღნიშნავს), ასევე დადგენილია, რომ დე-

დის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მისთვის შვილთან ურთიერთობა ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს. სავალდებულოა ბავშვისა და დედის ურთიერთობა, რის გამოც სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ბავშვის დედას თავის არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობისთვის უნდა განესაზღვროს ნახვის დღეები ყოველი თვის 1 რიცხვიდან 7 რიცხვის ჩათვლით (პირველი დღის 11.00 საათიდან, ბოლო მე-7 დღის 17.00 საათამდე) ღამე დარჩენით. შვილთან ურთიერთობის აღნიშნული წესი, შესაძლოა, გარკვეული პერიოდის შემდეგ ფაქტობრივ გარემოებათა ცვლილების პარალელურად შეიცვალოს.

37. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 1197-ე მუხლის, 1198-ე მუხლის პირველი, მესამე ნაწილების, 1199-ე მუხლის, 1201-ე მუხლის, 1202-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმხორციელებელი, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

38. დაცვლება, რომელიმე მშობელთან შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

39. მშობლების უფლება – განსაზღვრონ შვილების საცხოვრებელი ადგილი, დადგენილია ასევე, სსკ-ის მე-20 მუხლის მეორე ნაწილით,

40. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სიკეთეში ჩარევის „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ სწორი შეფასებისათვის სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაზე: ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ (Johansen v. Norway) აღნიშნა, რომ ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, მშობლის ინტერესსა და ბავშვის ინტერესს შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი. აღნიშნული ბალანსის ძიებისას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, რომლებსაც შეიძლება, ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მშობლის ინტერესებთან მიმართებით. გაერთიანების საკითხის გადაწყვეტისას ანგარიშგასანევ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება,



მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვნის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნას გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი. ევროსასამართლოს განმარტებით, მშობლებსა და ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებს შორის კავშირი, კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პარაგრაფის ფარგლებში წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას. მსგავსი ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობები არ წყდება იმ საფუძვლით, რომ მშობლები დაშორდნენ ან განქორწინდნენ, როდესაც ამ მიზეზით ბავშვი ან ერთ მშობელთან ცხოვრობს ან მეორესთან (*Ciliz v the Netherlands*). ერთ-ერთ საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში ოჯახური ცხოვრება სახეზე იყო იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც მშობლების განქორწინებამდე ერთად, ერთ სახლში ცხოვრობდნენ (*inter alia, Olsson v. Sweden (No. 1), 24 March 1988, § 81, Series A no. 130*). კონვენციის მე-8 მუხლის ძირითადი მიზანია, ინდივიდების დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების თვითნებური ქმედებებისგან. ოჯახური ცხოვრების „პატივისცემის“ უფლება, აგრეთვე, მოიცავს დამატებით პოზიტიურ ვალდებულებებს, თუმცა, სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის არსებული ზღვარი ზუსტ განსაზღვრებას არ ექვემდებარება. მათ მიმართ გამოყენებადი პრინციპები იდენტიურია: ორივე კონტექსტში ყურადღება უნდა გამახვილდეს სამართლიან ბალანსზე, რაც დაცული უნდა იქნას შეპირისპირებულ ინტერესებს შორის. გარდა ამისა, ორივე კონტექსტში სახელმწიფო სარგებლობს შეფასების ფართო ზღვარით (*Tuquabo \_ Tekle and Others v. the Netherlands, 2005 წლის პირველი დეკემბერი*).

41. საქმეზე – „*MUSTAFA AND ARMAGAN AKIN v. TURKEY*“ ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს მე-8 მუხლთან მიმართებით დადგენილ პრეცედენტულ პრაქტიკას, რომელიც ხაზს უსვამს ხელისუფლების ვალდებულებაზე, იხელმძღვანელონ ბავშვის საუკეთესო ინტერესებით (*Maslov v. Austria [GC], 2008 წლის 23 ივნისი*). გარდა ამისა, გადანწყვეტილების მიღების პროცესის ხარისხის შეფასება ევროსასამართლოსაგან მოითხოვს, დაადგინოს, ჰქონდა თუ არა შიდა სასამართლოების გადანწყვეტილებას საკმარისი მტკიცებულებითი საფუძველი (რაც მოიცავს, მონმეთა ჩვენებებს, კომპეტენტური ხელისუფლების

ორგანოთა დასკვნებს, ფსიქოლოგისა და სხვა ექსპერტის შეფასებებს და სამედიცინო ცნობებს).

#### **კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:**

42. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მოპასუხემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

43. კასატორის პრეტენზია მიმართულია სასამართლოს მხრიდან საპროცესო ნორმების დარღვევაზე, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეზე დასაშვებად ცნობილ და განკუთვნად მტკიცებულებებს, რასაც შედეგად მოჰყვა ფაქტების არასწორი დადგენა და დავაზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

44. სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, კასატორის მიერ დამატებითი მტკიცებულების სახით წარმოდგენილი შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ და დიმიტრი უზნაძის სახელობის საქართველოს ფსიქოლოგთა ასოციაციის დასკვით მალალპროფესიულ დონეზე განმარტებული, რომ ბავშვზე ობიექტური დაკვირვება გვაძლევს საფუძველს, რომ მისი ამჟამინდელი ემოციური მდგომარეობა სტაბილური და პოზიტიურია. ბავშვი ინტეგრირებულია მამის ოჯახში აქვს უსაფრთხო მიჯაჭვულობა მამაზე, მამასთან თავს დაცულად და კომფორტულად გრძნობს, ადაპტირებულია ჩვეულ გარემოში და ამ ასაკში ბავშვის მამასთან სეპარაცია და უცხო გარემოში გადაყვანა გარკვეულ რისკებთან იქნება დაკავშირებული. ზოგადად მიჯაჭვულობის ობიექტთან და ჩვეულ, მისთვის უსაფრთხო გარემოსთან სეპარაცია ბავშვებში აღძრავს დაუცველობის და ემოციური არასტაბილურობის განცდის საფუძველს. ამ ასაკში ბავშვის სტრესი და დანაკარგის განცდა არის რისკი, რომ გამოიწვიოს ბავშვის შემდგომი დეპრესია, უძილობა, შფოთვა. ბავშვს შეიძლება დაერღვეს ძილი განუვითარდეს შფოთვა, სხვა ნევროზული ჩივილები და ქცევითი დარღვევები, ასევე, ბავშვთა ფსიქოლოგთა მეცნიერული კვლევებით განმტკიცებულია მოსაზრება, რომ შესაძლოა ბავშვმა ამ დროს დაიწყო ემოციური განვითარების არასასურველი გზების ძიება, მითუმეტეს სამიდან ექვს წლამდე ასაკი პირველი გარდატეხის პერიოდია ბავშვის განვითარებაში. ეს პერიოდი არის ბავშვის ინტენსიური, ემოციური განვითარების პერიოდი. იგი პირველ ნაბიჯებს დგამს სოციალიზაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების სფეროში – უნდა ისწავლოს ურთიერთობა ჯგუფთან თანა-

ტოლებთან. სხვადასხვა სახის ურთიერთობების ჩვევების და-  
უფლებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება როლური მოდელის  
შერჩევას. 4-7 წლის ასაკიდან ბიჭები უკვე ირჩევენ საკუთარი  
სქესის მშობლების როლს და მასთან განშორებამ შესაძლოა  
ღრმა კვალი დატოვოს მთელ შემდგომ ცხოვრებაზე. გამოკვლე-  
ვების მიხედვით მამასთან მოშორებული ბავშვები 2-3 ჯერ უფ-  
რო ხშირად მიმართავენ ასოციალურ ქცევას და ერთგებიან კრი-  
მინალურ აქტივობებში. ბავშვს განსაკუთრებით ბიჭს სჭირდე-  
ბა მამასთან მჭიდრო ურთიერთობა, მითუმეტეს მოცემულ შემ-  
თხვევაში საქმე გვაქვს ყოველგვარი მავნე ჩვევების არქონე  
სოციალიზებულ მამასთან, რომელიც ჩვილობის ასაკიდან თა-  
ვად ზრდის ბავშვს. მამა აქტიურად არის ჩართული შვილის  
ცხოვრებაში, რის საფუძველზეც ბავშვი ემოციურად დაცულად,  
უსაფრთხოდ გრძნობს თავს. მამის ასეთი ჩართულობის დამსა-  
ხურებით მცირეწლოვანი ბავშვი ყოველთვის უკეთ ურთიერ-  
თობს თანატოლებთან. ზოგადად ასეთი ბავშვები უფრო იშვია-  
თად არიან დეპრესიულები, მაღალი აქვთ თვითშეფასება.

45. ზემოთ მითითებული გარემოებები უნდა განვიხილოთ  
სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, კერძოდ, საქ-  
მეში ნარმოდგენილი მთელი რიგი მტკიცებულებებით დასტურ-  
დება – მიუხედავად იმისა, რომ ბავშვს ჰყავს ბიოლოგიური დე-  
და, ბავშვი ფაქტობრივად მას არ იცნობს და, შესაბამისად, მცი-  
რე ასაკის და ამ ასაკისათვის დამახასიათებელი მონყვლადო-  
ბის გამო, ბავშვს არა აქვს სათანადო რესურსი, გაიაზროს, თუ  
რატომ უნდა დატოვოს ჩვეული უსაფრთხო გარემო და წავიდეს  
სხვაგან მისთვის უცხო გარემოში. მამასთან და ადაპტირებულ  
გარემოსთან სეპარაციას აუცილებლად ექნება ბავშვზე ძალა-  
დობის ელფერი და, შესაბამისად, ბავშვზე ძალადობა შემდგომ-  
ში სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის მის ფსიქიკურ ჯანმრთე-  
ლობას.

46. აღნიშნულ გარემოებებზე მიუთითებს შპს „ფსიქიკური  
ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ 2016  
წლის 2 თებერვლის სასამართლო ფსიქოლოგიური ექსპერტი-  
ზის დასკვნა №..., რომელიც შედგენილია ექსპერტ-ფსიქოლო-  
გის მიერ. ექსპერტი მიუთითებს მეტად ყურადსაღებ გარემოე-  
ბაზე, რომ ამ ეტაპზე არ ვიცით დედის ამჟამინდელი ფსიქიკუ-  
რი ჯანმრთელობის მდგომარეობა. გარდა შვილთან ერთად  
ცხოვრების სურვილისა, რამდენად აქვს მას რესურსი, გაუმ-  
კლავდეს 4 წლის ბავშვის მამასთან და მანამდე ადაპტირებულ  
გარემოსთან განშორების შედეგად წარმოქმნილ ფსიქოლოგი-  
ურ პრობლემებს, რამდენად შეძლებს ბავშვის ფიზიკურ და გო-

ნებრივ განვითარებაზე ზრუნვას, მის მოვლას და მის საჭიროებებზე მორგებული ადაპტირებული გარემოს ორგანიზებას.

47. დიმიტრი უზნაძის სახელობის საქართველოს ფსიქოლოგთა ასოციაციის ფსიქოლოგიის დოქტორების მიერ შედგენილი დასკვნაც პირდაპირ და ზუსტად ასახავს იმ რისკებს, რაც შეიძლება გამოიწვიოს მცირეწლოვანი ბავშვის შეჩვეული გარემოსაგან მონყვეტამ და როგორ შეიძლება დაირღვეს და შეილახოს ბავშვის პრიორიტეტული ინტერესები.

48. იგივე რისკებზე ისაუბრა სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნაში ექსპერტმა, რაც სრულად ამოირიცხავდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების, როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი საფუძვლევის არსებობას.

49. ამ ეტაპზე ბავშვის გადაცემა დედისათვის ღამე დარჩენის უფლებით იგივე უარყოფითი ტრავმის გამომწვევი იქნება ბავშვისთვის, როგორც ამაზე ექსპერტები უთითებენ თავიანთ დასკვნებში.

**შეგებებული საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:**

50. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე შეგებებული საკასაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემაც, მოითხოვა მისი გაუქმება თავისი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ძირითადი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი მოტივებით:

51. კასატორმა აღნიშნა, რომ მხარეთა შვილს რუსეთის მოქალაქეობა გააჩნია და არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ბავშვი რუსულენოვან გარემოში არ უნდა გაიზარდოს. მამასთან ცხოვრებისას ბავშვის მიერ ქართული ენისა და მეგრული დიალექტის შესწავლის მსგავსად, მას ზიანს ვერ მოაყენებს რუსული ენის შესწავლაც.

52. არასრულწლოვანი ბავშვის დედასთან გაუცხოების თაობაზე მხარემ მიუთითა, რომ მოსარჩელე მეუღლეთა დაშორების პირველი დღიდან ცდილობდა შვილთან ყოფნას. აღნიშნული მიზნით, მიმართა ჯერ პატრულს, ხოლო შემდეგ – სასამართლოს დროებითი განკარგულების მისაღებად. თავდაპირველად სასამართლომ გასცა დროებითი განკარგულება მოსარჩელის სასარგებლოდ, თუმცა მითითებული დოკუმენტი მოსარჩელეს დროულად არ ჩაბარდა და მოპასუხის მოთხოვნით სასამართლომ იგი გააუქმა.

53. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ ვერ დაასაბუთა, რამდენად შედის მცირეწლოვანი ბავშვის ინტერესებში დედის გარეშე გაზრდა. ბებია ვერ შეუცვლის მას დედას. მოწინა-

აღმდეგე მხარის ინტერესში შედის მოსარჩელისათვის შვილის წართმევა, რაც იმით დასტურდება, რომ კასატორს არ აძლევენ შესაძლებლობას, დამოუკიდებლად შეხვედეს შვილს, მისგან თუნდაც რამდენიმე მეტრის დაშორებით იქონიოს ურთიერთობა ბავშვთან.

54. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 სექტემბრის განჩინებით – ძირითადი საკასაციო საჩივარი, ხოლო ამავე წლის 11 ოქტომბერს შეგებებული საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2016 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით კი როგორც საკასაციო საჩივარი, ისე შეგებებული საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

55. საკასაციო სასამართლოს მიერ 2017 წლის 25 იანვარს მოცემული საქმის ზეპირი განხილვისას მხარეთა შორის მიღწეულ იქნა მორიგება და მათ იშუამდგომლეს სასამართლოს წინაშე მორიგების აქტის დამტკიცების შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ არასრულწლოვანი შვილის – დ. გ.-ას საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს მამის – გ. გ.-ას საცხოვრებელი ადგილი: ქ. სენაკი, ... ქ. №...

56. მორიგების აქტი შეიცავს შემდეგ პირობებს:

1. დედას – თ. მ.-ეს თავის არასრულწლოვან შვილთან – დ. გ.-ასთან ურთიერთობისათვის განესაზღვროს ნახვის დღეები ყოველი თვის 1 რიცხვიდან 7 რიცხვის ჩათვლით დღის 11:00 საათიდან საღამოს 19:00 საათამდე პირველი 3 (სამი) თვის განმავლობაში ღამით დარჩენის უფლების გარეშე, ხოლო სამი თვის შემდეგ პირველი დღის 11:00 საათიდან მე-7 დღის 19:00 საათამდე ღამით დარჩენის უფლებით მცირეწლოვანი დ. გ.-ას ინტერესების გათვალისწინებით;

2. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდება რომელიმე მხარის ობიექტური მიზეზით დედა-შვილის ურთიერთობა პირველ პუნქტში მითითებულ ვადებში დედა-შვილის ურთიერთობა განხორციელდება იმავე თვის სხვა დღეებში პირველ პუნქტში მითითებული პირობებით;

3. მცირეწლოვანი ბავშვის ქ. სენაკში ყოფნის შემთხვევაში დედის ბავშვთან ურთიერთობის ადგილად განისაზღვროს სენაკი და თ. მ.-ეს ჰქონდეს უფლება, მცირეწლოვანი ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით ბავშვი წაიყვანოს ქ. ქუთაისში, ხოლო ბავშვის ქ. თბილისში ყოფნის შემთხვევაში ბავშვთან ურ-

თიერთობის ადგილად განისაზღვროს ქ. თბილისი – ქ. რუსთავი ზემოთ მითითებული პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ადგილსამყოფელი იქნება სხვა მისამართზე, სხვა დასახლებულ პუნქტში, დედისა და შვილის ურთიერთობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით მცირეწლოვანი ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით პირველ პუნქტში მითითებული პირობებით;

4. მხარეები თანახმანი არიან, პირველი ორი კვირის განმავლობაში დედისა და შვილის ურთიერთობას დაესწროს სოციალური მუშაკი;

5. მორიგების აქტი გამოხატავს მხარეთა ნებას, რაც დადასტურებულია ხელმოწერებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

57. საკასაციო სასამართლო გაეცნო მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა მორიგების დამტკიცების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

58. სსსკ-ის მე-3 მუხლით განმტკიცებულია სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის მნიშვნელოვანი დისპოზიციურობის პრინციპი, რაც უმთავრესად ნიშნავს მხარეთა მიერ საკუთარი ნების საფუძველზე კანონით მათთვის მინიჭებული უფლებების განკარგვას. მათ შორისაა ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული უფლება, მხარეებმა დავის შეწყვეტის მიზნით, მიაღწიონ შეთანხმებას გარკვეულ პირობებზე (მორიგდნენ), რომელიც ორმხრივ მავალდებულებელია და სასამართლოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში ექვემდებარება აღსრულებას.

59. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი მორიგების აქტით განსაზღვრული პირობები გამოხატავს მხარეთა ნებას, რაც დასტურდება მათ მიერ ხელმოწერილი მორიგების აქტით, ამავდროულად, მორიგების აქტის შინაარსი არ ეწინააღმდეგება კანონს.

60. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მხარეებისათვის ცნობილია წინამდებარე მორიგების აქტის სასამართლოს მიერ დამტკიცების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე სასამართლო განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს მიერ საქმის წარმოება წყდება და მხარეებს აღარ აქვთ უფლება, განმეორებთ მიმართონ სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე.

61. სსსკ-ის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ. იმავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

62. სსსკ-ის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

63. ამდენად, მხარეთა მორიგების საფუძველზე კასატორ გ. გ-ას უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მის მიერ 2016 წლის 26 სექტემბრის №4 საგადასახადო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი, ხოლო შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორ თ. მ-ეს უნდა დაუბრუნდეს ლ-ას მიერ 2016 წლის 6 ოქტომბერს №.. საკრედიტო საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 373-ე მუხლის მეორე ნაწილით, 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით, 49-ე მუხლის მეორე ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

2. მხარეები შეთანხმდნენ, რომ არასრულწლოვანი შვილის – დ. გ-ას საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს მამის – გ. გ-ას საცხოვრებელი ადგილი: ქ. სენაკი, ... ქ. №... .

3. მორიგების აქტი შეიცავს შემდეგ პირობებს:

1. დედას – თ. მ-ეს თავის არასრულწლოვან შვილთან – დ. გ-ასთან ურთიერთობისათვის განესაზღვროს ნახვის დღეები ყოველი თვის 1 რიცხვიდან 7 რიცხვის ჩათვლით დღის 11:00 საათიდან საღამოს 19:00 საათამდე პირველი 3 (სამი) თვის განმავლობაში ღამით დარჩენის უფლების გარეშე, ხოლო სამი თვის შემდეგ პირველი დღის 11:00 საათიდან მე-7 დღის 19:00 საათამდე ღამით დარჩენის უფლებით მცირეწლოვანი დ. გ-ას ინ-

ტერესების გათვალისწინებით;

2. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდება რომელიმე მხარის ობიექტური მიზეზით დედა-შვილის ურთიერთობა პირველ პუნქტში მითითებულ ვადებში დედა-შვილის ურთიერთობა განხორციელდება იმავე თვის სხვა დღეებში პირველ პუნქტში მითითებული პირობებით;

3. მცირენლოვანი ბავშვის ქ. სენაკში ყოფნის შემთხვევაში დედის ბავშვთან ურთიერთობის ადგილად განისაზღვროს სენაკი და თ. მ.-ეს ჰქონდეს უფლება, მცირენლოვანი ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით ბავშვი წაიყვანოს ქ.ქუთაისში, ხოლო ბავშვის ქ. თბილისში ყოფნის შემთხვევაში ბავშვთან ურთიერთობის ადგილად განისაზღვროს ქ. თბილისი – ქ. რუსთავი ზემოთ მითითებული პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ადგილსამყოფელი იქნება სხვა მისამართზე, სხვა დასახლებულ პუნქტში, დედისა და შვილის ურთიერთობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით მცირენლოვანი ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით პირველ პუნქტში მითითებული პირობებით;

4. მხარეები თანახმანი არიან, პირველი ორი კვირის განმავლობაში დედისა და შვილის ურთიერთობას დაესწროს სოციალური მუშაკი;

5. მორიგების აქტი გამოხატავს მხარეთა ნებას, რაც დადასტურებულია ხელმოწერებით.

4. მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს და გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ქვემდგომი ინსტანციის ყველა გადაწყვეტილება;

5. განემარტოს მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში დაუშვებელია სასამართლოსათვის ხელმოწერედ მიმართვა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით;

6. კასატორ გ. გ.-ას (პირადი №..) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს მის მიერ 2016 წლის 26 სექტემბრის №4 საგადასახადო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

7. თ. მ.-ეს (პირადი №..) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს ლ.-ას მიერ 2016 წლის 6 ოქტომბერს №... საკრედიტო საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

8. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



## 5. სალიმენტო მოვალეობანი

### ალიმენტის დაკისრება

#### ბანძინება

№ას-326-311-2016

30 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ალიმენტის გადახდა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. ო-ს (შემდგომში: მოსარჩელე) და მ. ო-ს (შემდგომში: მოპასუხე, კასატორი) რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 2012 წლიდან. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემდეგში სსკ-ის 1106 და 1151-ე მუხლები).

2. მეუღლეებს ერთად ცხოვრების პერიოდში, 2012 წლის 18 ნოემბერს, შეეძინათ შვილი – მ-ი. (შემდგომში: არასრულწლოვანი).

2. არასრულწლოვანი დაბადებიდან დედასთან იზრდება.

3. მამა არ ასრულებს შვილის რჩენის მოვალეობას (სსკ-ის 1211-ე მუხლი). მისი ყოველთვიური შემოსავალი (ხელფასი) შეადგენს 1137.60 ლარს.

4. დედამ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ალიმენტის, ყოველთვიურად 600 (ექვსასი) ლარის დაკისრების მოთხოვნით (სსკ-ის 1214-ე მუხლი). (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომი – სსკ) 1214-ე მუხლი).

5. მოპასუხემ ნაწილობრივ ცნო სასარჩელო მოთხოვნა. მან მიუთითა რომ მას აქვს ბანკის წინაშე ფინანსური ვალდებულებები და მის კმაყოფაზე არიან შრომისუუნარო მშობლები, იგი ვერ შეძლებს მოთხოვნილი ოდენობით ალიმენტის გადახდას. ის თანახმაა გადაიხადოს შვილის სარჩოდ ალიმენტი 100 ლარის ფარგლებში.

6. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაეკისრა

ალიმენტი, სარჩელის აღძვრის დღიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, ყოველთვიურად 300 (სამასი) ლარის ოდენობით. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 1212-ე, 1213-ე, 1214-ე, 1234-ე, 1198-ე მუხლებით.

7. სასამართლომ დაასკვნა, რომ არასრულწლოვანი შვილის რჩენა-აღზრდა მშობელთა უფლება-მოვალეობას წარმოადგენს. ისინი თანაბარნილად არიან ვალდებული არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები. ამავე დროს, ბავშვის ინტერესი უპირატესია, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ალიმენტის ოდენობა (600 ლარი) არ იყო მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობის შესატყვისი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიზანშეწონილად და გონივრულად ჩათვალა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მშობლების მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, მოპასუხეს ყოველთვიურად გადასახდელად 300 ლარი უნდა დაკისრებოდა.

8. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა როგორც მოსარჩელემ, ასევე მოპასუხემ.

8.1. მოსარჩელემ საჩივრის საფუძვლად მიუთითა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასაკმარისადაა დასაბუთებული. მას მხარეთა მოსაზრებების მოსმენის და საქმეში არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, სარჩელი სრულად უნდა დაეკმაყოფილებინა.

8.2. მოპასუხის ძირითადი პრეტენზია კი იმაში მდგომარეობდა, რომ მისი მოსაზრებით, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა სსკ-ის 1214-ე მუხლის მოთხოვნას, ვინაიდან, გადაწყვეტილების მიღებისას არ იქნა გათვალისწინებული მისი რეალური მატერიალური მდგომარეობა, ის შემოსავალი, რაც მას გააჩნია, არაა საკმარისი ალიმენტის იმ ოდენობით დაკისრებისათვის, რომელიც გადაწყვეტილებამ განსაზღვრა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

10. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დამატებით აღნიშნა: „საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, ასევე, ბავშვების ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინ-

სტანციის სასამართლოს მიერ ალიმენტის სახით დაკისრებული ყოველთვიურად გადასახდელი თანხის ოდენობა – 300 ლარი, ექცევა გონივრული და სამართლიანი შეფასების ფარგლებში და არ არსებობს მისი არც შემცირებისა და არც გაზრდის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, აპელანტებს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენიათ მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა მათი სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებს“.

11. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც მიუთითა შემდეგზე:

11.1. ის ვერ შეძლებს ალიმენტის გადახდას 300 ლარის ფარგლებში. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ კასატორის ყოველთვიური ხელფასი (ხელზე ასაღები) შეადგენს 1137 ლარს. ამ თანხიდან იგი იხდის ქირას, საბანკო კრედიტს და თუ ამას ალიმენტის თანხაც დაემატება, ხელფასიდან პირადი განკარგვის მიზნით დარჩება მხოლოდ 170 ლარი.

11.2. სასამართლომ არც ის გაითვალისწინა, რომ ის არის მალაჩინოსანი სამხედრო, აქვს კარგი სადაზღვევო პაკეტი, რომლის ფარგლებშიც დაზღვეული ჰყავს შვილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მას შვილის ჯანმრთელობის ხარჯების გადახდა გარანტირებული აქვს, რაც სასამართლოს შეეძლო აესახა დადგენილი ალიმენტის ოდენობაში.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 15 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესაძომნებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

13. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემომწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ის არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს და დაუშვებელია შემდეგი გარემოებების გამო:

14. სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელო-

ვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. აღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

15. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სსსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი საფუძვლით.

16. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილული არ არის მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ არსებითად სწორია.

17. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან.

18. საკასაციო პრეტენზიასთან მიმართებით საკასაციო პალატა განმარტავს: ალიმენტის გადახდევინება, უპირველესად, მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას და მისთვის ღირსეული საარსებო პირობების შექმნას. ამავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს ალიმენტვალდებული პირის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას, მის კმაყოფაზე მყოფ პირთა წრეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აღსაზრდელის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ასაკს და ა.შ. მხოლოდ მოცემული გარემოებების შესწავლის შემდეგ, სსკ-ს 1214-ე მუხლის თანახმად, სასამართლო, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, იღებს ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე, რომელიც გარემოებათა შეცვლის შემთხვევაში ექვემდებარება გადაანგარიშებას. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქვემდგომი სასამართლო ინსტანციების მიერ ალიმენტის ოდენობა განსაზღვრულია გონივრულობის ფარგლებში იმგვარად, რომ არ ილახება არც ერთი მხარის კანონით დაცული უფლებები და ინტერესები, შესაბამისად, არ არსებობს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია ამ ოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით. (იხილეთ სუსგ №ას-1356-1194-2010; №ას-1610-1511-2012, №ას-220-210-2016).

19. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას კასატორის საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

21. სსსკ-ის 104-ე და 407-ე მუხლების საფუძველზე, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ განცხადებაზე დართული მტკიცებულებები. ვინაიდან საკასაციო სასამართლო ამონმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ იურიდიულ მხარეს, კანონი კრძალავს საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითებას და ახალი მტკიცებულებების წარდგენას, რამდენადაც ეს შეუთავსებელია საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილებასთან. შესაბამისად, კასატორის შუამდგომლობა საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებების მიღების შესახებ, არ უნდა დაკმაყოფილდეს;

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 7.2, 257.1, 264.3, 391-ე მუხლებით, 401-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. ო-ს საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორ მ. ო-ს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300.00 ლარის, საკრედიტო საგადახდო დავალება №1, გადახდის თარიღი 11.04.2016) 70% – 210.00 ლარი;

3. კასატორ მ. ო-ს შუამდგომლობა საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებების მიღების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

4. კასატორ მ. ო-ს დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები (საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსის ბრძანება – 3 ფურცელი, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულება – 2 ფურცელი, ინფორმაცია სს „ბ-ში“ საბანკო ანგარიშებზე რიცხული ნაშთის შესა-

ხებ – 1 ფურცელი, მ. ო-ის დაზღვევის პოლისის ასლი – 1 ფურცელი);

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ალიმენტის ოდენობის შეცვლა**

### **განჩინება**

№ას-912-862-2015

11 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ი. ხ-ე (შემდეგში მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) და ზ. მ-ე (შემდეგში მოპასუხე, ალიმენტვალდებული პირი) 1993 წლიდან იმყოფებოდნენ ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში. 2007 წლის 20 ნოემბრიდან მათი ქორწინება რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით {საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 1106-ე, 1151-ე მუხლები}.

2. ქორწინების პერიოდში მხარეებს შეეძინათ შვილები: ბ., დაბადებული 2000 წლის ... მარტს და თ., დაბადებული 2009 წლის ... იანვარს {სსკ-ის 1187-ე და 1189-ე მუხლები}.

3. მოპასუხეს 2010 წლის ... მაისს არარეგისტრირებულ ქორწინებაში შეეძინა ვაჟი – ნ.

4. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით მხარეთა შორის ქორწინება შეწყდა და მოპასუხეს შვილების სარჩენად დაეკისრა ალიმენტის, 500 ლარის, გადახდა {სსკ-ის 1122-ე მუხლის „გ“ პუნქტი, 1212-ე და 1214-ე მუხლები}.

5. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ და მოითხოვა სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტის გაზრდა 1000 ლარამდე შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

5.1. ქორწინების შეწყვეტის შემდეგ მოპასუხის მატერიალუ-

რი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, კერძოდ, იგი ეწევა სალომბარდო მომსახურებას, გახსნილი აქვს ვალუტის გადამცვლელი პუნქტი. მან 2014 წლის 7 ნოემბერს 30 000 აშშ დოლარად ქ. ქუთაისში, ..... შეიძინა უძრავი ქონება (შემდგომში – ქონება);

5.2. შვილების სწავლის ხარჯის, ტანსაცმლის, დამატებითი ხარჯებისა და კომუნალური გადასახადების დასაფარავად 500 ლარი საკმარისი არ არის;

6. მოსარჩელის განცხადების საფუძველზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 2 თებერვლის განჩინებით ყადაღა დაედო მოპასუხის საკუთრებაში არსებულ ქონებას.

7. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი და მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

7.1. მისი მატერიალური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. იგი არ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას (არ აქვს გახსნილი ლომბარდი და ვალუტის გადამცვლელი პუნქტი);

7.2. აქვს მძიმე ფინანსური მდგომარეობა და აღებული აქვს კრედიტები;

7.3. ქონება არ წარმოადგენს მის საკუთრებას და იგი დროებითაა აღრიცხული მის სახელზე, რასაც ადასტურებს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ შეთანხმება;

7.4. არ არის დასაბუთებული, რატომ არ არის საკმარისი სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტი (500 ლარი) შვილების სარჩენად;

7.5. თვითონ მოსარჩელე დასაქმებულია და აქვს სოლიდური შემოსავალი.

8. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რის ფაქტობრივ საფუძველდაც სასამართლომ მიუთითა შემდეგი:

8.1. წარმოდგენილი არ იქნა მტკიცებულება ბავშვების აღზრდა-განვითარებაზე გასანევი ხარჯების გაზრდის თაობაზე;

8.2. მოპასუხეს ბანკიდან აღებული აქვს კრედიტი;

8.3. არ არსებობს ერთ-ერთი ის გარემოება, რაც საფუძველად დაედო სარჩელის აღძვრას, კერძოდ, ქონება არ ირიცხება მოპასუხის სახელზე და დაუბრუნდა თავდაპირველ მესაკუთრეს. სასამართლომ დავის გადასაწყვეტად გამოიყენა სსკ-ის 1221-ე და 1241-ე მუხლები.

9. მოსარჩელემ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა აპელაციის წესით, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ივნის-

სის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

9.1. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სასამართლებრივი შეფასებები, ასევე, მოპასუხის შემოსავლებთან დაკავშირებით დამატებით მიუთითა სს „საქართველოს ბანკის“ ინფორმაციაზე, რომ მოპასუხეს საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებისას შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტები არ წარუდგენია.

10. სააპელაციო სასამართლოს განჩინება აპელანტმა გაასაჩივრა საკასაციო წესით და მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

10.1. მოსამართლემ არ გაითვალისწინა სსკ-ის 1214-ე და 1230-ე მუხლების მოთხოვნები;

10.2. სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, რის შედეგადაც დადასტურებულად არ მიიჩნია მოპასუხის ქონებრივი და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

10.3. განჩინება არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული და დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სასამართლებრივი საფუძვლიანობის შემონმება შეუძლებელია.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის განჩინებით, სსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა და გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

12. საქმის მასალების გაცნობა, შესწავლა და ანალიზი, ასევე, მიღებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების ზეპირი მოსმენით შემონმება, საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვის მიზნით იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების თაობაზე.

13. სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და სათანადოდ არ შეაფასა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები {სსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი}, რასაც შედეგად მოჰყვა არასწორი სამართლებრივი დასკვნა სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე, სახელდობრ:

13.1. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ამ ტიპის დავების განხილვის თავისებურებანი {სსკ-ის XLIII თავი} და არასწორად გადააკისრა მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს, როცა დაასკვნა, რომ მოპასუხის მატერიალური მდგომარეობა არ გა-



უმჯობესებულა. ჯერ ერთი, ამ ტიპის საქმეებზე სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით განსაზღვროს საქმეზე დასადგენ გარემოებათა წრე და უფრო მეტიც, მას შეუძლია, გამოითხოვოს ის მტკიცებულებებიც, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ {სსსკ-ის 354-ე მუხლის პირველი ნაწილი}. მეორეც, დავა ეხებოდა ბავშვთა ინტერესებს, მათი ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის საჭირო აუცილებელ სახსრებს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო, „ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპიდან“ გამომდინარე, სრულყოფილად გამოეკვლია საქმის გარემოებები და გადამწყვეტილება მიეღო ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით {„ბავშვის უფლებათა“ კონვენციის მე-18 მუხლი}.

13.2. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელით მოთხოვნილი იყო ალიმენტის დადგენილი ოდენობის, 500 ლარის, შეცვლა 1000 ლარით. ამგვარი სამართლებრივი შედეგის მიღება სსკ-ის 1222-ე, 1212-ე და 1214-ე მუხლების დანაწესიდან გამომდინარე, უკავშირდებოდა შემდეგი სამართლებრივი წინაპირობების განხორციელებას:

ა) სასამართლოს გადამწყვეტილებით დადგენილი უნდა იყოს ალიმენტვალდებული პირის მიერ შვილების სასარგებლოდ გადასახდელი ალიმენტის ოდენობა.

ბ) ალიმენტის ოდენობის დადგენის შემდეგ ალიმენტვალდებული პირის მატერიალური მდგომარეობა უნდა გაუმჯობესებულიყო.

გ) დადგენილი ალიმენტის ოდენობა მეორე მშობლის, ამ შემთხვევაში დედის, მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, არ უნდა იყოს საკმარისი შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის საჭირო აუცილებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

13.3. ამრიგად, მოცემულ საქმეზე გამოსაკვლევი იყო: რამდენი თანხა უნდა გაეღოთ ყოველთვიურად ორივე მშობელს, რომ ორივე ბავშვის ნორმალური რჩენა-აღზრდა უზრუნველყოფილიყო, რას შეადგენდა თითოეული მშობლის ყოველთვიური შემოსავალი, ალიმენტვალდებული პირის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა თუ არა. სააპელაციო სასამართლოს ჩამოთვლილთაგან არცერთი გარემოება სრულყოფილად არ გამოუკვლევია, რითაც დარღვეულ იქნა სსსკ-ის 105.2-ე მუხლის მოთხოვნები.

13.4. სასამართლომ უკრიტიკოდ გაიზიარა მოპასუხის შესაგებელი. მან არ შეაფასა ის ფაქტი, რომ მოპასუხეს 2014 წლის 30 აპრილიდან 120 თვის ვადით სს „საქართველოს ბანკში“ გახ-

სწილი აქვს საკრედიტო ხაზი 200 000 აშშ დოლარი, რომლის ფარგლებშიც მის სახელზე გაიცა სესხი 100000 აშშ დოლარი. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საბანკო კრედიტის გაცემის ერთ-ერთი წინაპირობაა მისი დაბრუნებადობა („კომერციული ბანკების საქმიანობის“ შესახებ კანონის მუხლი 1, „თ“ ქვეპუნქტი), რაც იმას გულისხმობს, რომ სესხის მიღებამდე მსესხებელმა ბანკს უნდა წარუდგინოს მისი კრედიტუნარიანობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები, მათ შორის, მისი შემოსავლების ამსახველი დოკუმენტაცია. ბანკის 2015 წლის მაისის წერილი, რომელსაც დაეყრდნო სასამართლო, არ ასახავს რეალობას და არ შეიცავს საკმარის ინფორმაციას მოპასუხის სახელზე გაცემული კრედიტის დაბრუნებადობისა და მიზნობრიობის შესახებ.

14. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს და ობიექტურად შეაფასოს როგორც სარჩელის გარემოებები, ისე მოპასუხის შესაგებელი, შეისწავლოს წინამდებარე განჩინების პ.13.2-ში მითითებული გარემოებები (საჭიროების შემთხვევაში, თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები) და ისე მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

15. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

16. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო

დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განანილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 372-ე, 399-ე, 412-ე, მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. ხ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ალიმენტის ოდენობის შეცვლა**

### **განჩინება**

№ას-675-631-2017

16 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** ალიმენტის გაზრდა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ქ. ჭ-ეს (შემდეგში: მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე) და ც. კ-ეს (შემდეგში: მოპასუხე ან კასატორი) თანაცხოვრების

პერიოდში, 2011 წლის 02 დეკემბერს შეეძინათ შვილი – ზ. კ-ე (შემდეგში: არასრულწლოვანი შვილი).

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მხარეთა შორის შეწყდა 2011 წლის 04 იანვარს რეგისტრირებული ქორწინება. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის რჩენა-აღზრდისათვის ყოველთვიურად ალიმენტი 120 ლარი 2014 წლის 08 სექტემბრიდან მის სრულწლოვანებამდე. აღნიშნულ საქმეზე, 2015 წლის 11 თებერვალს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

3. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაკისრებული ალიმენტის 500 ლარამდე გაზრდის მოთხოვნით.

4. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილებით ალიმენტის ოდენობა განისაზღვრა 120 ლარით. ამჟამად, მოპასუხის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესებულია. იმავდროულად, გაზრდილია არასრულწლოვანის შვილის საჭიროება, რის გამოც, ალიმენტის ოდენობა უნდა გაიზარდოს 500 ლარამდე.

5. მოპასუხემ წარმოადგინა მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი და უარყო მისი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ გარემოება; მანვე აღნიშნა, რომ მისი შემოსავალი მნიშვნელოვნად შემცირებულია.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შეიცვალა ამავე სასამართლოს მიერ 04.12.2014 წელს განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა და მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილის რჩენა-აღზრდისათვის დაეკისრა ყოველთვიურად ალიმენტი 220 ლარი, რომლის გადახდის ვალდებულება დაეკისრა მოპასუხეს სარჩელის აღძვრის დღიდან – 2016 წლის 17 აგვისტოდან – არასრულწლოვანი შვილის სრულწლოვანებამდე.

7. გადაწყვეტილებაზე წარდგენილი არცერთი მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლომ თავის განჩინებაში გაიზიარა წინამდებარე განჩინების პპ: 1-2-ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

9. იმავდროულად, დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მუშაობს თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის კანცელარიის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრში სპეციალისტად და მისი თანამდებობრივი სარგო შეადგენს 755 ლარს თვეში.

10. არასრულწლოვანი შვილი დადის საჯარო საბავშვო ბაღში. იგი დაზღვეულია სადაზღვეო კომპანია „იმედი ლ“-ში, რომლის სადაზღვეო თანხას ყოველთვიურად იხდის მოპასუხე.

11. მოპასუხე თბილისში ცხოვრობს დედის საკუთრებაში არსებულ ბინაში, ხოლო მოპასუხის დედა ცხოვრობს და მუშაობს ზესტაფონში. მოპასუხეს აქვს არასრულწლოვან შვილთან სტაბილური და ნორმალური მამამეილური ურთიერთობა. მამა ნახულობს შვილს და კვირაში ერთი დღე მიჰყავს თავის საცხოვრებელ სახლში.

12. სს „ს-ის“ მიერ გაცემული 20.03.2017 წლის ცნობის საფუძველზე, დადგენილი იქნა, რომ მოპასუხე ამჟამად პრობლემური აქტივების მართვის დეპარტამენტის კონტროლის ჯგუფის მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობს და მისი შრომის ანაზღაურება გამომუშავებით განისაზღვრება. სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2017 წლის 20 მარტის წერილის საფუძველზე დგინდება, რომ ც. კ-ის დასაბეგრი შემოსავლები 2016 წლის 01 აგვისტოდან 2017 წლის 28 თებერვლის ჩათვლით შემდეგია: 2016 წლის აგვისტოს თვე – 899.08 ლარი, 2016 წლის სექტემბერი – 1698.51 ლარი, 2016 წლის ოქტომბერი – 2516.28 ლარი, 2016 წლის ნოემბერი – 1078.4 ლარი, 2016 წლის დეკემბერი – 1429.86 ლარი, 2017 წლის იანვარი – 1230.14 ლარი და 2017 წლის თებერვალი – 1206 ლარი.

13. დავის სამართლებრივი მოწესრიგების მიზნით, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) 1212-ე მუხლით, რომელიც ადგენს არასრულწლოვანი შვილების რჩენის მოვალეობას. აგრეთვე, 1198-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლითაც დადგენილია მშობლების ვალდებულება შვილების აღზრდის, ზრუნვის, ფიზიკური, სულიერი თუ გონებრივი განვითარების ასპექტში. ამავე კოდექსის 1214-ე მუხლი კი, შვილებზე ზრუნვის საკითხში მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ითვალისწინებს დავის სამართლო წესით გადაწყვეტას, რა დროსაც ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმად დადგენილია როგორც მშობლის, ასევე შვილის რეალური მატერიალური შესაძლებლობა.

14. იმავდროულად, სსკ-ის 1221-ე მუხლი ითვალისწინებს იმგვარ შემთხვევას, როდესაც იმ მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში, რომლებიც ალიმენტს იხდიან მტკიცე თანხის სახით, სასამართლოს უფლება აქვს, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, შეამციროს ან გაადიდოს ალიმენტის ოდენობა. სსკ-ის 1231-ე მუხლის თანახმად, თუ შეიცვალა ალიმენტის გადამხდელის ან ალიმენტის

მიმღების მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობა, ამ თავში მოხსენიებულ პირთათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობის სასამართლო წესით დადგენის შემდეგ სასამართლოს უფლება აქვს, ერთ-ერთი მათგანის სარჩელის საფუძველზე შეცვალოს დადგენილი ალიმენტის ოდენობა.

15. სააპელაციო პალატის განმარტებით მოხმობილი ნორმები მართალია ადგენენ მხარეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის ცვლილებების შესაბამისად ალიმენტის ოდენობის შეცვლის შესაძლებლობას, თუმცა, ნორმათა განმარტების ამოსავალი პრინციპი ბავშვის საუკეთესო ინტერესებია, რაც გამორიცხავს ნებისმიერ ცვლილებას ბავშვის ინტერესების საზიანოდ. უპირატესია ბავშვის უფლება მიიღოს ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი მატერიალური სახსრები, რაც გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ალიმენტის გადამხდელი პირის რეალურ ქონებრივ მდგომარეობასთან და მის მატერიალურ შემოსავალთან.

16. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის, მოპასუხე მუშაობდა კერძო საადვოკატო ფირმაში ადვოკატის თანაშემწედ და არასტაბილური შემოსავალი გააჩნდა. 2016 წლის 13 იანვრიდან კი, იგი ბანკში პრობლემური აქტივების მართვის დეპარტამენტის კონტროლის ჯგუფის მენეჯერად მუშაობს და 2014 წლის 04 დეკემბრის პერიოდთან შედარებით, მისი მატერიალური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია, გააჩნია სტაბილური სამუშაო; გაუმჯობესებული აქვს სამსახურებრივი მდგომარეობა და მატერიალური შემოსავლის წყარო, რაც გამოხატულია სახელფასო მაჩვენებლით.

17. პალატამ განმარტა, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა არ არის მუდმივი ხასიათის. კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს სასამართლო გადაწყვეტილებით ალიმენტის გაზრდას და ამის საფუძველად განიხილავს ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალური თუ ოჯახური მდგომარეობის შეცვლას. ამასთან, დაუშვებელია ალიმენტის ოდენობის ცვლილება განხორციელდეს იმ ფარგლებში, რომელიც ხელყოფს ბავშვის ინტერესებს და ვერ უზრუნველყოფს მისი რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი მინიმალური პირობების შექმნას. ალიმენტის ოდენობის დადგენისას არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები უნდა განისაზღვროს მისი ფიზიკური, სოციალური, გონებრივი, ემოციური და სულიერი მოთხოვნებიდან გამომდინარე. აღნიშნული მოთხოვნილებები განსხვავდება

არასრულწლოვანი ბავშვის ასაკიდან გამომდინარე.

18. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ არასრულწლოვანი შვილი ცხოვრობს დედასთან. მართალია, დედის მატერიალური მდგომარეობა 2014 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ პოზიტიურად შეიცვალა, (იგი ამჟამად დასაქმებულია და მისი თანამდებობრივი სარგო 755 ლარს შეადგენს თვეში), თუმცა, ბავშვის ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება მისი მოთხოვნილებები და შესაბამისად – ამისათვის საჭირო ხარჯების ოდენობაც, რის გამოც მოსარჩელის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ვერ გახდება წარმოდგენილი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

19. იმავედროულად, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა პროცესუალურ საკითხეც, რომელიც მოპასუხის მიერ შესაგებლის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობას შეეხებოდა:

20. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხის მხრიდან შესაგებელი დაგვიანებით იქნა წარმოდგენილი, კერძოდ, მოპასუხემ სასამართლოს გზავნილი ჩაიბარა 2016 წლის 30 აგვისტოს, რომლითაც მიეცა 10 დღის ვადა. შესაგებელი წარადგინა 10-დღიანი ვადის დაღვევით – 2016 წლის 12 სექტემბერს. სსსკ 232<sup>1</sup>-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

21. სააპელაციო პალატამ განსახილველი დავის თავისებურებიდან გამომდინარე, მოპასუხის მხრიდან დადგენილ ვადაში, შესაგებლის წარმოდგენის პროცესუალური ვალდებულების შეუსრულებლობა, არ მიიჩნია, მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებელ განმაპირობებელ ფაქტორად; რამეთუ, სასამართლოში იხილებოდა არასრულწლოვანი ბავშვის რჩენა-აღზრდისათვის აღიმენტის დაკისრების (კონკრეტულ შემთხვევაში, გაზრდის) საკითხი, რა დროსაც, სახელმწიფოს ეკისრებოდა პოზიტიური ვალდებულება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის ასპექტში. სახელმწიფო აღნიშნული ვალდებულების წყაროს კი, წარმოადგენს „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ (შემდეგში: კონვენცია), რომელიც ბავ-

შვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. ამგვარი ვალდებულება ვრცელდება სასამართლო განხილვაზეც.

22. ალიმენტის დანესება ზემოთ ხსენებული სახელმწიფოებრივი ზრუნვის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, გონივრული ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა დაუსწრებელი გადაწყვეტილების რეჟიმში, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ გამოდინარეობს ბავშვის ინტერესების საუკეთესო დაცვის პერსპექტივიდან. გარდა აღნიშნულისა, პალატა ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის საპროცესო რეალიზაციის წესზეც. სამოქალაქო სამართალწარმოებით განსახილველ სხვა კატეგორიის საქმეთაგან განსხვავებით, საოჯახო სამართლებრივი დავების განხილვა ინკვიზიციური კომპონენტებითაა გაჯერებული და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შმდეგში: სსსკ-ის) 354-ე მუხლით კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს საქმის გარემოების დადგენას სასამართლოს ინიციატივითაც. ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ კატეგორიის დავების განხილვა შეჯიბრებითობის საერთო წესისგან განსხვავებულად მიმდინარეობს. დაუსწრებელი გადაწყვეტილება კი წარმოადგენს ერთგვარ სანქციას გამოუცხადებელი ან შესაგებლის არ ან დაგვიანებით წარმდგენი მხარის წინააღმდეგ, ცხადია, მისი გამოტანის დასაშვებობის შემთხვევაში. ამიტომ, კანონმდებლის მიზანი, რომ შესაგებლის არწარმდგენი მხარე დაისაჯოს, საოჯახო კატეგორიის დავებში მეტად მყიდვეა, რადგან ამ ტიპის სამართალწარმოებისას სასამართლოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს მისი გულმოდგინე მცდელობა, რათა ზედმიწევნით სწორად დაადგინოს არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესები – რა მოთხოვნილებები აქვს მას, საჭიროებები და რა ფარგლებში შეიძლება დაკმაყოფილდეს ისინი.



ამ საკითხების გადაწყვეტა კი დაუსრულებელი გადაწყვეტილების მიღებით, რა დროსაც არ ხდება მტკიცებულებების შემოწმება, ეწინააღმდეგება ბავშვის უფლების უპირატესად გათვალისწინების პრინციპს.

23. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ორივე მხარემ.

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ივნისის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად განჩინების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის დარღვევის მოტივით

25. მოპასუხემ კი, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

26. კასატორის პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სსკ-ის 1198-ე, 1214-ე, 1212-ე და კონვენციის 27.2 მუხლის გამოყენებაში მდგომარეობს, რომელიც მისი მოსაზრებით, დავის განხილვისას რელევანტური არ იყო, რადგან მოცემულ შემთხვევაში, იხილებოდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ალიმენტის ოდენობის გაზრდის და არა დაწესების საკითხი. მოცემულ შემთხვევაში, კი იმგვარი სურათი შეიქმნა თითქოს პირველი გადაწყვეტილების აპელაცია იხილებოდა.

27. კასატორი აღნიშნავს, რომ იგი ნებაყოფლობით იხდის ალიმენტს ბავშვზე ზრუნვის სურვილიდან და მამაშვილური სიყვარულიდან გამომდინარე და არა სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი იძულების გამო.

28. კასატორი აღნიშნავს, რომ მატერიალური თვალსაზრისით არ არის დასაბუთებული რატომ გაიზარდა ალიმენტის ოდენობა 100 ლარით, არ არის დაკონკრეტებული რა მოთხოვნილებები გაიზარდა ბავშვის რჩენა-აღზრდის ასპექტში, არ არის მხედველობაში მიღებული მისი ქონებრივი მდგომარეობა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 07 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

30. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც, მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად.

31. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ ხდის სსკ-

ის 1198-ე, 1214-ე, 1212-ე და კონვენციის 27.2 მუხლის გამოყენების რელევანტურობას, რასაც საკასაციო პალატა არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ალიმენტის (120 ლარი) გაზრდის საკითხი, რომელი შესაძლებლობაც გათვალისწინებული სსკ-ის 1221-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს იმგვარ შემთხვევას, როდესაც იმ მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში, რომლებიც ალიმენტს იხდიან მტკიცე თანხის სახით, სასამართლოს უფლება აქვს, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, შეამციროს ან გაადიდოს ალიმენტის ოდენობა. სსკ-ის 1231-ე მუხლის თანახმად, თუ შეიცვალა ალიმენტის გადამხდელის ან ალიმენტის მიმღების მატერიალური ან ოჯახური მდგომარეობა, ამ თავში მოხსენიებულ პირთათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობის სასამართლო წესით დადგენის შემდეგ სასამართლოს უფლება აქვს, ერთ-ერთი მათგანის სარჩელის საფუძველზე შეცვალოს დადგენილი ალიმენტის ოდენობა.

32. იმავდროულად, აღსანიშნავია, რომ ალიმენტის გაზრდის საკითხის განხილვისას რელევანტურია კასატორის მიერ სადავოდ გამხდარი ნორმების გამოყენება, რამდენადაც დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, კანონმდებელი არასრულწლოვანის რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი ხარჯების ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ალიმენტის მოცულობა დაადგინოს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა (იხ. სუსგ №ას-58-49-2011, 27 ივნისი, 2011 წელი). სწორედ ამ მიზნით, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის, აგრეთვე, გაზრდის საკითხის განხილვისას, უპირატესად განსასაზღვრია ალიმენტის გონივრული ოდენობა, რომელიც დგინდება მშობელთა ქონებრივი მდგომარეობისა და ბავშვის საჭიროებების ურთიერთმიჯვერებით. გონივრულობის აღნიშნული სტანდარტის განსასაზღვრად სასამართლო ხელმძღვანელობს შესაბამისი ნორმებით: სსკ-ის 1212-ე მუხლი ადგენს არასრულწლოვანი შვილების რჩენის მოვალეობას. 1198-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია მშობლების ვალდებულება შვილების აღზრდის, ზრუნვის, ფიზიკური, სულიერი თუ გონებრივი განვითარების ასპექტში. ამავე კოდექსის 1214-ე მუხლი კი, შვი-

ლებზე ზრუნვის საკითხში მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ითვალისწინებს დავის სასამართლო წესით გადაწყვეტას, რა დროსაც, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმად დადგენილია როგორც მშობლის, ასევე შვილის რეალური მატერიალური შესაძლებლობა. შესაბამისად, სასამართლომ მართალია უკვე დადგენილი ალიმენტის გაზრდის საკითხზე იმსჯელა, თუმცა ლეგიტიმური იყო სადავოს ქცეული ნორმების გამოყენება.

33. რაც შეეხება, კასატორის მიერ სადავოდ გამხდარ გარემოებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობასთან მიმართებით, არც აღნიშნულს გააჩნია ვარგისი ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი, გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტი ოდენობა შეადგენდა 120 ლარს, რომელიც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით 100 ლარითაა გაზრდილი, შესაბამისად, განსაკუთრებული მტკიცების გარეშეც ნათელია, რომ შვიდი წლის ბავშვის საჭიროებები განსაზღვრულ თანხას ადეკვატურს ხდის დედის მხრიდან მისი წილი ზრუნვის გათვალისწინების ფარგლებში. საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნულ თანხა გადახდილი უნდა იქნეს ბავშვის სრულწლოვნებამდე [გარდა ქონებრივი მდგომარეობისა და შემხვედრი საჭიროებებისა – სსკ-ის 1221-ე მუხლი]. სადავო შემთხვევაში, ამოსავალი პრინციპი ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო აქტებით ქვეყნის მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან, რომელთაგან ერთ-ერთ თვალსაჩინო დანაწესს წარმოადგენს კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ“. შეიძლება ითქვას, რომ მითითებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი ბავშვის უფლებების დაცვის ის მინიმალური სტანდარტია, რომელიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. მითითებული კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდასა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შე-

საბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია (ბავშვის მიმართ მშობელთა ვალდებულების ნორმატიული მოწესრიგების თვალსაზრისით აგრეთვე იხ., საქმე №ას-602-570-2015, 20.11.2015წ.

34. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს განხილვის შედეგად არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს

სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არც დასაბუთებული პოზიციისა წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ანდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობის საფუძვლით.

35. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით. სსკ-ის 1221-ე და 1231-ე მუხლების საფუძველზე ალიმენტის ოდენობის გაზრდის სამართლებრივ საკითხზე დადგენილია უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, იხ., №ას-744-1042-09, 26 ოქტომბერი, 2009 წელი.

36. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც, საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

37. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ც. კ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორ ც. კ-ეს უკან დაუბრუნდეს 2017 წლის 05 ივნისს საგადახდო დავალება №0 გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან (150 ლარი) 105 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი თლEმჩE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი 3 0077 3150.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 6. არამართლზომიერად გადაადგილებული პაპშვიის დაბრუნება

### საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პაპშვიის დაბრუნება

#### განჩინება

№ას-967-916-2015

25 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის ჰააგის კონვენციის შე-საბამისად არასრულწლოვანი ნ. ბ-ის გერმანიაში დაბრუნება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. გერმანიის მოქალაქე ა. ბ-ი (შემდეგში: მოსარჩელე, ბავშვის ან არასრულწლოვანის დედა, კასატორი) და საქართველოს მოქალაქე გ. ბ-ე (შემდეგში მოპასუხე, ბავშვის ან არასრულწლოვანის მამა, მონინალმდეგე მხარე) დაქორწინდნენ 2007 წლის 16 ნოემბერს, რაც დარეგისტრირდა კანონით დადგენილი წესით. დაქორწინების შემდეგ წყვილი ცხოვრობდა გერმანიაში.

2. თანაცხოვრების პერიოდში, ცოლ-ქმარს, 2008 წლის 15 აგვისტოს, გერმანიაში, /ზად-კანშტატი/შტუტგარტი/, შეეძინა ერთი შვილი – ნ. ბ-ე (შემდეგში არასრულწლოვანი ან ბავშვი), რომელიც არის როგორც საქართველოს, ასევე, გერმანიის მოქალაქე.

3. შპს შ-ის ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად, ცოლ-ქმარმა 2012 წლის 16 თებერვალს დაიქირავა ბინა გერმანიაში.

4. ცოლ-ქმარი დღემდე რეგისტრირებულ ქორწინებაშია, თუმცა, ბავშვის დედა ცხოვრობს შტუტგარტში/გერმანია და დროებით დასაქმებულია, ხოლო – მამა მუდმივად იმყოფება საქართველოში, /თ-ი, სოფ. დ-ი, ნმ. ნ-ს ქ. 3/, დასაქმებულია ჩ-ში.

5. არასრულწლოვანი ბავშვი 2013 წლის 2 დეკემბრიდან 2014 წლის 28 ივნისის ჩათვლით, რამდენიმე თვისა და დღის გამოტოვებით, სწავლობდა ზაგა-ბაღში „ი-ნა“, ხოლო 2014 წლის 4

სექტემბრიდან – ირიცხება სკოლაში (შპს „კ-ა“) და ითვლება წარმატებულ მოსწავლედ.

6. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის საინფორმაციო ბარათის თანახმად, ბავშვის საქართველოში რეგისტრაციის ადგილია თბილისი, დ-ი, ნ-ს ქ. №31.

7. საქართველოს შს სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ცნობით, არასრულწლოვანს, 2009 წლის 6 სექტემბრიდან 2014 წლის 24 აპრილამდე, სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთილი აქვს 9-ჯერ.

8. ბავშვი, გერმანიაში, ჩანერილია მ-ის სახელობის დაწყებით სკოლაში 2014 წლის 3 ივლისს, ხოლო იმავე წლის 17 ნოემბრიდან დაზღვეულია ჯანმრთელობის სადაზღვევო კომპანიაში „D“.

9. გერმანიის საოჯახო სალაროს მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ბავშვს დაბადებიდან, სახელმწიფოს მიერ, საოჯახო დახმარების ფარგლებში, ყოველთვიურად დაენიშნა 154 ევრო.

10. სპორტკულტურა შტუტგარტის წერილის მიხედვით, ბავშვი 2013 წლის 1 იანვრიდან განეწიანებულია და დარეგისტრირებულია აღნიშნულ გაერთიანებაში.

11. 2014 წლის 27 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის ჰააგის კონვენციის (შემდგომში ჰააგის 1980 წლის კონვენცია) საფუძველზე, წარუდგინა გერმანიის იუსტიციის სამინისტროდან შესული მიმართვა, რომლის მიხედვითაც, შუამდგომლობის ავტორი, გერმანიის მოქალაქე, არასრულწლოვანი ბავშვის დედა, ითხოვდა მისი მეუღლის, საქართველოს მოქალაქის, ბავშვის მამის მიერ გერმანიიდან წამოყვანილი და საქართველოში არამართლზომიერად დაკავებული არასრულწლოვანი შვილის გერმანიაში, მის ჩვეულ ადგილას, დაბრუნებას.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით ბავშვის დედის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, არასრულწლოვანი დაუბრუნდა დედას და განისაზღვრა, რომ იგი წაიყვანდა ბავშვს საქართველოდან.

13. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენა ჰააგის 1980 წლის კონვენცია; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ) 1205-ე მუხლი; „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-6 და მე-9 მუხლები.

14. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-10 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და საქმის მასალებში განთავსებულ შემდეგ მტკიცებულებებზე მიუთითა:

14.1. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფსიქოლოგის 2014 წლის 21 ნოემბრის №5309 დასკვნის თანახმად, რომელიც ემყარება საქმეში არსებულ მასალებს, მის მიერ ჩატარებულ კვლევებს, არასრულწლოვანის განმარტებებს, „ბავშვისათვის ნებისმიერი ფორმით საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და მით უმეტეს ერთ-ერთი მშობლისგან მოცილება არის მატრავმირებელი, მანამ, სანამ ის არ შეეგუება ახალ გარემოს და არ მიეცემა საშუალება ორივე გარემოს მახასიათებლებით არ განსაზღვროს ერთ-ერთის უპირატესობა. ამ მომენტისათვის მიღებული ტრავმა გასვლის ეტაპზეა, თუმცა, ამ ჩვეული გარემოდან, სადაც მან შეიძინა მეგობრები და მოახდინა ადაპტაცია, კვლავ გერმანიაში დიდი ხნით დაბრუნება, მისთვის იქნება სერიოზული ფსიქოლოგიური ტრავმატიზების მიზეზი. მსგავს შემთხვევებზე უმეტესწილად არასრულწლოვნები ავლენენ ფრუსტრირებული და დეპრესიული მდგომარეობის მიმართ მიდრეკილებებს, რაც თავისთავად ნეგატიურად აისახება მათ ფსიქიკურ განვითარებაზე“.

14.2. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკის 2014 წლის 1 დეკემბრის №2859 დასკვნით, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული დავის საკითხი მშობლებმა უნდა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმებით.

14.3. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფსიქოლოგის მიერ შედგენილი 2014 წლის 1 დეკემბრის №5656 დასკვნის თანახმად, „ნებისმიერი გადაწყვეტილება, ეს იქნება არასრულწლოვანის გამგზავრება, თუ საქართველოში დარჩენა ბავშვისათვის იქნება მატრამვირებელი, რაც საფრთხეს შეუქმნის არასრულწლოვანის ჯანსაღი ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ჩამოყალიბებას, რის გამოც საჭიროა არასრულწლოვანზე ზრუნვის შესაძლებლობა მიეცეთ მშობლებს თანაბრად, არასრულწლოვანის შემზადების მიზნით, რაც საცხოვრებელ გარემოსთან მიმართებაში უმტკივნეულოდ გადატანის საშუალებას მისცემს მის ფსიქიკას“.

15. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა ახსნა-განმარტებების, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების, ფსიქოლოგის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, არ დასტურდებოდა სერიოზული რისკის არსებობა იმის თაობაზე, რომ გარემო,



რომელშიც ბავშვი, გერმანიაში დაბრუნების შემდეგ აღმოჩნდებოდა, შეუქმნიდა მას ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს, ან სხვაგვარად ჩააყენებდა გაუსაძლის მდგომარეობაში. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, მხარეს, რომელიც ბავშვის გერმანიაში დაბრუნების წინააღმდეგი იყო, აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარუდგენია.

16. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ არასრულწლოვანის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა გერმანია, სადაც ის დედასთან ერთად ცხოვრობდა და რომელიც მასზე ფაქტობრივად ახორციელებდა მეურვეობას, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ გარემოებას ადასტურებდა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ბავშვის მიერ საზღვრის კვეთის შესახებ.

17. ბავშვის სურვილის შეფასებისას, იცხოვროს საქართველოში, სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს უნდა მომხდარიყო საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, ფსიქოლოგის დასკვნის, ბავშვის ასაკობრივი მაჩვენებლის, ფსიქო-ემოციური, დღეს არსებული და სამომავლო კეთილდღეობისა და არასრულწლოვანის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით.

18. სასამართლომ, მხარეთა პოზიციების შეჯერების, ფსიქოლოგის შეფასების გათვალისწინებით, აღნიშნა, რომ მამის გარემო, რომელშიც დღევანდელი მდგომარეობით უწევს ბავშვს ყოფნა და ამ გარემოში არსებული პოზიცია, მისი საქართველოში მშობლებთან ერთად დარჩენის თაობაზე, ქვეცნობიერად განაწყობდა მას ამ გადაწყვეტილების მიღებისაკენ. სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ ბავშვი არ აკეთებდა არჩევანს მშობლებს შორის.

19. სასამართლომ საქმეში განთავსებულ ფსიქოლოგის დასკვნებზე მიუთითა, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო მოცემული დავის გადაწყვეტისათვის. ფსიქოლოგის მიერ, ორივე მშობლის მონაწილეობით, შედგენილი მესამე (01.12.2014წ.) დასკვნის თანახმად: „შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოხდა არასრულწლოვანთან ურთიერთობა სამ ეტაპზე, 1) სანამ დედა ჩამოვიდოდა, 2) მშობლების თანაცხოვრების პერიოდში 3) ინციდენტის შემდეგ. მოცემულმა სიტუაციებმა შეცვალა და გაამძაფრა არასრულწლოვანის ემოციური გაორებები მშობლებსა და გარემოს მიმართ, პირველ ეტაპზე, ლოგიკურად დომინირებდა მამა, ვინაიდან დედასთან ურთიერთობა არასრულწლოვანს მხოლოდ დისტანციურად ეძლეოდა, მეორე ეტაპზე – დედის ჩამოსვლის შემდეგ ეს უპირატესობა შემცირდა, ხოლო მესამე, ამ მომენტისათვის, ბოლო ეტაპზე, გამოიკვეთა თვითდანაშაუ-

ლის განცდა დედის დანაკარგთან დაკავშირებით, რაც ტრავმატიზების შემდგომ ადექვატურ რეაქციას წარმოადგენდა. ამ ვითარებაში, არასრულწლოვანი გაუცხოებულად ავლენდა დედის მიმართ მეტ ლტოლვას (დანაკარგის შიშის აქტუალობიდან გამომდინარე), მაგრამ ვერბალურად აფიქსირებდა „ალარ არის ჩემი დედა, ალარ დავინახო ჩემი დედა“, თუმცა, ინტერვიუების საბოლოო ეტაპზე, როდესაც დაპირისპირებულ ინტრაპერსონალურ პოზიციებს შორის იკვეთებოდა რეალური სურვილები ამბობდა შემდეგ: „გერმანიაში წასვლა ალარ მინდა, მარტო დედაჩემს დავინახავ, ველარ დავურეკავ დედაჩემს, იმიტომ რომ ჩხუბის დანახვა ალარ მინდა და ალარ არის საჭირო, აი ველარ გადავწყვიტე ვნახო დედაჩემი თუ არა“. აქ იკვეთებოდა ემოციური ტრავმატიზების სიმძიმე არასრულწლოვანისათვის“. ამავ დასკვნაში აისახა, რომ: „1) არასრულწლოვანის ნებისმიერი პასუხი საცხოვრებლის განსაზღვრის თემასთან დაკავშირებული, ამ მომენტისათვის არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო ცალსახად, ვინაიდან იგი საკითხთან დაკავშირებულ პოზიციებს აყალიბებდა ემოციური ტრავმატიზების და გაორების ფონზე, რაც იკვეთებოდა ინტერვიუებიდანაც. 2) არ იკვეთებოდა არცერთ ეტაპზე ფსიქოლოგიური ძალადობის ან არასრულწლოვანის ფსიქიკისათვის მატრავმირებელი გავლენის კვალი. 3) ნებისმიერი გადამწყვეტილება, ეს იქნებოდა არასრულწლოვანის გამგზავრება, თუ საქართველოში დარჩენა, ბავშვისათვის იქნებოდა მატრავმირებელი, რაც საფრთხეს შეუქმნიდა არასრულწლოვანის ჯანსაღი ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ჩამოყალიბებას“.

20. სასამართლომ მხარეთა განმარტებების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის განმარტების, ფსიქოლოგის დასკვნისა და საქმეში არსებული მასალების საფუძველზე მიიჩნია, რომ არასრულწლოვანი ბავშვის დედასთან, მოცემულ შემთხვევაში, მრავალი ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, გერმანიაში დაბრუნება, ბავშვის სამომავლო კეთილდღეობას შეუწყობდა ხელს, რაც ამ უკანასკნელის ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ასევე გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ დედა-შვილური ურთიერთობა შეიძლებოდა გაუცხოებულიყო და ამ ურთიერთობის დანაკლისს უარყოფითად ემოქმედა ბავშვის ფსიქო-ემოციურ განწყობაზე და უარყოფითი ეფექტი მოეცა ბავშვის სწორად აღზრდის საქმეში. ბავშვის სხვა სკოლაში, გერმანულ სასწავლო პროცესზე გადართვა (გადაყვანა), სასამართლომ, ბავშვის ასაკის გათვალისწინებით, საქმის განხილვის ეტაპზე უფრო მიიჩნია მართებულიად, მით უფრო, რომ ბავშვი ცხოვრობდა გერმანიაში და და-

დიოდა საბავშვო ბაღში (მშობელთა მიერ ბავშვის სხვა სკოლაში გადაყვანის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო გათვალისწინებული ყოფილიყო ფსიქოლოგის რეკომენდაციები).

21. სასამართლომ, საქმეში არსებული მასალების (მტკიცებულებების) საფუძველზე მიიჩნია, რომ გერმანიაში დედასთან ბავშვის დაბრუნება უარყოფითად არ იმოქმედებდა არასრულწლოვანის სამომავლო განვითარებასა და წინსვლაზე. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით დასტურდებოდა, რომ დედა, თავისი ქმედებით, ცდილობდა ხელი შეეწყო მამა-შვილს შორის ურთიერთობის შენარჩუნებისა და გაღრმავებისათვის, რისი დასტურიც იყო მისი თანხმობა ბავშვისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე, ასევე, ბავშვის საქართველოში პერიოდულად ჩასვლის თაობაზე, ბავშვის დადებითი დამოკიდებულება მამისა და მისი ნათესავების მიმართ.

22. ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან არ იკვეთებოდა ბავშვის დედასთან დაბრუნების საფრთხის შემცველი გარემოებები, სახეზე არ იყო კონვენციით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევა, ბავშვის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით, არსებობდა მისი გერმანიაში დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

23. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა არასრულწლოვანის მამამ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა.

24. მამის სააპელაციო საჩივარი დამყარებული იყო შემდეგ არგუმენტებზე:

24.1. სასამართლომ არასწორი ინტერპრეტაცია მისცა ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ წარდგენილ დასკვნებს. აღნიშნული დასკვნების თანახმად, სოციალური სამსახური დადებითად აფასებდა მამის მიერ ბავშვის აღზრდის ფაქტს. 21.11.2014 წლის დასკვნის თანახმად, ბავშვს არ სურს გერმანიაში ხანგრძლივი დაბრუნება. ამავე დასკვნის მე-4 პასუხის მიხედვით, ბავშვისთვის ნებისმიერი ფორმით საცხოვრებელი ადგილის შეცვლა არის მატრავმირებელი მანამ, სანამ ის არ შეეგუება ახალ გარემოს და არ მიეცემა საშუალება, ორივე გარემოს მახასიათებლით განსაზღვროს ერთ-ერთის უპირატესობა. ამ მომენტისთვის მიღებული ტრავმა გასვლის ეტაპზეა. ბავშვმა შეიძინა მეგობრები და მოახდინა ადაპტაცია, შე-

საბამისად, გერმანიაში მისი დიდი ხნით დაბრუნება იქნება სერიოზული ტრავმატიზების მიზეზი (იხ. ამ განჩინების 14.1. ქვეპუნქტი). მოპასუხის მტკიცებით, აღნიშნული დასკვნა ნამდვილად ცხადჰყოფდა ბავშვის საქართველოში დარჩენის უპირატესობას, რადგანაც მან შეიძინა ბევრი ახალი მეგობარი, კმაყოფილია მამასთან ცხოვრებით, მიიღო და შეგუებულია ახალ სოციალურ გარემოს, დადის სხვადასხვა წრეზე და გარემოს შეცვლა მასზე უარყოფითად იმოქმედებს. ამ გარემოების სანინალმდევოდ კი, საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ თითქოს არ დასტურდებოდა სერიოზული რისკი, რომ გარემო, რომელშიც არასრულწლოვანი აღმოჩნდებოდა, მისთვის ფსიქოლოგიური და ფიზიკური საფრთხის შემცველი იქნებოდა. მოპასუხის მითითებით, როგორც 21 ნოემბრის, ასევე, 1 დეკემბრის დასკვნებში ცალსახად არის მითითებული, რომ ბავშვისათვის მატრავმირებელი იქნება გერმანიაში გამგზავრება, ბავშვს არ სურს დედასთან გერმანიაში საცხოვრებლად გამგზავრება.

24.2. ბავშვის მამის განმარტებით, ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 01.12.2014 წლის დასკვნიდან ირკვევა, როგორ ზრუნავს მამა ბავშვზე. დასკვნის თანახმად: «მას მიჯაჭვულობა აქვს მამასთან, მაგრამ უყვარს დედაც, აქვს განცდა მის მიმართ და თხოვს, რომ დარჩეს საქართველოში». მოპასუხის მტკიცებით, აღნიშნული ფაქტიც ადასტურებს იმას, რომ ბავშვს ქვეცნობიერად მაინც საქართველოში უნდა ცხოვრება, დასკვნებით ცალსახად ვლინდება ის გარემოება, რომ შვილი მამასთან კარგად არის, იზრდება თბილ გარემოში, არ აკლია მზრუნველობა. მამას სტაბილური შემოსავალი აქვს, დედისგან განსხვავებით, რომელიც დროებით მუშაობს, შესაბამისად, არავინ იცის, სამომავლოდ, გერმანიაში გამგზავრება რამდენად მიზანშეწონილი იქნება ბავშვის კეთილდღეობისთვის.

24.3. სასამართლომ არასწორად მოახდინა მუდმივი საცხოვრებლის ცნების ინტერპრეტირება. მოპასუხის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაუსაბუთებელია, თუ რატომ წარმოადგენს გერმანია ბავშვის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, როდესაც უთითებს თავად მოპასუხის მიერ წარდგენილ მტკიცებულებაზე, ბავშვის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის თაობაზე, რაც ვერ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბავშვის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არის გერმანია. დადგენილია, რომ მაგალითად, 2013 წელს, ბავშვი თითქმის 7 თვის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოში, იქამდეც, არაერთხელ იყო ნამყოფი საქართველოში და ამ მომენტისთვის-

საც, 2014 წლის 24 აპრილიდან საქართველოში იმყოფება. სსკ-ის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი“.

24.4. მოპასუხის მოსაზრებით, ზემოხსენებული დადგენილი გარემოებებისა და სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, ბავშვის საცხოვრებელ ადგილად მიჩნეულ უნდა იქნეს, როგორც გერმანია, ისე საქართველო, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსის თანახმად, პიროვნებას შეიძლება, რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი გააჩნდეს (სსკ-ის მე-20 მუხლის პირველი ნაწილი). გაურკვეველია, თუ რატომ ანიჭებს სასამართლო გერმანიას ბავშვის მუდმივი ადგილსამყოფელის სტატუსს, როცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ბავშვი ქართულ სკოლაში დადის, საქართველოს მოქალაქეა და მას, 2014 წლის 24 აპრილის შემდეგ, საქართველო არ დაუტოვებია.

24.5. მოპასუხემ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია იმის მტკიცებულება, რომ დედის თანხმობით, 2014 წლის 23 აპრილს, მამამ ბავშვი წამოიყვანა საქართველოში 2-3 კვირით. მცდარია სასამართლოს მსჯელობა, რომ არასრულწლოვანი, ჰა-ავის 1980 წლის კონვენციის (მე-3 მუხლი) საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე არამართლზომიერად დაკავებული ბავშვია, ვინაიდან იგი დღემდე იმყოფება საქართველოში და მამამ არ უზრუნველყო ბავშვის დაბრუნება შეთანხმებისამებრ. მოპასუხის მტკიცებით, ბავშვი არ არის არამართლზომიერად დაკავებული.

24.6. მოპასუხის განმარტებით, მან და ბავშვის დედამ, 2013 წლის ზაფხულში, გადაწყვიტეს საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლა. ამ მიზნით, მოპასუხე საქართველოში წამოვიდა არასრულწლოვან შვილთან ერთად, რომელიც იმ პერიოდიდან მოყოლებული ბაღში დადიოდა და ქართულ ენას ითვისებდა. ბავშვსაც და დედასაც უნდა მიეღოთ საქართველოს მოქალაქეობა, რის თაობაზეც 2014 წლის იანვარში დედას თანხმობა აქვს გაცემული და მოსარჩელეც, 2014 წლის ზაფხულის დასაწყისიდან, უნდა ჩამოსულიყო საქართველოში, მოპასუხემ მას გარკვეული სამსახურიც შეურჩია. ამ მიზნით, მამამ არასრულწლოვანი შვილი საქართველოში ჩამოიყვანა 2014 წლის აპრილის თვეშიც. მოგვიანებით, დედას გეგმები შეეცვალა და გადაწყვიტა, არასრულწლოვანი, თითქოსდა გატაცების ან დაკავების მიზეზზე მითითებით, დაებრუნებინა გერმანიაში, რასაც როგორც არასრულწლოვანი, ისე ბავშვის მამა ეწინააღმდეგებინა.

24.7. არასრულწლოვანის მამის მოსაზრებით, დავის ფარგლებში, სასამართლოს უნდა გაერკვია, არასრულწლოვანის საქართველოში ჩამოყვანა განხორციელდა თუ არა მართლზომიერად, რაც დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან არ იკვეთება. მოპასუხის განმარტებით, გაურკვეველია, თუ რატომ უნდა უზრუნველყო მამას ბავშვის დაბრუნება გერმანიაში. თუკი დედას 2-3 კვირის თანხმობით ჰყავდა ბავშვი გერმანიიდან გამომდინარე, გაურკვეველია, რატომ არ იმოქმედა მან 2014 წლის ოქტომბრამდე. ის ფაქტი, რომ ბავშვი სკოლაში ჩაირიცხა და აქ სწავლობს, პირიქით, უფრო ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ ოჯახი მართლაც ფიქრობდა საქართველოში გადმოსვლაზე.

24.8. მოპასუხის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად და ცალმხრივად იმსჯელა ჰააგის 1980 წლის კონვენციის ნორმებზე; მესამე მუხლი, რომელსაც ეფუძნება გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ადგენს: „ბავშვის გადაადგილება ან დაკავება არამართლზომიერად უნდა ჩაითვალოს, როდესაც ეს წარმოადგენს დარღვევას მეურვეობის უფლებისა“. მოპასუხის მითითებით, სწორედ ამ კონტექსტში უნდა მოხდეს მსჯელობა აღნიშნულ საკითხზე. სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ძირითადად ემყარება მხარეთა შორის 2-3 კვირიანი შეთანხმების არსებობის ფაქტს, რომლის ვადის გასვლამაც განაპირობა დედის მეურვეობის უფლების შეზღუდვა, თუმცა, საამისო მტკიცებულება სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა და, შესაბამისად, სასამართლო არ და ვერ იმსჯელებს აბსტრაქტულ გარემოებებზე.

24.9. მოპასუხის განმარტებით, ჰააგის კონვენციის მე-13 მუხლი ითვალისწინებს გამონაკლის დებულებებს, კერძოდ, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებული არ არის, გასცეს განკარგულება ბავშვის დაბრუნების თაობაზე თუკი პირი, რომელიც მის დაბრუნებას ეწინააღმდეგება დაადგენს, რომ: ბ) „არსებობს იმის სერიოზული რისკი, რომ მისი დაბრუნება ბავშვს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის, ან სხვაგვარად ჩააყენებს აუტანელ მდგომარეობაში“. ამავე მუხლის ა) პუნქტის მიხედვით, განკარგულება არ გაიცემა, „თუ პირი, დაწესებულება, ან სხვა ორგანო, რომლის მზრუნველობის ქვეშაც იმყოფება ბავშვის პიროვნება, რეალურად არ სარგებლობდა მეურვეობის უფლებებით გადაადგილების ან დაკავების დროისათვის, ანდა დაეთანხმა ან მოგვიანებით შეეგუა გადაადგილებას ან დაკავებას“. მოპასუხის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ უგულვებელყო აღნიშნული მუხლის დებულებებიც,

რადგანაც სოციალური სამსახურის დასკვნა და თავად ბავშვის პოზიცია ნათლად ადასტურებს, რომ გარემოს შეცვლა, ბავშვის მძიმე ფსიქოლოგიურ დარტყმას მიაყენებს. ამასთან, მოსარჩელის ლოგიკით ხელმძღვანელობის პირობებშიც კი, 2014 წლის აპრილში, საქართველოში გამომგზავრებიდან, 2-3 კვირაში უნდა დაბრუნებულიყო არასრულწლოვანი გერმანიაში, მაშინ, როდესაც „გატაცებასთან“ დაკავშირებით, დედამ 2014 წლის ოქტომბრის ბოლოს განაცხადა. მოპასუხის მითითებით, მართალია, კონვენცია პირდაპირ არ საუბრობს ამგვარი დათანხმების ან შეგუების ფაქტი რა ვადაში უნდა დადგინდეს, ან რა ვადის გასვლის შემდეგ ითვლება უმოქმედობა შეგუებად, თუმცა, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ცალსახაა, რომ ბავშვის გატაცება არ ყოფილა და არც არასრულწლოვანს გააჩნია უკან გამგზავრების სურვილი, რაც ბავშვის დედისთვისაც ცნობილია.

25. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა არასრულწლოვნის დედის მოთხოვნა, ჰააგის 1980 წლის კონვენციის შესაბამისად, ბავშვის გერმანიაში დაბრუნების თაობაზე.

26. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოდავე ცოლ-ქმარი განქორწინებული არ არის და უფლებამოსილ ორგანოს, გერმანიაში ან/და საქართველოში, არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილი არ განუსაზღვრავს. მხარეთა შორის სადავო არც ის გარემოება იყო, რომ 2014 წლის 24 აპრილის შემდეგ, როდესაც ბავშვი დაბრუნდა საქართველოში, მისი დედა იმყოფებოდა საქართველოში იმავე წლის ივნისში, მონახულა შვილი და კვლავ დაბრუნდა გერმანიაში. რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა იმ გარემოებას, რომ საქართველოში ჩამოსვლისას, ბავშვის დედამ გამოხატა პრეტენზია შვილის გერმანიაში დაბრუნებასთან დაკავშირებით, საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად, დადგინდა, რომ 2013 წელს მეუღლეებს შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად, არასრულწლოვანი დროის დიდ ნაწილს ატარებდა საქართველოში, მამასთან და, ასევე, გერმანიაშიც, დედასთან. შესაბამისად, გასაზიარებელი უნდა ყოფილიყო ბავშვის მამის განმარტება, რომელიც მითითებულია ამ განჩინების 24.6 ქვეპუნქტში. ბავშვი ადაპტირდა საქართველოში, თუმცა, მოგვიანებით მისი დედა აღარ გადმოვიდა საქართველოში საცხოვრებლად (იხ. სა-

აპელაციო საჩივარი).

27. სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც არასრულწლოვანი წარმოადგენს როგორც საქართველოს, ისე გერმანიის მოქალაქეს, ხოლო მეუღლეები განქორწინებული არ არიან, განსაზღვრული არ არის ბავშვის საცხოვრებელი ადგილი და იგი, 2013 წელს, თითქმის 7 თვის განმავლობაში, ჩვეულებრივ იმყოფებოდა საქართველოში, დაუსაბუთებელი იყო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული მსჯელობა, რომ არასრულწლოვანის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და, 2014 წლის აპრილის შემდეგ, საქართველოში ბავშვის არამართლზომიერად დაკავება მოხდა. სასამართლომ დაასკვნა, არასრულწლოვანი არ წარმოადგენდა, ჰააგის 1980 წლის კონვენციის საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე არამართლზომიერად დაკავებულ ბავშვს.

28. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადგინდებოდა გარემოება, რომ არასრულწლოვანი, ზემოხსენებული კონვენციის საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე არამართლზომიერად დაკავებული ბავშვი იყო, არ არსებობდა მისი გერმანიაში დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან ბავშვი ადაპტირებული იყო გარემოში, სადაც მასზე ზრუნავს უშუალოდ მამა და არსებობდა სერიოზული რისკი, რომ გერმანიაში დაბრუნება, არასრულწლოვანს ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნიდა, რაც ეწინააღმდეგებოდა თავად კონვენციის მიზნებს.

29. სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული გარემოებების დადგენისას ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ შემდეგ მტკიცებულებებზე:

29.1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სოციალური მომსახურების ცენტრის 2014 წლის 21 ნოემბრის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფსიქოლოგის დასკვნის თანახმად, გამოკვლევის პროცესში ქცევაზე დაკვირვების შედეგი: ბავშვს აცვია სუფთად, არის მონერვილებული, ამავე დროს საკმაოდ მოუსვენარი და კომუნიკაბელური, კარგად ასრულებს ინსტრუქციებს და პასუხობს ვრცლად. მამასთან ერთად არის საკმაოდ თავისუფალი, საუბრობს ბევრს და მის ფრაზეოლოგიაში ხშირად დომინირებს „მე ვფქირობ“, „მე მინდა“, „მე ვარ“, ეს მომენტი ერთგვარი მანიშნებელია „მე“ კონცეფციის ჩამოყალიბებისა და ასაკობრივი ეგოცენტრიზმის – (მე-ს სურვილები არის მის აღქმაში სამყაროს ცენტრი, მე-კონცეფცია არის პიროვნების რწმენა საკუთარ ღირებულებებსა და ნორმირებულ – არადევინატურ ქცევებზე)



ასაკობრივი ნორმის მანიშნებელი. ბავშვი დედაზე საუბრისას ამბობს, რომ ენატრება, თუმცა, ამაზე საუბარი არ სურს სხვებთან. ის ამბობს, რომ გერმანიაში ცოტა ხნით უნდა ჩასვლა დედის სანახავად და მალევე დაბრუნება, რადგან დიდი ხნის შემდეგ, მამაც ისევე მოენატრება, როგორც დედა ენატრება ხოლმე და მამასთან შეხვედრას ველარ შეძლებს („იქ გერმანიაში მიწა და წასვლა 2 დღით, დედა ვნახო და ჩამოვიდე“). პროექციულ მეთოდებში იკვეთება მეგობრების დაკარგვის შიში, რაც ბავშვებში განსაკუთრებით მძაფრად არის მოცემული. იკვეთება ფსიქოლოგიური ტრავმატიზების მომენტი და აღნიშნულით გამოწვეული დანაკარგის შიში.

ბავშვისათვის ნებისმიერი ფორმით საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და მითუმეტეს ერთ-ერთი მშობლისგან მოცილება არის მატრავმირებელი, მანამ სანამ ის არ შეეგუება ახალ გარემოს და არ მიეცემა საშუალება ორივე გარემოს მახასიათებლებით არ განსაზღვროს ერთ-ერთის უპირატესობა. ამ მომენტისათვის მიღებული ტრავმა გასვლის ეტაპზეა, თუმცა, ამ ჩვეული გარემოდან, სადაც მან შეიძინა მეგობრები და მოახდინა ადაპტაცია, კვლავ გერმანიაში დიდი ხნით დაბრუნება იქნება მისთვის სერიოზული ფსიქოლოგიური ტრავმატიზების მიზეზი. მსგავს შემთხვევებზე უმეტესწილად არასრულწლოვნები ავლენენ ფრუსტრირებული და დეპრესიული მდგომარეობის მართ მიდრეკილებებს, რაც თავისთავად ნეგატიურად აისახება მათ ფსიქიკურ განვითარებაზე“.

29.2. საქმეში წარმოდგენილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკის 01.12.2014 წლის დასკვნის თანახმად: „საქართველოში ბავშვი დადის სკოლაში, უხარია იქ წასვლა. ჰყავს მეგობრები. ბავშვი სკოლაში მიჰყავს მამას და სკოლიდან გამოჰყავს მძღოლს. სახლში მას ხვდება ბებია, თბილი კერა, საჭმელი, ასევე, მათთან ცხოვრობს მამის ძმა, რომელსაც არ ჰყავს ცოლ-შვილი და მთელ თავის დროს უთმობს ბავშვს. სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, მამა ბავშვს გაკვეთილების მომზადებაში ეხმარება. ექვსი წლის განმავლობაში ბავშვს მამასთან ხელჩაჭიდებული სძინავს. მამას დიდი წვლილი მიუძღვის ბავშვის მოვლასა და აღზრდაში, ის ძალიან თბილად და მეგობრულად ექცევა შვილს, ითვალისწინებს მის სურვილებს. მას აქვს ბავშვის საჭიროებების დროულად დაკმაყოფილების უნარი. მამის ოჯახში არის ბავშვის აღზრდისა და განვითარების უსაფრთხო გარემო“.

29.3. სოციალური მუშაკის დასკვნასთან ერთად, საქმეში

წარმოდგენილია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფსიქოლოგის 01.12.2014 წლის დასკვნა, რომელიც შედგენილია ფსიქოლოგთან ბავშვისა და ორივე მშობლის ერთობლივი ვიზიტის შედეგად. ფსიქოლოგის დასკვნით: „ნებისმიერი გადაწყვეტილება, ეს იქნება არასრულწლოვანის გამგზავრება, თუ საქართველოში დარჩენა, ბავშვისათვის იქნება მატრავმირებელი, რაც საფრთხეს შეუქმნის არასრულწლოვნის ჯანსაღი ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ჩამოყალიბებას. ფსიქოლოგის რეკომენდაციით: ამ საკითხის გადაწყვეტისათვის რეკომენდირებულია გარკვეული პერიოდის განმავლობაში არასრულწლოვანზე ზრუნვის შესაძლებლობა მიეცეთ მშობლებს თანაბრად, რადროსაც უნდა მოხდეს ბავშვთა ფსიქოლოგთან არასრულწლოვნის თერაპია... აღნიშნულის შემდეგ შესაძლებელია გამოიკვეთოს არასრულწლოვნის ცალსახა პოზიცია მუდმივ საცხოვრებელ გარემოსთან მიმართებაში“.

30. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე მოპასუხემ წარადგინა დიმიტრი უზნაძის სახელობის საქართველოს ფსიქოლოგთა ასოციაციის (შემდეგში: ფსიქოლოგთა ასოციაციის) სპეციალისტების მიერ 24.02.2015 წელს შედგენილი დასკვნა, რომელიც დეტალურად პასუხობს დასმულ შეკითხვებს ბავშვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. დასკვნის თანახმად: არასრულწლოვანს ჩაუტარდა საუბრის მეთოდი, ლუშერის ფერიტი ტესტი, შონდი-ტესტი. მან აგრეთვე ფერიტი ტესტის მეშვეობით შეაფასა თავისი დამოკიდებულება ისეთი ცნებების მიმართ, როგორცაა: საკუთარი თავი, დედა, მამა, სკოლა, სწავლა, მეგობრები, მულტფილმის პერსონაჟები და სხვა.

არსებული სიტუაცია: იცავს თავს, გრძნობს, რომ მას ემუქრებიან და ის არაადეკვატურად არის დამკვიდრებული. მიუხედავად ამისა, შეუპოვრად იცავს თავს პოზიციას მოსალოდნელი კონფლიქტების მიუხედავად და ეწინააღმდეგება გარემოს ზეწოლას. მასში არსებული დაპირისპირება იწვევს შფოთვის, მაგარამ ის ჯიუტად იცავს თავის მიზნებს. ამავე დროს არის მგრძნობიარე, აქვს წარმოსახვის კარგი უნარი და ცდილობს განიტვირთოს თავის მსგავსთან ერთად. მისი ინტერესის ადძვრა ძალიან ადვილია, მას მოსწონს ყველაფერი ახალი და უჩვეულო და სათავგადასავლო.

აქტუალური პრობლემები: ეძებს გამოსავალს, რომელიც არსებულ შეზღუდვებს მოხსნის. დამოუკიდებელია და ამავე დროს დალლილია დამოუკიდებლობისაგან და ნებელობის დაძაბვისაგან. არიდებს თავს კონფლიქტს, ცდილობს ნეიტრალუ-

რი პოზიცია დაიჭიროს და ამავე დროს განიცდის სიტუაციაში ჩაურთველობას. განიცდის არსებულ კონფლიქტურ სიტუაციას.

აქვს სრული იდენტიფიკაცია მამასთან. ჭირვეულია, ცდილობს არ იფიქროს დედისა და მამის ურთიერთობებზე, არც საკუთარ ემოციებზე და განცდებზე, მეგობრობს იმასთან, ვისთანაც ახდენს იდენტიფიკაციას ანუ თავის მსგავსთან, უნდა წარმოსახულ სამყაროში ცხოვრება და არარეალური სამყარო მისთვის ყველაზე დიდი ხალისის მომტანია. გაკვეთილებისა და სკოლის მიმართ იჩენს ამბივალენტურ დამოკიდებულებას.

მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანს გარკვეულწილად აქვს გამოხატული ემოციური ტრავმატიზების ნიშნები, ამავე დროს არ იკვეთება ბავშვზე ფსიქოლოგიური ძალადობის ან ფსიქიკისთვის მატრავმირებელი გავლენის კვალი“.

საქმის მასალების შესწავლისა და ბავშვის ტესტირების შედეგებზე დაყრდნობით, სპეციალისტები ეთანხმებიან სოციალური მოსახურების ცენტრის ფსიქოლოგის დასკვნაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ გერმანიაში მისი დიდი ხნით (მომზადების და მზაობის შემუშავების გარეშე) დაბრუნება, ამ ეტაპზე, იქნება სერიოზული ტრავმატიზების მიზეზი, რაც თავისთავად ნეგატიურად აისახება მის ფსიქიკაზე და მის აკადემიურ მოსწრებასა და განვითარებაზე. ბავშვი დადის ქართულ სკოლაში, სადაც, ბუნებრივია, ქართულ ენაზე მიმდინარეობს სწავლება და მართალია ჯერ მარტივ, მაგრამ მაინც გარკვეულ სპეციალურ ტერმინოლოგიას ითვისებს, ხოლო გერმანიაში მას არამარტო ახალ და განსხვავებულ სასწავლო სტრატეგიასთან მოუხდება შეხება, არამედ მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი მეტყველებს გერმანულად და ჩვეულებრივი ურთიერთობის პრობლემა მას არ ექნება, მას მოუხდება სპეციალური მზაობის შემუშავება გერმანიაში სწავლის დასაწყებად, რაც ამ მოკლე დროში ვერ მოესწრება. ის ფაქტიც, რომ არასრულწლოვანი საკმაოდ მიჯაჭვულია მამაზე, უდავოდ გასათვალისწინებელია და, მათი უეცრად და მომზადების გარეშე, ერთმანეთთან დაშორება არ იქნება მიზანშეწონილი, თუ საერთოდ აუცილებელი გახდება მათი დაშორება“.

31. სასამართლომ აღნიშნა, რომ 2015 წლის 2 აპრილის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა ბავშვის დედის შუამდგომლობა და მას, საქართველოში ჩამოსვლიდან, 2 კვირის მანძილზე, მიეცა არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის უფლება, თან წაყვანის უფლებით, საქართველოს ტერიტორიაზე ფსიქოლოგიური კვლევის უზრუნველსაყოფად. ბავშვის დედამ წარმოად-

გინა რეგისტრირებული კავშირის „საქართველოს ბავშვების“ 11.06.2015 წლის ფსიქოლოგიური შეფასების დასკვნა, რომლის თანახმად: „შეფასების მომენტისათვის არ იკვეთება რაიმე სირთულე ბავშვის ფსიქო-ემოციურ და აკადემიურ ფუნქციონირებაში. ბავშვი ამჟამად ცხოვრობს მამასთან, ბებიასთან და ბიძასთან ერთად. დადის კერძო სკოლაში. ოჯახის წევრები და სკოლის დამრიგებელი მას ახასიათებენ, როგორც ძალიან კონტაქტურ, აქტიურ და გახსნილ ბავშვს, რომელსაც მეგობრული ურთიერთობები აქვს, როგორც თანაკლასელებთან, ასევე, მასზე რამდენიმე წლით უფროს მოსწავლეებთან. ბავშვს პოზიტიური და ახლო ურთიერთობა აქვს მამასთან, თავისუფლად გრძნობს თავს მის გარემოცვაში. მამას დაჰყავს ბავშვი სკოლაში, ასევე მასთან ერთად ატარებს შაბათ-კვირას, ისინი ხშირად სტუმრობენ გასართობ ცენტრებს. ბავშვი თავადაც აღნიშნავს, რომ მამასთან ერთად „ბევრჯერ დადის“ სტუმრად... ბებუის განცხადებით, მამა ყოველთვის ცდილობს ბავშვის დაძინების მომენტისათვის იმყოფებოდეს სახლში, რადგან მამის გარეშე, ბავშვი უარს ამბობს დაძინებაზე და ელოდება მამას „სანამ ძილი არ მოერევა“. დაძინებასთან დაკავშირებული გარემოებები დაადანტურა ბავშვმაც. გარდა ამისა, ბავშვის ამჟამინდელ საცხოვრებელ გარემოში ფაქტიურად მზად არის ბავშვის საძინებელი ოთახი (სადაც ჯერ არ არის ავეჯი) და ბავშვი აცხადებს, რომ იქ მარტო არ დარჩება და სურს მამასთან ერთად დაიძინოს“.

32. წინამდებარე საქმის სააპელაციო ინსტანციაში განხილვისას, ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ წარმოდგენილია 03.06.2015 წლის დასკვნა, რომელიც შედგენილია დედასთან ორი კვირის განმავლობაში მცხოვრებ შვილთან დაკვირვების შედეგად; დასკვნის თანახმად: 28.04.2015წ. დედა ჩამოვიდა საქართველოში შვილთან შესახვედრად, „ბავშვის ემოცია იყო დადებითი, ბავშვი დედას ჩაეხუტა, მოიკითხა, შემდეგ გახარებულმა მამასთან და ოჯახის სხვა წევრებთან ერთად განაგრძო თამაში. როდესაც განუზმარტე ბავშვს, რომ დედასთან ერთად უნდა წასულიყო საცხოვრებლად რამდენიმე დღით, მან მიპასუხა, რომ წავიდოდა დედასთან ერთად მხოლოდ საქართველოში და არა გერმანიაში, მხოლოდ ერთი დღით და ისევ დაბრუნდებოდა მამასთან სახლში. ბავშვი დარჩა დედასთან ყოველგვარი გართულებების გარეშე... ბავშვი დედ-მამასთან ერთად დადიოდა გასართობ ცენტრებში. მამის გადმოცემით, მასთან დაშორება ბავშვს უჭირდა, რის დასტურადაც მამამ სოციალურ მუშაკს გადასცა ვიდეო. ასევე, ბოლო დღეებში, სკოლის დამ-

თავრების შემდეგ, ბავშვი აღარ წავიდა დედასთან და ორი ღამე დარჩა მამასთან. ბავშვთან გასაუბრების დროს, რომელიც შედგა 05.05.2015წ., მან აღნიშნა, რომ მამის გარეშე არ შეუძლია და უნდა დედაც მათთან ერთად ცხოვრობდეს. თუ დედა წავა, მერე ისევ მალე ჩამოვა და ნახავს.

შემდგარი ვიზიტებისა და ვიდეო მასალის კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ბავშვს მამასთან აქვს მყარი მიჯაჭვულობა. მას მოსწონს და კარგადაა შეგუებული იმ გარემოს, სადაც მას ამჟამად უხდება ცხოვრება. არის ლაღად, თავს გრძნობს დაცულად, რაც, სამწუხაროდ, არ გამოჩნდა დედასთან ურთიერთობის დროს. ის დედას არ მიჰყვება მამის გარეშე. ბავშვი განიცდის მამის გარეშე ყოფნას, თითქოს ეშინია მისი დაკარგვის.

მშობლებისა და ბავშვის თანაბარი ურთიერთობის დროს, ბავშვს ურჩევნია მამასთან და იმ სოციალურ გარემოში ცხოვრება, სადაც ამჟამად იმყოფება. მომავალში ასევე აუცილებელია შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც ორივე მშობელს ექნება მშვილთან ურთიერთობის შესაძლებლობა. გაზრდილია დისტანციის დონე დედასა და ბავშვს შორის. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მშობლების შეთანხმება ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, რომ ბავშვის ფსიქიკას არ მიადგეს ზიანი (ვაკუ-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური სამსახურის 3 ივნისის №1598 დასკვნა).

33. სააპელაციო სასამართლომ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების დასკვნების ერთობლიობაში შეფასების შედეგად დაასკვნა, რომ ისეთ პირობებში, როდესაც არასრულწლოვანი ადაპტირებულია გარემოში, სადაც მასზე ზრუნავს უშუალოდ მამა, ბავშვს ჰქონდა მყარი მიჯაჭვულობა მამასთან და ფსიქოლოგები მუთითებდნენ, რომ გერმანიაში ბავშვის დაბრუნება, ამ ეტაპზე, იქნებოდა სერიოზული ტრავმატიზების მიზეზი, არ არსებობდა არასრულწლოვანის გერმანიაში დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან არსებობდა იმის სერიოზული რისკი, რომ გერმანიაში დაბრუნება ბავშვს ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნიდა.

34. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა ჰააგის 1980 წლის კონვენციით; სსსკ-ის 1305<sup>1</sup>-ე მუხლით; ბავშვის უფლებათა კონვენციით; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 105-ე მუხლით.

35. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ბავშვის დედამ, მოითხოვა მისი გაუქმება და,

ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

36. საკასაციო საჩივარი დამყარებულია შემდეგ არგუმენტებზე:

36.1. საქალაქო სასამართლომ დაადგინა და ეს აღნიშნულიც არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების 2.18 პუნქტში, რომ არ დასტურდება სერიოზული რისკის არსებობა იმის თაობაზე, რომ გარემო, რომელშიც ბავშვი აღმოჩნდება, შეუქმნის მას ფიზიკურ ან ფსიქიკურ საფრთხეს, ან სხვაგვარად ჩააყენებს გაუსაძლის მდგომარეობაში. სასამართლოს განმარტებით, მხარეს, რომელიც ბავშვის გერმანიაში დაბრუნების წინააღმდეგია, აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი საწინააღმდეგო მტკიცებულება არ წარმოუდგენია, შესაბამისად, გარკვეული სტანდარტი დადგინდა, რაც სააპელაციო წესით, მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია.

36.2. საკასაციო სასამართლო განსაკუთრებული სიფრთხილითა და სიფაქიზით უნდა მიუდგეს გადაწყვეტილების გამოტანას, რადგან სასწორზე დგას დედა-შვილის ურთიერთობის სამართლებრივი გზით დაშორების რეალური საფრთხე. ორმა სხვადასხვა სასამართლომ განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცა ჰააგის კონვენციას, რაზეც საკასაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით უნდა შექმნას შემდგომი პრაქტიკა ამ კატეგორიის დავებზე.

36.3. კასატორის განმარტებით, ჰააგის კონვენციის მთავარ მიზანს რომელიმე ხელშემკვრელ სახელმწიფოში არამართლზომიერად გადაყვანილი ან დაკავებული ბავშვის სწრაფი დაბრუნების უზრუნველყოფა წარმოადგენს, ხოლო მოცემულ დავაში დადგენილი არის ფაქტი, რომ ბავშვი არის არამართლზომიერად, გერმანიიდან საქართველოში გადმოყვანილი და მამის მიერ დაკავებული, რადგან საწინააღმდეგო მოპასუხემ ვერცერთ ინსტანციაში ვერ დაადასტურა, ამის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რითაც დაკმაყოფილდა არამართლზომიერად დაკავების განმხორციელებელი მხარის მოთხოვნები.

36.4. კონვენციის მე-3 მუხლი ადგენს იმ თეზას, რაც არამართლზომიერად გადაადგილებისა და დაკავების განმსაზღვრელია, რაც ცალსახად სახეზეა განსახილველ შემთხვევაში, თუმცა, სააპელაციო სასამართლომ აბსტრაქტული და ზოგადი მსჯელობის საფუძველზე, საწინააღმდეგო მიიჩნია და ამით უხეშად დაარღვია კონვენციის მოთხოვნები და საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებები.

36.5. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით უხეშად დაირღვა „ბავშვის უფლებების“ საერთაშორისო კონვენციის მე-9 მუხლი, რომლის თანახმად, ბავშვი არ უნდა დაშორდეს მშობელს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა ასეთი დაშორება ემსახურება მის ინტერესებს. საინტერესოა, თუ რა ფორმით დადასტურდა ასეთი დაშორების საჭიროება და ლეგიტიმაცია, ან ეს რის საფუძველზე დაამტკიცა სააპელაციო სასამართლომ. პირველ ინსტანციაში დადგინდა ფაქტად იქნა მიჩნეული, რომ ბავშვის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს გერმანია წარმოადგენდა, შეზავამისად, ამის საინააღმდეგო მოპასუხეს არ დაუდასტურებია.

36.6. საქალაქო სასამართლომ სწორად შეაფასა, როდესაც დაადგინა, რომ ბავშვი არ აკეთებს არჩევანს მშობლებს შორის, ანუ, არ არის დედის წინააღმდეგი და, რომ ბავშვის შესაძლო განწყობა საქართველოში დარჩენასთან დაკავშირებით, შეიძლება განპირობებული იყოს მამის გარემოში ბოლო თვეების განმავლობაში ყოფნით და არა სხვა რაიმე მიზეზით. ხაზგასასმელია ფსიქოლოგის მიერ შედგენილი მესამე, 01.12.2014 წლის დასკვნა, რომელიც ორივე მშობლის მონაწილეობით იქნა შედგენილი. საქართველოში გარკვეულ დღეებში ყოფნის პერიოდში, ბავშვის მიმართ შედგენილი ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგად ასახულ გარემოებებზე უთითებს კასატორი (იხ. წინამდებარე განჩინების მე-19 პუნქტის მუქად დაფერილი ნაწილი).

36.7. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, გასათვალისწინებელი იყო, რომ დედა-შვილური ურთიერთობა შეიძლებოდა გაუცხოებულიყო და ამ ურთიერთობის დანაკლისს უარყოფითად ემოქმედა ბავშვის ფსიქო-სოციალურ განწყობაზე, რაც ცუდ ეფექტს მოგვცემდა მისი სწორად აღზრდის საქმეში. ეს არგუმენტაცია სააპელაციო სასამართლოსათვის დაუსაბუთებელი აღმოჩნდა;

36.8. უსაფუძვლოა გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.8 პუნქტში ჩამოყალიბებული მსჯელობა, რომ არასრულწლოვანი 2013 წლის განმავლობაში შვიდი თვე იმყოფებოდა საქართველოში და პერიოდულად მიემგზავრებოდა გერმანიაში. კასატორის მტკიცებით, საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვის საცხოვრებელი ადგილი არის გერმანია, ხოლო ამის საინააღმდეგო ვერც მოპასუხემ დაამტკიცა და არც სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა.

36.9. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ბავშვი სწავლობს სკოლაში „კა“. კასატორის

მტკიცებით, მეორე კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა აღნიშნულ სკოლაში ბავშვის შეყვანასთან დაკავშირებით არ არსებობს, რაც საქალაქო სასამართლოშიც დადგინდა, შესაბამისად, გაუგებარია, რატომ უნდა ჩაითვალოს, რომ ამით დასტურდება ბავშვის საცხოვრებელი ადგილი ან საქართველოში გადმოსვლის განზრახვა, მაშინ, როდესაც ამაზე თანხმობა დედას არ გაუცია. სახეზეა ფაქტობრივად მამის მიერ უფლების გადამეტება, ამ უკანასკნელის სურვილით, შვილის სკოლაში შეყვანა და არსებულ გარემოსთან ბავშვის მიჯაჭვება.

36.10. უსაფუძვლოა სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ, რადგან მხარეები არ არიან განქორწინებული, შვილის საცხოვრებელი ადგილი არ არის განსაზღვრული. დადგენილი ფაქტია, რომ ბავშვი დაიბადა, იზრდებოდა, ბაღში დადიოდა გერმანიაში და საქართველოში პერიოდულად იმყოფებოდა. გერმანიაში მშობლებს შორის კონფლიქტის შემდგომ, არ დაბრუნდა გერმანიაში მშობლების კონფლიქტის შემდეგ, შესაბამისად, რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ ბავშვის საცხოვრებელი ადგილი არ არის გერმანია, საქმეში არ მოიპოვება და დაუსაბუთებელია ამ ნაწილში სასამართლოს მსჯელობა.

36.11. უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ 2013 წლიდან მხარეებს გადაწყვეტილი ჰქონდათ საქართველოში გადმოსვლა, ვინაიდან ამას მოპასუხე მხოლოდ ზეპირად განმარტავს, ხოლო სხვა მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის. კასატორის მტკიცებით, ის ფაქტი, რომ მოსარჩელე 2013, 2014 წლების განმავლობაში საქართველოში ჩამოდიოდა, არ ადასტურებს, რომ დედა ბავშვის საქართველოში დარჩენის მოსურნე იყო. პირიქით, კასატორს ჰქონდა მოლოდინი, რომ მოპასუხე დაბრუნდებოდა გერმანიაში და არც შვილის დაბრუნების თვალსაზრისით შექმნიდა პრობლემას; როდესაც რეალურად შეექმნა პრობლემა და დადგა ფაქტის წინაშე, ბავშვის დედამ სასამართლოს მიმართა.

36.12. უსაფუძვლოა გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.8 პუნქტის ბოლო აზრად, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ არასრულწლოვანი არ წარმოადგენს კონვენციის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე არამართლზომიერად დაკავებულ ბავშვს. სასამართლო ამ დასკვნამდე იმაზე დაყრდნობით მივიდა, რომ მხარეები არ არიან განქორწინებული და 2013 წლის მანძილზე ბავშვი სისტემატურად იმყოფებოდა საქართველოში. აღნიშნული დასკვნა შეუსაბამოა კონვენციისეულ სტანდარტთან.

36.13. უსაფუძვლოა გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.9



პუნქტის პირველ აბზაცში, გადმოცემული მსჯელობა, რომლის თანახმად, სასამართლომ ღიად თქვა, რომ თუნდაც ყოფილიყო ბავშვი კონვენციით გათვალისწინებული სუბიექტი, მაინც უნდა დარჩენილიყო საქართველოში, რადგან იგი „ადაპტირებული“ იყო აქაურ ყოფასთან. ამის შემდეგ, სასამართლო მსჯელობს სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 21 ნოემბრის დასკვნაზე, მაშინ, როდესაც 2014 წლის 1 დეკემბრის დასკვნა არის ერთადერთი მტკიცებულება, როდესაც პროცესში დედაც იქნა ჩართული და არ იყო ისეთი ცალმხრივი დასკვნები წარმოდგენილი, როგორც, სხვებთან ერთად, არის 2014 წლის 21 ნოემბრის დასკვნა, ანუ ამ შემთხვევაშიც, მოპასუხის სასარგებლო დასკვნას ეყრდნობა სასამართლო, მაშინ, როდესაც იგი მიუკერძოებელი უნდა იყოს. 21 ნოემბრის დასკვნის შემდეგ, სასამართლო 1 დეკემბრის დასკვნაზე მსჯელობს, თუმცა, გვერდს უვლის დედის სასარგებლო მსჯელობას. ამის შემდეგ, სასამართლო მსჯელობს და სრულად ეყრდნობა ფსიქოლოგთა ასოციაციის სპეციალისტების 2015 წლის 24 თებერვლის დასკვნას, რომელიც პროცესუალური დარღვევით არის საქმეზე დართული, რაც ასევე გასაჩივრებული აქვს კასატორს. კასატორის მტკიცებით, ეს დასკვნა საქალაქო სასამართლოს გადაწვეტილების მიღების შემდეგ არის ჩატარებული, რაზედაც დედა არ იყო ინფორმირებული და, შესაბამისად, ჩართული მის მომზადებაში. კასატორის განმარტებით, დასკვნის შედგენისას, ბავშვი სრულად მოპასუხის ოჯახურ გარემოში იმყოფება და დედა არ იყო მიწვეული. დასკვნა არც სასამართლოს მიერ არის დანიშნული და მის შედგენას არც სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელი ესწრებოდა.

36.14. კასატორის განმარტებით, საკასაციო სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს გადაწყვეტილების მე-19 გვერდზე მოცემულ გარემოებებზე, კერძოდ, სასამართლო უთითებს მოსარჩელის მიერ წარდგენილ 2015 წლის 11 ივნისის ფსიქოლოგიურ შეფასებაზე, სადაც წერია, რომ არ იკვეთება რაიმე სირთულე ბავშვის ფსიქო-ემოციურ ფუნქციონირებაში, თუმცა, ამის მიუხედავად, სასამართლომ საწინააღმდეგოდ იმსჯელა, ასევე ნათლად იკვეთება, რომ ბავშვს აქვს დედისადმი მიჯაჭვულობა და ახლო ურთიერთობა და, ამის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ დედა-შვილი დააშორა. ამავე დასკვნაში ფსიქოლოგები მსჯელობენ ფსიქოლოგთა ასოციაციის 24 თებერვლის დასკვნის უვარგისობის თაობაზე. კასატორის პრეტენზიით სააპელაციო სასამართლო მსჯელობს სოციალური მომსახურების სააგენტოს 3 ივნისის დასკვნაზე, თუმცა, ამ დას-

კენის პროცესუალური საფუძვლები არ არსებობს.

37. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2015 წლის 29 იანვრის განჩინებით, დასაშვებად ცნო საკასაციო საჩივარი სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საქმის არსებითი განხილვა (სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები), დანიშნა 2016 წლის 5 თებერვალს, რომელიც გადაიდო იმავე წლის 11 თებერვალს.

38. 2016 წლის 11 თებერვლის სხდომაზე გამოცხადდნენ კასატორის წარმომადგენელი, მოპასუხე და მისი წარმომადგენელი, ასევე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს იურისტი.

39. კასატორის წარმომადგენელი დაეთანხმა საკასაციო განაცხადს და დამატებით განმარტა, რომ ბავშვი გერმანიიდან დედის თანხმობით არის გადმოყვანილი (შდრ. ამ განჩინების 36.3 ქვეპუნქტი), შესაბამისად, არ არის საუბარი მის გატაცებაზე, თუმცა, არასრულწლოვანი არამართლობიერად არის დაკავებული საქართველოში, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რითაც დაარღვია ჰააგის 1980 წლის კონვენციის მე-3 მუხლი, საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები და „ბავშვის უფლებების“ კონვენციის მე-9 მუხლი.

40. კასატორის წარმომადგენელს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოხდა ბავშვისა და მშობლის დაშორების ლეგიტიმაცია და იმეორებს საკასაციო განაცხადის პრეტენზიებს (იხ. ამ განჩინების 36.2, 36.8-36.11 ქვეპუნქტები); არასრულწლოვანის დედა 2014 წლის ივნისშიც, რამდენიმე დღით, იყო საქართველოში ჩამოსული, ბავშვი ივლისში უკვე რეგისტრირებული იყო სკოლაში; დედა იმედოვნებდა, რომ შეძლებდა შვილის წაყვანას, მაგრამ ვერ შეძლო. რეალურად ფაქტის წინაშე დამდგარმა კასატორმა საკუთარი ქვეყნის იუსტიციის სამინისტროს მიმართა, რომელმაც, კონვენციის საფუძველზე, საქართველოში გადმოაგზავნა შესაბამისი მასალები და სასამართლოში დაიწყო საქმისწარმოება, მოსარჩელედ კი დედა ჩაერთო.

41. კასატორის წარმომადგენელმა სასამართლოს ყურადღება გაამახვილა ფსიქოლოგის 2014 წლის 1 დეკემბრის დასკვნაზე, რომელიც ბავშვთან დედის ურთიერთობას ასახავს სამეტაპად (იხ. წინამდებარე განჩინების მე-19 პუნქტი), გააკრიტიკა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ბავშვი თუნდაც ყოფილიყო ჰააგის კონვენციით გათვალისწინებული სუბიექტი, მაინც უნდა დარჩენილიყო საქართველოში,

რადგან უკვე ადაპტირებული იყო აქაურ გარემოში. კასატორმა ხაზი გაუსვა ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვების“ 2015 წლის 11 ივნისის დასკვნას, რომელშიც იკვეთებოდა დედისადმი ბავშვის მიჯაჭვულობა, იმავდროულად, მითითებული იყო მოპასუხის ინიციატივით მომზადებულ დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის 24 თებერვლის დასკვნის არასანდოობაზე, რასაც ასევე ასაჩივრებს კასატორი და საკუთარი პოზიციის სამართლებრივ საფუძვლად უთითებს სსსკ-ის 380-ე-382-ე მუხლებზე, რომელთა მოთხოვნების უგულვებელყოფით, სააპელაციო სასამართლომ საქმეს მტკიცებულება დაურთო.

42. კასატორის წარმომადგენელმა ასევე გააკრიტიკა გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.9. პუნქტის შემაჯამებელი აზრები და აღნიშნა, რომ დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები, რომ გერმანიაში დაბრუნება ბავშვს ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც, საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ ბავშვი არ აკეთებდა არჩევანს მშობლებს შორის. წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მონინალმდეგეს არ წარმოუდგენია ბავშვის გერმანიაში დაბრუნების წინააღმდეგ რაიმე მტკიცებულება. კასატორის შეფასებით, სასწორზე დგას დედა-შვილის ურთიერთობის საკითხი, სამართლებრივი გზით მათი დაშორების რეალური საფრთხე, რაზეც საკასაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს გადაწყვეტილების მიღებისას.

43. კასატორის მონინალმდეგემ, საქმის ზეპირი მოსმენისას, განმარტა, რომ არ ეთანხმება საკასაციო განაცხადში მითითებულ პრეტენზიებს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია და დასაბუთებული, შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

44. მონინალმდეგის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა ინსტანციაში მოსარჩელე აპელირებდა, რომ ბავშვი არის არამართლზომიერად გადაადგილებული და დაკავებული, ამჟამინდელ სასამართლო სხდომაზე კასატორმა დაადასტურა, რომ არასრულწლოვანი არ არის არამართლზომიერად გადაადგილებული; რაც შეეხება მის არამართლზომიერად დაკავებას საქართველოში, საამისო არცერთი მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარმოუდგენია. ბავშვი კანონიერად იმყოფება საქართველოში, არ არსებობს რაიმე დოკუმენტი დედის პოზიციის გასაზიარებლად, რომ ბავშვი არამართლზომიერად არის დაყოვნებული საქართველოში.

45. მოპასუხის წარმომადგენელი განმარტავს, რომ ბავშვი 2013 წელს, შვიდი თვის განმავლობაში მუდმივად იყო საქარ-

თველოში, დადიოდა ბაღში, რაც დასტურდება სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესახებ ცნობით, შემდეგ იგი შევიდა სკოლაში, სადაც კარგად სწავლობს და დადებითად ხასიათდება. მშობლებმა 2013 წლის ზაფხულში გადანყვიტეს, რომ გადმოვიდოდნენ საცხოვრებლად საქართველოში, ამ მიზნით მოპასუხე წამოვიდა საქართველოში შვილთან ერთად, რაზედაც დედაც თანახმა იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, არასრულწლოვანი სახელმწიფო საზღვარს ვერ გადმოკვეთავდა. დაუსაბუთებელია კასატორის პოზიცია, რომ გერმანია არის ბავშვის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მაშინ, როდესაც ბავშვი ქართულ სკოლაში დადის, საქართველოს მოქალაქეა და 2014 წლის 24 აპრილის შემდეგ საქართველო არ დაუტოვებია. დედის თანხმობით ჩამოსული არასრულწლოვანი, საქართველოში დარჩა მამასთან. კასატორი რამდენჯერმე ჩამოვიდა საქართველოში 2014 წლის აპრილის შემდეგ, კერძოდ იენისში და მას არ ჰქონია რაიმე პრეტენზია.

46. მოპასუხის წარმომადგენელი სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ თითქოსდა გერმანიაში სწავლის დაწყების გამო, ბავშვის წასაყვანად, იენისში ჩამოსულ დედას, ოქტომბრამდე არაფერი მოუმოქმედებია. ბავშვი ადაპტირებულია ამ გარემოში, იზრდება თბილ ოჯახში, ჰყავს მეგობრები, თავს კარგად გრძნობს, პირიქით, მისი გამგზავრება გერმანიაში, შესაძლებელია მატრავმირებელი აღმოჩნდეს. მოპასუხის წარმომადგენელმა გერმანიაში ბავშვის სკოლაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ იქაური კანონმდებლობით, საქართველოსაგან განსხვავებულად წესრიგდება ეს საკითხი; ბავშვი, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შესაბამის ასაკის დადგომისთანავე, ავტომატურად რეგისტრირდება სკოლაში, რაც კანონითაა მოწესრიგებული და ამ შემთხვევაში, სკოლაში რეგისტრაციას რაიმე განსაკუთრებული დატვირთვა არ უნდა მიენიჭოს.

47. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა მოპასუხემ განმარტა, რომ ის მეუღლესთან შეთანხმებული იყო საქართველოში გადმოსვლასა და საცხოვრებლად დარჩენაზე, მოპასუხემ ცოლს სამუშაოც კი მოუძებნა ვალდორფის სკოლაში, დედამ შვილს თანხმობა მისცა, მიეღო საქართველოს მოქალაქეობა. კასატორი სწავლობს და თან მუშაობს, საქართველოში წამოსვლაზე თავს იკავებდა ჯერ სწავლის მომიზევებით, თუმცა, შემდეგ პირადი ხასიათის სხვა საკითხი წარმოჩინდა (იხ. 11.02.2016წ. სხდომის ოქმი).

48. მოპასუხის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დედა-შვი-

ლის ურთიერთობაზე ზედამხედველობას ახორციელებდა მე-ურვეობისა და მზრუნველობის ორგანო და მათმა ფსიქოლოგმა 3 ივნისის დასკვნაში დაწერა, რომ ბავშვს მამასთან ურჩევნია ყოფნა. ამ საკითხზე კასაციაში არაფერი აქვს მითითებული კასატორს და ზეპირი განმარტებისას მისი პოზიციის დაფიქსირების გამო, საჭიროდ ჩათვალა, პასუხი გაეცა. მონინაალმდეგემ მიუთითა, რომ საქმის მასალებში არის სამი დასკვნა, რომელთა თანახმად, სოციალური სამსახური დადებითად აფასებს მამის მიერ ბავშვის აღზრდის ფაქტს; 21 ნოემბრის დასკვნის თანახმად, არასრულწლოვანს არ სურს გერმანიაში ხანგრძლივად დაბრუნება. ბავშვისთვის ნებისმიერი ფორმით საცხოვრებელი ადგილის შეცვლა არის მატრავმირებელი, სანამ ის შეეგუება ახალ გარემოს და არ მიეცემა საშუალება, ორივე გარემოს მახასიათებლით განსაზღვროს ერთ-ერთის უპირატესობა. ამ მომენტისათვის მიღებული ტრავმა გასვლის ეტაპზეა. მან შეიძინა მეგობრები, დადის სკოლაში, სხვადასხვა წრეებზე, მოახდინა ადაპტაცია, შესაბამისად, გერმანიაში მისი დიდი ხნით დაბრუნება, იქნება სერიოზული ხელახლი ტრავმის მიზეზი. ეს ყოველივე მეტყველებს ბავშვის საქართველოში დარჩენის უპირატესობაზე (იხ. ამ განჩინების 24.1 ქვეპუნქტი). ასევე, დასკვნაში მითითებულია, თუ როგორ ზრუნავს მამა ბავშვზე, თუ რა თბილ გარემოში იზრდება, ასევე აღნიშნულია დასკვნაში, რომ მას აქვს მიჯაჭვულობა მამასთან, მაგრამ უყვარს დედაც. ასევე ითხოვს დარჩეს საქართველოში.

49. მოპასუხის წარმომადგენელმა განმარტა, 24 თებერვლის დასკვნის (იხ. განჩინების 30-ე პუნქტი) მოპასუხის მიერ მომზადების ინიცირების მიზეზი, კერძოდ: საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, ამავე ეტაპზე საქმის განხილვის დროს, ფსიქოლოგი ერთ-ერთ დასკვნაში, უთითებდა რეკომენდაციაზე, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე ბავშვზე ზრუნვა თანაბრად უნდა გამოეჩინათ მშობლებს, ამ ხნის მანძილზე მოხდებოდა ფსიქოლოგთან ბავშვის თერაპია, ეს უნდა მომხდარიყო ერთი-ორი თვის მანძილზე და ამის შემდეგ დადგინდებოდა ბავშვის სურვილი, თუ სად უნდა ეცხოვრა. მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული რეალურად უნდა გაეკეთებინა საქალაქო სასამართლოს, თუმცა, არ გააკეთა. სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა 2014 წლის დეკემბერში და, ამის შემდეგ, მოპასუხემ შეასრულა ფსიქოლოგის რეკომენდაცია, 2015 წლის თებერვალში მიმართა დ. უზნაძის სახელობის საქართველოს ფსიქოლოგთა ასოციაციას. დასკვნის მოსამზადებლად, მოპასუხემ ფსიქოლოგებს

წარუდგინა საქმის მასალები, სასამართლოს გადანყვეტილება, სოციალური მომსახურების სამსახურის დასკვნები, ბავშვის დახასიათება სკოლიდან, სკაიპის მეშვეობით, დედა-შვილის ურთიერთობის ამსახველი ვიდეო-მასალა, დაახლოებით 5-6 ჩანაწერი, შესაბამისად, დასკვნის მოსამზადებლად, სპეციალისტებს გამოსაკვლევად წარედგინათ ყველა მასალა, კასატორის მტკიცების საწინააღმდეგოდ, იგი არ მომზადებულა ცალმხრივად და სასამართლოს სრული უფლება ჰქონდა, მიეღო დასკვნა. ამდენად, მოპასუხის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის საოქმო განჩინების გაუქმების საფუძველი არ არსებობს. მოპასუხის წარმომადგენელმა იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ როდესაც ბავშვის დედა ჩამოვიდა გერმანიიდან და დააყენა შუამდგომლობა, რომ მასაც მისცემოდა უფლება, შვილთან ურთიერთობა ჰქონოდა, მოპასუხე დაეთანხმა. სააპელაციო სასამართლომ 2015 წლის 2 აპრილის განჩინებით დააკმაყოფილა ბავშვის დედის შუამდგომლობა და მას განესაზღვრა 2 კვირიანი ვადა, რათა მისცემოდა არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის უფლება, თან წაყვანის უფლებით, საქართველოს ტერიტორიაზე ფსიქოლოგიური კვლევის უზრუნველსაყოფად. ამდენად, მოპასუხეს მიაჩნია, რომ სრულად იქნა დაცული და უზრუნველყოფილი მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი.

მოპასუხე აცხადებს, რომ თუ კასატორი მოითხოვს, ხელახალი დაკვირვების ჩატარებას ბავშვზე, როგორც ხოვრობს, როგორია მისი მდგომარეობა, ამაზე იგი დღესაც თანახმაა, მაგრამ მსგავსი რამ კასატორს არ მოუთხოვია.

50. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ განსახილველ დავაში მისი სამსახური ჩართულია საქმისწარმოების დაწყებიდან, იგი დეტალურად იცნობს საქმის მასალებს; ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები ამზადებენ შესაბამის დასკვნებს, ხოლო იურისტები მონაწილეობენ სასამართლო სხდომებზე. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი ეთანხმება მისი სამსახურის სპეციალისტთა მიერ მომზადებულ ყველა დოკუმენტს, მათ შორის ფსიქოლოგის 03.06.2015წ. დასკვნას (იხ. განჩინების 14.1-14.3 ქვეპუნქტები, მე-19 პუნქტი, 29.1-29.3 ქვეპუნქტები, 32-ე პუნქტი). ნეიტრალურ ტერიტორიაზე, რამდენჯერმე მიიყვანეს ბავშვი მშობლებთან ერთად, სადაც მიმდინარეობდა დაკვირვება შვილისა და მშობლების ურთიერთობაზე. ბავშვს უყვარს, როგორც დედა, ასევე მამა, მაგრამ მაინც გამოვლინდა მამასთან მიჯაჭვუ-

ლობა. ბოლოს, როდესაც ბავშვი დედასთან იმყოფებოდა, მათ შორის ურთიერთობის ზედამხედველობის მიზნით, ბავშვს გაუჭირდა მამის გარეშე. დედას არ მიჰყვებოდა, თუ მამა არ იქნებოდა იქ. იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც ბავშვმა პირადად დაურეკა წარმომადგენელს, ატირებულმა, და სთხოვა მამასთან წაყვანა, ჰკითხა, ხომ შეიძლებოდა ღამე მამასთან ყოფილიყო და დღე დედასთან წასულიყო. ასეთი შემთხვევა ორჯერ დაფიქსირდა. სასამართლოს მოეხსენება, რომ ამავე სამსახურს აქვს კანონით მინიჭებული საალსრულებო ფუნქცია, შესაბამისად, სასამართლომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც აღუსრულებელი არ დარჩება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა განმარტებების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოსაზრებების, მტკიცებულებათა ერთობლიობით გაანალიზებისა და შეფასების, საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო პრეტენზიის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს შემდეგი მოტივაციის გათვალისწინებით:

51. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი პუნქტით, საკასაციო სამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); კასატორს ასეთი დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

52. საკასაციო სასამართლო, საკასაციო პრეტენზიაზე მსჯელობისას, ყურადღებას ამახვილებს ჰაავის 1980 წლის კონვენციის მიზნებზე, რათა განჩინების სამართლებრივი დასაბუთებისას, „ბავშვის უფლებათა“ კონვენციით გაცხადებული არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების შესატყვისად, სამოქალაქო საპროცესო სპეციალური ნორმების დაცვით, განავი-

თაროს მსჯელობა და დაასაბუთოს დასკვნები.

53. ჰააგის 1980 წლის კონვენცია, პირველ რიგში, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს „სტატუს ქვოს“ აღდგენას, როდესაც ითხოვს „უკანონოდ გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვების დაბრუნებას ყველა ხელშემკვრელ ქვეყანაში“, (იხ. კონვენციის თაობაზე ელიზა პერეზ-ველეს განმარტებითი მოხსენება – ბ. კონვენციის მიზნები, პ.16) ამასთან, „ერთი, მხრივ, ნათელია, რომ კონვენცია არ ეხება მეურვეობის უფლების არსს (მუხლი 19), მაგრამ, მეორე მხრივ, ასევე აშკარაა, რომ ბავშვის გადაადგილებისა და დაუბრუნებლობის კვალიფიცირება უკანონო ქმედებად, განპირობებულია მეურვეობის უფლებით, რაც იურიდიულ შინაარსს ანიჭებს იმ ქმედებების გამო შეცვლილ სიტუაციას, რომელთა თავიდან აცილებასაც ჩვენ ვცდილობთ“ (დასახელებული განმარტებითი მოხსენება – პირველი ნაწილი, კონვენციის ზოგადი მახასიათებლები, პ.9), „ამრიგად, კანონზომიერი იქნება დავასკვნათ, რომ კონვენციის ორივე მიზანი, ერთი პრევენციული, ხოლო მეორე – მიმართული ბავშვის ჩვეულ გარემოში დაუყოვნებელი რეინტეგრაციისაკენ – მთლიანობაში პასუხობს „ბავშვის ინტერესების უზენაესობის“ კონცეფციას. თუმცა, ამ თვალსაზრისითაც კი, უნდა დავუშვათ, რომ ბავშვის გადაადგილება შეიძლება ზოგჯერ ობიექტური მიზეზებით იქნეს გამართლებული, რომლებიც უკავშირდება ან მის პიროვნებას ან მისთვის უახლოეს გარემოს. შესაბამისად, კონვენცია უმჯობეს ზოგიერთ გამონაკლისს უკანონოდ გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვების დაუყოვნებლივ დაბრუნებასთან დაკავშირებით სახელმწიფოების მიერ აღებული ზოგადი ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით. მეტწილად ეს გამონაკლისები წარმოადგენს მხოლოდ კონკრეტულ გამოხატულებას იმ მეტისმეტად ბუნდოვანი პრინციპისა, რომელიც აცხადებს, რომ ბავშვის ინტერესების დაცვა წარმმართველი კრიტერიუმია ამ სფეროში“ (იხ. ციტირება საქმიდან „გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ“, [საჩივარი №2361/13] სტრასბურგი, 2015 წლის 21 ივლისი, გადაწყვეტილება, საბოლოო გახდა 21/10/2015).

54. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში საკასაციო პრეტენზიების განხილვისას, დადგენილია, რომ ბავშვი საქართველოს ტერიტორიაზე შემოსულია მართლზომიერი საფუძვლით, იგი დედის თანხმობით ჩამოიყვანა მამამ, შესაბამისად, ჰააგის 1980 წლის კონვენციით დადგენილი საერთაშორისო გატაცების საკითხი ბავშვის მიმართ არ იხილება. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა, რომელიც წინამდებარე განჩინების 27-ე პუნქტშია



ასახული, სრულიად დასაბუთებულია, რაც ასევე დაადასტურა თავად კასატორის წარმომადგენელმა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისას (იხ. ამ განჩინების 39-ე პუნქტი), შესაბამისად, საკასაციო სასამართლო გაბათილებულად მიიჩნევს საკასაციო საჩივრის პრეტენზიას, რომ დადგენილია ფაქტი ბავშვის გერმანიიდან საქართველოში არამართლზომიერად გადმოყვანის შესახებ (იხ. ამ განჩინების 36.3 და 36.4 ქვეპუნქტები). აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კვლევის საგანია, არასრულწლოვანის საქართველოში ყოფნის მართლზომიერება, საპედაციო სასამართლოს მსჯელობისა და დასკვნების გაანალიზება, რათა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სამართლებრივად შეფასდეს კასატორის პრეტენზია იმ კონტექსტში, რომ ბავშვი არამართლზომიერად არის დაკავებული საქართველოში.

55. სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადაწყვეტილების მიღება (იხ. ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ – *Elsholz v. Germany*, № 25735/94, 31.07.2000, პარ. 52 და TK და KM გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – *TK and KM v. UK*, № 28945/95, 10.05.2001, პარ.72)

56. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოდავე მხარეები საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, უთითებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობაზე, რაც სასამართლოს არწმუნებს, რომ მშობლები სწორედ არასრულწლოვანის ქვშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედებენ წინამდებარე გადაწყვეტილების აღსრულებისას და თითოეული მათგანი შვილის უპირატეს ინტერესს აღიარებს.

57. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ევროპული სასამართლოს მსჯელობაზე: „ჰააგის კონვენციის მიხედვით, დაბრუნების მოთხოვნის კონტექსტში, რომელიც შესაბამისად გამიჯნულია მეურვეობასთან დაკავშირებული სამარ-

თაღნარმოებისაგან, ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფცია უნდა შეფასდეს ჰააგის კონვენციით დაშვებული განმარტების მიხედვით, რომელიც გულისხმობს დროის გასვლას (მუხლი 12), კონვენციის გამოყენების პირობებს (მუხლი 13 § a) და სერიოზული რისკების არსებობას (მუხლი 13 § b). ასევე, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ფუნდამენტურ პრინციპებთან შესაბამისობა, რაც გულისხმობს ფუნდამენტური თავისუფლების და ადამიანთა უფლებების დაცვას (მუხლი 20). ეს დავალება, პირველ რიგში, ეკისრება მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს, სხვა დანარჩენთან ერთად, მხარეებთან პირდაპირი ურთიერთობის უპირატესობა. მე-8 მუხლთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების დროს, ეროვნული სასამართლოები სარგებლობენ შეფასების ზღვრით, რომელიც საბოლოოდ ექვემდებარება ევროპულ ზედამხედველობას. მაშასადამე, სასამართლო კომპეტენტურია განიხილოს ეროვნული სასამართლოების მიერ ჩატარებული პროცედურა, კერძოდ, დაადგინოს, ეროვნული სასამართლოები ჰააგის კონვენციის გამოყენებისა და განმარტების დროს, რამდენად იცავდნენ კონვენციის განმარტების, განსაკუთრებით მე-8 მუხლთან დაკავშირებულს. ევროპული და ჰააგის კონვენციის ჰარმონიული განმარტება შეუძლებელია, იმ შემთხვევაში, თუ ხდება ორ პირობაზე დაკვირვება. პირველ რიგში, ფაქტორები რომლებსაც შეუძლიათ დაუშვან გამონაკლისი ბავშვის დაუყოვნებლივ დაბრუნებასთან დაკავშირებით, აღნიშნული კონვენციების მე-12, მე-13 და მე-20 მუხლების გამოყენებით, კონკრეტულად იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი აღზრდილია სამართალწარმოების რომელიმე მხარის მიერ, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მოთხოვნის ადრესატი სასამართლოს მიერ. ამ სასამართლომ უნდა მიიღოს ამ საკითხზე საკმარისად დასაბუთებული გადაწყვეტილება, რათა საშუალება მისცეს ევროპულ სასამართლოს დაადგინოს, რომ ეს საკითხები ეფექტურად იქნა განხილული. მეორეს მხრივ, აღნიშნული ფაქტორები უნდა შეფასდეს კონვენციის მე-8 მუხლის გათვალისწინებით და ამ მხრივ კონვენციის მე-8 მუხლი ადგილობრივ ხელისუფლებას აკისრებს კონკრეტულ პროცედურულ მოვალეობებს: როცა განიხილება საჩივარი ბავშვის დაბრუნების შესახებ, სასამართლომ არ უნდა განიხილოს მხოლოდ არგუმენტირებული მტკიცება ბავშვის დაუყოვნებლივ დაბრუნებასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, არამედ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი მიზეზების დასახელებით, გამომდინარე საქმის კონკრე-

ტული გარემოებებიდან. ორივე შემთხვევა, პროტესტების არ გათვალისწინება დაბრუნებასთან დაკავშირებით, რომლებსაც შეუძლიათ დაკვალიფიცირდნენ ჰააგის კონვენციის მე-12, მე-13 და მე-20 მუხლების ფარგლებში და გადაწყვეტილების შედეგად არასაკმარისი დასაბუთებით ამ პროტესტების უარყოფა ეწინააღმდეგება კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებს, ისევე, როგორც ჰააგის კონვენციის მიზანს და დანიშნულებას. აუცილებელია სათანადოდ გათვალისწინება იმ არგუმენტების, რომლებიც მოყვანილია ეროვნული სასამართლოების დასაბუთებაში, რომლებიც არაა ავტომატური და სტერეოტიპული, არამედ ჰააგის კონვენციის მიერ დაშვებული გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც უნდა განიმარტოს, არის საკმარისად დეტალური. ეს ასევე საშუალებას მისცემს სასამართლოს, რომლის მოვალეობა არაა ეროვნული სასამართლოების ადგილის დაკავება, განახორციელოს ევროპული ზედამხედველობა, რომელიც მასზე არის მინდობილი. დამატებით იმ პრინციპებისა, რომლებიც აღნიშნულია ზემოთ, სასამართლომ რამდენჯერმე განაცხადა, რომ ოჯახური ცხოვრების ეფექტურად დაცვა მოითხოვს, რომ მშობელსა და ბავშვს შორის მომავალი ურთიერთობა იყოს განსაზღვრული მნიშვნელოვანი განხილვის და არა უბრალოდ დროის გასვლის ფაქტორის საფუძველზე (იხ. *Maumousseau and Washington v. France* , no. 39388/05, § 73, 6 December 2007; *Lipkowsky and McCormack v. Germany* (dec.), no. 26755/10, 18 January 2011 და *Diamante and Pelliccioni v. San Marino*, no. 32250/08, § 177, 27 September 2011) [„გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ“, (საჩივარი №2361/13)]“.

58. წინამდებარე განჩინების 56-ე პუნქტში განვითარებული მსჯელობის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ დავაზე მიღებული გადაწყვეტილებით, შეფასების საგანია ის მტკიცებულებები და არგუმენტები, რომლებიც მოდავე მხარეებმა წარმოადგინეს, ასევე საქმის მასალებში განთავსებული სპეციალისტთა დასკვნები, რომელთა ერთობლივი ანალიზით, „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-3, მე-8 მუხლებზე დაყრდნობით, უნდა გადაწყდეს საქართველოში მართლზომიერად ჩამოსული ბავშვის მამასთან ყოფნა არღვევს თუ არა ჰააგის კონვენციით გათვალისწინებულ საერთაშორისო დაცვის სტანდარტს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვის არამართლზომიერი დაკავების მავნე შედეგების არიდება.

59. კასატორის პრეტენზიის საწინააღმდეგოდ, რომ ბავშვი დედის თანხმობით ჩამოვიდა საქართველოში 2-3 კვირით (იხ. ამ

განჩინების 24.5 და 36.4. ქვეპუნქტები, 39-ე პუნქტი), სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც დაარწმუნებდა სასამართლოს, რომ 2014 წლის 23 აპრილს, ბავშვი საქართველოში მამამ ჩამოიყვანა განსაზღვრული ვადით; მტკიცებულებები ადასტურებს, რომ საქართველოში ბავშვის პერიოდულად ყოფნა ჩვეულებრივი საკითხია და ეფუძნებოდა მშობელთა შეთანხმებას, კერძოდ, ბავშვი 2009 წლიდან მოყოლებული, დროდადრო, რამდენიმე თვე იმყოფებოდა საქართველოში; 2013 წლის 2 დეკემბრიდან 2014 წლის ივნისის ჩათვლით (რამდენიმე თვისა და დღის გამოტოვებით), არასრულწლოვანი საქართველოში სწავლობდა ბაღში, ხოლო 2014 წლის 4 სექტემბრიდან კი – სკოლაში. დედამ 2014 წლის 6 იანვარს, სანოტარო წესით დადასტურებული თანხმობა გასცა შვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე. საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობასა და დასკვნებს (იხ. ამ განჩინების 26-27 პუნქტები), რაც დაფუძნებულია მხარეთა განმარტებებსა და სხდომის ოქმებში ასახული პოზიციების გაანალიზებასა და შეჯერებაზე (სსსკ-ის 407-ე მუხლი); სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ მამასთან ერთად, 2014 წლის 23 აპრილს, ბავშვის საქართველოში ჩამოსვლიდან, ორი თვის შემდეგ, კასატორი ივნისის ბოლოს იმყოფებოდა საქართველოში, მონინახულა შვილი და დაბრუნდა გერმანიაში, ხოლო ოქტომბრამდე რაიმე პრეტენზია, რომ შვილის ნახვის უფლება არ მიეცეს დედას ან არ გაატანეს ბავშვი გერმანიაში, მამას არ ჰქონდა არასრულწლოვანის მეურვეობის უფლება, მას არ გამოუთქვამს; მხოლოდ 2014 წლის ოქტომბერში, გერმანიის იუსტიციის სამინისტროსადმი მიმართვით დაიწყო ბავშვის დედამ არასრულწლოვანის დასაბრუნებლად ღონისძიებების გატარება, თუმცა, მარტოდენ ზეპირი განმარტების გარდა, მას არ დაუსაბუთებია, რომ ლიმიტირებული დროით დაეთანხმა მეუღლეს, საქართველოში წაეყვანა ბავშვი. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ მეგობარი გერმანიის სახელმწიფოს მომართვის შედეგად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განაცხადში თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი დაფიქსირებულია, რომ დედა ველარ ახორციელებს ბავშვზე მეურვეობის უფლებას. ბავშვის საუკეთესო ინტერესების კვლევისას, სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია არასრულწლოვანის დედის პოზიცია, თუ რით იყო განპირობებული საქართველოში თითქოსდა არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნების სამართლებრივი პროცედურები; თუკი ეს სასწავ-

ლო პროცესს უკავშირდება, როგორც ამას კასატორი უთითებს, მაინც არადამაჯერებელია ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა არასრულწლოვანის ჩვეული გარემოსაგან მონყვეტა და მისი გადაყვანა ამ ეტაპზე უცხო გარემოში, უკვე დაწყებულ სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებული ფსიქო-ემოციური ფაქტორების გაუთვალისწინებლად. წარმოდგენილ მტკიცებულებებთან ერთად, სასამართლოს შინაგანი რწმენის გამყარებას ხელს უწყობს მოპასუხის თანმიმდევრული პოზიცია საქმისწარმოების თითოეულ ეტაპზე (სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-3 ნაწილი), რაც ასევე აისახა საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც, ამასთან, ბავშვის მამამ დელიკატურად განმარტა ის მიზეზი, რის გამოც მისმა მეუღლემ შეცვალა საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლის განზრახვა (იხ. 11.02.2016წ. სხდომის ოქმი და ამ განჩინების 47-ე პუნქტი), რაც არ გაუპროტესტებია კასატორის წარმომადგენელს. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ თავად კასატორმა, საკუთარი წერილობითი პრეტენზიისაგან განსხვავებით, საქმის საკასაციო სასამართლოში ზეპირი მოსმენისას, დაადასტურა, რომ არ იყო სადავო ბავშვის არამართლობიერად გადაადგილება, არამედ საკითხი ეხებოდა მის არამართლობიერ დაკავებას საქართველოს ტერიტორიაზე მამის მიერ (შდრ. წინამდებარე განჩინების 36.3., 36.4. ქვეპუნქტებსა და 39-ე პუნქტში კასატორის მიერ დაფიქსირებული პოზიცია).

60. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტს, რომ არასრულწლოვანი არ წარმოადგენს, ჰააგის 1980 წლის კონვენციის საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე არამართლობიერად დაკავებულ ბავშვს (იხ. ამ განჩინების 27-ე პუნქტი), ამასთან, მნიშვნელოვნად მიაჩნია იმსჯელოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ დასკვნაზეც, რომელშიც ასახულია, რომ ზემოხსენებული კონვენციის საფუძველზე, არასრულწლოვანის საქართველოში არამართლობიერად დაკავების დადგენის შემთხვევაშიც კი, არ არსებობდა ბავშვის გერმანიაში დაბრუნების საფუძველი, რადგან იგი ადაპტირებული იყო არსებულ გარემოსთან, მიჯაჭვული იყო მამაზე და არსებობდა სერიოზული რისკი, რომ გერმანიაში გამგზავრება ბავშვს ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნიდა, რაც წინააღმდეგობაში მოვიდოდა კონვენციის მიზნებთან (იხ. ამ განჩინების 28-ე პუნქტი). კასატორი გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ მსჯელობასაც აკრიტიკებს (იხ. წინამდებარე განჩინების 36.13 ქვეპუნქტი). საკასაციო სასამართლო გან-

მარტავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფციის უზენაესობა ყოველთვის გადასწონის მშობლის უფლებასა და ინტერესს, თუმცა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ბავშვისა და მშობლის დაშორების ლეგიტიმაციად, როგორც ამას კასატორი აცხადებს (იხ. ამ განჩინების 36.2. ქვეპუნქტი და მე-40 პუნქტი), რადგან „ძალიან სერიოზული ჩარევაა ოჯახის გახლეჩა“ (იხ. ოლსონი შვედეთის წინააღმდეგ – *Olsson v. Sweden*, /No.1/, #10465/83, სერია ა, No. 130, 24.3.88, პარ. 72), რაც განსახილველი დავის საგანი არ არის.

61. „უკანონოდ დაკავებული“ ბავშვების მოხსენიება გულისხმობს იმ შემთხვევებს, როდესაც ბავშვი არ იმყოფება თავის ჩვეულ საცხოვრებელ ადგილას (იმ პირის თანხმობით, რომელიც, როგორც წესი, ახორციელებს მასზე მეურვეობას) და პირი, ვისთანაც იგი იმყოფება, არ აბრუნებს მას. ეს არის ტიპიური სიტუაცია, რომელსაც ადგილი აქვს, როდესაც ბავშვის გადაადგილება ნახვის უფლების არამართებული გამოყენების შედეგია (იხ. კონვენციის თაობაზე ელიზა პერეზ-ველეს განმარტებითი მოხსენება – ბ. ქვეპუნქტი ა, პ.57). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ჰააგის კონვენცია მეურვეობისა და ნახვის უფლებებს მიჯნავს, „კონვენცია ცალსახად ანიჭებს უპირატესობას იმ იდეას, რომ ნახვის უფლება წარმოადგენს მეურვეობის უფლების ბუნებრივ კომპენსაციას და მასზე უფლებაც, შესაბამისად, იმ მშობელს უნდა ჰქონდეს, რომელიც მეურვეობის უფლებას მოკლებულია (იხ. კონვენციის თაობაზე დასახელებული განმარტებითი მოხსენება – პ.26). საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე, კასატორს არ განუცხადებია პრეტენზია, რომ ბავშვის მამას არ ჰქონდა მეურვეობის უფლება, ამასთან, არასრულწლოვანის საქართველოში ცხოვრების პერიოდში ბაღში და სკოლაში სიარული, სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესს პასუხობს და ბუნებრივია, რომ დედა არ აცხადებდა ამაზე პრეტენზიას. ამავე კონტექსტში, საკასაციო სასამართლოს, ასევე დაუსაბუთებლად მიაჩნია კასატორის პრეტენზიები ბავშვის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით (იხ. ამ განჩინების 36.5, 36.8-36.10 ქვეპუნქტები, მე-40 პუნქტი). საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რომ რადგან ბავშვი როგორც საქართველოს, ისე გერმანიის მოქალაქეა, ამასთან მეუღლეები განქორწინებული არ არიან, განსაზღვრული არ არის ბავშვის საცხოვრებელი ადგილი (იხ. განჩინების 27-ე პუნქტი). ის ფაქტი, რომ დაინტერესებულ პირებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა ქვეყ-

ნის მოქალაქეობა, სრულებით არ გულისხმობს, რომ საქმე გვაქვს საერთაშორისო მასშტაბის შემთხვევასთან, რომლის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს კონვენცია (იხ. კონვენციის ზემოხსენებული განმარტებითი მოხსენება – პირველი მუხლი – კონვენციის ამოცანები, პ.56) ჩვეული საცხოვრებელი გარემოს საკითხი განსაკუთრებით საგულისხმოა არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესების შესაფასებლად, რადგან „ბავშვები უნდა იყვნენ განხილული არა როგორც მშობლების საკუთრება, არამედ, როგორც საკუთარი უფლებებისა და საჭიროებების მქონე ინდივიდები“ (ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, 31-ე სესია, რეკომენდაციები ბავშვთა უფლებების ევროპულ ქარტიაზე, ტექსტი მიღებული 04.10.1979წ.) თუმცა, საუკეთესო ინტერესების შეფასებისას, მნიშვნელოვანია, ეროვნულმა სასამართლოებმა შეაფასონ არასრულწლოვანის ემოციური, ფსიქოლოგიური დამოკიდებულება არსებულ ვითარებასთან, გათვალისწინებული იქნეს ნებისმიერი ცვლილება უკვე ადაპტირებულ გარემოში, ასეთ შემთხვევაში კი, ჩვეულ საცხოვრებელ გარემოდ არ მიიჩნევა კონვენციის მიზნებისათვის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი (დომიცილი), მისგან განსხვავდება ჩვეული საცხოვრებელი ადგილი, როგორც წმინდად ფაქტობრივი გარემოება (იხ. კონვენციის ზემოხსენებული განმარტებითი მოხსენება, ხ. იურიდიული ფაქტორი, პ.66).

62. ჩვეული საცხოვრებელი გარემოს შეფასებისას, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს კასატორის პრეტენზიებზე, რომლებიც ფსიქოლოგ-სპეციალისტთა დასკვნებს ეხება და ასევე გასაჩივრებულ საოქმო განჩინებას (იხ. ამ განჩინების 36.1, 36.6, 36.7, 36.13, 36.14 ქვეპუნქტები და 41-ე პუნქტი). კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ უსაფუძვლოდ დაურთო საქმეს მოპასუხის მიერ მომზადებული ფსიქოლოგთა ასოციაციის 24.02.2015 წ. დასკვნა, რითაც დაარღვია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი და საპროცესო ნორმები, სააპელაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულების წარდგენის შესახებ (სსსკ-ის 380-382-ე მუხლები). კასატორის პრეტენზიის საწინააღმდეგოდ, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო საქმისწარმოების ეტაპზე, მოპასუხის ინიციატივით, ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღმწერი დასკვნის მიღებით არ დარღვეულა საპროცესო ნორმები და მტკიცებულების მიღების უფლებამოსილება სასამართლოს ჰქონდა იმის გათვალისწინებით, რომ საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი განსაზღვრულია სსსკ-ის XLIII თავით და განსახილველ შემთხვევაში, ბავშვის საუკეთესო ინტერესების კვლევისას, სასამართლო ინკვიზიციუ-

რი სამართალწარმოების ელემენტებითაა აღჭურვილი, რაც დასადგენ გარემოებათა წრის სასამართლოს ინიციატივით განსაზღვრაში და მტკიცებულებათა გამოთხოვაში გამოიხატება. ბავშვის საუკეთესო ინტერესების კვლევისას (ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი), სასამართლომ მიიღო მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულება, რომლის მომზადების მიზანი მონინალმდეგემ ფსიქოლოგის რეკომენდაციის საფუძველზე განმარტა, ამასთან, სააპელაციო სასამართლომ, დედის შუამდგომლობაც დააკმაყოფილა, რომელმაც, საქართველოში ჩამოსულმა, ითხოვა შვილთან ურთიერთობაზე დაკვირვების მიზნით, ორი კვირით ბავშვის წაყვანა; აღნიშნულ შუამდგომლობას მონინალმდეგეც დაეთანხმა (იხ. ამ განჩინების 49-ე პუნქტი). საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უზურუნველყო მხარეთა შეჯიბრებითობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების (სსსკ-ის მე-4, მე-5 მუხლები) დაცვა განსახილველ დავაში, შეესაბამისად, კასატორის პრეტენზია დაუსაბუთებელია.

63. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს, ასევე კასატორის პრეტენზიას (იხ. ამ განჩინების 36.14 ქვეპუნქტი) და აღნიშნავს, რომ სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესწავლა, მისივე საუკეთესო ინტერესებითაა ნაკარნახევი, ამასთან, საქართველოში დედის ჩამოსვლისას, მშობლისა და არასრულწლოვანის ურთიერთობის დაკვირვებისა და შეფასების მიზნით მომზადდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ 03.06.2015წ. დასკვნა (იხ. ამ განჩინების 32-ე პუნქტი).

64. ჰააგის 1980 წლის კონვენციის მე-13 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე მსჯელობისას (იხ. ამ განჩინების 24.9 ქვეპუნქტი), სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, იმ ვარაუდის დაშვების შემთხვევაშიც, რომ ბავშვი არამართლზომიერად იყო დაკავებული საქართველოს ტერიტორიაზე, მაინც არ არსებობდა მისი გერმანიაში დაბრუნების საფუძველი (იხ. ამ განჩინების 28-33 პუნქტები). საკასაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული დასკვნის გაზიარება ეფუძნება საქმეში არსებული მტკიცებულებების, მხარეთა განმარტებების, სპეციალისტების მოსაზრებათა ერთობლიობით გაანალიზებასა და შეფასებას ბავშვის საუკეთესო ინტერესის კონცეფციის კონტექსტში. საკასაციო სასამართლოსათვის წინამდებარე განჩინების მიღებისას, ამოსავალი ღირებულებაა არასრულწლოვანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ფსიქოლოგის მიერ შეფასდა, კერძოდ: „არ იკვეთება არცერთ ეტაპზე ფსიქოლოგიური ძალადობის ან არასრულ-



წლოვნის ფსიქიკისათვის მატრავმირებელი კვალი“ (იხ. ამ განჩინების მე-19, 30-ე პუნქტები), აღნიშნული დასკვნა აბათილებს კასატორის პრეტენზიას, რომ სახეზეა ფაქტობრივად მამის მიერ უფლების გადამეტება და არსებულ გარემოსთან ბავშვის მიჯაჭვება (იხ. განჩინების 36.9 ქვეპუნქტი). არასრულწლოვანის ფსიქიკისათვის ნებისმიერი მატრავმირებელი ვითარების არიდება ორივე მშობლის ზრუნვის საგანია, მოცემულ შემთხვევაში, გამოკვეთილია, რომ ბავშვს უყვარს მშობლები, თუმცა, უპირატესობას ანიჭებს მამასთან ყოფნას, რაც დადასტურებულია სპეციალისტთა მიერ არაერთხელ მომზადებული დასკვნით (იხ. განჩინების 14.1-14.3 ქვეპუნქტები, მე-19 პუნქტი, 29.1-29.3 ქვეპუნქტები, 30-32 პუნქტები, ასევე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს იურისტის პოზიცია – 3.50).

65. წინამდებარე განჩინების მიღებისას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანის მამის კანონისმიერი და ზნეობრივი მოვალეობაა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, კვლავაც შეუწყოს ხელი დედისა და შვილის ურთიერთობას, რათა შენარჩუნებული იქნეს არასრულწლოვანისათვის ჰარმონიული ოჯახური გარემო, რომელშიც ბუნებრივია დედა და მამა, ასევე, ოჯახის სხვა წევრებიც არიან ჩართული.

66. ზემოხსენებული მსჯელობისა და დასკვნების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების დასაბუთება, რაც მისი უცვლელად დატოვებისა და წარმოდგენილი საკასაციო განაცხადის უარყოფის საფუძველია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 399-ე, 257.1-ე, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ა. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის საოქმო განჩინება საქმეზე მტკიცებულების დართვის თაობაზე;
3. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკიეზალი

<b>1. ქორწინების ბათილობა</b>	
ქორწინების ბათილობის საფუძველი .....	3
ქორწინების ბათილობის საფუძველი; ქორწინების ნამდვილობის პრეზუმფცია; ქორწინების ბათილად ცნობა დაქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების გამო .....	21
<b>2. კანონით დადგენილი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები</b>	
საოჯახო – მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება .....	29
მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა; მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფა .....	37
<b>3. შვილების წარმოშობის დადგენა</b>	
შვილის გვარის გამოცვლა .....	76
<b>4. მშობლების უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ</b>	
შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა .....	85; 124
შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა .....	105
<b>5. სალიმენტო მოვალეობანი</b>	
ალიმენტის დაკისრება .....	145
ალიმენტის ოდენობის შეცვლა .....	150; 155
<b>6. არამართლზომიერად გადაადგილებული ბავშვის დაბრუნება</b>	
საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ბავშვის დაბრუნება .....	166